სასწავლო პროცესის დაგეგმვა, მართვა, შეფასება

(სატრენინგო მასალა)

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

www.tpdc.ge

სწავლებისა და განვითარების

თანამედროვე მეთოდები

(სატრენინგო მასალა)

1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა 3
2. განათლების მიზნების (ბლუმის) ტაქსონომია …… 14
3. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები ……. 23
4. სწავლების ფორმები …..... 60
5. გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტი და სწავლის სტილი..... 85
6. კომუნიკაცია..... 94
7. მოტივაცია 125
8. კლასის მართვა და კონფლიქტები..... 160
9. ინკლუზიური განათლება..... 187
10. შეფასება 218

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

სასწავლო პროცესის დაგეგმვა

მიზანი:

პედაგოგები გაეცნობიან:

- მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს;
- განათლების მიზნების (ბლუმის) ტაქსონომიას, რათა შეძლონ ამ ცოდნის ეფექტურად გამოყენება მოქნილი და კრეატიული სასწავლო გეგმების შესადგენად;

განსახილველი საკითხები:

- დაგეგმვის მიზანი;
- სასწავლო გეგმის ტიპები;
- გაკვეთილის ეტაპები;
- გაკვეთილის დაგეგმვისთვის აუცილებელი კომპონენტები;
- როგორ დავგეგმოთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი;
- გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში განათლების მიზნების ტაქსონომია; ბლუმის ტაქსონომიის მნიშვნელობა;

რა მიზანს ემსახურება დაგეგმვა?

სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი მოქნილობის საშუალებას იძლევა, სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და მასწავლებლის პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს.
მასწავლებლები რამდენიმე დონეზე ახდენენ დაგეგმვას: ესაა წლიური (საგნის გეგმა – სილაბუსი), თემატური, კვირისა და გაკვეთილის გეგმები. ყველა ეს დონე ერთმანეთთან უნდა იყოს კოორდინირებული. წლიური გეგმის შესრულება მოითხოვს მის განაწილებას თემებზე, თემატურისა - დროის ცალკეულ დანაყოფებზე, თავის მხრივ ამ გეგმების განაწილებას კვირებსა და დღეებზე.
პედაგოგთა ნაწილში ჩნდება შინაგანი პროტესტი სასწავლო პროცესის დაგეგმვისადმი, მათ მიაჩნიათ, რომ დაგეგმვა ზღუდავს მათ შემოქმედებითობას, თავისუფლებას. მათგან ხშირად ისმის შემდეგი ფრაზა: ”კლასი ცოცხალი ორგანიზმია. კარგი მასწავლებელი გაკვეთილს და, ზოგადად, სასწავლო პროცესს უნდა აგებდეს სიტუაციიდან გამომდინარე. ეს უფრო საინტერესო იქნება როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლისთვისაც”.

დაგეგმვა ემსახურება სასწავლო პროცესის ორგანიზებას, მის გამდიდრება-გამრავალფეროვნებას, განახლებასა და დახვეწას.

რა ტიპის სასწავლო გეგმებს ვიცნობთ?

1.***საგნის გეგმა (სილაბუსი*** *- ლათინური სიტყვაა და ნიშნავს რაიმეს ჩამონათვალს, სიას, ნუსხას, შეჯამებას)* - ზოგადი ჩარჩო, თუ რა საკითხები იქნება განხილული წლის განმავლობაში და როგორ. იგი უნდა ეყრდნობოდეს ეროვნულ სასწავლო გეგმას და გამდიდიდრებული უნდა იყოს მასწავლებლის გამოცდილებითა და შეხედულებით.

საგნის გეგმის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია:

- წლის ბოლოს მისაღწევი შედეგი;
- წლის განმავლობაში განსახილველი საკითხები თანმიმდევრულად დალაგებული და დაჯგუფებული;
- თითოეული საკითხის ბოლოს მისაღწევი შედეგი;
- სასწავლო მასალა: ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა, ვიდეო და აუდიო მასალა და ა.შ.
- ძირითადი მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იქნება ამ საკითხების შესწავლისას და შეფასებისას.

საგნის გეგმის შედგენა ეხმარება პედაგოგს საგნის სწავლებისადმი სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებაში და საგნის სწავლების პროცესის ეფექტურად აგებაში.

თემის გეგმა - მოიცავს წლის განმავლობაში განსახილველ მსხვილ თემებს.

თემის გეგმის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია:

- თემის სათაური, რომელიც საგნის გეგმიდან და ეროვნული სასწავლო გეგმიდან ამოდის;
- თითოეული თემის შესწავლის მიზანი, ამოცანები, მისაღწევი შედეგები;
- განსახილველი ინფორმაციის მოკლე შინაარსი;
- თითოეული განსახილველი თემისთვის გამოსაყენებელი აქტივობები და სასწავლო მეთოდები;
- ყოველი თემის შესწავლისთვის საჭირო სასწავლო მასალა;
- შეფასების სისტემის აღწერა - სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- კლასში განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვის არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური საჭიროებებისადმი გეგმის ადაპტირება;
- თვითშეფასება - რა პერიოდულობით და რა მეთოდებით მოახდენს მასწავლებელი თვითშეფასებას.

კვირის გეგმა - არის მოკლე და კონკრეტული დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კვირის განმავლობაში შესასწავლი საკითხები და მათი სწავლების კონკრეტული სტრატეგიები. კვირის გეგმა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

- გაკვეთილი გამოცალკევებულად კი არ აღიქვას, არამედ უფრო დიდის, მთელის ნაწილად;
- შემცვლელ პედაგოგს ადექვატურად წარმართოს კონკრეტული გაკვეთილი.

გაკვეთილის გეგმვა - აღწერს კონკრეტულ გაკვეთილს დაწყების წუთიდან დასასრულამდე. გაკვეთილი უნდა შედგებოდეს სამი ეტაპისაგან:

- **გამოწვევა** (შესავალი), რომელიც გულისხმობს მოცემულ საკითხზე, საგანზე ან მოვლენაზე არსებული ცოდნის, განცდების, შთაბეჭდილებების გააქტიურებას. მოსწავლეები იხსენებენ იმას, რაც იციან შესასწავლი საკითხის ირგვლივ. იწყებენ ახალ თემაზე ფიქრს. ხდება მოსწავლეთა გააქტიურება, ინტერესის გაზრდა, რაც საკითხის კვლევის პროვოცირებას უწყობს ხელს.

- **სიღრმისეული წვდომა** (მასალის მიწოდება) - იგი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და აღქმას უწყობს ხელს. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას ტექსტის წაკითხვის, აუდიო და ვიდეო მასალის გაცნობის, ცდების ჩატარების საშუალებით. ამ ეტაპზე ხდება არსებული ცოდნისა და ახალი ინფორმაციის შეჯერება. სიღრმისეული წვდომის უპირველესი ამოცანაა "გამოწვევის ფაზაზე" გაღვიძებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება.

- **გააზრების, რეფლექსიის** ეტაპზე მოსწავლეები ამთლიანებენ არსებულ და ახლად მიღებულ ცოდნას, ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მსჯელობა.

გაკვეთილის ეს სამივე ეტაპი გათვალისწინებული და ასახული უნდა იყოს გაკვეთილის გეგმაში.

გაკვეთილის გეგმის შედგენისას მასწავლებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ***წინარე ცოდნა***, მათი შესაძლებლობები. იგი საშუალებას აძლევს პედაგოგს ეფექტიანად დაგეგმოს გაკვეთილი.

დაგეგმვისას როგორ შეარჩიოს მასწავლებელმა გაკვეთილის სტრუქტურირების სტრატეგიები?

გაკვეთილის სტრუქტურირების სტრატეგიები მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მიზნის შესაბამისად:

- სწავლების სტრატეგია, რომელიც მასწავლებლის როლზე აკეთებს აქცენტს, **პირდაპირი სწავლების** სახელითაა ცნობილი. ამ დროს ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეს. პირდაპირი სწავლების მეტად გავრცელებული ფორმაა ლექციური ტიპის გაკვეთილი.
  პირდაპირი სწავლების გამოყენება ეფექტურია:
  - ✓ როცა გვსურს მოსწავლეებს სწრაფად გადავცეთ ფაქტობრივი და დიდი მოცულობის ინფორმაცია.

  პირდაპირი სწავლების გამოყენება არაეფექტურია:
  - ✓ რადგან ამ დროს მოსწავლეები პასიურები არიან და დაბალია მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში;
  - ✓ მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) გასავითარებლად.

- **არაპირდაპირი სწავლების** დროს კი მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, ისინი მასწავლებლის დახმარებით თავად აგებენ ცოდნას.
  არაპირდაპირი სწავლების გამოყენება ეფექტურია:
  - ✓ რადგან ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებას და ჩართულობას;
  - ✓ ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას;
  - ✓ ხდის მას მოტივირებულს, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს, გააანალიზოს, შეაფასოს, განაზოგადოს;
  - ✓ მოსწავლეებს უვითარებს კვლევა-ძიებისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს.

გაკვეთილის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ, რომ ეს ორივე სტრატეგია შესაძლებელია მასწავლებელმა ერთი და იგივე გაკვეთილზე გამოიყენოს. მაგ. ჯერ ლექციური სახით მიაწოდოს მოსწავლეებს ორი სხვადასხვა პოზიცია საკითხზე, შემდეგ კი მათ თხოვოს მცირე ჯგუფებში იმუშაონ და შეაფასონ ორივე მათგანი.

გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ასევე მასალის მიწოდების **დედუქციურ**, თუ **ინდუქციურ** მიდგომას გამოიყენებს.
დედუქციური მიდგომით ჩატარებული გაკვეთილი იწყება ზოგადი ცნებების განხილვით, რასაც მოყვება კონკრეტული საკითხების/მაგალითების განხილვა.
ინდუქციური მიდგომისას კი მასწავლებელი კონკრეტული მაგალითების განხილვიდან მიდის განზოგადოებამდე.

რა ძირითადი კომპონენტებისგან უნდა შედგებოდეს გაკვეთილის გეგმა?

- თემა;
- მიზანი;
- აქტივობები (შესაბამისი გაკვეთილის მიზათან);
- სასწავლო მეთოდები (შესაბამისი აქტივობასთან);
- სასწავლო რესურსები;
- თითოეული აქტივობისთვის საჭირო დრო;
- კლასის ორგანიზების ფორმები;
- თითოეული აქტივობის ბოლოს მიღწეული სავარაუდო შედეგი;
- შეფასება - გაკვეთილის განმავლობაში მიღებული ცოდნის შეფასების კონკრეტული მეთოდები;
- გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი;
- თვითშეფასება.

გაკვეთილის დაგეგმვის კომპონენტებზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

რა არის საჭირო მოქნილი და კრეატიული გეგმების შესადგენად?

1. მოსწავლეთა სასწავლო წინაპირობის გათვალისწინება - ინდივიდუალური უნარები, ოჯახური, მოტივაციური, კულტურული, კოგნიტიური, ემოციური, ფსიქო-მოტორული, ენობრივი, სოციალური და სხვ.
2. ჩარჩოპირობების გათვალისწინება - სამართლებრივი, ინსტიტუციონალური, ადგილობრივი, დროითი და ა.შ. მონაცემები.
3. საგანმანათლებლო და სასწავლო გეგმებზე ორიენტაცია;
4. სასწავლო და აღმზრდელობითი მიზნების ერთობლობა;
5. სწავლების შინაარსზე, მიზნებსა და შედეგზე ორიენტაცია;
6. ძირითადი პუნქტების გამოყოფა;
7. მოსწავლეთა ჩართულობა;
8. სასწავლო სტრატეგიების დიფერენცირებული გამოყენება;
9. მრავალმხრივი მეთოდების გამოყენება;
10. რესურსების შერჩევა და მისი მომზადება;
11. სოციალური ფორმების შერჩევა (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილური);
12. მოსწავლეებისათვის ახალ-ახალი სასწავლო შანსების შეთავაზება;
13. შედეგების სისტემატური კონტროლი.

შედეგების სისტემატური კონტროლი საშუალებას აძლევს პედაგოგს იკვლიოს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა - შეაფასოს რას მიაღწია, რას ვერა და რატომ ვერა? მოახდინოს დაგეგმილი გაკვეთილის კორექცია, მისი ხელახალი პილოტირება და ა.შ.

რამდენად ეფექტურია კოლეგებთან ერთად გეგმის შედგენა?

საკუთარი გაკვეთილის დაგეგმვას მასწავლებელი ძირითადად თავად ახორციელებს, მაგრამ თანამშრომლობა კოლეგებთან აუცილებელია. სხვა მასწავლებლებთან ერთად მუშაობა და იდეების გაზიარება პროფესიონალიზმის ზრდის საუკეთესო გზაა. იაპონიაში გამოყენებული თანამშრომლობითი მიდგომა, რომელსაც ''კენშუ''-ანუ ''დახელოვნება სწავლის გზით'' ეწოდება, ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც არიან ასეთი წარმატებულნი იაპონელი მოსწავლეები საერთაშორისო ტესტირებებში.

ამ პროცესის ძირითადი ნაწილი გულისხმობს მასწავლებელთა მცირე ჯგუფის მიერ დაგეგმილი გაკვეთილის წარმართვას და გაანალიზებას. სხვა მასწავლებლები იმავე გაკვეთილს ატარებენ გაკეთებული დასკვნებისა და ცვლილებების გათვალისწინებით. აკადემიური წლის ბოლოს ყოველი სასწავლო ჯგუფი აქვეყნებს თავისი მუშაობის შედეგებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ პროცესს გაკვეთილის შესწავლა ეწოდება.

საგნობრივი ჯგუფების მიერ ერთობლივად შემუშავებული გეგმა გევრად უფრო დახვეწილი პროდუქტი იქნება, რადგან რაც მეტი გამოცდილი და მცოდნე პედაგოგი ჩაერთვება გეგმის შემუშავებაში, ხარისხობრივად მით უფრო სრულყოფილ გეგმას მივიღებთ.

მაგრამ რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს გაკვეთილის გეგმა, მაინც ადაპტირებას საჭიროებს კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში. გეგმის ადაპტაცია შეიძლება მოხდეს გაკვეთილის ჩატარებამდე, ან ამის შემდეგ.

მასწავლებელთა ნაწილი ფიქრობს, რომ ზედმეტი შრომაა გაკვეთილის გეგმის შედგენა, როცა მასწავლებლის წიგნში მზამზარეულად მოცემულია იგი. მაგრამ ეს ასე არ არის. არ არსებობს ისეთი უნივერსალური გეგმა, რომელიც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს პასუხობდეს. საჭიროა მასწავლებელმა გამოიყენოს წიგნში მოცემული გეგმა, მაგრამ იგი მოარგოს თავისი კლასის შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სურვილებს.

რეკომენდაციები:

- ფაქტობრივად, ის, რაც გამოცდილმა მასწავლებლებმა იციან დაგეგმვის შესახებ, უკუკავშირი და იმის ანალიზია, რამ იმუშავა და რამ არა. ამდენად, ყოველთვის მოიხედეთ უკან, გააანალიზეთ თქვენი გეგმები და დახელოვნდით პროფესიული თვალსაზრისით. თანამშრომლობითი რეფლექსია და გაკვეთილის გადახედვა მთავარი კომპონენტებია გაკვეთილის შესწავლის მიდგომისა და დაგეგმვისადმი.
- არ არსებობს ეფექტური დაგეგმვის ერთი კონკრეტული მოდელი. ასე რომ, დაგეგმარებისას ‘’ერთი საზომი ყველას ვერ მიუდგება”. დაგეგმვა პრობლემის გადაჭრის კრეატიული პროცესია გამოცდილი მასწავლებლებისათვის. ამ მასწავლებლებმა იციან, როგორ წარმართონ გაკვეთილი და როგორ ასწავლონ ბავშვებს ეფექტურად.

რა უნდა გავითვალისწინოთ გაკვეთილის მიზანის დასახვისას?

მას შემდეგ რაც მასწავლებელი ამოირჩევს გაკვეთილის თემას, იგი აყალიბებს გაკვეთილის მიზანს.

სასწავლო მიზნები უნდა გამომდინარეობდეს:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან. მაშასადამე, სასწავლო მიზნები გამოხატავენ, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა სწავლის პროცესში;
- მოსწავლეთა საჭიროებიდან, მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან.

სასწავლო მიზანი სასწავლო პროცესის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც:

- ✓ განსაზღვრავს გაკვეთილის/სასწავლო აქტივობის შინაარსს;

- ✓ ქმნის საფუძველს მოსწავლეების პროგრესის შემოწმებისათვის;
- ✓ ქმნის საფუძველს მასწავლებლების თვითშეფასებისათვის;
- ✓ განსაზღვრავს მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს.

როგორ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიზანი?

მიზანი უნდა იყოს ფორმულირებული კონკრეტულად, მარტივად და რეალისტურად. ***რა ძირითადი ზმნები უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა მიზნის ფორმულირებისას?*** გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, შექმნიან, გაანალიზებენ, პრობლემას გადაჭრიან, შეაფასებენ, გამოიკვლევენ და ა.შ.

მაშასადამე, მიზანი:
1. უნდა იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული (ხაზგასმული უნდა იყოს, რას ველით მოსწავლისაგან);
2. აღწერდეს შესაბამის სასწავლო შედეგს (განვითარების მხრივ შესაბამისსა და შესაბამისს თანმიმდევრობით, ასევე უფრო კომლექსურ მიზნებს, რომლებიც მოჰყვება აუცილებელ მიზნებს);
3. იყოს ნათელი და გასაგები (არც ძალიან ზოგადი და არც ძალიან სპეციფიკური);
4.უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი, ანუ უნდა შეიძლებოდეს დაკვირვება და გაზომვა (თავი აარიდეთ ისეთ შედეგებს, რომელთაც ვერ აღიქვამთ, როგორც შეფასებადსა და გასაგებს).

აქტივობები და მეთოდები

ხშირად მასწავლებლებს უჭირთ გაარჩიონ ერთმანეთისაგან აქტივობა და მეთოდი. ***აქტივობას*** დაესმის კითხვა ***რას ვაკეთებ?*** *მაგ. მასწავლებელი კლასთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის წესებს - არის აქტივობა*

თუ დაესმის კითხვა ***როგორ ვაკეთებ?*** ე.ი. რა დიდაქტიკური ხერხით ვახორციელებ ამ აქტივობას, ***ეს არის მეთოდი.*** *მაგ. მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებს შეიმუშავებს "აპოლო ტექნიკით". აპოლო ტექნიკა არის მეთოდი.*

აქტივობების შერჩევისას დაფიქრდით:

- ✓ თქვენს მიერ ამორჩეული აქტივობები დაგეხმარებათ თუ არა დასახული მიზნის მიღწევაში?
- ✓ მიზნის მისაღწევად რას გააკეთებთ თქვენ (მასწავლებლის აქტივობა) და რას გააკეთებენ მოსწავლეები (მოსწავლის აქტივობა)?
- ✓ რამდენი აქტივობა მიგიყვანთ მიზნამდე?
- ✓ როგორი იქნება აქტივობების თანმიმდევრობა?

- ✓ შეესაბამება თუ არა თქვენს მიერ შერჩეული აქტივობა მოსწავლეების ცოდნასა და უნარებს, მათ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას (შესაძლოა, სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო აქტივობა არ შეესაბამებოდეს თქვენი კლასის ყველა მოსწავლის შესაძლებლობებს და მოითხოვდეს ადაპტირებას).

სასწავლო მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ✓ მისი შესაბამისობა აქტივობასთან;
- ✓ კლასის ორგანიზების ფორმასთან;
- ✓ ტექნიკურად მისი განხორციელების შესაძლებლობა.

თითოეული აქტივობისა და გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები.

როდესაც მასწავლებელი მიზნის მისაღწევად ირჩევს შესაბამის აქტივობებსა და მეთოდებს, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, თითოეული ამ აქტივობისა და მეთოდის გამოყენება მოსწავლეებში რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს, ე.ი. თითოეულ აქტივობას რა შედეგზე გაყავს მოსწავლეები. ყოველი აქტივობის ბოლოს მიღწეულ შედეგებს მოსწავლეები უნდა მიყავდეს გაკვეთილის ბოლოს მისაღწევ შედეგებამდე; საიდანაც, თავის მხრივ, უნდა გამომდინარეობდეს გაკვეთილის მიზანი.

მოსწავლეების ორგანიზება

დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, როგორ მოვახდინოთ მოსწავლეების ორგანიზება და როგორ მივუსადაგოთ სამუშაო მათ შესაძლებლობებს? როგორ ვამუშავებთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში, თუ მთელ კლასთან ერთად?

რესურსები

სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარსამართავად.

გასათვალისწინებელია, რა ტიპის რესურსებს გამოვიყენებ (სახელმძღვანელოს, ჟურნალებს, სტატიებს, სამუშაო ფურცლებს, ტელეფილმებს, ინტერნეტს და ა.შ).

შეფასება

იმისათვის, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს გავიდა თუ არა სასურველ შედეგზე, აუცილებელია მან შეამოწმოს სასწავლო შედეგები. გაკვეთილის გეგმაში ასახული უნდა იყოს შეფასების რა ტიპებისა და მეთოდების გამოყენებას აპირებს პედაგოგი კონკრეტულ გაკვეთილზე.

თვითშეფასება

ყოველი გაკვეთილის გეგმას უნდა ახლდეს მასწავლებლის თვითშეფასების ცხრილი. ყოველი გაკვეთილის ბოლოს, როდესაც მასწავლებული ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას აკეთებს, უნდა გააანალიზოს რა იყო კარგი, რაც დაეხმარა შედეგზე გასასვლელად და რამ დააბრკოლა. რისი გაუმჯობესებაა სასურველი.

შეფასების შედეგებისა და თვითშეფასების გათვალისწინებით მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა შეიტანოს გარკვეული ცვლილებები და დამატებები გაკვეთილის გეგმაში. ასეთი შემოქმედებითი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი ეხმარება პედაგოგს მუდმივად დახვეწოს თავისი პედაგოგიური პრაქტიკა და ჩამოყალიბდეს ე.წ. მკვლევარ-მასწავლებლად.

> გაკვეთილის ჩატარების შემდგომ მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს გაკვეთილის პროცესში რა იყო კარგი, რაც დაეხმარა შედეგზე გასასვლელად და რამ დააბრკოლა. რისი გაუმჯობესებაა სასურველი.

როგორ დავგეგმოთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი?

<u>ინტერაქტიური სწავლება</u> არის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ეყრდნობა მასწავლებლისა და მოსწავლის ახალი როლების ძიებასა და ჰუმანიზმის პრინციპებს. ის მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ითვალისწინებს ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ინტერაქტიურ სწავლებას შემოაქვს პედაგოგიკაში სწავლების და ცოდნის შეფასების ახალი სტრატეგიები.

შესატყვისად, იცვლება სწავლების მიზანი. იგი ორიენტირებული ხდება არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

მოსწავლე ინტერაქტიური სწავლების სუბიექტია, მისი აქტიური მონაწილეა. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, პირადად მისი თვისებები და ცოდნა.

სწავლების პროცესისადმი ეს ახალი მიდგომა ეყრდნობა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო მიმდინარეობას - *კონსტრუქტივიზმს*. კონსტრუქტივიზმის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ვასწავლოთ მოსწავლეებს ძველი და ახალი ცოდნის შედარების მეშვეობით ახალი ინფორმაციის შეგროვება, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანა, დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება - შენება.

კონსტრუქტივიზმის მიხედვით, მოსწავლე სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა. სწავლების კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების პროცესში მოსწავლეთა ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას, მათ

წახალისებას, რათა მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენებისა და ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია. კონსტრუქტივისტული თეორიის მიმდევრები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სასწავლო გეგმებს, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინა ცოდნასა და გამოცდილებაზეა აგებული.

მაშასადამე, კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა, იპოვნონ მნიშვნელობები, დაამყარონ საგნებს შორის კავშირი და შეძლონ ანალიზი. ეს ზრდის მოსწავლეთა აქტივობას და ინტერესს. მასწავლებელი კონსტრუქტივისტული სწავლებისას არის პროცესის დამგეგმავი, წარმმართველი, შემფასებელი და ხელისშემწყობი.

სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითადი პრინციპებია:

- სწავლა აქტიური პროცესია, მოსწავლე აგებს ცოდნას მასწავლებლის მიერ გადაცემული ინფორმაციის საფუძველზე. სწავლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი აზრის ჩამოყალიბებაში. მოსწავლე ყველაზე უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც საკუთარი გამოცდილების მეშვეობით წყვეტს პრობლემას;
- სწავლა გულისხმობს მნიშვნელობის წვდომას. მასწავლებლის მიზანია სასწავლო აქტივობები ისე წარმართოს, რომ მოსწავლეებმა მნიშვნელოვანი იდეები და აღმოჩენები კარგად გაიაზრონ.
- სწავლა სოციალური ურთიერთობების გზით აიგება. შესაბამისად, სასწავლო გარემოში ცოდნის კონსტრუირების საუკეთესო საშუალებაა თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება, მაგ. ჯგუფური მუშაობები დისკუსიები...
- სწავლა ყოველთვის გულისხმობს კონტექსტს. მოსწავლე ყველაზე კარგად ითვისებს მაშინ, როდესაც ახალი ინფორმაცია კავშირშია უკვე ნასწავლთან.

სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომის შემადგენელი ნაწილები:

- ახალი იდეების დაკავშირება არსებულ ცოდნასთან.
- მოდელირება - მასწავლებელი მიმართავს რთულ დავალებას და ცდილობს მოსწავლეთათვის თვალსაჩინო გახადოს ის ნაბიჯები, რომლებიც ამ დავალების შესასრულებლადაა საჭირო;
- ”ხარაჩოს” მეთოდი - მასწავლებელი ისეთ დავალებებს აძლებს მოსწავლეებს, რომელთა დახმარების გარეშე გაკეთებაც გაუჭირდებათ ბავშვებს. მასწავლებელი სხვადასხვა ხერხებით მათ ეხმარება, დახმარების წილს

თანდათან ამცირებს და საბოლოოდ მოსწავლეები თავად ახერხებენ საქმისათვის თავის გართმევას.

- არტიკულაცია - საკუთარი შეხედულებების გამოთქმა ვერბალიზაციის გზით და მათი დაცვა, რაც დაეხმარება მოსწავლეებს მასალის უკეთ გააზრებაში.
- რეფლექსია - მოსწავლეები ახდენენ საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზს. ეს ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას. სხვაგვარად ამ პროცესს "მეტაკოგნიცია" , ანუ სწავლის პროცესის გაანალიზება ეწოდება.
- თანამშრომლობა - კონსტრუქტივისტული მიდგომა გულისხმობს ურთიერთსწავლებას, ერთობლივ მუშაობას;
- არჩევანი - მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, რაც ხელს შეუწყობს სწავლის პროცესს, გაიზრდება ინტერესი სასწავლო პროცესისადმი და ჩართულობა.
- მოქნილობა - კონსტრუქტივისტული მეთოდის თანახმად, მასწავლებელი საჭიროებისამებრ მოქნილად ცვლის გაკვეთილის მიმართულებას.
- ადაპტაციის უნარი - მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებთან.
- მრავალმხრივი რეალობა - მრავალმხრივი რეალობის გააზრება დაეხმარება მოსწავლეებს გაიგონ, რომ ყოველთვის ერთი სწორი პასუხი არ არსებობს. ეს უვითარებს მოსწავლეს კრიტიკულ აზროვნებას. ამისთვს მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს რამდენიმე ალტერნატიული შეხედულება ერთი და იგივე საკითხის შესახებ.

შეჯამება;

- ✓ სასწავლო პროცესის ხშირად დაგეგმვა მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი პირობაა. გეგმა საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს, რათა მასწავლებელმა შეძლოს სასწავლო პროცესის მუდმივი განვითარება;
- ✓ საკითხავ მასალაში დაწვრილებით არის განხილული ის ძირითადი კომპონენტები, რომელსაც მასწავლებელი უნდა ითვალისწინებდეს ეფექტიანი გაკვეთილის დასაგეგმად, მაგრამ გაკვეთილის გეგმის კონკრეტული ნიმუშის მოყვანისაგან თავი შევიკავეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ მასწავლებელმა თავისი შემოქმედებითი აზროვნებით უნდა დაგეგმოს და წარმართოს გაკვეთილი და არა თავს მოხვეული სტანდარტის მიხედვით.

განათლების მიზნების (ბლუმის) ტაქსონომია

(მოქნილი და კრეატიული სასწავლო გეგმების შედგენის ერთ-ერთი წინაპირობა)

გადაავლეთ თვალი თქვენს პედაგოგიურ პრაქტიკას და პასუხი გაეცით შემდეგ კითხვას:

დავალებები, რომელსაც მოსწავლეებს აძლევთ ძირითადად, რა ტიპის აზროვნებას მოითხოვს:

- *ფაქტებისა და ტერმინების დამახსოვრებას?*
- *სიტუაციის, ამოცანის, პრობლემის გაანალიზებას?*
- *ძირითადი იდეების გაგებას?*
- *შეფასებების გაკეთებას ან მოსაზრებების გამოთქმას?*
- *ინფორმაციის გამოყენებას პრობლემის გადასაჭრელად?*
- *ახალი რაღაცის შექმნას ან ფორმირებას?*

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია. ბოლო წლებში დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო მეტად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების - კრიტიკულ, შემოქმედებით და რეფლექსიური აზროვნების სწავლებაზე.

ბლუმის ტაქსონომია და მისი გამოყენება სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში

ბენჯამენ ბლუმმა და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს ტაქსონომია, ანუ კლასიფიკაციის სისტემა განათლების მიზნებისათვის.

ბლუმის ტაქსონომია ადამიანის აქტივობის სამ სფეროს აღწერს:

- ✓ ***კოგნიტურს*** (შემეცნებითს): ინტელექტუალური შესაძლებლობები, ცოდნა, აზროვნება;
- ✓ ***აფექტურს*** (ემოციურს): გრძნობები, ემოციები, განწყობები;
- ✓ ***ფსიქომოტორულს***: უნარ-ჩვევები.

სამივე სფეროში კატეგორიები დაყოფილია იერარქიებად სირთულის მიხედვით. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით ყოველ შემდეგ საფეხურზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ წინა კატეგორიის შესაბამისი ჩვევების დაუფლების შემდეგ. ამგვარად, ყოველი სფეროს ფარგლებში გამოიყოფა განვითარების დონეები მარტივიდან რთულისკენ.

ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ კოგნიტურ (შემეცნებით) სფეროს. ბლუმის მიხედვით, აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს. ეს დონეებია: ***ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება***. აზროვნების ეს დონეები საფეხურებად არის განლაგებული, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ცოდნა, გაგება და გამოყენება ქვედა სააზროვნო დონეში მოიაზრება, მას

რეპროდუქციულ დონეებსაც უწოდებენ; ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება – ზედა დონეებია და ავითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს.

ბლუმის მიხედვით განათლების მიზანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ მაღალი დონის აზროვნების ფორმების ჩამოყალიბება.

ბლუმის სააზროვნო უნარების კლასიფიკაცია სქემატურად შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ;



განვიხილოთ ეს დონეები ცალ-ცალკე:

ცოდნა ნიშნავს რაიმეს შესახებ ინფორმაციის ქონას და რაიმე საქმის ან მოქმედების შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობას. ცოდნა განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, თარიღების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების ცნობა და დასახელება;
- კონკრეტული მონაცემების, ტერმინოლოგიის, პროცედურების ცოდნა;
- ინფორმაციის მოძიების პროცედურების ცოდნა;

- კონკრეტულ მონაცემებთან მუშაობის ხერხების და საშუალებების ცოდნა: ა) წესების და კანონების ცოდნა; ბ) კლასიფიკაციებისა და კატეგორიების ცოდნა; გ) კრიტერიუმების ცოდნა; დ) მეთოდების ცოდნა;
- სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის დამახსოვრება და გახსენება მსგავსი ან ზუსტი ფორმით.

ტიპიური ზმნები სასურველი ქმედების აღსაწერად ამ სასწავლო საფეხურზე არის: დასახელება, აღნიშვნა, ჩამოთვლა, ჩაწერა, მოყოლა.

სქემა 1 - ცოდნის დონე - საკვანძო სიტყვები, შესაგამისი შეკითხვები და აქტივობები

საკვანძო სიტყვები	შეკითხვები	აქტივობები
მოყევი, თქვი, ჩამოთვალე დაასახელე, დაწერე ჩამოწერე.	რა ორი მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას? რამდენი მთავარი მოქმედი პირია მოთხრობაში? გაიხსენე, როგორ იწარმოება ზედსართავი სახელის ხარისხები? ჩამოწერე მჟავეების მიღების ხერხები.	სიტყვის მნიშვნელობის ჩამოწერა, მთავარი მოვლენების ჩამონათვალების შედგენა, გრამატიკული წესის ჩამოყალიბება.
აღწერე	შეგიძლია ისაუბრო ავთანდილის რაინდულ თვისებებზე? რას გვეუბნება აკაკი საკუთარ ბავშვობაზე?	პერსონაჟზე იმ ინფორმაციის ჩამოწერა, რაც დაგამახსოვრდა ნაწარმოების წაკითხვისას. მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტებისა თუ დეტალების ჩამოწერა.
ამოიცანი, მოძებნე	პოემის რომელი ნაწილიდან ვიგებთ საფარ- ბეგის უღირსი საქციელის შესახებ?	გმირის მახასიათებლის მოძიება.

გაგება განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად მასში იგულისხმება ნასწავლი მასალის მნიშვნელობის წვდომა. კერძოდ,

- ფაქტების, წესების, პრინციპების, თეორიების, პროცესების, ობიექტების, სტილის, მოვლენების საკუთარი სიტყვებით აღწერა;
- ტექსტის ძირითადი აზრის საკუთარი სიტყვებით ახსნა მშობლიურ ენაზე;
- ტექსტის შინაარსის გაგებაზე მიმართულ კითხვაზე პასუხის გაცემა;

- სმენითი, წერილობითი და გრაფიკული ინფორმაციის ერთი ფორმიდან მეორეში გადატანა;

- შესაბამისი მაგალითის მოყვანა;
- საგნების, მოვლენების, პროცესებისა და სტილის თვალსაჩინო ნიშნით დახარისხება და დაჯგუფება.

ტიპური ზმნები (საკვანძო სიტყვები): ახსნა, განმარტება, განსაზღვრა, დამტკიცება, დახარისხება, დაჯგუფება, პერეფრაზირება.

სქემა 2 - *გაგების დონე - საკვანძო სიტყვები, შესაბამისი შეკითხვები და აქტივობები*

საკვანძო სიტყვები	შესაბამისი კითხვები	აქტივობები
საკუთარი სიტყვებით ახსნა, შეცვლა, ახსნა, განმარტება, გადათარგმნა.	განმარტეთ თქვენი სიტყვებით. შეგიძლიათ ახსნათ გმირის საქციელი?	მოთხრობის ილუსტრირება, მოთხრობის პიესად გადაკეთება, შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა, ნახატის მიხედვით მოთხრობის შედგენა.
მაგალითების მოყვანა, მოძებნა.	შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი?	მოიყვანე მსგავსი მაგალითები პირადი გამოცდილებიდან.
შეჯამება, დასკვნების გამოტანა, განვრცობა-განზოგადება, მიმოხილვა, გამოცნობა.	რა უნდოდა ავტორს ეთქვა ამ სიტყვებით? რატომ მოიქცა გმირი ასე? რა დასკვნებს გამოიტანდით? დაწერეთ ნაწარმოების მოკლე გეგმა.	მთავარი აზრის ამოცნობა, რეზიუმეს დაწერა ან ზეპირი შეჯამება.
დაჯგუფება, დახარისხება	თუ შეგიძლია, ნაწარმოებიდან გამოყავი განსხვავებული სოციალური ფენის პერსონაჟები. დააჯგუფე ქვეყნები სახელმწიფო წყობილებების მიხედვით.	საგნების თვალსაჩინო ნიშნით დახარისხება

გამოყენება განიხილება, როგორც აზროვნების ქვედა დონის უნარ-ჩვევა და, ზოგადად, მასში იგულისხმება ადრე ათვისებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. კერძოდ,

- ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში (კონტექსტში) მოხმარება;
- მოდელის მიხედვით (ნასწავლი წესის მიხედვით) დავალების, სამუშაოს შესრულება;
- პროცედურის განხორციელება;

- კანონზომიერების მოქმედების ფარგლების განსაზღვრა.

ტიპური ზმნები: გამოყენება, მიგნება, გამოთვლა, გადამუშავება, პოვნა, აღმოჩენა

სქემა 3 - *გამოყენების დონე - საკვანძო სიტყვები, შესაბამისი შეკითხვები და აქტივობები*

საკვანძო სიტყვები	შესაბამისი შეკითხვები	აქტივობები
გამოყენება, მართვა, ამოქმედება, შედგენა.	მოცემული ფორმულის გამოყენებით გამოთვალე... როგორ ავამოქმედოთ მოწყობილობა? გადაიყვანე წინადადება ერთი გრამატიკული ფორმიდან მეორეში.	საკლასო ოთახის ფართობის გამოთვლა, ორიენტირება რუკის ან სქემის გამოყენებით; მოწყობილობის მართვა სქემის მიხედვით.
დემონსტრირება, ილუსტრირება, გამოსახვა	ინსტრუქციის მიხედვით მოახდინე ცდის დემონსტრირება, ტექსტის მიხედვით მოახდინე გადაადგილების მარშრუტის ილუსტრირება.	მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება და დიაგრამის ან ცხრილის საშუალებით მათი გამოსახვა; მონაცემთა ანალიზის ცხრილის ინტერპრეტირება.
განხორციელება, შესრულება	შეასრულე მუსიკალური ნაწარმოები. ინტერნეტის საშუალებით გადაიხადე კომუნალური გადასახადი.	სასკოლო სპექტაკლის (სცენარის მიხედვით) დადგმა, საკრედიტო პროგრამის მიხედვით თანხის რაოდენობის გამოთვლა.
გამოცდა, შემოწმება	შეამოწმე პითაგორას თეორემის სამართლიანობა სფერულ გეომეტრიაში.	მათემატიკური ფორმულის შემოწმება რეალურ სიტუაციაში.

ანალიზი არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. ცნობიერებაში

ბლუმის მიხედვით, ანალიზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა: ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა;
- მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ახსნა;

- პროცესის კანონზომიერების გამოვლენა;
- მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა.

ტიპური ზმნები: შედარება, ანალიზირება, განსხვავება, შეპირისპირება, სტრუქტურირება, რეზიუმირება, გამოყოფა.

სქემა 4 - *ანალიზის დონე - საკვანძო სიტყვები, შესაბამისი შეკითხვები და აქტივობები*

საკვანძო სიტყვები	შესაბამისი კითხვები	აქტივობები
გააანალიზე, ახსენი მიზეზი.	რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? თუ ეს მოხდა რა შედეგს მივიღებთ?	მოპოვებული ინფორმაციის შეჯერება და დასკვნების გამოტანა. თავსატეხების ამოხსნა, კვლევის ანგარიშის მომზადება.
ფუნქციონალური (არსებითი) კავშირების გამოყოფა, არსებითი ნიშნებით შედარება.	შეადარე მსგავსი და განსხვავებული ნიშნების მიხედვით. შეგიძლია თუ არა განასხვავო...	საკითხის განხილვა არსებითი ნიშნების მიხედვით.
დამოკიდებულების ამოცნობა, ფარული აზრის გაგება, თვალსასზრისის განსაზღვრა.	რა მოტივი ედო მის საქციელს საფუძვლად? რა არის მიზანი?	ავტორის ჩანაფიქრის ამოცნობა, მთხრობელის მოტივის გაგება. ავტორის თვალსაზრისის განსაზღვრა.

სინთეზი არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს. სინთეზი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით: მაგალითად, ნაწილებისგან ახალი მთელის შედგენა, ცალკე თვისებების გაერთიანება ახალი მთლიანი შინაარსის სახით და ა. შ.

სინთეზური აზროვნება ეს არის დივერგენტული, შემოქმედებითი აზროვნება.

შემოქმედებითი აზროვნება არის მოვლენათა ახლებურად ხედვის და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალური, მანამადე არარსებული გზის პოვნის უნარი. შემოქმედებითი აზროვნების განმასხვავებელ ნიშნად ითვლება იდეათა ახლებური კავშირებისა და შეხამებების პოვნა. მას ხშირად კრეატიულობას უწოდებენ.

ბლუმის მიხედვით, სინთეზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- ნაწილების შეერთება ახალი სტრუქტურის (მაგ. ტექსტის) შესაქმნელად
- ჰიპოთეზის წამოყენება;
- კვლევის ან რეფერატის დაგეგმვა;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა;
- პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენება;
- პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვა;
- ახალი პროდუქტის (ინტელექტუალური ან მატერიალური) შექმნა ან გამოგონება.

ტიპიური ზმნები: მოხაზვა, დაგეგმვა, განვითარება, დაპროექტება, კოორდინირება, მიგნება.

სქემა 4 - *სინთეზის დონე - საკვანძო სიტყვები, შესაბამისი შეკითხვები და აქტივობები*

საკვანძო სიტყვები	შესაბამისი კითხვები	აქტივობები
შექმენი, მოიგონე	შექმენი ამ მოწყობილობის გაუმჯობესებელი მოდელი,	მოდელის შექმნა სპეციფიკური ნიშნით.
შეთხზე, შექმენი	შეთხზე სიუჟეტი	ესსეს, მოთხრობის, სიმღერის დაწერა
განჭვრიტე, მოახდინე პროგნოზირება	იპოვნე პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზა. რა მოხდებოდა თუ...	კვლევის დაგეგმვა, ჰიპოთეზების წამოყენება.

შეფასება არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და ზოგადად გულისხმობს, არჩეული კრიტერიუმების (მაგალითად, რაოდენობა, ხარისხი, ხანგრძლივობა, და ა. შ.) გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებას, სტანდარტებზე (ამ კრიტერიუმის შესაბამისი სტანდარტული საზომი ერთეულები, საზოგადოებაში მიღებული ნორმები, ღირებულებები და წესები) და პირობებზე (კონტექსტი, საზღვრები, რესურსები, მოქმედების დრო და ადგილი, სხვა) დაყრდნობით რაიმეზე მსჯელობას ან დასკვნების გამოტანას. კერძოდ:

- საკუთარი პოზიციის (არჩევანის) არგუმენტირებული დასაბუთება;
- გარკვეულ კრიტერიუმებზე ან სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთება;
- პოზიციისა და მისი კონტრარგუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანა;
- პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთება;
- მოდელის (სისტემის) მოქმედების შეფასება;

- მტკიცებულების (თეორიის, პრეზენტაციის) ღირებულების (მნიშვნელოვნების) დაზუსტება;
- რამდენად შეესაბამება მიღებული დასკვნა იმ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც დასკვნა გაკეთდა (მონაცემებისა და დასკვნების შესაბამისობის დადგენა).

ტიპიური ზმნები: განსჯა, შეფასება, დადგენა, შემოწმება, გადამოწმება, გადაწყვეტილების მიღება, დასკვნა

მოსწავლეებში შეფასების საზროვნო უნარების განვითარება ხელს უწყობს მათში კრიტიკული აზროვნებაის ჩამოყალიბებას. **კრიტიკული აზროვნება** ეს არის მრავალმხრივი მიზნებით განპირობებული აზროვნება, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ფაქტების, მსჯელობათა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება, დასაბუთებული და ყოველმხრივ აწონ-დაწონილი დასკვნის გამოტანის მიზნით

სქემა 5 - *შეფასების დონე - საკვანძო სიტყვები, შესაბამისი შეკითხვები და აქტივობები*

საკვანძო სიტყვები	შესაბამისი შეკითხვები	აქტივობები
განსაზღვრე პრიორიტეტები, გააკეთე რანჟირება	რომელი უფრო ღირებულია...? რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი?	ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილების შერჩევა.
განსაჯე, გააკრიტიკე, არგუმენტირებულად დაასაბუთე, დაადასტურე, დაასაბუთე, რეკომენდაცია გაუწიე.	ეთანხმები თუ არა...? დაიცავი შენი პოზიცია. როგორ დაასაბუთებ, როგორ გააბათილებ. მიგაჩნია თუ არა მართებულად და რატომ?	მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დებატებში მონაწილეობა; მოსაზრებების გამოთქმა, გადაწყვეტილებების განსჯა, დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების მომზადება, რჩევების მიცემა საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად.
დაასკვენი, მიიღე გადაწყვეტილება, შეაჯამე.	დაასაბუთე რომელია უფრო ეფექტიანი და რატომ? არის თუ არა უკეთესი ალტერნატიული გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით?	მოცემულ მიზანთან მიმართებით ნაწარმოების, კვლევის ანგარიშის, თეორიის და ა.შ. ადექვატურობის განსაზღვრა. ნაწარმოების შფასება

მაგალითად; თემა ”ავტობიოგრაფია:

მოსწავლემ უნდა:

- დაასახელოს ის პუნქტები, რომლებიც აუცილებელად უნდა შედიოდეს ავტობიოგრაფიაში (პირველი დონე - ცოდნა);
- ახსნას, რატომ არის ღირებული უნაკლო ავტობიოგრაფია (მეორე დონე - გაგება);
- მისი საკუთარი ბიოგრაფია ტაბელარულად შეადგინოს (მესამე დონე - გამოყენება);
- ხელთ არესბული ბიოგრაფია გააანალიზოს შეიცავს თუ არა იგი ჭარბ მონაცემებს ან თუ აკლია რაიმე მონაცემი (მეოთხე დონე - ანალიზი);
- ორი ბიოგრაფიის ერთმანეთთან შედარებით ჩამოაყალიბოს სანიმუშო საზოგადო მოღვაწის სახე (მეხუთე დონე - სინთეზი);
- გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა მის მიერ შედგენილი და ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია ამ სახით გაგზავნოს (მეექვსე დონე - შეფასება)

ამრიგად, ცოდნას, გაგებას და გამოყენებას შეიძლება ვუწოდოთ აზროვნების ქვედა (დაბალი) დონის სააზროვნო უნარები, ხოლო ანალიზს, სინთეზს და შეფასებას - ზედა (მაღალი) დონის სააზროვნო უნარები. დღეს მეცნიერებში დიდი დავის საგანია, რომელი სააზროვნო უნარი უნდა იდგეს უფრო მაღლა - სინთეზი, თუ შეფასება. ერთმნიშვნელოვნად ამის მტკიცება რთულია - სინთეზი და შეფასება შესაძლოა გადანაცვლდეს იმისდა მიხედვით, თუ რა სახისაა შეფასება. თუ შეფასება არ არის სტრატეგიული და არ უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას, მაშინ იგი უფრო ნაკლებად რთული სააზროვნო ოპერაცია იქნება, ვიდრე სინთეზი

რაში ეხმარება პედაგოგს ბლუმის ტაქსონომიის ცოდნა.

მისი დახმარებით შესაძლებელია;

- სუფთა რეპროდუქტიული მიღწევები კოგნიტური მიღწევებისგან განვასხვავოთ;
- გაკვეთილები (თემები) სირთულის მზარდი ხარისხით შეგნებულად დაგეგმოს;
- გადაამოწმოს განსაზღვრული არსებული ცოდნა შესაბამისი მიზნებისათვის გამოდგება თუ არა;
- მოსწავლეებს დააკვირდეს, აქვთ თუ არა უნარი განსაზღვრული ინტელექტუალური მიღწევებისთვის;
- განსაზღვრულ ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებზე შეგნებულად ივარჯიშონ;
- გაკვეთილი მარტო ცოდნის დონით არ შემოიფარგლოს;
- საშინაო და საკლასო დავალებები და გამოცდები ისე იყოს ფორმულირებული, რომ შეიძლებოდეს მისი მიღწევის დონეებად დალაგება;
- სწავლის შედეგები ობიექტურად შეფასდეს;
- კოლეგებთან მოხდეს თანამშრომლობა მიღწევის დონეების შესახებ;

- სასწავლო გეგმები გააანალიზდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად დაძლიეს ინტელექტუალურად (კოგნიტურ სფეროში) მოსწავლეებმა ის, რაც მათ მოეთხოვებოდათ და ა.შ.

,

სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები

მიზანი:

- გავაცნოთ პედაგოგებს სწავლებისა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

განსახილველი თემები:

- დ. პერკინსის ეფექტური სწავლების პრინციპები;
- სწავლების დიდაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული და თანამშრომლობითი მეთოდები;
- კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობა;
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარების ხელშეწყობა;
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება;
- მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები;
- გრაფიკული ორგანიზატორები, ანუ კოგნიტური დიაგრამები - ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი მიზანია. რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს მოსწავლეებში კრიტიკული, შემოქმედებითი და რეფლექსიური აზროვნების განვითარებას. აზროვნების ამოქმედების დროს მოსწავლე ნასწავლ მასალას კი არ იზეპირებს, არამედ იაზრებს, რაც ხდის მას უფრო გამჭრიახს და მისი აქტიურობა სასწავლო პროცესში იზრდება.

დ. პერკინსის ეფექტური სწავლების პრინციპების ცოდნა და სწავლა-სწავლების პროცესში მათი გათვალისწინება გვეხმარება მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში.

დავით პერკინსის აზრით განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. განათლების მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ მოსწავლეები ჯერ იძენენ ცოდნას და შემდეგ იწყებენ ფიქრს, ხოლო პერკინსის აზრით, მოსწავლეები მაშინ იძენენ ცოდნას,

როცა, სწავლის პროცესში ხდება მისი გააზრება. მაშასადამე, *„აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას";*

თანამედროვე სკოლებში გამოიყენება სწავლების შემდეგი პრინციპები:

- **"ნაწილებით სწავლების"** მოდელი - რომლის ძირითადი პრინციპია რთული საკითხების შემადგენელ ნაწილებად (ელემენტებად) დაყოფა და ამ ელემენტების თანმიმდევრულად შესწავლა. ამ მოდელის თანახმად, თუ მოსწავლე შეძლებს შემადგენელი ელემენტების ათვისებას, ეს გაუადვილებს მას მთელი მასალის მთლიანობაში გააზრებასა და გაგებას.
- **"საკითხის შესახებ სწავლების"** მოდელი - რომლის ძირითადი პრინციპია სასწავლო თემის ირგვლივ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება მოსწავლისათვის საკითხის დეტალური და სიღმისეული ანალიზის გარეშე.
  ორივე ეს მიდგომა ეფექტიანი სტრატეგიაა, კონკრეტულ ვითარებაში და კონკრეტულ საგანთან მიმართებაში. მათი გაუაზრებლად და არაადექვატურად გამოყენება იწვევს მათ არაეფექტურობას.

  განათლების სპეციალისტის დევიდ პერკინსის აზრით ფოკუსირება მხოლოდ კომპლექსური საკითხის ცალკეულ ნაწილებზე მოსწავლის მხედველობის არეალიდან აქრობს ამ ელემენტების გამაერთიანებელ მთლიანს, საბოლოო პროდუქტს. ნაწილებზე ფოკუსირება სასარგებლოა საკითხის შესწავლის საწყის ეტაპზე, მაშ შემდეგ, რაც მოსწავლეებს გავაცნობთ მიზანს.

  მან შეიმუშავა მოდელი, რომელიც ამ ორი მიდგომის ეფექტურად გამოყენების მცდელობას წარმოადგენს, რაც ეხმარება მასწავლებელს გააღვივოს სწავლის მიმართ ინტერესი, ხელი შეუწყოს რთული კონცეფციების მარტივი და გასაგები ენით მიწოდებას და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

  დ. პერკინსი წარმოაჩენს ოთხ ძირითად საკითხს, რომელიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას და წარმართვისას.

  - ✓ რისი სწავლაა მნიშვნელოვანი, რაში გვადგება შეძენილი ცოდნა;
  - ✓ რატომ არის რთული ამის სწავლა;
  - ✓ ყველაზე კარგად როგორ შეიძლება ეს ვისწავლოთ;
  - ✓ როგორ მიდის სწავლის პროცესი.

  და პასუხს სცემს ამ საკითხებს. მისი აზრით მოსწავლეებმა კარგად რომ ისწავლონ, მასწავლებელმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

  1. **განსაზღვრეთ და გააცანით მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიზნები და შედეგები**. როცა მოსწავლეებისათვის უცნობია "საბოლოო პროდუქტი", ისინი ვერ ახერხებენ მთელის შემადგენელი ნაწილების გაერთიანებას და მათ უკან მდგარი მთელის დანახვას.

2. **დაანახეთ მოსწავლეებს შესასწავლი საკითხების ღირებულება**. დ. პერკინსის აზრით, მასწავლებელი ვალდებულია აუხსნას მოსწავლეებს ამა თუ იმ თემის ღირებულება, რისთვის არის საჭირო ამ თემის შესწავლა მისთვის და რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ თემის უცოდინარობამ. დ. პერკინსის აზრით, შესასწავლი საკითხისადმი მოტივაციის გაღვივების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა "საბოლოო პროდუქტის" ჩვენება.
3. **საგანგებო ყურადღება გაამახვილეთ რთულ, პრობლემურ საკითხებზე**, რათა უზრუნველყოთ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების და ზოგადად სწავლის პროცესის თვისობრივი გაუმჯობესება. ამ პრინციპს საფუძვლად ნაწილებით სწავლების მოდელი უდევს. დ. პერკინსის აზრით, ნაწილებითი სწავლების მოდელი მეტად ეფექტურია სასწავლო პროცესის შუალედურ ეტაპზე. მაშინ, როდესაც მოსწავლემ იცის რა არის მისი სწავლის საბოლოო შედეგი და პროდუქტი. საბოლოო პროდუქტის დაშლას შემადგენელ ელემენტებად, მათგან ყველაზე რთული ელემენტების გამოცალკევება და მათი დამოუკიდებლად სწავლება, ვიდრე მოსწავლისათვის სხვა ნაწილებივით გასაგები გახდება, მასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. დ. პერკინსი მიიჩნევს, რომ ეს პრინციპი ეფექტურია მაშინ, როდესაც მასწავლებელი სისტემატურად ახდენს რთული საკითხების იდენტიფიცირებას და მათზე ყურადღების გამახვილებას. ეს გამოცდილება პედაგოგმა უნდა გამოიყენოს სასწავლი პროცესის დაგეგმვაში.
4. **დაეხმარეთ მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში.** მასწავლებელმა საგანგებო დრო და ყურადღება უნდა დაუთმოს მოსწავლეებში თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების/ტრანსფერის უნარის გამომუშავებას. მოსწავლე მაშინაა წარმატებული და მოქნილი აზროვნების მქონე, თუ მას შეუძლია ერთგვარ სიტუაციაში ნასწავლის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება.
   საჭიროა სწავლების სპეციალურად დაგეგმვა იმისათვის, რომ ტრანსფერი განხორციელდეს. ტრანსფერს ხელს უწყობს შემდეგი პრინციპები:

   - ✓ ცოდნა, რომლის ტრანსფერიც ხდება, უნდა იყოს მიზეზ-შედეგობრივი მიმართების შემცველი;
   - ✓ სწავლების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ შეძენილი გამოცდილება შესაძლოა გამოყენებული იყოს სხვადასხვა სიტუაციაში;
   - ✓ სწავლის პროცესში მოსწავლემ უნდა აღმოაჩინოს ამოცანის გადაჭრის ძირითადი პრინციპები.

გამოყოფენ ტრანსფერის ორ ფორმას:

- ✓ ერთ შემთხვევაში ტრანსფერი ხორციელდება გაკვეთილზე განხილული თემის ანალოგიურ თემებთან. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს ნასწავლი საკითხი დაუკავშიროს მსგავს თემებს სხვა სფეროში;
- ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეები იძენენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც შეუძლიათ გამოიყენონ სხვა პრობლემის გადაჭრის დროს. მაგალითად მასწავლებელმა ასწავლა მოსწავლეებს ტექსტში მეტაფორებისა და შედარებების ამოცნობა, იმავე ამოცანის შესრულება უნდა დაავალოს მოსწავლეს სხვა ტიპის ტექსტში.

5. **გააცანით მოსწავლეებს თემის მიღმა არსებული ლოგიკა.** რაც არა მხოლოდ საინტერესოა, არამედ აადვილებს ამა თუ იმ თემის შესწავლას, საკითხის სრულფასოვან წვდომას. მაგ. ბილიარდის თამაშის დროს ზუსტი დარტყმის გამოთვლა შეიძლება ზუსტი მათემატიკური ფორმულის გამოყენებით (ბურთის წონა, მანძილი, დარტყმის სიძლიერე). მაშასადამე, მეცნიერული ცოდნის გამოყენება შესაძლებელია ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტის გაუმჯობესებისთვის. მოვლენების სიღრმისეული წვდომისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ მოვლენების უკან მდგარ პრინციპებზე, კანონზომიერებებზე.
6. **განავითარეთ მოსწავლეებში თანატოლებისგან სწავლის უნარი.** დ. პერკინსის აზრით, ბავშვებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ ერთმანეთისგან და მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ბუნებრივი პროცესის ეფექტურად განხორციელებას.
7. **ასწავლეთ მოსწავლეს სწავლ**ა. მოსწავლეებში სწავლის უნარის განვითარება მასწავლებლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია. თუ მოსწავლემ იცის, როგორ შეუწყოს ხელი საკუთარ სწავლას, როგორ გახადოს სწავლის პროცესი უფრო ეფექტური, როგორ შეუწყოს ხელი საკუთარ განვითარებას და მიაღწიოს უფრომაღალ შედეგს.

დ პერკინსის ”თეორია ერთის” ამოქმედებას და მოსწავლეებში აზროვნების აქტივაციას ხელს უწყობს სწავლების შემდეგი მეთოდები: დიდაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული და სოციალური/თანამშრომლობითი.

დიდაქტიკური მეთოდის დროს ხდება ინფორმაციის მიწოდება დიალოგის ფორმით. სწავლების ამ მეთოდს მასწავლებელი იყენებს მოსწავლეების ინფორმირების, მათი ცოდნის გამომჟღავნებისა და დახვეწის მიზნით.

ამ დროს მოსწავლეს მასწავლებელი

- ✓ აცნობს გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, როდის ითვლება მიზანი მიღწეულად. ამყარებს კავშირს ახალ და ძველ ცნებებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში მოსწავლე და მასწავლებელი ერთად მონაწილეობენ ახალი ცოდნის აგებაში.

- ✓ პროგრესის მონიტორინგი - მასწავლებელი აღნიშნავს გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეთა მიგნებებს;
- ✓ მაგალითების მოყვანა - მასწავლებელს მოყავს სხვადასხვა მაგალითები ახსნილი მასალის უკეთ გასათავისებლად.

- ✓ დემონსტრაცია - მასწავლებელი იყენებს შესაბამის საკლასო აქტივობებს (სადემონსტრაციო ექსპერიმენტი, სახელმძღვანელოსა ან დამატებითი მასალების გამოყენება, ფილმის ჩვენება და სხვ.), რომ მოსწავლეებმა ისწავლონ/განიმტკიცონ ახსნილი მასალა;
- ✓ მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია მოცემულ მასალაში (ან გაკვეთილზე);
- ✓ მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, რათა წაახალისოს მოსწავ-ლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე;
- ✓ მასწავლებელი საკუთარი მოსაზრებების გარდა განიხილავს სხვების მოსაზრებებსაც;
- ✓ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გაიხსენონ გაკვეთილის მთავარი საკითხები, ფაქტები, მოვლენები;
- ✓ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ თავისი სიტყვებით გადმოსცეს წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაცია.

დიდაქტიკური სწავლების დროს მოსწავლემ უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს: რა, სად, რატომ.

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ და არა ინფორმაციულ შეკითხვებს. იგი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ მათ თხოვს აზროვნებას, რათა თავად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. ამ დროს მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, თხზავენ ჰიპოთეზებს და ვერსიებს, აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს. სოკრატისეული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიებით, დებატებით, პრობლემური შეკითხვების დასმით. შესაძლოა მასწავლებელმა მოიყვანოს ფაქტები მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია, ეჭვქვეშ დააყენოს სხვადასხვა ავტორიტეტების მოსაზრებები და სხვა.

მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, თამამად თხზავენ ჰიპოთეზებს და ვერსიებს, აანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს.

სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი:

- სვამს პრობლემურ შეკითხვებს, რათა წაახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე;
- მოჰყავს დამხმარე და საწინააღმდეგო მაგალითები მოცემული მოვლენის საილუსტრაციოდ;

- კრიტიკულად განიხილავს მოსწავლის არგუმენტებს;
- ხელს უწყობს კლასის დისკუსიაში ჩაბმას;
- ახალისებს საკუთარი და სხვების აზრების კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას;
- მოსწავლეს სთხოვს, ფაქტებისა და ცნებების ანალიზს, მასალაში მოცემული ფარული არსის გაგებას და ა. შ.
- სთხოვს მოსწავლეს, რომ დააკავშიროს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ცოდნა, სხვადასხვა ელემენტებისაგან შექმნას ახალი სტრუქტურა;
- სთხოვს მოსწავლეს, რომ გამოიტანოს დასკვნა (გააკეთოს შეფასება) საკუთარ არგუმენტაციაზე დაყრდნობით.

კეთებით სწავლების დროს ხდება ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისათვის. მისი მთავარი პრინციპებია: მოსწავლეებისათვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება.

კეთებით სწავლის დროს:

- ✓ მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართვას პრაქტიკულ საქმიანობაში, ამით მას ეძლევა გამოცდილებით სწავლის საშუალება
- ✓ მასწავლებელი ისეთ დავალებას აძლევს მოსწავლეს, რომლის პრაქტიკული შესრულებისთვის საჭიროა ახლად ახსნილი ცნებების გამოყენება.

თანამშრომლობითი სწავლება, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეების ჩართვას თანამშრომლობაში. (*თანამშრომლობითი სწავლება იხილეთ თავში - სწავლების ფორმები)*

კრიტიკული აზროვნების განვითარება

კრიტიკული აზროვნება არის მრავალმხრივი მიზნებით განპირობებული აზროვნება, რომლის დახმარებითაც ხდება არსებული ფაქტების, მსჯელობათა და წარმოდგენების ხელახალი გააზრება, დასაბუთებული და ყოველმხრივ აწონ-დაწონილი დასკვნის გამოტანის მიზნით. მაშასადამე, კრიტიკული აზროვნების დროს არსებითია არგუმენტების და კონტრარგუმენტების მოძიება, მთლიანი სიტუაციის გაანალიზება და, შესაბამისად, არსებული მტკიცებულებების საფუძველზე დასკვნის გაკეთება.

განასხვავებენ დასკვნის სამ ფორმას:
ინდუქციური დასკვნა – კერძო მსჯელობიდან ზოგად დასკვნებამდე;
დედუქციური დასკვნა – ზოგადი მსჯელობიდან კერძო დასკვნებამდე;
ანალოგიით დასკვნა – ერთი კერძო მოვლენიდან ანალოგიურ მოვლენაზე დასკვნის გამოტანა.

კრიტიკული აზროვნების გასააქტიურებლად გამოყენებული სტრატეგიები მოსწავლეს უნდა ეხმარებოდეს ასეთი ტიპის დასკვნების გამოტანაში.
ძალიან ხშირად პედაგოგები ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას აიგივებენ ერთმანათთან. მართალია კრიტიკული აზროვნებისთვის აუცილებელია ლოგიკური მსჯელობის უნარი, მაგრამ კრიტიკული აზროვნება უფრო მეტია ვიდრე ლოგიკური აზროვნება. ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში პრობლემა წინასწარვე არის ცნობილი, ხოლო კრიტიკული აზროვნების დროს პრობლემა გამოსამჟღავნებელი და დასადგენია. ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში ორი წანამძღვრისაგან კეთდება დასკვნა. სწორი დასკვნა ერთადერთი შეიძლება იყოს; ხოლო კრიტიკული აზროვნების შემთხვევაში შესაძლებელია პრობლემის გადაჭრის რამდენიმე სწორი გზის პოვნა.

განასხვავებენ კრიტიკული აზროვნების ხუთ ძირითად ნიშანს:

1. **კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა** - თუ მასწავლებელს სასწავლო პროცესი აგებული აქვს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, მაშინ მან ისეთი აქტივობები უნდა გამოიყენოს, რომლებიც თითოეულ მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი იდეების, შეხედულებების და შეფასებების სხვებისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებაში.

2. **კრიტიკული აზროვნებისათვის ინფორმაციის მოპოვება და ფაქტების ცოდნა საწყისი წერტილია და არა საბოლოო მიზანი** - მაშასადამე, ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება არის აუცილებელი პირობა კრიტიკული აზროვნებისთვის.

3. **კრიტიკული აზროვნება იწყება პრობლემის დაყენებიდან და მისი გაცნობიერებიდან** - ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ ნამდვილი სააზროვნო პროცესი იწყება პრობლემის გადაჭრის მოთხოვნილებიდან. რატომ წამოჭრის ადამიანი პრობლემებს? ადამიანი, განსაკუთრებით ბავშვი, ცნობისმოყვარე არსებაა. სწორედ ცნობისმოყვარეობა უდევს საფუძვლად მათ კითხვებს: რატომ, როგორ, საიდან.

   როდესაც ბავშვებს მზა ცოდნას ვაწვდით და მათგან მხოლოდ ამ მზა ცოდნის დასწავლას მოვითხოვთ, ვაჩლუნგებთ მათში ცნობისმოყვარეობის ბუნებრივ მოთხოვნილებას. ჯონ დიუი აღნიშნავდა, რომ ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობას განვითარება სჭირდება: "ბავშვი მხოლოდ მაშინ იწყებს ფიქრს, თუ ჩვენ მას კონკრეტულ პრობლემებთან შებრძოლების საშუალებას ვაძლევთ და მას რთული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება უხდება."

4. **კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას** - ყველა არგუმენტს აქვს თავისი კონტრარგუმენტი. ამიტომ არგუმენტაციის ჩამოყალიბებას სერიოზული მოფიქრება და წესების დაცვა სჭირდება.

მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს დამაჯერებლად არგუმენტირება, რომელიც სამი კომპონენტისაგან შედგება. ესენია: **მტკიცება ანუ თეზისი, საბუთი და მტკიცებულება.** მაგალითად: თქვენ გამოთქვამთ აზრს, რომ ადამიანს აქვს სიტყვის თავისუფლად გამოთქმის უფლება. ეს ნაწილი არის თქვენი არგუმენტაციის მტკიცება ანუ თეზისი. მაგრამ თქვენ არ ჩერდებით თეზისზე და მოგყავთ საბუთი – ადამიანი თავისუფალია თავის დამოკიდებულებაში ამა თუ იმ საკითხისადმი. ამ საბუთს თქვენ განამტკიცებთ სათანადო მტკიცებულებით, რომელსაც თქვენ კონსტიტუციის სათანადო მუხლებს მოიყვანთ.

5. **კრიტიკული აზროვნება სოციალური აზროვნებაა** - კრიტიკული აზროვნების განვითარება და პრობლემების სწორად გადაჭრის გზების ძიება სხვა ადამიანებთან კამათის, აზრის გაცვლის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, მასწავლებელმა მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშესაწყობად მათ უნდა გამოუმუშავოს:

   - ✓ სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინების უნარი,
   - ✓ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და დაცვის უნარი;
   - ✓ საკუთარ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობის გრძნობა;
   - ✓ საკუთარი და სხვათა შეხედულებების ადექვატურად შეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი შეცდომის აღიარებისა და უკან დახევის უნარი.

რეკომენდაციები, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში:

- მასწავლებელი ღია უნდა იყოს სიახლეებისადმი - თუ პედაგოგს თავად არ აქვს განვითარებული კრიტიკული აზროვნება და არ არის ჩართული თვითანალიზის პროცესში, იგი ვერ შეძლებს მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებას;
- მასწავლებელმა არ უნდა მოახვიოს საკუთარი შეხედულებები მოსწავლეებს - მასწავლებელმა ისე უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს მასალა, რომ მათ ფიქრის, განსჯის და განსხვავებული ინტერპრეტირების საშუალება დაუტოვოს.
- მასწავლებელმა უნდა დაამუხრუჭოს მოსწავლეთა იმპულსურობა - ნაჩქარევ, დაუფიქრებელ პასუხს მოსწავლე ყოველგვარი ანალიზის გარეშე იძლევა, რაც ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს კრიტიული აზროვნების განვითარებას;
- მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა. ხშირად მოსწავლეები შეცდომის დაშვების შიშის, საკუთარ პასუხში დაურწმუნებლობისა თუ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების გამო მიჯაჭვულები არიან მასწავლებელზე, რაც აფერხებს მათში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას. ამის თავიდან ასაცილებლად

მასწავლებელმა უნდა დაადგინოს მიჯაჭვულობის მიზეზი და ხელი შეუწყოს მათში დამოუკიდებელობის განვითარებას.

- კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ორიენტაცია აიღოს ხარისხზე და არა დროზე. როდესაც მოსწავლეთა მუშაობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი დავალების შესრულებაზე დახარჯული დროა, იქმნება საფრთხე, რომ ისინი ზედაპირულად მიუდგებიან განსახილველ საკითხს, რაც ხელს უშლის კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- მასწავლებელი, რომელიც თავად ღიაა კრიტიკისათვის, მოსწავლეებს არ ახვევს საკუთარ აზრს, აძლევს მათ საშუალებას იმსჯელონ, გააანალიზონ და შეაფასონ მის მიერ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება, ხელს უწყობს აღსაზრდელებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას.
- მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებას, უნდა აგრძნობინოს, რომ პატივს სცემს და ითვალისწინებს მათ აზრს, რაც აამაღლებს მოსწავლეებში თავდაჯერებულობისა და საკუთარი ღირსების გრძნობას.
- აქტიური მსმენელი მასწავლებელი ადვილად მოიპოვებს მოსწავლეთა ნდობას, ახალისებს მათ იმსჯელონ საკუთარ ღირებულებებზე და შეხედულებებზე. მასწავლებელმა უნდა აგრძნობინოს მოსწავლეს, რომ იგი ემფატიური მსმენელია და მოსმენელის ანალიზს აკეთებს. ყველაფერი ეს კი ეხმარება მოსწავლეს უკეთ დაერკვეს საკუთარ თავში, საკუთარი ღირებულებების შეფასებაში და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.
- მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რომ დაანახოს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების სარგებლიანობა, რაც გაზრდის მათში მოტივაციას. ამის მისაღწევად მასწავლებელმა უნდა შეაფასოს არა მარტო მიღწეული შედეგი, არამედ უნდა წაახალისოს მოსწავლეთა მცდელობა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებელმა რეალისტური და მიღწევადი მიზნები დაუსახოს მოსწავლეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანაირი ენთუზიაზმი ჩაქრება.
- მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ თვითშეფასება, საკუთარი აზროვნების პროცესის ანალიზი და აცნობიერებდნენ მათ მნიშვნელობას.
  (მეტაკოგნიტურ აზროვნებაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი)

შემოქმედებითი აზროვნება

შემოქმედებითი აზროვნება არის მოვლენათა ახლებურად ხედვის და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალური, მანამადე არარსებული გზის პოვნის უნარი. შემოქმედებითი აზროვნების განმასხვავებელ ნიშნად ითვლება იდეათა

ახლებური კავშირებისა და შეხამებების პოვნა. კრეატიულობა შაბლონური აზროვნების საპირისპირო ფორმაა. მისთვის მიუღებელია ბანალური იდეები და მოვლენებზე არსებული საყოველთაოდ მიღებული შეხედულებები.

მაშასადამე, შემოქმედებითი აზროვნება არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც პრობლემის გადაჭრისას არასტანდარტული პასუხების მიგნების შესაძლებლობას იძლევა. ეს არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა, რომელიც ხასიათდება იდეების სიმრავლით, მრავალფეროვნებით (მოქნილობა, საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვა), სიახლით (ორიგინალობით) და გარდაქმნის უნარით (ძველი იდეების საფუძველზე ახლის შექმნა).

რა ფაქტორები განაპირობებენ ან ხელს უშლიან შემოქმედებითი უნარების განვითარებას? ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს პიროვნების კულტურული მემკვიდრეობა. ზოგჯერ კულტურული ბლოკები – სტერეოტიპები, საზოგადოებაში გავრცელებული წესები და ქცევის ნორმები – ხელს უშლიან შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შემოქმედებითობა თანდაყოლილი უნარია და შემოქმედებით აზროვნებას უკავშირებენ ხოლმე ხელოვნების დარგში მოღვაწე ადამიანებს, მაგრამ გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ შემოქმედებითი უნარი მეტ-ნაკლები დოზით ყველა ადამიანს ახასიათებს და სწავლების პროცესში შემოქმედებითი გარემოს შექმნა ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ უნარების განვითარებას.

როგორ შეიძლება შექმნას მასწავლებელმა კლასში შემოქმედებითი გარემო?

- **მასწავლებელმა უნდა მოიხსნას შემოქმედებითობის გამოვლენის ხელის შემშლელი შინაგანი წინააღმდეგობები.** კლასში მოსწავლეებს ხშირად ეშინიათ, რომ საკუთარი აზრის გამოთქმის დროს შეცდომას დაუშვებენ და მასწავლებლისგან შენიშვნას დაიმსახურებენ. ამიტომ ისინი თავს იკავებენ აზრის გამოთქმისაგან. დავეხმაროთ მათ, რომ დარწმუნდნენ საკუთარ შემოქმედებით ძალებში.
- **მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს ნაადრევი შეფასებებისაგან**. მასწავლებლისაგან გამოთქმული ნაადრევი შეფასება ხშირად ხდება მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნების შეწყვეტის მიზეზი. ჯობს, მასწავლებელმა მეტი დრო მისცეს ბავშვებს პრობლემის გარშემო თავისუფალი დისკუსიისა და აზროვნებისათვის.
- **მივცეთ ბავშვებს დრო და საშუალება გონებრივი მოთელვისათვის.** სასწავლო პროცესის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ითვლება ჯგუფური მუშაობის მეშვეობით პრობლემის გადაჭრის გზის ძიება. მაგრამ დასაწყისში მუშაობის ეს ფორმა ბავშვებისათვის უჩვეულოა და დაბნეულობას იწვევს. ბავშვებს უნდა მივცეთ დრო და საშუალება, რომ

შეეჩვიონ მუშაობის ახალ ფორმას; მივცეთ მათ დასაწყისისათვის ადვილი დავალებები.

- **მხარი დავუჭიროთ წარმოსახვის სიცხოველეს.** აუცილებელია, რომ სწავლების პროცესში ჩავრთოთ მოსწავლეების წარმოსახვა. ეს განსაკუთრებით მომგებიანია დაწყებით სკოლაში, როდესაც ბავშვების წარმოსახვა ძლიერია.
- **მოვახდინოთ წარმოსახვის "დისციპლინირება" და გავაკონტროლოთ იგი**. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ფანტაზიის თავისუფლების მიუხედავად, მას შემდეგ, რაც იდეა მომწიფდება, ყველა მოსაზრება კრიტიკულად გადაფასდება და ფანტაზიის ნაწილი აუცილებლად უკუგდებული იქნება.
- **განვუვითაროთ ბავშვებს მოვლენათა და ფაქტების აღქმის სიღრმე და მრავალმხრივობა.** ეს ამოცანა ადვილად შესასრულებელია კონკრეტული სასწავლო მასალის გამოყენებით, განსაკუთრებით მხატვრული ნაწარმოებების და მხატვრობის ნიმუშების მეშვეობით.
- **დავეხმაროთ მოსწავლეებს შემოქმედებითი აზროვნების მნიშვნელობის და დანიშნულების ხედვაში,** რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა სხვა უნარის განვითარება ფუჭი იქნება.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს შემოქმედებითი აზროვნება?

განვიხილოთ ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს შემოქმედებითი აზროვნების გასავითარებელი აქტოვობები:

- მოსწავლეს ეძლევა პრობლემის გადაჭრის რამდენიმე შესაძლებლობის (გზის) განხილვის საშუალება.
- მოსწავლეს ეძლევა პრობლემის გადაჭრის რამდენიმე პასუხის პოვნის საშუალება.
- შესაძლებელია პასუხში გარკვეული სუბიექტურობის (ინდივიდუალური) ელემენტის დაშვება.
- აქტივობა ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრის ახალი (ორგინალური) გზის ძიებაზე.
- აქტივობა ორიენტირებულია ნაპოვნი გადაწყვეტილების გაუმჯობესების შესაძლებლობაზე.
- პასუხი წინასწარ არ არის განსაზღვრული და არ არის მხოლოდ ერთი სწორი პასუხი.

როლური თამაში გახლავთ თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მეთოდი, რომელიც მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს*(როლური თამაში იხილეთ საკითხავი მასალის თავში - თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები).* შემოქმედებით უნარებს სხვა მრავალ აქტივობასთან ერთად ავითარებს ასევე მოსწავლეების მიერ ესეების წერა.

შეჯამება:

როგორც კრიტიკული, ასევე შემოქმედებითი აზროვნება მნიშვნელოვანია პრობლემური სიტუაციების გადაჭრისათვის.

კრიტიკული აზროვნება მოითხოვს შესაბამისი ან საუკეთესო პასუხის მოძებნას. მოითხოვს ახსნას, ლოგიკურ დასაბუთებას, შედარება-შეპირისპირებას, კანონზომიერების დანახვას ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, პარალელების გავლებას, კავშირების მოძებნას. იგი შეიძლება დავახასიათოთ როგორც სწორხაზოვანი, პირდაპირი და ობიექტური.

ხოლო შემოქმედებითი აზროვნების დროს დასაშვებია ერთზე მეტი პასუხის არსებობა, იგი მოითხოვს წარმოსახვით აზროვნებას, ვარაუდის ფორმულირებას. იგი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გადატანითი, ასოციაციური და სუბიექტური

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგია. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგებათ წარმატებების მიღწევაში.
პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მიზანია პედაგოგმა მოსწავლეებს დაანახოს საკითხი, პრობლემა, რომელიც მრავალგვარი მიდგომითა და გზით შეიძლება გადაიჭრას, რომელზეც არ არსებობს ერთი სწორი ან არასწორი პასუხი, საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებას და იდეების ჩამოყალიბება-განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ნასწავლი მასალა, მათ მიერ დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაცია და პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვა უნდა მიუსადაგონ რეალური ცხოვრების მიზნებსა და მოთხოვნებს.
პრობლემის გადაჭრა მოითხოვს აზროვნების ისეთ კომპლექსურ უნარებს, როგორიცაა ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება. პირველად უნდა მოხდეს პრობლემის განსაზღვრა, გაანალიზება; შემდეგ უნდა ჩამოვაყალიბოთ პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტები; ბოლოს უნდა ამოვარჩიოთ და განვახორციელოთ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა და შევაფასოთ მისი ეფექტურობა.

მაშასადამე, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება რამდენიმე საფეხურს მოიცავს:
1. **პრობლემის გამოკვეთა და განსაზღვრა**

• შეკითხვების – რა, სად, როგორ, როდის, ვისთან და რატომ – დასმა, რათა მოკლედ აღიწეროს პრობლემა (ტექსტის, დიაგრამის, ფორმულის, ცხრილის გაგება; სხვადახვა წყაროს ერთმანეთთან დაკავშირება და ა.შ.);
• პრობლემის დანაწევრება სხვადასხვა შემადგენელ ან დაკავშირებულ პრობლემად;
• პრობლემის პრიორიტეტების მიხედვით დალაგება (იმ შემთხვევაში, როცა ერთდროულად რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული პრობლემაა წარმოდგენილი).

2. **პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა**
• პრობლემის საწყისი საფეხურის აღწერა, დამასრულებელი საფეხურის აღწერა, დასაშვები პროცედურების აღწერა, შეზღუდვების გამოყოფა;
• პრობლემის წარმოდგენა ხელსაყრელი გზით, მაგ.: ვერბალურად ან/და ვიზუალურად ან წარმოდგენის ახალი ფორმის მოძებნა.

3. **პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება**
• პრობლემის შესატყვისი ინფორმაციის ამორჩევა;
• პრობლემის გადაქცევა ამოცანად. იმის გამიჯვნა, თუ რა არის ცნობილი და რა არის საძიებელი;
• გამოცდილებაზე დაყრდნობით ამოცანის ტიპზე წარმოდგენის შექმნა და, შესაბამისად, საძიებელი არეალის შეზღუდვა;
• ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება.

4. **შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება**
• იდეების თავისუფლად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე წარმოჩენა;
• მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ორიგინალური იდეის, მოულოდნელი და არასტერეოტიპული ანალოგიის და ასოციაციის წარმოდგენა.

5. **პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა**
• პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზების შეფასება სხვადასხვა პერსპექტივიდან;
• თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის განსაზღვრა;
• უფრო რეალური და მისაღები სტრატეგიის შერჩევა (რესურსები, დრო და ა.შ.);
• შერჩეული სტრატეგიის დამაჯერებლობის დასაბუთება.

6. **შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება**
• პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის შემუშავება (თითოეული საფეხურის განსაზღვრა თავისი რესურსებით და დროის განრიგით);
• პრობლემის გადაჭრის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელების

ინდიკატორების განსაზღვრა;
• მოქმედების გეგმის სხვებისათვის გაზიარება და ცვლილებების შეტანა.

7. **შედეგების შემოწმება და შეფასება**
• წარმატების ინდიკატორების შემოწმება (განხორციელდა თუ არა გეგმის მიხედვით; რამდენად რეალური იყო გეგმა; რამდენად საკმარისი იყო რესურსები და სხვ.);
• ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევების შეფასება.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს:

- მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, რომელსაც თავად უხდება წამოჭრილი პრობლემის გამკლავება - იგი არკვევს, თუ რა უნდა იცოდეს დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას. ბოლოს, მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს – თვითშეფასება არის მოსწავლის არსებითი უნარ-ჩვევა, რაც მას ეხმარება ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავალაში.
- მასწავლებელი ქმნის ღია და მხარდამჭერ გარემოს, იგი გამოდის თანამშრომლის, ''ფასილიტატორის'' როლში, რაც მოსწავლეს ეხმარება პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ სწავლაზე და გახდეს აქტიური შემმეცნებელი.
- მოსწავლე ახდენს ცოდნის სისტემატიზაციას და სკოლაში მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან ინტეგრირებას.
- სწავლა მოსწავლისთვის ხდება უფრო საინტერესო და სახალისო, რაც ზრდის მათში შინაგან მოტივაციას;
- მოსწავლეებს უვითარდებათ მაღალი საზროვნო უნარები;
- მოსწავლეებს უვითარდებათ ჯგუფური მუშაობის, თანამშრომლობის და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები.

როგორ უნდა შეარჩიოს მასწავლებელმა პრობლემური ტიპის ამოცანები?
პრობლემური ტიპის ამოცანები შესაძლოა ეხებოდეს სიტუაციებს, სადაც საჭიროა:
1. არჩევანის გაკეთება;
2. გადაწყვეტილების მიღება;
3. შედარება-შეპირისპირება;
4. დაკავშირება-კანონზომიერების აღმოჩენა;
5. შეუთავსებლობის აღმოფხვრა;
6. ობიექტებზე შეხედულების შეცვლა;

7. ექსპერიმენტის, ცდის ჩატარება;
8. კვლევა-ძიება;
9. შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება /გადაწყვეტის ორიგინალური გზის ძიება

რა კონკრეტული სტრატეგიები შეიძლება გამოიყენოს მასწავლებელმა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებისას?

• მოსწავლეებისთვის შეკითხვების დასმა, რომლებიც მათგან მოითხოვს ინფორმაციის წარმოდგენის ალტერნატიული გზების მოძებნას, რომლებიც განსხვავებულია ტექსტში მოყვანილი თუ მასწავლებლის მიერ დასახულისგან.
• ერთი და იმავე მოვლენის, იდეის და ფენომენის სხვადასხვა კონტექსტში განხილვა და შედარება;
• ალტერნატიული და განსხვავებული დასასრულის ძიება;
• როლების გადათამაშება და ხელმეორედ გადახედვა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ გადამოწმდეს, ხომ არ გამორჩა რაიმე ან რაიმე შეცდომა ხომ არ დაუშვა;
• ისეთი იდეის ჩართვა, რომელიც, ერთი შეხედვით უცხოა ტექსტისთვის;
• ინფორმაციის განზრახ წაშლა ან გამოტოვება;
• გათამაშება იმისა, „თუ რა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ. . .“;
• მოცემული განცხადების, წინადადების ან სიტუაციის სოციალური კონტექსტის განხილვა, გამორკვევა;
• სხვადასხვა ტიპის წინასწარი მოსაზრების განხილვა.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავცელებული მეთოდი გახლავთ პროექტით სწავლება. *(პროექტით სწავლება იხილეთ ქვეთავში - თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები).*

მეტაკოგნიცია - აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ და მისი ამოქმედების პრაქტიკული სტრატეგიები

დ. პერკინსის აზრით კარგად აზროვნება გულისხმობს საკუთარი აზროვნების პროცესის მართვას, რომელიც მოიცავს იმის გააზრებას, თუ

- ✓ რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს,
- ✓ როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები,
- ✓ როგორ უნდა მოახდინო საკუთარი აზროვნების მონიტორინგი და წარმართო იგი სწორი მიმართულებით და ა.შ.

ეს ერთგვარად გავს საკუთარი აზროვნების შესწავლას, ანუ რეფლექსიას (თვითგანცდა, გაცნობიერება), სხვა სიტყვებით კი ეს არის მეტაკოგნიციის პროცესი.

მეტაკოგნიცია არის აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია სწავლის სწავლისთვის.

ისევე როგორც კრიტიკული აზროვნება, ასევე მეტაკოგნიცია ადმიანისაგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებას, სირთულის დადგენასა და შემდეგ დაძლევის სტრატეგიების შემუშავებას. მაგ. საშინაო დავალების მომზადებისას მოსწავლემ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მისთვის გაუგებარია წაკითხული ტექსტის შინაარსი. სწორედ ეს პრობლემა ხდება მეტაკოგნიციის ამოქმედების ბიძგი. ბავშვი ცდილობს გაიაზროს, რა უშლის ხელს ტექსტის გაგებაში, ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლე პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული სტრატეგიების მოფიქრებას იწყებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სტრატეგიები შეიძლება იყოს ლექსიკონის გამოყენება, ტექსტის მონაკვეთებად დაყოფა და თითოეული მონაკვეთის განხილვა და სხვ.

მიჩნეულია, რომ მეტაკოგნიცია არის მაღალი დონის აზროვნება, მაგრამ მეტაკოგნიტური უნარების განვითარება ისევე წარმატებით შეიძლება განხორციელდეს უმცროსკლასელებში, როგორც უფროსკლასელებში.

რაც უფრო მაღალია მოსწავლეებში მეტაკოგნიტური აზროვნება, მით უფრო ეფექტურად სწავლობენ ისინი.

გამოყოფენ სწავლისა და აზროვნების მარეგულირებელ სამ მეტაკოგნიტურ უნარს:

- ✓ **დაგეგმვა**, რაც გულისხმობს იმის გადაწყვეტას, რა დრო დახარჯო დავალებაზე, რა სტრატეგიები გამოიყენო, რით დაიწყო და ა.შ. მოსწავლემ შესაძლოა საკუთარ თავს დაუსვას შეკითხვები: ”რაც უკვე ვიცი, იქედან რა შემიძლია გამოვიყენო პრობლემის გადასაჭრელად?”, ”რა ამოცანები დგას ჩემს წინაშე და როგორ ვაპირებ მათ გადაჭრას?”, ”რა უნდა გამოვკვეთო, რა არის არსებითი”. და ა.შ.
- ✓ **მონიტორინგი (წარმართვა)**, არის იმის გაცნობიერება, „როგორ ვუმკლავდები დავალებას”, ”სწორ გზაზე ვდგავარ თუ არა?”, ვიყენებ თუ არა შესაბამის ინფორმაციას და რესურსებს?”, ”რა უნდა შევცვალო, რომ უკეთეს შედეგზე გავიდე?”,
- ✓ **შეფასება** კი მოიცავს განსჯას სწავლისა და ფიქრის პროცესებისა და შედეგების შესახებ. ამოცანის დასრულების შემდეგ მოსწავლე შიძლება შეეკითხოს საკუთარ თავს: ”რამდენად სწორად გადავჭერი ამოცანა?”, ”მივაღწიე თუ არა დასახულ მიზანს”, ”საჭიროა თუ არა ჩემს მუშაობაში კორექცია?”.

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მათ აქტიურ ჩართვას თავიანთი სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვასა და მართვაში. მოსწავლის უნარი, გააკეთოს დასკვნა, თუ რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მისი წარმატების საწინდარია.

როგორ დაეხმაროს მასწავლებელი მოსწავლეებს საკუთარი აზროვნების პროცესის გაცნობიერებაში და ამოქმედებაში?

- ✓ მასწავლებელმა ხშირად გამოიყენოს სააზროვნო ცნებები. მაგ. ისეთი სააზროვნო ტერმინები, როგორიცაა ჰიპოთეზა, მიზეზი, მტკიცებულება, შესაძლებლობა, წარმოდგენა, პერსპექტივა და ა.შ. ამ სიტყვების გამოყენება ყოველდღიურ მეტყველებაში ეხმარება მოსწავლეს დაიჭიროს აზროვნების ის ნიუანსები, რომლებსაც ეს სიტყვები ატარებენ.
- ✓ მასწავლებელი, რომელიც არ ელის მოსწავლისაგან მზა პასუხებს, გარკვეულ დროს უთმობს პრობლემაზე გადასაჭრელ საკითხებზე ფიქრს. მაგ. რა მოხდებოდა ეს რომ ასე არ ყოფილიყო? სხვაგვარად ეს როგორ შეიძლებოდა გადაჭრილიყო? და ა.შ.
- ✓ ახალი მასალის განხილვისას საკითხის დამუშავების ერთი და იმავე სქემის გამოყენება. ერთ-ერთი გავრცელებული სქემა არის ორეტაპიანი: პირველ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს მოვლენის ან საგნის აღწერას და განსაზღვრას, ხოლო მეორე ეტაპზე კი ცდილობს, მას დაასაბუთებინოს საკუთარი აზრი. ეს ორივე ეტაპი მოსწავლისაგან ინტერპრეტაციის გაკეთებას და მისი მხარდამჭერი არგუმენტების მოძიებას მოითხოვს. ეს ეტაპები შეიძლება გამოვიყენოთ ყველა ასაკის მოსწავლეებთან სხვადასხვა საკითხის განხილვისას.
- ✓ მოცემული საკითხის შესახებ სხვადასხვა შეხედულების განხილვა. თავდაპირველად ყველა აზრი მოსმენილი და მიღებული იქნება, ამის შემდეგ მასწავლებლის დახმარებით ხდება გამოთქმული აზრებისა და იდეების დახარისხება, კატეგორიებად, პრიორიტეტებად დაყოფა.
- ✓ როლური თამაში, როდესაც მოსწავლეს ევალება გარკვეული პოზიციიდან განიხილოს რაიმე საკითხი. მოსწავლე ირჩევს რომელიმე მოსაზრებას (აუცილებელი არ არის იგი ეთანხმებოდეს) და საუბრობს ამ თვალთახედვიდან. სწავლის პროცესი სწავლის სწავლით რომ დასრულდეს, აუცილებელია მასწავლებელმა გამართოს შემაჯამებელი დისკუსია, რომელიც მოსწავლეებისაგან მოითხოვს იმის გააზრებას, თუ რა ისწავლეს მათ ამ სხვადასხვა თვალსაზრისის განხილვის შედეგად.
- ✓ ისეთი შეკითხვების დასმა, რომელიც მოსწავლეს საკითხის ღრმა შესწავლისაკენ უბიძგებს. ამით მოსწავლეები მოცემულ საკითხს საკუთარ გამოცდილებასთან და სხვა სფეროში არსებულ ცოდნასთან აკავშირებენ.
- ✓ ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებიც საფუძველს ამზადებს სააზროვნო მოქმედების განზოგადებისთვის: მოდით დავდიქრდეთ, თუ რას ვაკეთებთ ახლა?, როგორ ვაკეთებთ?, ”რა შედეგს მოგვცემს ეს მოქმედება?, და ა.შ. მსგავსი შეკითხვები მოსწავლეს საშუალებას აძლევს, რა ნაბიჯები უნდა გადადგას რომელიმე სააზროვნო მოქმედების შესასრულებლად.

ცხრილი 1.- **მეტაკოგნიცია სკოლის ასაკის მოსწავლეებში**

კლასი	ასაკობრივი თავისებურებები	მასწავლებლის ქმედება
1-2	• აცნობიერებენ, რომ თავადაც და სხვა ადამიანებსაც შეუძლიათ აზროვნება, მაგრამ არ შეუძლიათ იფიქრონ იმაზე, თუ როგორ აზროვნებენ.; • მეტად გადაჭარბებულად აფასებენ ნასწავლს და დამახსოვრებას; • სწავლა პასიური პროცესია; • სჯერათ აბსოლუტური სიმართლის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც ავტორიტეტებმა იციან.	• ხშირად ისაუბრეთ აზროვნების პროცესებზე, გამოიყენეთ ისეთი სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა ”გახსოვს როცა..”,”მე ვფიქრობ, რომ...” • შეამოწმებინეთ მოსწავლეებს საკუთარი მეხსიერება (გამოიყენეთ მაგ. შემდეგი სავარჯიშო - მოსწავლე იწყებს რაღაცის თხრობას, მეორე იმეორებს წინა მოსწავლის ნათქვამს და აგრძელებს, მესამე იმეორებს პირველის და მეორეს ნათქვამს და აგრძელებს და ა.შ.; • გააცანით მოსწავლეებს სწავლის ელემენტარული სტრატეგიები (მაგ. სიტყვების დაჯგუფება, გამეორება...).

კლასი	ასაკობრივი თავისებურებები	მასწავლებლის ქმედება
3-5	• ოდნავ გადაჭარბებულად საკუთარი მეხსიერების შესაძლებლობებს; • აცნობიერებენ, რომ სწავლა აქტიური და შემოქმედებითი პროცესია; • ჯერ კიდევ სჯერათ რომ არსებობს არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტება.	• გააცანით მოსწავლეებს მარტივი ხერხები, რომლებიც მათ დაეხმარება სწავლის პროგრესის მონიტორინგში; • გამოუმუშავეთ მოსწავლეებს ჩვევა, დასკვნები გააკეთონ პრაქტიკული დავალებების და ექსპერიმენტების

		საშუალებით.

კლასი	ასაკობრივი თავისებურებები	მასწავლებლის ქმედება
6-8	• იწყებენ სწავლის ზოგიერთი სტრატეგიის (მაგ. გამეორება, მასალის ორგანიზება); უფრო მოქნილად გამოყენებას. ხოლო როგორიცაა, მაგ. ჩანაწერების გაკეთება კერ კიდევ უჭირთ. • იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ ცოდნა ფარდობითია და შეიძლება არსებობდეს განსხვავებული თვალსაზრისები ერთი და იგივე საკითხის შეახებ;	• გააცანით და გამოაყენებინეთ მოსწავლეებს სწავლის ეფექტური სტრატეგიები (მაგ. როგორ გააკეთონ ჩანაწერები) ; • მოსწავლეებს მიეცით ერთად მეცადიონეობის საშუალება. • მოსწავლეებს გააცანით განსხვავებული მოსაზრებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

კლასი	ასაკობრივი თავისებურებები	მასწავლებლის ქმედება

9-12	• აქვთ გარკვეული, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისი ცოდნა რომელი შემეცნებითი სტრატეგიებია ეფექტური სხვადასხვა სიტუაციაში. ხშირად იყენებენ გამეორებას. • იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ ცოდნა მოიცავს ცნებებს შორის ურთერთკავშირების დანახვასა და გაგებას. • იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ ცოდნის დაუფლება და უნარის გამომუშავება დროს და პრაქტიკას მოითხოვს.	• გააცანით მოსწავლეებს სწავლის ახალი, ეფექტური სტრატეგიები; • შექმენით მოსწავლეთა შეფასების ახალი სისტემა, რომელიც შეაფასებს მოსწავლეთა მიერ არა მხოლოდ უბრალოდ ფაქტების დამახსოვრებაზე, არამედ მასალის გაგებაზე, გამოყენებასა და ინტეგრაციაზე გააკეთებს აქცენტს; • მიაჩვიეთ მოსწავლეები განსხვავებული მოსაზრებების შესაფასებლად გამოიყენონ ობიექტური კრიტერიუმები.

სწავლის ეფექტური სტრატეგიები

როგორც წინა ქვეთავში აღვნიშნეთ,

მეტაკოგნაცია გულისხმობს სწავლის ეფექტური სტრატეგიების ცოდნასა და გამოყენებას. სწავლის სტრატეგია კი გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულად გამოყენებას სწავლის დროს.

ეს ურთულესი პროცესია, ცხადია, მოსწავლეები თავიდან ამგვარი სამუშაოების ჩატარებას დამოუკიდებლად, მასწავლებლის დახმარების გარეშე ვერ შეძლებენ, მაგრამ ეს უნარ-ჩვევა დროთა განმავლობაში ვითარდება. პედაგოგმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ ისწავლონ მასალა, არამედ გამოიმუშაონ თავიანთი სწავლის პროცესის მართვის უნარი.

განვიხილოთ სწავლის რამდენიმე ეფექტური სტრატეგია. მასწავლებელმა როგორ უნდა გააცნოს და ასწავლოს მოსწავლეებს სწავლის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა: წარმოუდგენელია, მოსწავლეებმა დაიმახსოვრონ მთელი ინფორმაცია, რაც მათ მიეწოდებათ. ხშირად მათ უჭირთ არსებითი ინფორმაციის ამოცნობა და მეორეხარისხოვანზე ამახილებენ ყურადღებას. მოსწავლეს უნდა გამოუმუშავდეს მნიშვნელოვანის გამორჩევის და დახარისხების უნარი.

რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, როგორ უნდა გამოვუმუშავოთ მოსწავლეებს ეს უნარი?

- ✓ გააცანით მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანი (მიზანში ყოველთვის ხაზია გასმული არსებითზე);
- ✓ გამოყავით ძირითადი ცნებები და მოსწავლეებს დაანახეთ კავშირი ამ ცნებებს შორის;
- ✓ კითხვები ისე დასვით, რომ მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილონ არსებით ცნებებზე და იდეებზე;.
- ✓ შეგიძლიათ გამოიყენოთ მარკირების მეთოდი (სხვადასხვა ფერის მარკერებით გახაზოთ მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი ცნებები); T დიაგრამა (ერთ სვეტში დაალაგოთ მნიშვნელოვანი ცნებები, მეორეში - მეორეხარისხოვანი) და სხვ.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით წაიკითხონ ტექსტი და მონიშნონ ყოველ აბზაცში მთავარი აზრი. შემდეგ განიხილავენ, ვინ რა მიიჩნია მნიშვნელოვნად და რატომ. ეს ხელს შეუწყობს, რომ შემდგომ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ მნიშვნელოვანის გამოყოფას მეორეხარისხოვანისაგან, რაც მათ გაუადვილებს რთული მასალის აღქმისა და გააზრების პროცესს.
ამისთვის მასწავლებელმა ისე უნდა შეარჩიოს შეკითხვები, რომ მოსწავლეებმა
ყურადღება გაამახვილონ მთავარსა და არსებითზე.

არსებული ცოდნის გახსენება/ცოდნის კონსტრუირება: მოსწავლეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ახალი ცნებებისა და არსებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი.

რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, როგორ გამოვუმუშავოთ მოსწავლეებს ეს უნარი?

- ✓ გაკვეთილის ახსნა დავიწყოთ ყოველთვის იმ საკითხების გახსენებით, რომლებიც კავშირშია ახალ თემასთან. ეს საკითხები დავაფიქსიროთ დაფაზე.
- ✓ მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს გაკვეთილის თემასა და მიზანს, პედაგოგს შეუძლია მოსწავლეებს დაუსვას კითხვა: რა ვიცი ამ თემის შესახებ? გაკვეთილის ახსნის ბოლოს, რეფლექსიის ფაზაზე, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს უპასუხონ კითხვას: რა ცოდნა შეიძინეს დღეს ამ თემის ირგვლივ? (მოსწავლეების პასუხებს წერს დაფაზე და აკავშირებს გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეების გაცემულ პასუხებთან). გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელს შეუძლია დასვას კითხვა: რა მინდა კიდევ შევისწავლო ამ თემაზე?
  კითხვები შეიძლება დაისვას შემდეგნაირადაც:

- რა ვიცი უკვე ამ თემის შესახებ?
- რა მინდა რომ ამ თემის შესახებ გავიგო?
- გაღრმავდება თუ არა ჩემი ცოდნა ამ თემაზე, მას შემდეგ, რაც მასალას გავეცნობი?

  ასე დასმული კითხვები მოსწავლეებს დაეხმარება გაიხსენონ არსებული ცოდნა და დაუკავშირონ ახალ მასალას.

- ✓ გაკვეთილის ახსნის დროს დროდადრო გავჩერდეთ, რათა გადაცემული ინფორმაცია ან ცნება ბავშვებმა დააკავშირონ ადრე ნასწავლთან ან საკუთარ გამოცდილებასთან. შემდეგ შეიძლება დამოუკიდებლად მივცეთ მსგავსი დავალება;
- ✓ ამ უნარის გასავითარებლად ეფექტურია სხვადასხვა საორგანიზაციო სქემების გამოყენება, მაგალითად, ვენის დიაგრამა.

ცოდნის კონსტრუირება. მასწავლებელი მოსწავლეებისთვის თვალსაჩინოს ხდის ცოდნის აგების პროცესს შემდეგი თანმიმდევრობით: ააქტიურებს მათ ე.წ. ფონურ ცოდნას, ანუ ცოდნას თემის შესახებ, შემდეგ აწვდის საკითხავ მასალას და სთხოვს, გააკეთონ აღნიშვნები, რა იცოდნენ უკვე ამ საკითხის შესახებ, რა გაიგეს ახალი და რის გაგებას ისურვებდნენ დამატებით. ეს დაეხმარება მათ არსებული ცოდნისა და მიღებული ცოდნის დაკავშირებაში, შეაფასებინებს საწყის ცოდნას და აღმოაჩენინებს, რაზეც მანამდე არასწორი ან არასაკმარისი ინფორმაცია ჰქონდათ.
სასურველია ფონური ცოდნის გააქტიურების ეტაპზე მათ არ ჰქონდეთ შეცდომის დაშვების შიში, ამიტომ მასწავლებელი უნდა მოქმედებდეს პრინციპით: ნებისმიერი პასუხი მისაღებია.

ჩანაწერების გაკეთება: ჩანაწერების კეთება მოსწავლეებს ეხმარება ყურადღების კონცენტრაციასა და ინფორმაციის კოდირებაში აქედან გამომდინარე, ის ქმნის საფუძველს, რომ ეს ინფორმაცია დაილექოს მოსწავლეთა გრძელვადიან მეხსიერებაში. იმისათვის, რომ მთავარი იდეები საკუთარი სიტყვებით ჩაიწეროს მოსწავლემ, მან უნდა მოახდინოს ინფორმაციის ინტერპრეტაცია, მისი დაკავშირება

არსებულ ცოდნასთან, ჩამოყალიბება და სტრუქტურირება. ჩანაწერების წარმოება ხელს უწყობს სწავლების პროცესს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსწავლეს არ გააჩნია ინფორმაციის/მასალის საბაზო ცოდნა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერების წარმოება ხელს უშლის მას მოსმენასა და, მეტიც, გაგებაში, მაშინ მათი წარმოება არაეფექტიანია.

სწორი ჩანაწერები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ და ხელახლა გააანალიზონ მიწოდებული ინფორმაცია. მას შეიძლება ინფორმაციის ე. წ. „საწყობი“ ვუწოდოთ. დადგენილია, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც აწარმოებენ ჩანაწერებს, უკეთ წერენ ტესტებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ჩანაწერები ბევრი და ხარისხიანია.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს კარგი ჩანაწერების გაკეთება?

- ✓ სწორი ჩანაწერების გაკეთებისთვის აუცილებელია, მოსწავლეებმა იცოდნენ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა;
- ✓ მოსწავლეთათვის ჩანაწერების გეგმის, ან სტრუქტურის მიწოდება, სადაც გამოკვეთილია, თუ რა სახის ინფორმაციას უნდა მიაქციონ ყურადღება და ჩაიწერონ.
- ✓ დროდადრო მასწავლებელმა გააკონტროლოს, რამდენად ხარისხიანად ასრულებენ მოსწავლეები ჩანაწერებს და მისცეს სიტყვიერი ან წერითი კომენტარები.
- ✓ ზოგიერთი მასწავლებელი ჩანაწერების წარმოებაში დასახმარებლად მოსწავლეებს სთავაზობს სპეციალურ მატრიცებს და რუკებს. გახსოვდეთ, რომ პირველ ეტაპზე, როდესაც მოსწავლეებისათვის სრულიად უცხოა ასეთი რუკების დახმარებით მუშაობა, სამუშაოს მეტი წილის შესრულება თავად მოგიწევთ. თუ რუკებსა და მატრიცებს იყენებთ, ურჩიეთ მოსწავლეებს გაუცვალონ ერთმანეთს მათ მიერ შევსებული რუკები და გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები.

ჩანაწერების გაკეთება/გეგმის შედგენა. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ყურადღებით მოუსმინონ მის საუბარს და გააკეთონ მოკლე ჩანაწერები, რასაც ისინი ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, შეადგინონ მისი საუბრის გეგმა. მასწავლებელი დროდადრო ამოწმებს ჩანაწერების სისწორეს. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს აქტიურ მოსმენას, მასალის უკეთ დამახსოვრებასა და ათვისებას. მოსწავლეს აძლევს საშუალებას დასახოს ადეკვატური პრიორიტეტები - რა არის მისთვის საინტერესო მოცემულ მასალაში, რა საკითხთან დაკავშირებით ჭირდება ცოდნის გაღრმავება, მეტის გაგება). იმისათვის, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეძლოს ხარისხიანი ჩანაწერების გაკეთება და გეგმის შედგენა, მასწავლებელმა თავდაპირველად უნდა მისცეს გეგმის შედგენის ნიმუში და განუმარტოს ამ სტრატეგიის მნიშვნელობა.

ინფორმაციის ორგანიზება:

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს ინფორმაციის ორგანიზება?

- ✓ ერთ-ერთი ეფექტური სტრატეგია მასალის მონახაზის გაკეთებაა, რაც ძირითადი იდეების ინფორმაციულ ორგანიზებას გულისხმობს.
- ✓ ცნებათა რუქის გამოყენება, რომელიც ცნებებს შორის ურთიერთკავშირს ასახავს. ის ვიზუალურად გვიჩვენებს, თუ როგორ არის ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული, რა კავშირია ახალ ცნებებსა და მათ არსებულ ცოდნას შორის.

ინფორმაციის გადამუშავება მოიცავს დასკვნების გამოტანას, მაგალითების მოყვანას და ცნებებისა და იდეების ერთმანეთთან დაკავშირებას. ამ სტრატეგიის გამოყენებას მოსწავლეები დაახლოებით 13-14 წლის ასაკიდან იწყებენ.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს მასალის გადამუშავება?

- ✓ განიხილეთ მოსწავლეებთან ახალი ცნების პრინციპის მნიშვნელობა;
- ✓ დაუსვით მოსწავლეებს შემდეგი კითხვები:
  - ახსენით, რატომ...
  - როგორ შეიძლება ეს გამოვიყენოთ იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ?
  - როგორ ფიქრობთ, რა მოხდება, თუ...?
  - რა განსხვავება და მსგავსებაა ამასა და ამას შორის?
  - როგორ არის ეს ცნება დაკავშირებული ადრე ნასწავლ ცნებებთან?
- ✓ სთხოვეთ მოსწავლეებს დასმულ კითხვებზე პასუხები მოიფიქრონ წყვილებში და მცირე ჯგუფებში.

ინფორმაციის გადამუშავება (შეკითხვების დასმა). მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ და დასვან ისეთი შეკითხვები, რომლებიც მასალაში მოცემული ძირითადი ინფორმაციის ამოღებასა და ცნებებ/ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვას შეუწყობს ხელს. შემდეგ წყვილები გაცვლიან ერთმანეთში შეკითხვებს და უპასუხებენ. ეს ხელს უწყობს მასალის უკეთესად დაუფლებასა და გააზრებას. მოსწავლეები აცნობიერებენ სწორად დასმული შეკითხვების მნიშვნელობას, რასაც ისინი მომავალში გამოიყენებენ დამოუკიდებლად მუშაობისას.
სასურველია მასწავლებელმა მოსწავლეებს ასწავლოს ამგვარი შეკითხვების სწორად ფორმულირება - რატომ? რა იყო ამის მიზეზი? როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა, თუ....

მასალის შეჯამება, რომელიც მოიცავს არსებითი და არაარსებითი ინფორმაციის განსხვავებას, ცნებებსა და იდეებს შორის მნიშვნელოვანი კავშირების დანახვას და ინფორმაციის სინთეზს.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს შეჯამება?

- ✓ რეგულარულად, როგორც კლასში, ასევე საშინაო დავალებად, ვაძლევთ ბავშვებს შეაჯამონ წაკითხული და მოსმენილი მასალა და წერილობით მოკლედ გადმოსცენ; რეზიუმეს წერა დააწყებინეთ მოსწავლეებს ადვილად გასაგებ და კარგად ორგანიზებულ ტექსტებზე მუშაობით. შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებს შესთავაზეთ უფრო რთული და დიდი მოცულობის ტექსტები.
- ✓ ყოველთვის დაავალეთ მოსწავლეებს, შეადარონ ერთმანეთის რეზიუმეები და განხილვის პროცესში დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები.
- ✓ იმუშაონ მცირე ჯგუფებში და მოამზადონ ზეპირი პრეზენტაციები.
- ✓ მოსწავლეებმა იპოვონ და დაწერონ მთავარი წინადადება თითოეული პარაგრაფის ან ქვეთავისათვის;
- ✓ მოსწავლეებმა დაადგინონ რამდენიმე სპეციფიკური აზრის მომცველი ძირითადი იდეები; იპოვონ ყოველი ძირითადი იდეის შესაბამისი დამხმარე ინფორმაცია;
- ✓ წაშალონ ნებისმიერი ზედმეტი ინფორმაცია ან არასაჭირო დეტალები.
- ✓ მასალა დაიყოს აბზაცებად, აბზაცები დასათაურდეს ან შეჯამდეს ერთ წინადადებაში. შემდეგ ყველა დასათაურებული ან შეჯამებული აბზაცი გაერთიანდეს, ამით მოსწავლეები მიიღებენ მთელ ტექსტს შეჯამებულს.
- ✓ მოსწავლეებმა გამოიყენონ თემის საკვანძო სიტყვები და წინადადებები, ისინი დაუკავშირონ ერთმანეთს ისე, რომ ტექსტის მოკლე შინაარსი იყოს გადმოცემული;

მასალის მოკლედ შეჯამება. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებსს რამდენიმე წინადადებით შეაჯამონ წაკითხული ან მოსმენილი, ისე, რომ არ იყოს გამოტოვებული არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. მასწავლებელი ჩამოწერს მნიშვნელოვან ასპექტებს, ხოლო მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ამ ასპექტების რანჟირება მნიშვნელოვნების მიხედვით, აირჩიონ 3-4 ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომლის მიხედვითაც შეაჯამებენ ტექსტს. ეს გამოუმუშავებს მოსწავლეებს მასალის რეზიუმირების უნარს, რაც მომავალში მათ მასალის უკეთ გააზრებასა და ხანგრძლივ დამახსოვრებაში ეხმარება.
ამისთვის საჭიროა მასწავლებელმა ისეთი შეკითხვები დაუსვას მოსწავლეებს, რომლებიც მათ არსებითზე გაამახვილებინებს ყურადღებას; ასევე მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად უნდა განიხილოს ტექსტის შეჯამების ნიმუში - რა მახასიათებლები შეიძლება ჰქონდეს რეზიუმეს.

გაგება-გააზრების შემოწმება, ანუ მონიტორინგი მოსწავლეებს ეხმარება გაიგონ, თუ რამდენად კარგად გაიგეს და დაიმახსოვრეს ახალი მასალა.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს საკუთარი მიღწევების მონიტორინგი?

- ✓ სწავლის პროცესში ერთი წუთით შეჩერდნენ და საკუთარ თავს დაუსვან კითხვა: რა გავიგე ამ მასალის წაკითხვისას? რვეულში ჩამოწერონ ყველაფერი, რასაც გაიხსენებენ; შემდეგ ხელახლა წაიკითხონ მასალა და შეადარონ მათი ჩანაწერი მოიცავს თუ არა ყველა თემაში განხილულ ყველა ძირითად თემასა და ცნებას?
  შემდეგ დაუსვან თავის თავს შეკითხვა: რა არის ისეთი, რაც მეგონა, რომ კარგად გავიგე, მაგრამ არც ისე კარგად ამითვისებია? რა იყო ისეთი, რაც საერთოდ არ გამახსენდა? რატომ ვერ გავიხსენე, გაუგებარი ხომ არ იყო ჩემთვის?

- ✓ საკუთარი სწავლის პროცესის საუკეთესო სტრატეგიაა თვითშფასების ცხრილებისა და სქემების შედგენა, შევსება და ანალიზი.
- ✓ მოსწავლეებს გაგების მონიტორინგის სტრატეგიის დაუფლებაში ეხმარება ურთიერთშეფასება. ამისთვის ეფექტურია მცირე ჯგუფებში მუშაობა და ერთმანეთის შემოწმება;
- ✓ საკუთარი თავის შეფასების ერთ-ერთი საუკეთესო ხერხია ასევე თვითსმენა და თვითგამოკითხვა. მოსწავლეები მეცადინეობის დროს ხშირად ჩერდებიან, საკუთარ თავს განუმარტავენ, რა ისწავლეს და საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს.

სამუშაოს გადანაწილება, დაგეგმვა, სწორად დაგეგმილი და გადანაწილებული სამუშაო წარმატების საწინდარია.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს დაგეგმვა?

- ✓ დავეხმაროთ მოსწავლეებს კვირის გეგმის შედგენაში;
- ✓ მუდმივად აკონტროლოს მოსწავლემ თავად, მისდევს თუ არა დაგეგმილს;
- ✓ შეაფასოს, როდის უკეთეს შედეგზე გადის, როცა დაგეგმა, თუ სანამ დაგეგმავდა;
- ✓ ჩვენც ვაწარმოოთ მასთან ერთად მონიტორინგი და პერიოდულად ერთად შევაჯამოთ შედეგები.
- ✓ როდესაც მოსწავლე დაინახავს, რომ დაგეგმვამ იგი უკეთეს შედეგზე გაიყვანა, ეს გაზრდის მის მოტივაციას.

რეკომენდაციები – როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს სწავლის ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში

- ■ დავალების მიცემისას მიუთითეთ როგორ ისწავლონ ეს მასალა;
- ■ რეკომენდაცია მიეცით პერიოდულად თანაკლასელებთან ერთად იმეცადინონ;

- გააცანით მოსწავლეებს სწავლის ახალი სტრატეგიები და დაეხმარეთ მათ ადექვატურად გამოყენებაში;
- აუხსენით მოსწავლეებს, რომ თითოეული სტრატეგია შეიძლება სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენონ.

გრაფიკული ორგანიზატორები, ანუ კოგნიტური დიაგრამები ეფექტური სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი

გრაფიკული სქემების გამოყენება წარმოდგენის არალინგვისტურ ფორმებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია. გრაფიკული სქემა, როგორც წესი, წარმოსახვის ორივე ფორმას გულისხმობს – ლინგვისტურს და არალინგვისტურს. ლინგვისტურია სიტყვები და ფრაზები. არალინგვისტურია სხვადასხვა ტიპის სიმბოლოები და ისრები, რომლებიც სიმბოლოებს შორის ურთიერთობებს გამოხატავენ.

კოგნიტური დიაგრამებით, ანუ გრაფიკული ორგანიზატორებით მუშაობა მოსწავლეებს მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის, იდეის, საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის, ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. სწავლების პროცესში კოგნიტური დიაგრამების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაუადვილა მასწავლებლებს სტრუქტურირებული, საქმიანი გაკვეთილების დაგეგმვა, ხელთ მისცა აკადემიური პროგრესის და უნარ-ჩვევების გამომუშავების კონტროლისა და შეფასების საკმაოდ მოქნილი ტექნიკა, სწავლებისა და სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი გახადა.

კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე:

- ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას;
- ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას;
- შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას;
- ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას;
- სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას.

როდის და როგორ გამოიყენება კოგნიტური დიაგრამები:

• გამოიყენება როგორც ახალი მასალის გაცნობა-წარმოდგენისას, ასევე მასალის ათვისების შემდეგ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დროს;

• გამოიყენება როგორც ტექსტის კითხვისა და დამუშავების, ასევე წერითი სამუშაოს დაწყების დროს;

• გამოიყენება როგორც საშინაო დავალების, ასევე საკლასო სამუშაოს ჩატარების დროს;
• გამოიყენება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფებში მუშაობის დროს.

გრაფიკული ორგანიზატორების/კოგნიტური დიაგრამების გამოყენებით პედაგოგი ხელს უწყობს მოსწავლის **მეტაკოგნიტური** უნარების განვითარებას. გრაფიკული ორგანიზატორები მოსწავლეებს დაეხმარება წაკითხულის გაგებასა და გააზრებაში, არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნაში, მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამახსოვრებაში; მოვლენებსა და ფაქტებს შორის ურთიერთკავშირის დანახვაში; რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ სტრატეგიის ტრანსფერს სხვა მასალის დამუშავების დროს.

განვივილოთ კოგნიტური სქემები, რომლებიც **მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას** ემსახურება.

მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა შედარების დროს ხდება. **შედარება** წარმოადგენს საგნებს ან იდეებს შორის მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციის პროცესს.

შედარების დროს, ძირითადად, ორი ტიპის გრაფიკული სქემა გამოიყენება – ვენის დიაგრამა (დიაგრამა 1) და შედარების მატრიცა (დიაგრამა 2).



დიაგრამა 1

ვენის დიაგრამა ეხმარება მოსწავლეებს, ვიზუალურად აღიქვან ორ საგანს ან მოვლენას შორის არსებული მსგავსება და განსხვავება. როგორც წესი, ორი წრის გადაკვეთაში მსგავსებათა ჩამონათვალია მოცემული. განსხვავებები კი წარმოდგენილია წრეების იმ ნაწილებზე, რომლებიც არ იკვეთება. იდეალურ შემთხვევაში, მოსწავლეებმა ვენის დიაგრამა ორი საგნის ან მოვლენის თითოეული მახასიათებლის შედარებისას უნდა შეავსონ. ასეთ დროს ისინი კარგად დაინახავენ, თუ როგორ ჰგავს ან განსხვავდება ორი მოვლენა ან საგანი ამ კონკრეტული მახასიათებლის მიხედვით.

დიაგრამა 2 შედარების მატრიცა				
მახასიათებლები	შესადარებელი თემები			
	№ 1	№ 2	№ 3	
1				მსგავსებები განსხვავებები
2				მსგავსებები განსხვავებები
3				მსგავსებები განსხვავებები
4				მსგავსებები განსხვავებები

დეტალური მიდგომის დროს შედარების მატრიცა უფრო გამოიყენება, ვიდრე ვენის დიაგრამა. შესაბამისად, როცა მასწავლებელი შედარების მატრიცას იყენებს, აუცილებელია, მოსწავლეებს უფრო დეტალური ინსტრუქციები მისცეს.

მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა მნიშვნელოვანია **კლასიფიკაციის** დროსაც, რადგან გარკვეული ელემენტების კლასიფიკაცია სწორედ მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიკაციით იწყება. კლასიფიკაცია გულისხმობს ელემენტების ჯგუფებად დაყოფას, მათ შორის მსგავსების საფუძველზე. კლასიფიკაციისას მთავარია იმ წესების იდენტიფიკაცია, რომელიც კლასსა და კატეგორიაში კუთვნილებას განსაზღვრავს.

მაგ. მასწავლებელი წლის ბოლოს ასეთ აქტივობას ახორციელებს: კლასს ყოფს ოთხკაციან ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას - ჩამოწერეთ პერსონაჟები იმ ნაწარმოებებიდან, რომლებიც წელს გავიარეთ. ჩამოწერეთ რაც შეიძლება ბევრი პერსონაჟის სახელი. შემდეგ ისინი თქვენს მიერვე მოფიქრებული კატეგორიების მიხედვით დაალაგეთ. თავი შეიკავეთ ისეთი ცხადი კატეგორიებისაგან, როგორებიცაა სქესი და ეროვნება. ისეთი კატეგორიები გამოიყენეთ, რომლებშიც პერსონაჟთა ხასიათის განვითარება გამოიხატება. შემდეგ ოთხკაციან ჯგუფებს აწყვილებს და ავალებს განიხილონ ერთმანეთის ნამუშევრები.

ამ დავალების შესრულებისას უპრიანია მოსწავლეებმა გამოიყენონ კლასიფიკაციისთვის საჭირო გრაფიკული ორგანიზატორები (დიაგრამა 3).

გრაფიკული ორგანიზაციის სქემა რომელიც ცხრილს წააგავს, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ყველა კატეგორია მსგავსია განზოგადების დონის მიხედვით. გრაფიკული სქემა „ბურთულებიანი“ დიაგრამა, უფრო მაშინ გამოიყენება, როცა ზოგიერთი კატეგორია უფრო ზოგადია, ვიდრე სხვები.

დიაგრამა 3
კლასიფიკაციისათვის საჭირო გრაფიკული სქემები



კატეგორიები

ორ ელემენტს, საგანს, მოვლენას შორის აბსტრაქტული მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენას ემსახურება **მეტაფორის შექმნა.**

მეტაფორის შედგენისას ყველაზე მნიშვნელოვანი იმის გაანალიზებაა, რომ მეტაფორის ორი შემადგენელი სახე ერთმანეთს აბსტრაქტულად ან არაპირდაპირ უკავშირდება. მაგალითად, „სიყვარული არის ვარდი“ მეტაფორაა. მასწავლებელი სიყვარულსა და ვარდს უკავშირებს ერთმანეთს. ერთი შეხედვით, პირდაპირი კავშირი სიყვარულსა და ვარდს შორის არ არსებობს. აბსტრაქტულად თუ შევხედავთ, ასეთ კავშირს დავინახავთ. ქვემოთ განვმარტავთ, თუ როგორ შეიძლება სიყვარული იყოს ვარდი!

პირდაპირი მნიშვნელობა: ვარდს კარგი სურნელი აქვს და სასიამოვნოა მისი შეხება. გასათვალისწინებელია, რომ ვარდი ეკლიანია და ეკლებთან შეხება მტკივნეულია.

აბსტრაქტული მნიშვნელობა: ეს რაღაც არაჩვეულებრივია, გინდა მას მიუახლოვდე,

მაგრამ ძალიან ახლოს მისვლა შეიძლება მტკივნეული აღმოჩნდეს.

პირდაპირი მნიშვნელობა: სიყვარულის გრძნობა გაბედნიერებს, მაგრამ იმ

ადამიანმა, რომელიც გიყვარს, შეიძლება ტკივილი მოგაყენოს.

მხოლოდ აბსტრაქტულ დონეზეა *ვარდი* და *სიყვარული* ურთიერთ-დაკავშირებული ცნებები.

შესაბამისად, სწავლების მეთოდი, რომელიც მეტაფორის გამოყენებას გულისხმობს,

ყოველთვის ცნებებს შორის აბსტრაქტულ კავშირზე უნდა იყოს ორიენტირებული.

გრაფიკული სქემები მეტაფორებთან დაკავშირებულ სავარჯიშოებში ისე ხშირად არ გამოიყენება, როგორც კლასიფიკაციასა და შედარებზე ორიენტირებულ დავალებებში.

ანალოგიების შექმნა გულისხმობს იმის იდენტიფიცირებას, თუ რა მსგავსება და განსხვავება აკავშირებს ელემენტთა ორ წყვილს.

ისევე როგორც მეტაფორების, ასევე ანალოგიების სწავლებაში გამოყენება ერთ-ერთი

საშუალებაა, მოსწავლეებს თვალნათლივ რომ დავანახოთ მსგავსება-განსხვავებები და ამგვარად დავაკავშირებინოთ ახალი ინფორმაცია სხვა საგნებთან, ნაცნობ, ნასწავლ საკითხებსა და მოვლენებთან. მაგალითად:

1. ლიტერატურის მასწავლებელი ხსნის რითმას, მოყავს მაგალითები პოეზიიდან. აქ მას შეუძლია მოიყვანოს სიმეტრიის ანალოგია, რაც მოსწავლეებს მათემატიკაში აქვთ ნასწავლი;
2. ასევე, შესაძლებელია, რომ მათემატიკის მასწავლებელმა, რომელიც ხსნის ალბათობას, გამოიყენოს მცენარეთა დამტვერვის ანალოგია ბოტანიკიდან.
ასეთი მიდგომა მოსწავლეებში ხელს უწყობს საკითხის ღრმა წვდომას და სამომავლოდ დამახსოვრებას. ამავდროულად, ამყარებს დისციპლინათშორის კავშირებს და სასწავლო პროგრამას მოსწავლეებს ერთ მთლიანობად მოააზრებინებს.
მაგალითად, მასწავლებელმა შეიძლება მოსწავლეებს ანალოგიის პირველი წყვილი მისცეს და მეორე წყვილის მოფიქრება სთხოვოს. რა თქმა უნდა, ასეთი სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მოსწავლეს მოუწევს იმის არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომ შეარჩია ეს კონკრეტული წყვილი.

დიაგრამა 4
გრაფიკული სქემა ანალოგიებისათვის



დიაგრამა 4.1.
გრაფიკული სქემა ანალოგიებისათვის (მაგალითი)

დიაგრამა 4-ზე მოცემულია გრაფიკული სქემა, რომელიც მოსწავლეებს გაუადვილებს ანალოგიების გაგებას. ამ სქემაში მოსწავლეებმა ისე უნდა ჩაწერონ ინფორმაცია, როგორც დიაგრამა 4.1.-ზე არის მოცემული.

განვიხილოთ სხვადასხვა გრაფიკული სქემები. კლასში მათი გამოყენება ბევრ შესაძლებლობას იძლევა, რადგან ისინი იმ ექვს პარადიგმას შეესაბამებიან, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის დალაგება შეიძლება. ეს პარადიგმებია: აღწერითი პარადიგმები, დროითი თანმიმდევრობის პარადიგმები, პროცესის/მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმები, ეპიზოდის პარადიგმები, განზოგადების/პრინციპის პარადიგმები და ცნების პარადიგმები.

- **აღწერითი პარადიგმები.** აღწერითი პარადიგმა შეიძლება გამოვიყენოთ კონკრეტული ადამიანების, ადგილების, საგნებისა და მოვლენების შესახებ ფაქტების წარმოსადგენად. არ არის აუცილებელი, რომ აღწერით პარადიგმაში მოქცეული ინფორმაცია რამე თანმიმდევრობის მიხედვით იყოს დალაგებული. დიაგრამა 5-ზე წარმოდგენილია მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება გამოსახონ მასწავლებელმა და მოსწავლეებმა აღწერითი პარადიგმა გრაფიკულად.

დიაგრამა 5
გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: აღწერითი პარადიგმა



- **დროითი თანმიმდევრობის პარადიგმები.** დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა მოვლენების ქრონოლოგიური პრინციპით დალაგებას გულისხმობს. ასეთი სქემების შევსება დაეხმარება მოსწავლეებს ქრონოლოგიის დადგენასა და დანახვაში. დიაგრამა 6-ზე წარმოდგენილია დროითი თანმიმდევრობის პარადიგმის გრაფიკული გამოსახულება.

დიაგრამა 6
გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: დროითი თანმიმდევრობის პარადიგმა

- **პროცესის/მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმები.** პროცესის/მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმა გულისხმობს ინფორმაციის დალაგებას **ა.** კაუზატიურ ქსელში, რომელსაც კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. ან **ბ.** მოქმედებების ერთობლიობაში, რომელიც ლოგიკურად სრულდება კონკრეტული პროდუქტით. დიაგრამა 7-ზე წარმოდგენილია პროცესის/მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმის გრაფიკული გამოსახულება.

დიაგრამა 7

გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: პროცესის/მიზეზ-შედეგობრიობის პარადიგმა



ეპიზოდის პარადიგმები. ეპიზოდის პარადიგმა საშუალებას იძლევა, გარკვეულ სისტემაში მოვიყვანოთ ისეთი კონკრეტული ინფორმაცია,

როგორიცაა: ა. მოვლენის დრო და ადგილი, ბ. კონკრეტული ადამიანები, გ. მოვლენის ხანგრძლივობა, დ. მოვლენათა კონკრეტული თანმიმდევრობა, ე. კონკრეტული მიზეზი და შედეგი. მაგალითად, მოსწავლეებმა შეიძლება საფრანგეთის რევოლუციის შესახებ ინფორმაცია ისე დაალაგონ, როგორც დიაგრამა 8-ზე წარმოდგენილ ეპიზოდის პარადიგმის გრაფიკულ გამოსახულებაზეა მოცემული.

დიაგრამა 8

გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: ეპიზოდის პარადიგმა



- **განზოგადების/პრინციპის პარადიგმები და ცნების პარადიგმები.** განზოგადების/პრინციპის პარადიგმა გვეხმარება, ინფორმაცია ზოგად წინადადებებად და მათთან დაკავშირებულ მაგალითებად დავალაგოთ. თვალსაჩინოებისათვის, წარმოიდგინეთ შემდეგი წინადადება „მათემატიკური ფუნქცია ისეთ ურთიერთობას გამოხატავს, რომელშიც ერთი ცვლადის მნიშვნელობა დამოკიდებულია მეორე ცვლადის მნიშვნელობაზე“. ამ წინადადების საილუსტრაციოდ, მოსწავლეებმა შეიძლება იმავე პრინციპით წარმოადგინონ მაგალითები, როგორც დიაგრამა 9-ზეა მოცემული.

დიაგრამა 9

გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: განზოგადების/პრინციპის პარადიგმა

ცნების პარადიგმა. ცნების პარადიგმა გრაფიკული სქემის ყველაზე ზოგადი ფორმაა. ცნების პარადიგმის საშუალებით, შესაძლებელია ინფორმაციის თავმოყრა იმ სიტყვის ან ფრაზის გარშემო, რომელიც ადამიანების, ადგილების, საგნების ან მოვლენების მთლიან კლასს ან კატეგორიას წარმოადგენს.

დიაგრამა 10

გრაფიკული სქემის ერთ-ერთი სახეობა: ცნების პარადიგმა



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანიტა ვულფოლკი (2009) განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ია კუტალაძე (რედ.) (2010) ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.
3. სწავლება და შეფასება (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა "საქართველოს მაცნე"

4. განვითარებისა და სწავლის თეორიები (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა "საქართველოს მაცნე"
5. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
6. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
7. მარზანო რობერტ ჯ. (2009) ეფექტური სწავლება სკოლაში, პირველი ქართული გამოცემა, "მასწავლებელთა პროფესიული განვიტარების ცენტრი'.
8. Georg E. Becker (2007) Unterricht planen;
9. Eslinger-Hinz Ilona, Unseld Georg u.a. (2007). Guter Unterricht als Planungsaufgabe (Ein Studien- und Arbeitsbuch zur Grundlegung unterrichtlicher Basiskompetenzen). Bad Heilbrunn: Julius Klinkhardt;

სწავლების ფორმები

მიზანი:

- მასწავლებლები გააცნონ სწავლების ფორმებს, რათა შეძლოს მათი ადეკვატურად გამოყენება სასწავლო პროცესში.

ამოცანები:

- მასწავლებლები ეცნობიან დამოუკიდებელ, კონკურენტულ და თანამშრომლობით სწავლებას, მსჯელობენ, რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს სწავლების თითოეული ფორმა. მსჯელობენ იმ ხიფათებზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს არასწორად დაგეგმილ კონკურენტულ სწავლებას;
- მსჯელობენ თანამშრომლობითი სწავლების საჭიროებაზე, მის ხუთ ძირითად პრინციზე, თანამშრომლობითი სწავლების რეალიზაცის ფორმებზე;
- განიხილავენ იმ ფაქტორებს, რომლთა გათვალისწინებაც აუცილებელია ჯგუფური მუშობის დროს და მეორეს მხრივ იმას, რაც ხელს უშლის ჯგუფის წარმატებულ მუშაობას. მსჯელობენ მათი დაძლევის გზებზე;
- ეცნობიენ და განიხილავენ თანამშრომლობითი სწავლების რიგ მეთოდებს;

დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით მოსწავლეთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარირებით სასწავლო პროცესის დაგეგმვა განაპირობებს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ეფექტიანობას და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას. ამასთანავე, სასწავლო პროცესიც შეიძლება უფრო მრავალფეროვნად, სახალისოდ, საინტერესოდ, მრავლისმომცველად და ღრმად დაიგეგმოს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

დამოუკიდებელი სწავლება

მასწავლებელის მიერ მიცემული ინსტრუქციის მაგალითი.

"თქვენ გეძლევათ 15 წუთი. ყველამ თქვენ-თქვენ რვეულში დამოუკიდებლად უნდა შეავსოს სავარჯიშოში გამოტოვებული წინდებულები".

სწავლების რომელ ფორმას იყენებს მასწავლებელი?

მასწავლებელი მიზნის მისაღწევად იყენებს დამოუკიდებელ მუშაობას. ამ დროს თითოეული მოსწავლე მუშაობს ინდივიდუალურად. ერთი მოსწავლის მიღწევა სრულებით არ არის დამოკიდებული სხვა მოსწავლეების წარმატება-წარუმატებლობაზე. ერთი მოსწავლის მიზანი არ არის დაკავშირებული თანაკლასელების მიზნებთან, ე.ი. მოსწავლეები კონკრეტული მიზნის მისაღწევად არ თანამშრომლობენ. თითოეული მოსწავლე პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ თავთან და მასწავლებელთან.

მოსწავლეებში რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს დამოუკიდებელი მუშაობა?

- ✓ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ზრდას;
- ✓ დამოუკიდებლად საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბებას;
- ✓ საკუთარ თავში ჩაღრმავებას,
- ✓ დამოუკიდებლად ფიქრს,
- ✓ დამოუკიდებლად დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებას;
- ✓ ზოგადად ინტრაპერსონალური (შიდაპიროვნული) უნარების განვითარებას.

მოსწავლეებში რა უნარების განვითარებას არ ითვალისწინებს სწავლების ეს ფორმა?

- თანამშრომლობითი უნარების განვითარებას:
  - ✓ სხვათა მოსმენასა და მათი აზრის გათვალისწინებას;
  - ✓ დისკუსიის კულტურას;

- ✓ ჯგუფურ პასუხისმგებლობას;
- ✓ ზოგადად ინტერპერსონალური (პიროვნებათაშორისი) უნარების განვითარებას.

კონკურენტული სწავლება

მასწავლებელის მიერ მიცემული ინსტრუქციის მაგალითი.

”თქვენ გეძლევათ 15 წუთი იმისათვის, რომ შეავსოთ სავარჯიშოში გამოტოვებული წინდებულები. ვინც ყველაზე სწრაფად და უშეცდომოდ გააკეთებს სავარჯიშოს, ის დაიმსახურებს უმაღლეს შფასებას ”.

რა ნიუანსით განსხვავდება ეს ინსტრუქცია წინა ინსტრუქციისგან?

ამ ინსტრუქციაში შემოდის გარე სტიმულები (გარე მოტივაცია), მოსწავლეებს მასწავლებელი კონკურენტულ რეჟიმში აყენებს.

რა ეწოდება სწავლების ამ ფორმას?

ამ შემთხვევაში მასწავლებელი იყენებს კონკურენტული სწავლების ფორმას. კონკურენტული სწავლება ორიენტირებულია საქმეზე, ანუ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებით მიზნის მიღწევაზე. ამ დროს მოსწავლე არ ითვალისწინებს სხვათა ინტერესებს და ორიენტირებულია მხოლოდ საკუთარ თავზე. მაშასადამე, კონკურენცია გულისხმობს საკუთარი მიზნების მიღწევას სხვათა ინტერესების ხარჯზე.

მოსწავლეებში რა უნარების განვითარებას უწყობს ხელს კონკურენტული სწავლება?

- ✓ კონკურენცია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს სწრაფად მიაღწიონ შედეგს;
- ✓ ხელს უწყობს მოსწავლეებში სწრაფი აზროვნების განვითარებას;
- ✓ სტიმულს აძლევს მათ განვითარებას, პროგრესს;
- ✓ მოსწავლეებს უჩნდებათ ლიდერობის სურვილი.

რა ხიფათი შეიძლება მოჰყვეს სწავლების ამ ფორმას?

არასწორად გამოყენებულმა კონკურენტულმა სწავლებამ შეიძლება კლასში მოსწავლეებს შორის გააფუჭოს ურთიერთობები და გამოიწვიოს კონფლიქტი.

რას გვირჩევენ ექსპერტები - როგორ ავიცილოთ ეს ხიფათი თავიდან?

- ✓ არ გამოიყენოთ კონკურენტული სწავლება ხშირად. იგი გამოიყენეთ ისეთი ინტენსივობით, რომ მოსწავლეებს ჰქონდეთ ერთჯერადობის განცდა და ყოველდღიურობის ნაწილად არ აღიქვან იგი;
- ✓ გაკვეთილის მცირე დრო დაუთმეთ კონკურენტულ სწავლებას.
- ✓ როდესაც კონკურენტული სწავლებიდან გადადიხართ სხვა აქტივობაზე, მიეცით ბავშვებს დრო დასამშვიდებლად, ემოციებისგან დასაცლელად.

- ✓ ასწავლეთ ბავშვებს როდის შეიძლება გამოიყენონ კონკურენცია და როდის დაუშვებელია.

კონკურენცია დასაშვებია:

კონკურსის, ოლიმპიადის, შეჯიბრის... დროს კონკურენცია ყველაზე შესაფერისი სტრატეგიაა. კონკურენცია დასაშვებია როდესაც ურთიერთობა ერთჯერადია.

კონკურენცია დაუშვებელია:

ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც ურთიერთობები არის მრავალჯერადი. ამ დროს თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. კონკურენცია კი თავისთავად გამორიცხავს თანამშრომლობას.

თანამშრომლობითი სწავლება

მასწავლებელის მიერ მიცემული ინსტრუქციის მაგალითი.

მასწავლებელმა კლასი დაყო მცირე ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს მისცა დავალება, გადაანაწილა ფუნქციები, შეახსენა ერთობლივი მუშაობის წესები, რეგლამენტი. აიღო ჯგუფური მუშობის შეფასების ცხრილი, დაიწყო კლასში სიარული, დაკვირვება და შედეგების ცხრილში შეტანა.

სწავლების რა ფორმა აირჩია პედაგოგმა?

პედაგოგმა აირჩია თანამშრომლობითი სწავლებაის ფორმა.

განვიხილოთ თანამშრომლობითი სწავლება დაწვრილებით.

თანამშრომლობითი სწავლება მიმართულია პარტნიორული და ჯგუფური მუშაობისკენ, რომელიც მოითხოვს მონაწილეთა სინქრონულ და ანსინქრონულ, კოორდინირებულ და კონსტრუქციულ აქტივობას პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტისა და საერთო მიზნის მისაღწევად.

რატომ არის საჭირო თანამშრომლობითი სწავლება?

თანამშრომლობითი სწავლების პრინციპული თავისებურება განისაზღვრება სამი ძირითადი კრიტერიუმით:

– შედეგიანობა;
– დადებითი ურთიერთქმედება;
– ფსიქიკური ჯანმრთელობა.

თანამშრომლობითი სწავლების შედარებისას ინდივიდუალურ და კონკურენტულ სწავლებასთან იკვეთება, რომ უმრავლეს შემთხვევაში თანამშრომლობითი სწავლება უზრუნველყოფს:

– უფრო მაღალ მიღწევებს და შედეგს;
– უფრო პასუხისმგებლურ და ყურადღებიან დამოკიდებულებას ერთმანეთთან;

– მოსწავლეთა ფსიქიკურ ჯანმრთელობას, რომლებიც იძენენ არა მხოლოდ კოლექტივში მუშაობის წესებს, არამედ საკუთარი ღირსების გრძნობასაც.

თანამშრომლობითი სწავლების ხუთი ძირითადი ელემენტი:

1. ***დადებითი ურთიერთგავლენა*** – კონკრეტული დავალება და ზოგადი მიზანი ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მოსწავლეებს არ გაუჩნდეთ ოდნავი ეჭვიც კი იმისა, რომ ისინი ან ერთად „გადარჩებიან“ არ ერთად „დაიღუპებიან“. პოზიტიური დამოკიდებულება ჯგუფის წევრებს შორის მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ ისინი აცნობიერებენ ერთმანეთთან ურთიერთდამოკიდებულებას და იმას, რომ ერთის წარმატება ნიშნავს ჯგუფის სხვა წევრების წარმატებასაც, ხოლო ერთის დამარცხება სხვათა დამარცხებასაც. დადებითი ურთიერთგავლენა ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას არა მარტო პირადი წარმატებისათვის, არამედ მეგობართა წარმატებისთვისაც.
2. ***ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობა*** – თანამშრომლობითი სწავლებისას თითეული მოსწავლე პასუხისმგებელია არა მარტო საკუთარ თავზე და კეთილდღეობაზე, არამედ ჯგუფზე და მის წარმატებაზეც. თანამშრომლობითი სწავლებისას გამოყოფენ პასუხისმგებლობის ორ დონეს: პირველი ეს არის ჯგუფური პასუხისმგებლობა, რათა ჯგუფმა მიაღწიოს მიზანს და მეორე ჯგუფის თითეული წევრის პასუხისმგებლობა, რათა საკუთარი წვლილი შეიტანოს ჯგუფის მუშაობაში და წარმატებაში. პასუხისმგებლობის ეს ორივე დონე ინტეგრირებული უნდა იყოს თანამშრომლობით გაკვეთილში. თითეულ მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მათი წარმატება არის გარანტი ჯგუფის წარმატებისა. თუმცა გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ჯგუფისადმი კუთვნილება და ინტერპერსონალური ინტერაქცია მოსწავლეებს შორის მხოლოდ მაშინ გვაძლევს მაღალ მიღწევებს, როდესაც პოზიტიური დამოკიდებულება ნათლად არის სტრუქტურირებული. თანამშრომლობითი სწავლებისთვის შექმნილი ჯგუფის ერთ-ერთი ამოცანაა ჯგუფის თითოეული წევრი აქციოს მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ არსებად.
3. ***მოსწავლეთა მჭიდრო ურთიერთობის სტიმულირება*** – მოსწავლეები ერთად ასრულებენ კონკრეტულ სამუშაოს, ისინი დაინტერესებულნი არიან ერთმანეთის წარმატებაში, ამიტომ ეხმარებიან ერთმანეთს, აქებენ, ამხნევებენ. ერთობლივი სწავლების პროცესში უმჯობესდება არა მარტო ჯგუფის თითოეული წევრის მოსწრება (თითეული მათგანის გვერდით ყოველთვის არის ვინმე, ვინც მზად არის დახმარებისთვის), არამედ მათი განწყობაც (გვერდით ყოველთვის იმყოფება ვინმე, რომელსაც მორალური მხარდაჭერის უნარი შესწევს). ვერასოდეს ვერ მიიღწევა ისეთი სწრაფვა ცოდნისაკენ და ინტერპერსონალური ურთიერთობის ისეთი მოთხოვნილება, როგორიც ერთმანეთის სტიმულირებისა და მხარში

დგომის დროს. ჯგუფის წევრები უხსნიან ერთმანეთს მათ მიერ გადასაჭრელი ამოცანისადმი მიდგომის სხვადასხვა გზებს, ადგენენ კავშირებს ძველ და ახალ მასალას შორის. სწორედ ასეთი მიდგომების წყალობით ჯგუფის წევრებს უჩნდებათ ერთმანეთისადმი და საერთო მიზნის მიღწევისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა.

4. ***სოციალიზაციის უნარ–ჩვევების, კერძოდ მცირე ჯგუფებში ქცევის უნარების გამომუშავება.*** ჯგუფებმა, რომლებიც შექმნილია თანამშრომლობითი სწავლების მიზნით, არა მარტო უნდა გადაწყვიტონ აკადემიური ამოცანა (მიიღონ ახალი ცოდნა), არამედ მოიქცნენ ისე, როგორც შეეფერება კოლექტივის (ერთი გუნდის წევრს) წევრს. ერთობლივი მუშაობით მხოლოდ მაშინ მიიღწევა სასურველი შედეგი, როდესაც ადამიანს აქვს სოციუმში ქცევის უნარი და სერიოზული მოტივაცია. უნარი, იყო ლიდერი, მიიღო გადაწყვეტილებები, შენს თავზე აიღო პასუხისმგებლობა, მოაგვარო კონფლიქტები და ურთიერთობა დაამყარო სხვა ადამიანებთან ისევე სერიოზულად და მიზანდასახულად უნდა შეისწავლო, როგორც ნებისმიერი აკადემიური დისციპლინა.
5. ***ერთობლივი მუშაობის „ტექნოლოგია“ და ანალიზი*** – მისი ორგანიზაცია, მიზნის მისაღწევად სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, ნორმალური სამუშაო გარემოს შექმნა. ჯგუფი გარკვეული უნდა იყოს მათი წევრებიდან ვინ უმკლავდება მოვალეობებს და ვინ ვერა, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს, ვინ უნდა შეცვალოს საკუთარი ქცევა. მას უნდა შეეძლოს ერთობლივი მუშაობის ანალიზი და გზების ძიება მის გასაუმჯობესებლად.

მხოლოდ ეს ხუთი ელემენტი არ განაპირობებს ეფექტურობას. აუცილებელია ასევე დისციპლინის კონტროლი.

პირდაპირი (უშუალო) ინტერაქცია

თანამშრომლობითი სწავლება მოითხოვს და ხელს უწყობს მოსწავლეთა უშუალო კომუნიკაციას და ინტერაქციას. საერთო წარმატება უფრო სწრაფად მიიღწევა, როდესაც სწავლა ერთობლივად იგეგმება, რესურსები ნაწილდება, ურთიერთდახმარებას, გამხნევებასა და შექებას აქვს ადგილი.

თანამშრომლობითი სწავლების საშუალებით მოსწავლეები ეუფლებიან ისეთ **კომუნიკაციურ კომპეტენციებს**, როგორიცაა: კითხვის დასმა, მოსმენა, თხრობა, საუბრისას ახალი იდეების (resp. გადაწყვეტილებების) შემუშავება. ამის გარდა, თანამშრომლობითი სწავლება ხელს უწყობს **თანამშრომლობითი უნარების** განვითარებას, როგორიცაა: სხვათა აზრებისა და შეხედულებების პატივისცემა, უნარი, საერთო გამოცდილებიდან შეიძინო გამოცდილება. მაშასადამე, აქ შერწყმულია სწავლის კოგნიტური და სოციალური ასპექტები.

თანამშრომლობითი სწავლების რეალიზაციის ფორმები

რომ ჩავწვდეთ თანამშრომლობითი სწავლების არსს და ნაყოფიერად გამოვიყენოთ ის პრაქტიკაში, უნდა ვიცოდეთ მიზანმიმართულად კონკრეტულ შემთხვევაში მის რომელ ფორმას უნდა მივმართოთ. თანამშრომლობით სწავლებაზე დაფუძნებული გაკვეთილისთვის მზადება იწყება მისი დაგეგმვით და ყველა აუცილებელი რესურსით უზრუნველყოფით. ამ დროს დგება ე.წ. **ფორმალური ჯგუფები,** რომლებიც ერთი გაკვეთილიდან შვიდ კვირადმე შეიძლება არსებობდეს. მოსწავლეები ერთად მუშაობენ მანამ, სანამ არ დარწმუნდებიან იმაში, რომ ჯგუფის ყველა წევრმა წარმატებით გაართვა თავი მისადმი დაკისრებულ ამოცანას. თანამშრომლობითი სწავლება შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერ დისციპლონაში.

თანამშრომლობითი სწავლების დროს პედაგოგმა:

– ზუსტად უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი;

– ინსტრუქცია უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს;

– აუხსნას მათ, როგორი ურთიერთობა უნდა იყოს ჯგუფის წევრებს შორის, რათა მათ მიაღწიონ სასურველ მიზანს;

– თვალყური ადევნოს მოსწავლეთა მუშაობას, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს მათ;

– შეაფასოს ჯგუფის მუშაობის შედეგები, როგორც აკადემიური, ასევე ურთიერთობების კუთხით.

არაფორმალური სწავლება თანამშრომლობისას გულისხმობს ჯგუფების დაკომპლექტებას რაღაც კონკრეტული სამუშაოსთვის. ასეთი ჯგუფების „სიცოცხლისუნარიანობა“ არის რამდენიმე წუთიდან ერთ გაკვეთილამდე. როდესაც მასწავლებელი ხსნის ახალ მასალას. ასეთი „სწრაფი“, არაფორმალური ჯგუფები ხელს უწყობენ: მოსწავლეთა დაინტერესებას ამ მასალით და ჩართულობას სასწავლო პროცესში, კლასში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას, მოსწავლეებში აზროვნებისა და სისტემატიზაციის უნარის განვითარებას.

საბაზო ჯგუფების „სიცოცხლისუნარიანობა“ ბევრად უფრო დიდია (ერთი წელი და მეტი, არც თუ ისე იშვიათად მოწაფეობის მთელი პერიოდი) და იგი იქმნება უპირველეს ყოვლისა იმისთვის, რომ ჯგუფის წევრები დაეხმარონ ერთმანეთს აკადემიური წარმატების მისაღწევად და ინტერპერსონალური ურთიერთობების განსამტკიცებლად. საბაზო ჯგუფის წევრები ხვდებიან ერთმანეთს ყოველდღე (დაწყებით სკოლაში) ან კვირაში ორჯერ (საბაზო და საშუალო სკოლაში). ფაქტიურად საბაზო ჯგუფები ასრულებენ პედაგოგის თანაშემწის ფუნქციას.

როგორ იგება ურთიერთკავშირი?

თანამშრომლობითი სწავლების მიზნით შედგენილი ჯგუფის წევრები ხელს უწყობენ ერთმანეთის წარმატებას, რადგან:

– გასცემენ დახმარებას და იღებენ თანადგომას;

– ახდენენ ინფორმაციისა და „მატერიალური რესურსების“ გაცვლას;

– რეაგირებენ ერთმანეთის აკადემიურ მიღწევებზე და ჩამორჩენებზე;

– ერთმანეთს ასწავლიან დისკუსიის წაყვანას და საკუთარი პოზიციის დაცვას;

– ერთმანეთს მხარში უდგანან წარმატების მისაღწევად;

– გავლენას ახდენენ ერთმანეთზე;

– აქვთ მკვეთრად გამოხატული მოტივაცია (ცოდნის შეძენისაკენ სწრაფვა მძაფრდება კოლექტიური მუშაობის წყალობით);

– იქმნება ურთიერთნდობის ატმოსფერო;

– წარმატებით უმკლავდებიან სტრესებს და გაღიზიანებებს.

თანამშრომლობითი სწავლების შედეგიანობა.

– ყალიბდება ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომისა და საკუთარი თვალთახედვის არგუმენტირების უნარი;

– ვითარდება შემოქმედებითი უნარები;

– ერთ სიტუაციაში მიღებული ცოდნის სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი (იმას, რასაც დღეს ჯგუფი ასრულებს, ხვალ შეიძლება მარტოც შეასრილოს);

– ყალიბდება დადებითი დამოკიდებულება შესასწავლი საგნისადმი;

ზოგიერთი ძირითადი ფაქტორი, რომლიც ხელს უშლის ჯგუფების წარმატებულ მუშაობას:

1. არასაკმარისი გამოცდილება;
2. ჯგუფის წევრების მიერ უკრიტიკო დამოკიდებულება ერთიანი აზრისადმი;
3. სხვის ხარჯზე ყოფნა და მისწრაფება მიიღო რაიმე დაუმსახურებლად;
4. დისკუსიის შიში;
5. ერთგვაროვანი ჯგუფი;
6. ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარების არქონა;
7. რაოდენობრივი შემადგენლობის არასწორად შერჩევა.

ჯგუფი განიხილავს თავისი მუშაობის შედეგებს.

თანამშრომლობითი სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ჯგუფმა ნებისმიერი სამუშაოს დასრულების შემდეგ ერთობლივად განიხილოს და შეაფასოს მიღწეული შედეგები. ჯგუფის მიღწევები ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, ძალუძთ თუ არა ჯგუფის წევრებს კრიტიკული შეფასება როგორც ამოცანის შესრულების პროცესისა, ასევე მისი ორგანიზაციული მხარისა.
მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ხუთი ძირითადი პირობა, რათა დაეხმაროს ჯგუფს საკუთარი მუშაობისადმი კრიტიკულ მიდგომაში, ხელი

შეუწყოს ცოდნის ხარისხისა და კოლექტიური მუშაობის უნარების მუდმივ გაუმჯობესებას.

1. ჯგუფის წევრების ურთიერთქმედების ხარისხის შეფასება (სოციალური უნარები), რომელიც მიიღწევა მუშაობის პროცესში დაკვირვებით. ეს შეფასება მიმართულია იქითკენ, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს მაქსიმალურ წარმატებას, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები თანამშრომლობაში. პრაქტიკულად ეს რეალიზდება მუშაობის პროცესში მყოფ ჯგუფზე დაკვირვებით. დაკვირვება საშუალებას აძლევს მასწავლებელს გამოავლინოს ხარვეზები თავისი მოსწავლეების ცოდნაში.

დამკვირვებელი პედაგოგის გარდა შეიძლება იყოს ჯგუფის ერთ-ერთი წევრიც.

გაკვეთილის ბოლოს ჯგუფის თითეულ წევრი ავსებს ანკეტას, რომელშიც პასუხობს კითხვას, რამდენჯერ გამოიყენეს ის სოციალური უნარები, რომლებიც მათ უნდა აეთვისებინათ.

2. დაკავშირებულია აგრეთვე ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვებასთან და მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ჯგუფი უზრუნველყოფილი იყოს უკუკავშირით. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გამოყოს რამდენიმე წუთი თითეულ ჯგუფთან მათი შედეგების განხილვისთვის. მათ უნდა გაიგონ რომელი ქმედება იყო სასარგებლო ჯგუფისთვის და რომელი არა.

რათა ჯგუფმა მიაღწიოს წარმატებას და მუდმივად განიცადოს პროგრესი, აუვილებელია მას მივცეთ საკმარისი დრო საკუთარი სამუშაოს ანალიზისათვის. მაგ. რომელი უნარი აქვთ უკვე კარგად ათვისებული და რომელი საჭიროებს დახვეწას...

ჯგუფის მუშაობის განხილვა ეხმარება მოწაფეებს საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში, იმაში, თუ რამდენად აითვისა თითოეულმა მათგანმა აუცილებელი უნარები და რა წვლილი შეჰქონდა საერთო საქმეში.

3. მასწავლებელი ეხმარება ჯგუფს და უსახავს კონკრეტულ გზებს თავისი საქმის სრულყოფისათვის.

4. კლასის მუშაობის ეფექტურობის შეფასება. მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას არა მარტო მცირე ჯგუფების მუშაობაზე, არამედ დროდადრო აწყობს მთელი კლასის მუშაობის განხილვას.

5. დახმარების გაწევა ჯგუფისა და კლასისათვის მათი წარმატების აღმნიშვნელი ზეიმების ორგანიზებაში. ეს ნიშნავს, რომ თანამშრომლობითი ჯგუფების წასახალისებლად ტარდება ეს ღონისძიებები, რადგან ერთდროულად საკუთარი ძალების რწმენა, სურვილი თანაჯგუფელებთან თანამშრომლობისა და უნარი მიიღოს მონაწილეობა კოლექტიურ სამუშაოში, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს წარმატებული, თუ ბავშვები გრძნობენ, რომ მათ პატივს სცემენ, აქებენ და მათი მონდომება არ რჩება შეუმჩნეველი.

თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები

თანამშრომლობითი სწავლების მრავალი მეთოდია ცნობილი. განვიხილოთ თანამშრომლობით სწავლების მეთოდები - დისკუსია, პროექტი, როლური თამაში.

დისკუსია ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომლის გამოყენებაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს მათში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. დისკუსიის მეშვეობით შესაძლებელია იდეების, შეხედულებების, მტკიცებულებების ურთიერთგაცვლა ჭეშმარიტების დასადგენად.

გაკვეთილზე დისკუსია შეიძლება წარიმართოს:

- ✓ თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობის დროს მოსწავლეებს შორის;
- ✓ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, მთელი კლასის მონაწილეობით.

დისკუსიის მიზანია:

დაეხმაროს მოსწავლეებს

- ✓ საკუთარი აზრის აქტიურად გამოხატვაში;
- ✓ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- ✓ სხვათა აზრის გათვალისწინებასა და კონსესუსის უნარის გამომუშავებაში;
- ✓ სხვათა მოსაზრებების და შეხედულებების საფუძველზე ცოდნის გაღრმავებაში;
- ✓ კომუნიკაციის უნარის განვითარებაში.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა დისკუსიის ეფექტურად მართვისთვის?

- ✓ დისკუსია უნდა იყოს კარგად ორგანიზებული. დისკუსიისთვის მომზადებული უნდა იყოს როგორც მასწავლებელი, ასევე კლასი. სასურველია, იგი ეფუძნებოდეს განვლილ მასალას, უნდა დავადგინოთ სადისკუსიო თემასთან მიმართებაში მოსწავლეთა ცოდნის დონე და საჭირო უნარ-ჩვევები, შემდეგ უნდა განვსაზღვროთ საჭირო ინფორმაცია და მივუთითოთ მოსწავლეებს ამ ინფორმაციის წყაროები, რათა ისინი მოემზადონ დისკუსიისთვის. ასევე დისკუსია შესაძლებელია მოჰყვეს მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ შემოთავაზებულ პრეზენტაციას.
- ✓ წესებისა და პროცედურების დაცვა:
  - საკითხის განსაზღვრა;
  - დისკუსიის დროის განსაზღვრა;
  - სივრცის ორგანიზება ისე, რომ ყველა მოსწავლეს შეეძლოს ერთმანეთთან თვალით კონტაქტი. ასეთი განლაგება ამცირებს კომუნიკაციის ბარიერებს მოსწავლეებს შორის; ასევე წრიულად ერთ სიბრტყეზე განლაგება მათ უქმნის თანაბარი მონაწილეობის განცდას და სურვილს.

- დისკუსიის წესების განსაზღვრა.

- ✓ ფოკუსირება კონკრეტულ მიზანსა და სფეროზე. მასწავლებელმა ნათლად უნდა განმარტოს დისკუსიის მიზანი და დააფიქსიროს დაფაზე;
- ✓ მუდმივი კონტროლი, რათა მოსწავლეები არ გადაერთონ სხვა საგანზე ან თემაზე;
- ✓ ეფექტური კომუნიკაციის (როგორც ვერბალურის, ასევე არავერბალურის) სტრატეგიების ფლობა და გამოყენება;
- ✓ აქტიური მოსმენის პრინციპებისა და კითხვის დასმის ტექნიკების ფლობა;
- ✓ დისკუსიის შეჯამება. მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა ჩამოთვალოს ძირითადი საკითხები, შეაფასოს პროცესის წარმატებულობა თუ რა გაკეთდა კარგად და რა საჭიროებს გამოსწორებას. .

რაში მდგომარეობს მასწავლებლის როლი დისკუსიის დროს?

- ✓ ნათლად განსაზღვრავს გაკვეთილის მიზანს;
- ✓ არ ერევა დისკუსიის შინაარსობრივ მხარეში;
- ✓ ხელს უწყობს მოსწავლეების დისკუსიაში ჩართვას;
- ✓ აძლევს მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას;
- ✓ აკონტროლებს, რომ მოსწავლეებმა მოუსმინონ ერთმანეთს, არ გადაუხვიონ სადისკუსიო თემას და დაიცვან რეგლამენტი.

ისევე როგორც ყველა მეთოდს, ასევე დისკუსიასაც გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

დისკუსიის ძლიერ მხარედ შეიძლება დავასახელოთ:

- დისკუსიის გზით განხილული საკითხები მეხსიერებაში უფრო ღრმად ჯდება;
- მაშინაც კი, თუ მოსწავლეებს ნაკლები ცოდნა აქვთ, დისკუსია საუკეთესო მეთოდია მათში კრიტიკული აზროვნების გამომუშავებისათვის;
- დისკუსია კარგი მოტივატორია მოსწავლეებისთვის დამოუკიდებლად მოიძიონ ინფორმაცია სადისკუსიო თემაზე, რომ უშუალოდ დისკუსიის დროს სათანადო ინფორმაცია ჰქონდეთ მისი წარმატებული წარმართვისათვის;
- დისკუსია ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას;
- დისკუსია ავითარებს მოსწავლეებში ისეთ ზოგად უნარებს, როგორიცაა თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარები

დისკუსიის სუსტ მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ:

- ძალიან რთულია საჯაროდ გამოთქმულ აზრზე უარის თქმა. დისკუსიის

შედეგად, ის მცდარიც რომ აღმოჩნდეს, ზოგ ადამიანს შეიძლება გაუჭირდეს ამის აღიარება;

- რაოდენობრივი შეზღუდვა – ეფექტური რომ იყოს, დისკუსიაში 12 კაცზე მეტი არ უნდა მონაწილეობდეს;

- ცუდად დაგეგმილმა დისკუსიამ შეიძლება ბევრი დრო მოითხოვოს და არასასურველ შედეგზე გაგვიყვანოს;

- შეზღუდულ დროში ნაკლებ სავარაუდოა სადისკუსიო თემის ყველა სადავო ასპექტის სრული განხილვა.

დისკუსიას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა და ჩატარდეს სხვადასხვა ხერხებით.
გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ძირითადი ფორმები:

1. მრგვალი მაგიდა - საუბარი, რომელშიც თანაბარ საწყისებზე მონაწილეობენ მოსწავლეები.
2. ფორუმი - ჯგუფს ჰყავს ლიდერი, ჯგუფი საკითხს განიხილავს დამოუკიდებლად და წარუდგენს კლასს. ჯგუფის თითოეულ წევრს აქვს აზრის გამოთქმის უფლება.
3. სიმპოზიუმი - მონაწილეები გამოდიან ინფორმაციებითა და დასკვნებით, ისინი გამოთქვამენ საკუთარ თვალსაზრისს, ასევე უპასუხებენ კლასის შკითხვებს.
4. დებატები - არის განსხვავებული პოზიციის მქონე ორ მხარეს შორის დისპუტი. დებატების მონაწილეებს არგუმენტები მოჰყავთ განსახილველი საკითხის ან მხარდასაჭერად, ან საწინააღმდეგოდ. დებატების მონაწილეების მიზანია, მსმენელი დაარწმუნოს საკუთარ არგუმენტებში. კარგი დებატი გამოირჩევა არა მარტო დამაჯერებელი არგუმენტებით, არამედ საუბრის სტილით, მოსაუბრის რიტორიკული უნარით. დისკუსიისაგან განსხვავებით დებატებს მოსდევს აზრის გამოთქმა.
5. სასამართლო სხდომა - განსჯა, რომელიც სასამართლოში საქმის გარჩევის, განხილვის იმიტირებას წარმოადგენს.

განვიხილოთ დისკუსიის ჩატარების რამდენიმე ხერხი:

- დისკუსიაში მონაწილეობს მთელი კლასი. დისკუსიის საკითხი მასწავლებელმა წინასწარ გააცნო მოსწავლეებს, მისცა დრო მოსამზადებლად, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავა დისკუსიის წესები. დისკუსიის დროს არ ცდილობს მოსწავლეთა მანიპულირებას.
- მოსწავლეები წინასწარ ამზადებენ საშინაო დავალებას, წერენ მოკლე ანალიზს და დასკვნას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კლასში

წყვილებში ან მცირე ჯგუფებში განიხილავენ თითოეულს და დისკუსიის საფუძველზე აფასებენ ნამუშევრებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ მზადდება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა აირჩიოს ერთი დასკვნა, რომელიც დისკუსიის საგანი გახდება.

- პრობლემის ან შეკითხვის დასმის შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს ნახევარი წუთის განმავლობაში დამოუკიდებლად იფიქრონ, შემდეგ შებრუნდნენ გვერდზე მჯდომი მოსწავლისკენ, გამართონ დისკუსია პასუხის მოსაძებნად (ერთი წუთი); შემდეგ წყვილები გაერთიანდნენ ოთხკაციან ჯგუფებად, აჯერებენ წყვილებში მიღებულ გადაწყვეტილებებს (2 წუთი). ეს ხერხი მაშინ გამოიყენება, როცა მარტივი კითხვაა და მასწავლებელს უნდა სწრაფი პასუხის მიღება.

გთავაზობთ დისკუსიის შეფასების სარეკომენდაციო კითხვარს.

დისკუსიის შეფასების კითხვარი

სახელები: _____ თარიღი: _____

სადისკუსიო თემა: _____

	დია ხ	არა	ზოგჯერ	შენიშვნები
დისკუსიის პროცესში ყველა მონაწილეობდა, გამოთქვამდა აზრს და ასაბუთებდა				
ჯგუფი მეგობრულად იყო განწყობილი, მონაწილეები ერთმანეთს მხარს უჭერდნენ.				

ჯგუფის წევრები ხშირად სვამდნენ შეკითხვებს აზრების დასაზუსტებლად და დისკუსიის პროცესის სრულყოფისათვის.				
დისკუსია ჯგუფში თემას არ გასცილებია				
ჯგუფი კონსტრუქციული იყო, აკრიტიკებდა მოსაზრებას და არა პიროვნებას				

პროექტი

სასწავლო პროექტი - კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა.

მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში მასწავლებელს სასწავლო პროექტებში მოსწავლეების ჩართვა დაეხმარება. პროექტზე მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას მოსწავლეები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შესრულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს.

პროექტზე მუშაობა ნათელყოფს, რომ როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დგება, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტით სწავლება გულისხმობს

სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო პროცესში, პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის *(როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის)* კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტგაკვეთილი, მასწავლებელს მისცემს შესაძლებლობას სრულად წარმოაჩინოს თავისი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენცია როგორც სასწავლო პარტნიორმა. პროექტების მიმდინარეობისას მასწავლებელი კონსულტანტის როლს ასრულებს, ხელმძღვანელობს სამუშაოებს, ძიებისა და კვლევის დროს მოსწავლეებს მიმართულებას აძლევს. ასევე, იგი უთითებს საინფორმაციო წყაროებს.

პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. უცილებელია, მასწავლებელმა, როგორც ექსპერტმა იგრძნოს, თუ როდის არის ჩარევა საჭირო და როდის უნდა მისცეს მოსწავლეებს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. სპეციალისტები მასწავლებლის ამ როლს უწოდებენ „მასწავლებელი, როგორც მონაწილე ხელმძღვანელი“ ისინი იყენებენ ცნებას „ხელმძღვანელი მონაწილე“ და ამით ნათელყოფენ, რომ მასწავლებელი ახდენს მოსწავლის პროვოცირებას მისი პასიური მდგომარეობიდან აქტიურ მდგომარეობაში გადასაყვანად იმისასთვის, რომ მან შეიძინოს ის აუცილებელი კომპეტენციები, რომლებიც გაუადვილებს პროექტზე მუშაობას:

- თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განხორციელებისთვის;

- კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დამყარებისთვის, პროექტში საერთო განსჯისა და მუშაობისთვის;

- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მას გამოადგება დაგეგმვის პროცესში;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მას გამოადგება ტექსტების, ვიდეოების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდების და სხვათა მოსამზადებლად;
- ცოდნის ტრანსფერი - ერთ სიტუაციაში ნასწავლის, სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია, რაც ნიშნავს თვითდამკვიდრების, თვითრეფლექსიის უნარს და მოსწავლეთა დამოუკიდებლობას;
- პრეზენტაციის კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია პროდუქტის პლენუმზე ან სულაც საზოგადოების წინაშე წარსადგენად.

სასურველია, რომ სხვადასხვა საგნისა და საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სასწავლო პროექტები, რადგან საგანთა მომცველი - ინტერდისციპლინარული პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება ერთი და იგივე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში.

პროექტის სტრუქტურა

პროექტის დაგეგმვის დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- რამდენად მნიშვნელოვანია/აქტუალურია პრობლემა, რომლის განხორციელებასაც ვაპირებ;
- საკმარისია თუ არა გუნდის წევრების კომპეტენცია პროექტით დასახული მიზნების და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად;
- პრობლემა, ან მისი გადაჭრის გზები წარმოადგენს თუ არა სიახლეს და ითხოვს თუ არა შემოქმედებითობას;
- დაგეგმილი აქტივობები ემსახურება თუ არა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას;
- არსებობს თუ არა საკმარისი მატერიალური და ადამიანური რესურსები პროექტის განსახორციელებლად;
- საკმარისია თუ არა ვადები პროექტის შედეგების მისაღწევად;
- არის თუ არა გუნდის წევრებს შორის ფუნქციები განაწილებული ისე, რომ წარმოჩინდეს ყოველი წევრის ძლიერი მხარე.

პროექტის ფაზები

პროექტებს გააჩნიათ განსაზღვრული სტადიები. ყველა სტადიაზე მთავარია მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცეს, თავად იყოს პასუხისმგებელი საკუთარ ნამუშევარზე.

- **თემა და პრობლემა** – შეიძლება შერჩეული იყოს მასწავლებლის მიერ და წარედგინოს კლასს ამოსარჩევად, ან უშუალოდ კლასიის მიერ იყოს ამორჩეული, მაგალითად „გონებრივი იერიშით“. ძალიან კარგია, როდესაც საკითხი ან პრობლემა მოსწავლეთა ინტერესის სფეროს წარმოადგენს. საკითხი უნდა იყოს კონკრეტული, რადგან არ მოხდეს მოსწავლეთა დაბნევა.

თქვენის მხრივ მოსწავლეებს პროექტზე მუშობისას შეგიძლიათ შესთავაზოთ განსაკუთრებული მეთოდი ან ტექნიკური მოწყობილობა, რომელსაც მოსწავლეები გამოიყენებენ მუშაობის პროცესში.

- **დაგეგმვა.** მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთობლივად უნდა გადაწყვიტონ როდის იწყებენ პროექტზე მუშაობას, რა დრო დასჭირდებათ, რა რესურსებს გამოიყენებენ და სად შეიძლება მათი მოძიება, მოსწავლეები სათითაოდ იმუშავებენ თუ ჯგუფებში, იმუშავებენ ერთიდაიგივე, თუ სხვადასხვა თემებზე.
- **მასალის შეგროვება, ანალიზი და მეთოდები.** პროექტზე მუშაობა ძალიან სწრაფად გამოუმუშავებს მოსწავლეებს სხვადასხვა უნარებს. მაგ. კვლევითი პროექტისას – ინტერვიუს აღების, ლიტერატურაზე მუშაობის, სტატისტიკური დამუშავების, მასალის ანალიზის და სხვ. უნარები. შემოქმედებითი პროექტის შესრულებისას – შეიძლება საჭირო გახდეს ისეთი ტექნიკური ცოდნა და უნარები, როგორიცაა ვიდეოკამერასთან მუშაობა; შემოქმედებითი უნარები – ტრანფარანტების და დროშების დასამზადებლად. საუკეთესოა პროექტი, რომელიც მოსწავლეებისგან მოითხოვს მათი ყველა უნარის

  გამოყენებას: კვლევითის, შემოქმედებითის, სოციალურის. ამ საფეხურზე მასწავლებელს შეუძლია უპასუხოს მოსწავლეთა კითხვებზე ან მისცეს მათ რჩევები, მაგრამ პასუხისმგებელნი საკუთარ სამუშაოზე თავად მოსწავლეები არიან.

- **კვლევის შედეგები** შეიძლება იყოს ანგარიში, ფილმი, გამოფენა, აუდიოკასეტა, ლექცია, სურათი, კონფერენცია... უმჯობესია, თუ წარმოდგენილი იქნება არა მარტო კვლევის შედეგები, არამედ პროექტზე მათი მუშაობის ყველა სტადია; ჩანდეს, რას გრძნობენ მოსწავლეები შესწავლილ პროექტთან დაკავშირებით. სამუშაო შეიძლება წარდგენილი იყოს კლასის, ან უფრო ფართე აუდიტორიის წინაშე.
- **შეფასება და თვითშეფასება**. იმდენად, რამდენადაც ერთი და იგივე პროექტი ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს, სამუშაოს შეფასება შეიძლება რამდენიმე პედაგოგს მოუწიოს. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო აკადემიური კრიტერიუმი, არამედ პროექტში გამოყენებული ყველა ცოდნა და უნარები. პროექტის დაგეგმვის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია მონიტორინგის მექანიზმი და პერიოდულობა - როგორ წარმოუდგენიათ პროექტში მონაწილეებს (როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს) პროექტის შუალედური და საბოლოო მონიტორინგის ჩატარება. შიდა მონიტორინგის დროს პროექტის განმხორციელებლები აფასებენ, რამდენად წარმატებით მიმდინარეობს პროექტი. შუალედური შიდა მონიტორინგის

(თვითშეფასების) მუდმივი წარმოება პროექტში მონაწილეებს დაეხმარება, დაინახონ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები, გამოასწორონ ისინი, შეძლონ დასახული ამოცანების ადაპტირება, ეს კი ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და სასურველ შედეგზე გასვლას. გარე მონიტორების მხრიდან პროექტის შუალედური შეფასებისთვის პროექტში ჩართულმა პირებმა პერიოდულად უნდა მოამზადონ შუალედური წერილობითი თუ ზეპირი ანგარიშები. გარე მონიტორების მიერ მიცემული შენიშვნების, რჩევების, რეკომენდაციების გათვალისწინება *ხელს შეუწყობს აგრეთვე პროექტის წარმატებულ განხორციელებას.*

ემერ ლენცენის (2002) მიხედვით სკოლის პროექტგაკვეთილის მიმდინარეობა იყოფა შემდეგ ფაზებად:

- ინიციატივა – ინიციატივა ჩნდება, იდეები პროექტგაკვეთილისათვის ნაპოვნია;
- დასაწყისი – პროექტი დაიწყო და დაიგეგმა;
- განხორციელება – პროექტი ხორციელდება;
- პრეზენტაცია – პროექტის შედეგების წარგენა;
- შეფასება (რეფლექსია) – პროექტი ფასდება და გრძელდება.

გთავაზობთ პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილს.

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	კარგი	საშუალო	სუსტი
პრობლემა. რამდენად აქტუალურია და რამდენად ცხადად არის ეს დასაბუთებული			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			

შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული შაქმიანობებისათვის			
დიზაინი. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანამიმდევრობა), ლაკონური და მარტივი ენა			

უნარები, რომლებიც შეიძლება შეფასდეს პროექტის განხორციელების პროცესში:

- პრობლემის განსაზღვრის (იდენტიფიცირების);
- ინფორმაციის მოძიების;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების;
- საქმიანობის ორგანიზების;
- შემოქმედებითობის;
- მოძიებული ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციის;
- შედეგების ანალიზის;
- პრობლემის გადაჭრის;
- გადაწყვეტილებების მიღების.

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი

დაკვირვების საგანი	კომენტარები
შედგა თუ არა თანამშრომლობა ჯგუფში	
იყვნენ თუ არა მოსწავლეები მოტივირებულნი და რამ განაპირობა მოტივაცია	
აგრძელებდნენ თუ არა მოსწავლეები მუშაობას გაკვეთილების შემდეგ	
ჰქონდა თუ არა მათ შეხვედრებს	

პროექტის განხორციელებისას სისტემატური და საქმიანი ხასიათი	
იყვნენ თუ არა ჯგუფში პასიური მოსწავ-ლეები და რა იყო მათი პასიურობის მიზეზი	
ჰქონდა თუ არა მათ შეხვედრებს პროექტის განხორციელებისას სისტემატური და საქმიანი ხასიათი	
იმოქმედა თუ არა პროექტის განხორ-ციელების პროცესმა მათ მოსწრებაზე (თუ – კი, მიუთითეთ კონკრეტული მაგალითები)	

როლური თამაში

სიმულიაცია ანუ როლური თამაში არის თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც მოსწავლეთათვის განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს. სიმულაცია გულისხმობს ხელოვნური სიტუაციების შექმნას, რომელიც რეალობის მსგავსია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიმულაცია არის რეალობის გათამაშება. სიმულაციას ადამიანების მონაწილეობით როლურ თამაშს უწოდებენ.

როლური თამაშები სწავლების აქტიური ფორმაა; ამ დროს მოსწავლეები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურები არიან, მათ საშუალება აქვთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და მასალის ათვისებას.

განასხვავებენ როლური თამაშის ორ ძირითად ტიპს:

- თავისუფლად ასოცირებული და სპონტანური როლური თამაშები, რომელსაც თამაშის მონაწილეები თამაშის დროს თავიანთი ფანტაზიით ქმნიან და უმეტეს შემთხვევაში ცვალებადი სცენარებით თამაშობენ.
- რეგლამენტირებული როლური თამაში, რომელშიც მოთამაშეები მყარი ”თამაშის წესს” და სცენარს მისდევენ და თამაშის განსაზღვრულ საშუალებებს იყენებენ. ფართო გაგებით მას მიეკუთვნება თამაშის ყველა ტიპი, რომელსაც განმეორებით მყარი წესების მიხედვით თამაშობენ.

როლური თამაშის მიზანია:

- სხვა ადამიანის როლის თამაშით მოსწავლეებმა ერთი და იმავე პრობლემას რამდენიმე განსხვავებული კუთხით შეხედონ, რაც მათ თვალსაწიერს განუვითარებს;
- შესაძლებელია, მიცემული როლები მეტად განსხვავებული იყოს პიროვნების ხასიათისაგან, ან ძალიან ჰგავდეს მას. როლების გაცვლით შესაძლებელი ხდება მოსწავლეები ჯგუფის იმ წევრის გრძნობებსა და ფიქრებს ჩასწვდნენ, რომელთა ხასიათი შეესაბამება გათამაშებულ როლს. ეს კი მათ უვითარებს ემაფატიის/თანაგანცდის უნარს.

სწავლების პროცესში როლური თამაშის გამოყენებას აქვს როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური (ემოციური) და ფსიქო-მოტორული მიზანი. მისი გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- თემატურად მსგავსი შინაარსების ურთიერთდაკავშირებას;
- ინფორმაციისა და გამოცდილებების როლური გათამაშებით გადმოცემას;
- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
- ტოლერანტობისა და ემფატიის გრძნობის გამომუშავებას;
- კომუნიკაციური უნარების განვითარებას;
- შესაძლო პერსპექტივების წარმოსახვას;
- თვითრეფლექსიას;
- თვითრეალიზებას;
- ქმედებაზე ორიენტირებული კომპეტენციისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის გამომუშავებას;
- სოციალური კომპეტენციების გამომუშავებას;
- განსაზღვრული/მოცემული ქმედებების იმიტაციას და დახვეწას.

როლური თამაში სამი ფაზისაგან შედგება:

- მომზადება;
- გათამაშება;
- განხილვა

მომზადება

როლური თამაშისთვის წინასწარ უნდა მოემზადონ როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეები.

- მასწავლებელი განსაზღვრავს მიზანს;
- იგი ირჩევს როლურ თამაშს და ადგენს სცენარს, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო თემატიკასთან და მოსწავლეთა ცოდნის დონესთან.
- აძლევს მათ ინსტრუქციას. ინსტრუქცია სასურველია იყოს წერილობითი. ინსტრუქცია დეტალურად უნდა აღწერდეს თამაშის მიზანს, შესრულების

დროს, რაც შეზღუდული არის ხოლმე; ასევე თამაშის განმავლობაში შესასრულებელ როლს, თამაშის წესს. იგი უნდა იყოს მარტივი ენით დაწერილი, გასაგები და კონკრეტული.

- მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს როლური თამაშის შეფასების კრიტერიუმებს;
- თუ მასწავლებელს სურს მოსწავლეებს დაკვირვების და ობიექტური შეფასების უნარები განუვითაროს, შესაძლებელია ჯგუფის წევრებს შორის გამოყოს დამკვირვებლები, რომლებიც შეაფასებენ როლურ თამაშში მონაწილეებს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

გათამაშება

შემდეგი ეტაპი უშუალოდ თამაშის მსვლელობაა;

- მოსწავლეები ასრულებენ როლებს ინსტრუქციის შესაბამისად. როლური თამაშების შედეგი პირდაპირ უკავშირდება ჯგუფის წევრების პროცესში ჩართულობასა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნებას. ამიტომ, ჯგუფის პასიური წევრები უნდა წავახალისოთ, რათა მონაწილეობა მიიღონ პროცესში.

განხილვა

- როლური თამაშების დასრულების შემდეგ მონაწილეები ასრულებენ მოქმედებას და გამოდიან როლიდან; ისინი გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძინეს/ ისწავლეს და გამოხატავენ ემოციებს, თუ როგორ გრძნობენ თავს. მონაწილეები აფასებენ ჯგუფის მუშაობის შედეგებს, იმის მიხედვით თუ რა ისწავლეს, რა იყო პოზიტიური და ნეგატიური მუშაობის პროცესში; განხილვა უნდა იყოს პოზიტიური და მხოლოდ შინაარსსა და პროცესს უნდა შეეხებოდეს და არა პიროვნებებს, მონაწილეებს, მათ თვისებებს და ა.შ.
- ამის შემდეგ დამკვირვებლები გამოთქვამენ თავიანთ კომენტარებს ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებით;
- ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეების დახმარებით აკეთებს შედეგების შეჯამებას და ჯგუფის მუშაობას აკავშირებს მიზანთან.

სასწავლო პროცესში როლური თამაშების გამოყენების დადებითი ეფექტებია:

- თამაშში მონაწილე ყოველთვის ხალისით ერთვება;
- თამაშში მონაწილეობა ინტერესსა და ენთუზიაზმს იწვევს მოსწავლეებში.
- მონაწილეები უკუკავშირს მაშინვე იღებენ;

როლურ თამაშს ახლავს შემდეგი სირთულეები:

- როლური თამაშები მოსწავლისა და მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარს;
- როლური თამაშის დროს მოსწავლესა და მასწავლებელს შორის განვითარებულმა ურთიერთობამ შეიძლება ზედმეტად არაფორმალური

ხასიათი მიიღოს, რამაც შეიძლება კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოშვას.

- ჯგუფის ყველა წევრი ჯგუფში შეიძლება ვერ გრძნობდეს თავს კომფორტულად, ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, ემოციებისა და დამოკიდებულებების სხვების თანდასწრებით თავისუფლად გამოხატვა.
- ვინაიდან როლური თამაშის დროს განსხვავებული აზრები წარმოიშობა, შეიძლება ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ვერ გაუგონ და ჯგუფის წევრებს შორის ნეგატიურო ურთიერთგანწყობა წარმოიშვას; შესაძლებელია ჯგუფის წევრებს გაუჭირდეთ როლიდან გამოსვლა;
- როლური თამაშების ჩატარება ძნელია დიდ ჯგუფებთან.

როგორ დავეხმაროთ ბავშებს პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში?

- **კლასთან ერთობის, მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარება**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახლის უსაფრთხო გარემოდან მისული ბავშვისთვის მეტად მნიშვნელოვანია ახალ „ოჯახთან" - კლასთან შერწყმა და მასთან ერთიანობის განცდა. ხშირად ბავშვების „არასასურველი ქცევა" გამოწვეულია იზოლაციით და მარტოობის გრძნობით. ასეთ შემთხვევაში ბავშვი ასოციალური ქცევით ცდილობს ყურადღების მიპყრობას. იმისთვის, რომ ბავშვმა თავი არ იგრძნოს იზოლირებულად, საჭიროა, რომ მან მიიპყროს ყურადღება თავისი „პირადი ისტორიით". თუ ვინ არის, ვინ არიან მისი ოჯახის წევრები, რა არის მისი საყვარელი საქმიანობა. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს თვითპრეზენტაციის უნარის განვითარებაზე: მასწავლებელმა უნდა გამოჰყოს დრო, როდესაც მოსწავლეები შეძლებენ ისაუბრონ საკუთარი თავის შესახებ ან რაიმე მოვლენაზე საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირონ.
ამგვარი გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემური ბავშებისათვის. ამით ისინი იგრძნობენ, რომ მათი ცხოვრება საინტერესოა პედაგოგისა და თანაკლასელებისთვის.

- **თვითპატივისცემის უნარის განვითარება**

იმისთვის, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარ თავზე საუბარი, აუცილებელია, მასწავლებელმა ხაზი გაუსვას თითოეულის ღირებულებასა და უნიკალურობას. ამიტომ მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა იზრუნოს მოსწავლეებში დადებითი თვითშეფასების უნარის ჩამოყალიბებაზე. ამისათვის საჭიროა, მივიღოთ ისინი ისეთებად როგორებიც არიან, შესრულებულ აქტივობებზე მივცეთ უკუკავშირი,

სადაც აქცენტი გაკეთდება როგორც ძლირ მხარეებზე, ამავდროულად იმ მხარებზე, რომელიც მეტად განვითარებას საჭიროებს.
წარმოუდგენელია პოზიტიური თვითშეფასების ჩამოყალიბება, თუ მასწავლებელი თვითონ არ ეპყრობა მოსწავლეებს პატივისცემით. როგორ შეიძლება, რომ უფროსმა გამოხატოს მოსწავლეთა მიმართ პატივისცემა? ამისთვის კონკრეტული ინსტრუქციები არსებობს. ბავშვი მაშინ გრძნობს საკუთარი თავის მიმართ პატივისცემას, როდესაც უფროსი გარკვეულ მოვლენაზე მისი მოსაზრებით ინტერესდება. „რა გვასწავლა ამ შემთხვევამ"? „რას გრძნობ ახლა?" ბავშვისადმი პატივისცემა მაშინაც ვლინდება, როდესაც მასწავლებელი „იარლიყებს" არ აწებებს მოსწავლეებს და სახელით მიმართავს.

- **დამოუკიდებლად ან ჯგუფთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარება**

აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია, მოსწავლეებს ხელი შევუწყოთ სიტუაციის გაანალიზებისა და ჯგუფთან თანამშრომლობის უნარების განვითარებაში. როდესაც ჯგუფი იღებს გარკვეულ გადაწყვეტილებას, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა წევრმა გამოთქვას, დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრება. ამის მიღწევა კი ჯგუფური მუშაობის მეთოდებით არის შესაძლებელი.

- **ემპათიის (თანაგანცდის) გრძნობის განვითარება**

ემპათიის გრძნობის განვითარება შესაძლებელია ინტერესის გაღვივებით იმის მიმართ, თუ რას გრძნობს ან რას ფიქრობს სხვა ადამიანი.

- **პიროვნული განვითარების ხელსეწყობა**

თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლე განვითარდეს როგორც სრულფასოვანი პიროვნება, მნიშვნელოვანია, რომ ხელი შეუწყოთ მას ხშირად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და მხოლოდ ჩვენი მოთხოვნის შესაბამისად კი არ იმოქმედოს, არამედ მასაც მივცეთ არჩევანის თავისუფლება. პიროვნულ განვითარებას კი დიდად ეხმარება შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დავალებები.

- **გრძნობების გამოხატვის უნარის განვითარება**

ხშირად ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას ხელს უშლის ეფექტური კომუნიკაციის უნარის არ ქონა. როდესაც ბავშვს უჭირს მოსაზრების გამოთქმა, დაცვა და შემდეგ სხვისი მოსაზრების გაგება. აქ ორ პრობლემას ვაწყდებით

ხოლმე: მოსწავლე ან მუდამ ემორჩილება სხვას, ან არ შეუძლია სხვისი მოსმენა და ყველას საკუთარ მოსაზრებას ახვევს.

- **სტრესისა და შფოთვის დაძლევა**

მნიშვნელოვანია, ბავშვებს განუვითაროთ საკუთარი ემოციებისა თუ მოსაზრებების გამოთქმის უნარი. რაც უფრო თავისუფლად საუბრობენ მოსწავლეები საკუთარ გრძნობებზე, მით უფრო კარგი კლიმატია კლასში. ამავდროულად, პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს დროის ან დღის რეჟიმის რაციონალურად განაწილებაში. ამით მცირდება სტრესის ან შფოთვის დონე.

- **პრობლემების ძალადობის გარეშე მოგვარების უნარის განვითარება**

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს განუვითაროთ ბრაზის მართვის და კონფლიქტების მოგვარების უნარი. ბრაზი ისეთივე ემოციაა, როგორც სიხარული ან აღფრთოვანება. გარკვეულ სიტუაციაში ყველა ადამიანი განიცდის ბრაზს, მაგრამ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ მასთან გამკლავება ან ასერტული ქცევით გამოხატვა.

- **ბალანსი პიროვნულ თავისუფლებასა და ჯგუფში მჭიდრო ურთიერთობებს შორის.**

თანამედროვე, კონკურენტული გარემო დიდ აქცენტს აკეთებს პიროვნულ თავისუფლებაზე, საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. რაც ზოგჯერ ახალ პრობლემას, მარტოობის განცდას იწვევს. ამიტომ, ძალზედ მნიშვნელოვანია ბავშვებს განუვითაროთ თანამშრომლობის უნარი, რაც თანამშრომლობითი სწავლების დროს მეტად ეფექტურად მიიღწევა, ვიდრე კონკურენტული სწავლების დროს.

- **მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება**

მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს თავის კლასს, აქტივობების დასახვისას გაითვალისწინოს მოსწავლეთა უნიკალური თავისებურებები, ამავდროულად იზრუნოს იმ უნარების განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს სხვებთან ურთიერთობას და კარგ თვითგრძნობას კლასში. მაგ., ძალზედ მოტივირებულ, პერფექციონისტ ან რიგიდულ ბავშვებს უნდა დავეხმაროთ განტვირთვასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში, ძალზედ განებივრებულებს - ემპათიისა და თანაგრძნობის უნარის განვითარებაში.

პერფექციონისტი - ანუ „ ფრიადოსნის სინდრომი” - ასეთი ბავშვები მუდამ ორიენტირებულნი არიან წარმატებაზე, ნებისმიერი დავალების „უზადო”

შესრულებაზე. მათ ეშინიათ შენიშვნის, ამიტომ თუ გრძნობენ, რომ დავალება რთულია, ურჩევნიათ საერთოდ არ შეასრულონ, ვიდრე საკუთარი მისამართით კრიტიკა მოისმინონ.

რიგიდული - ბავშვი, რომელსაც უჭირს ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლა, რთულად ეცვლება გუნება-განწყობილება. უჭირს გეგმების შეცვლა.

გამოყენებული ლიტერატურა

2004. Brüning, Ludger: Erziehungsziel: Kooperation. Soziale Voraussetzungen für Kooperatives Lernen schaffen. In: Pädagogik, H. 9/2004, S. 20-24.

2002. Reinmann-Rothmeier, G. & Mandl, H.: Analyse und Förderung kooperativen Lernens in netzbasierten Umgebungen. In: Zeitschrift für Entwicklungspsychologie und Pädagogische Psychologie, 34 (1), S. 44-57

1993. David W. Johnson, Roger T. Johnson, Edythe Johnson Holubec Circles Of Learning, Cooperation In The Classroom Fourth Edition

1999. Klaus W. Vopel. Kinder können kooperieren. Band 1,2. Iskopress.

2010. ია კუტალაძე (რედ.) ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტი და სწავლის სტილი

მიზანი:

- გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას, გააანალიზონ კავშირი მრავალმხრივი ინტელექტის თეორიასა და სწავლის სტილს შორის; გააცნობიერებენ სწორად როგორ გამოიყენონ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

ინტელექტი: ერთი უნარი თუ ბევრი?

იდეა, რომ ადამიანები **ინტელექტის** მიხედვით განსხვავდებიან, დიდი ხნისაა. მასზე პლატონი ჯერ კიდევ 2000 წლის წინ მსჯელობდა. ინტელექტის ბუნების შესახებ ადრინდელ თეორიათა უმრავლესობა შემდეგი სამი თემიდან ერთს ან

მეტს მოიცავს: 1) სწავლის შესაძლებლობა; 2) შეძენილი სრული ცოდნა; და 3) ახალ სიტუაციებსა და გარე სამყაროში წარმატებით ადაპტირების ზოგადი უნარი.

ლიტერატურაში ინტელექტის მრავალ განმარტებას შევხვდებით. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

ინტელექტი (ლათ. შეხედულება, შემეცნების უნარი) ფართო გაგებით აღნიშნავს უნარს იპოვნოს, გაიგოს და ოპტიმალურად ახსნას პრობლემები.

ფსიქოლოგიაში ინტელექტი არის კრებითი ცნება ადამიანთა კოგნიტიური უნარისა, მაშასადამე, იგი არის უნარი გაიგოს, მოახდინოს აბსტრაგირება და გადაწყვიტოს პრობლემები, ამისათვის მიმართოს ცოდნას და გამოიყენოს ენა.

ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის ინტელექტი და მის მიერ ადრე შეძენილი ცოდნა განსხვავებული ცნებებია. თუმცა, ამავე დროს, ინტელექტუალური აზროვნება და ინტელექტუალური ქცევა დამოკიდებულია ადრე შეძენილ ცოდნაზე. რაც უფრო მეტი იციან მოსწავლეებმა, მით უფრო ინტელექტუალურად იქცევიან. მაშასადამე, ინტელექტი არ არის უცვლელი თვისება, მისი შეცვლა შესაძლებელია სწავლისა და გამოცდილების საშუალებით.

ზოგიერთი ფსიქოლოგი თვლის, რომ ინტელექტი არის ერთი ზოგადი უნარი, რომელიც ყველა ადამიანს გარკვეულწილად გააჩნია და რომელსაც ისინი სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად იყენებენ. მაგ. მათი აზრით, თუ მოსწავლეს ერთ რომელიმე საზომზე (მაგ. კითხვაში) მაღალი შედეგი აქვს, ყველა სხვა საზომზეც (მაგ. მათემატიკაშიც) ზოგადად მაღალ შედეგებს აღწევს. თუმცა ეს ასე ყოველთვის არ არის და სწორედ ამიტომ ყველა ფსიქოლოგი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ინტელექტი არის ერთი ზოგადი უნარი, რომელიც გარკვეულწილად ყველა ადამიანს გააჩნია. მათი აზრით ინტელექტის ბევრი სხვადასხვა ტიპი არსებობს, ადამიანებს სხვადასხვა სფეროში უფრო მეტი ან ნაკლები უნარი გააჩნიათ. ჰოვარდ გარდნერი - ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერთა იმ ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც მიიჩნევს, რომ ინტელექტი არ შიძლება განვიხილოთ როგორც ერთი ზოგადი უნარი.

გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტი

ჰოვარ გარდნერი არის მრავალი პოპულარულ-სამეცნიერო წიგნის ავტორი. იგი ცნობილია მისეული "მრავალმხრივი ინტელექტის თეორიით", რომელიც განავითარა და ჩამოაყალიბა თავის წიგნში "გონების ჩარჩო" (1983 წ.). გარდნერის აზრით ადამიანის ინტელექტი და ზოგადი გონიერება ერთი უნარი არ არის და ვერ გაიზომება ერთი საზომით. დაბალი, საშუალო და მაღალი ინტელექტის მიხედვით

ადამიანების შეფასება მიუღებელია, რადგან ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სწავლის სტილით, უნარებითა და მიდრეკილებებით.
გარდნერი განსხვავებულ უნართა შესახებ მსჯელობას აფუძნებს იმ აშკარა გარემოებაზე, რომ ტვინის დაზიანება ხშირად ერთი მიმართულების ფუნქციონირებაზე – მაგალითად, მეტყველებაზე მოქმედებს, მაგრამ ეს გავლენას არ ახდენს სხვა სფეროებზე. შესაძლოა, იმ რვა უნარიდან, რომელსაც გარდნერი გამოყოფს, ადამიანები ერთ რომელიმე სფეროში გამოირჩეოდნენ, მაგრამ ამ უნარს დანარჩენ შვიდ სფეროში არ ამჟღავნებდნენ. გარდნერი მიიჩნევს, რომ ინტელექტი სხვადასხვა უნარების ერთობლიობაა და მათგან გარემოს შესამეცნებლად ყველა მნიშვნელოვანია; თუმცა ყველა ადამიანს ეს უნარები ერთნაირად განვითარებული არა აქვს. ადამიანის შემეცნებითი უნარები მრავალმხრივია და შესაბამისად, ინტელექტის მოდელიც ამას უნდა ასახავდეს.
გარდნერი აღწერს ადამიანური ინტელექტის შვიდ სხვადასხვა ფორმას და გვთავაზობს მათი შესაბამისი სწავლის სტილის დახასიათებას; 1996 წელს მან მერვე, ნატურალური (ბუნებითი) ინტელექტის ცნებაც შემოიტანა. გარდნერის მიხედვით, ყოველ ადამიანს რაღაც განსაზღვრულ სფეროში აქვს თავისი სიძლიერე, რისი გათვალისწინებაც აუცილებელია სწავლების პროცესში.
გარდნერს (1998, 2003) მიაჩნია, რომ ინტელექტი არის პრობლემების გადაჭრის და ისეთი რამის შექმნის უნარი, რაც ფასეულია კულტურისთვის. ისტორიულად სხვადასხვა კულტურასა და სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულად ფასდებოდა რვა სახის ინტელექტი.

გარდნერის მიხედვით ინტელექტის რვა ფორმა შემდეგია:

- ***ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტი*** - ამ ინტელექტს მიეკუთვნება მგრძნობელობა სასაუბრო და სამწერლო ენებისადმი, უნარი შეისწავლო ენები და ენა განსაზღვრული მიზნებისთვის გამოიყენო. განვითარებული ლინგვისტური ინტელექტის მქონე ადამიანები გამოირჩევიან მეტყველების კარგი უნარით. მაღალ ენობრივ-ლინგვისტურ ინტელექტს ფლობენ ადვოკატები, მწერლები, პოეტები და ა.შ.
- ***ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი*** - ამ ინტელექტს მიეკუთვნება აბსტრაქტული პრობლემების გადაჭრის, ლოგიკური ანალიზის, მათემატიკური ოპერაციების ჩატარებისა და მეცნიერული საკითხების კვლევის უნარი. ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი განვითარებული აქვთ მათემატიკოსებს, ბუნებისმეტყველებს, ლოგიკოსებს.
- ***მუსიკალურ-რითმული ინტელექტი*** - ნიშნავს მუზიცირების, ბგერის სიმაღლის, ტონისა და რითმის შეგრძნების უნარს და ალღოს მუსიკალური პრინციპებისადმი.
- ***ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტი*** - ვიზუალური სამყაროს ზუსტი აღქმისა და ვიზუალური გამოცდილების გამოყენების (რეკრეაციის) კარგი უნარი. მაშასადამე, ამ ინტელექტს მიეკუთვნება თეორიული და პრაქტიკული ალღო

ერთი მხრივ, დიდი სივრცის სტრუქტურებისათვის, რომელსაც ფლობენ, მაგალითად, მეზღვაურები და პილოტები და მეორეს მხრივ, ვიწროდ შეზღუდული სივრცობრივი ველის ფლობა, რომელიც მოქანდაკეების, ქირურგების, მსახიობების, გრაფიკოსების და არქიტექტორებისთვის არის მნიშვნელოვანი.

- ***სხეულებრივ-კინესტეტიკური ინტელექტი*** - სხეულის მართვისა და მისი მოძრაობების გაკონტროლების უნარი. მაშასადამე, ეს ინტელექტი შეიცავს პოტენციალს, სხეული ან სხეულის ცალკეული ნაწილები პრობლემის გადაჭრისათვის ან პროდუქტის წარმოებისათვის გამოიყენო. იგი განსაკუთრებით განვითარებული აქვთ მოცეკვავეებს, მსახიობებს, სპორტსმენებს, ინტელექტის ეს ფორმა ასევე მნიშვნელოვანია ხელოსნებისთვის, ქირურგებისთვის, მეცნიერებისთვის, რომლებიც ატარებენ ექსპერიმენტებს და მრავალი სხვა ტექნიკური სპეციალობის წარმომადგენელთათვის.
- ***ნატურალური (ბუნებითი) ინტელექტი*** - ბუნებისა და გარე სამყაროს წვდომის კარგი უნარი.
- ***ინტერპერსონალური (სოციალური, პიროვნებათშორისი) ინტელექტი*** - საკუთარი სამუშაოს კარგად დაუფლებისა და სხვების მოტივირების უნარი, ე.ი. სხვა ადამიანების განზრახვა, მოტივი და სურვილები გაიგო და შესაბამისად გქონდეს მათთან წარმატებული კოოპერირების უნარი (ეს არის სოციალური კომპეტენცია). მასწავლებლები, ექიმები, გამყიდველები, მსახიობები, ეკლესიისა და სახელმწიფოს წამყვანი წარმომადგენლები უნდა ფლობდნენ ინტერპერონალური ინტელექტის მაღალ ხარისხს
- ***ინტრაპერსონალური (შიდაპიროვნული, ემოციონალური) ინტელექტი*** - საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარი ცხოვრებისა და სწავლის პროცესის მართვის უნარი. მაშასადამე, ეს არის უნარი, გაუგო საკუთარ თავს, საკუთარი პიროვნების ჭეშმარიტი სახე (სურვილებით, შიშით, უნარით) წარმოიდგინო, იგი განავითარო, ეს ცოდნა ყოველდღიურობაში გამოიყენო და პიროვნული სარგებელი მიიღო.

ზემოთ ჩამოთვლილი რვა ინტელექტის გარდა გარდნერი ყურადღებას ამახვილებს მეცხრე ეგზისტენციალურ ანუ სპირიტუალურ ინტელექტზე, რომელიც გულისხმობს ადამიანის არსებობის ძირითად საკითხებს. განსაკუთრებულად განვითარებული ეს ინტელექტი აქვთ რელიგიურ და სულიერ ლიდერებს, ფილოსოფოსებს.

მრავალმხრივი ინტელექტისა და სწავლის სტილის ურთიერთგანპირობებულობა:

ყოველი ბავშვი არის ინდივიდი, რომელიც დაჯილდოვებულია საკუთარი უნარითა და ნიჭით. პედაგოგიური საქმიანობის მიზანი, თითეულ მოსწავლეზე და მის მიერ მიღწეულ შედეგზე ორიენტირებულობიდან გამომდინარე, არის თითეული აღსაზრდელის მთლიანობაში განვითარება ისე, რომ მან შეძლოს საკუთარი

პოტენციალის და სიძლიერის მაქსიმალურად გამოვლენა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევა. ყოველივე ამის მისაღწევად კი სწავლების პროცესში აუცილებელია გავითვალისწინოთ ადამიანთა (resp. აღსაზრდელთა) ინტელექტი.

გარდნერის თეორიის მიხედვით, ადამიანები განსხვავებულად იღებენ და ინახავენ ერთსა და იმავე ინფორმაციას, ამიტომ მათი სწავლება ინდივიდუალური სწავლის სტილზე უნდა იყოს მორგებული.

როგორ უნდა მოხდეს ინტელექტის გათვალისწინება სწავლების პროცესში?

- *ენობრივ-ლინგვისტური ინტელექტის* მატარებელნი ადვილად სწავლობენ სმენით ე.ი. როდესაც ესმით მკაფიოდ. აუცილებელია გამართული საუბარი, ნაცნობი ლექსიკის გამოყენება.
- *მათემატიკურ-ლოგიკური ინტელექტის* მქონენი ადვილად ითვისებენ, თუ რასაც სწავლობენ იმაში ხედავენ ლოგიკას.
- *მუსიკალურ-რითმული ინტელექტის* მქონენი ადვილად სწავლობენ მუსიკის თანხლებით. პედაგოგიგის ხმის ტემბრი, ტონალობა არ უნდა იყოს მონოტონური.
- *ვიზუალურ-სივრცითი ინტელექტის* მატარებელნი ადვილად ითვისებენ იმას, რასაც ხედავენ. სასურველია, გამოყენებულ იქნას თვალსაჩინოება, ილუსტრაციები.
- *სხეულებრივ-კინესტეტიკური ინტელექტის* მქონენი კარგად სწავლობენ კეთებით.
- *ნატურალური ინტელექტის* მატარებელნი ადვილად სწავლობენ როდესაც ახლოს არიან ბუნებასთან.
- *ინტერპერსონალური ინტელექტის* მქონენი ადვილად სწავლობენ ინფორმაციის განხილვით სხებთან. მათთვის აუცილებელია აქტიური კონტაქტი აუდიტორიასთან (წყვილებში, დიდ და მცირე ჯგუფებში მუშაობა...)
- *ინტრაპერსონალური ინტელექტის* მატარებელნი კარგად სწავლობენ, როდესაც ინფორმაციას ითვისებენ და შემდეგ გადახარშავენ საკუთარ თავში.

ცხრილში მოყვანილია რვა ტიპის ინტელექტის აღწერა, მათი შესატყვისი ოპერაციები და დასწავლის საშუალებები.

ინტელექტის ტიპი	აღწერილობა	შესაბამისი აქტივობები და მეთოდები	დასწავლის საშუალებები
ენობრივ-ლინგვისტური (პოეტი, ჟურნალისტი)	*ვერბალური უნარი* მგრძნობიარობა ბგერისადმი, რიტმებისა და სიტყვების მნიშვნელობებისადმი; მგრძნობიარობა ენის სხვადასხვა ფუნქციისადმი. ენობრივი ინფორმაცია, წერითი და ზეპირი მეტყველება; ინფორმაციის შენახვა, ინტერპრეტაცია და ახსნა ენობრივი საშუალებებით - ცნებებით, სიტყვათა მნიშვნელობებით.	საკითხის შესახებ საუბარი, ტექსტის ანალიზი, ტექსტის რედაქტირება, სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა, კომენტარის გაკეთება მოვლენაზე. დისკუსიები, დებატები, პრეზენტაციები, ლიტერატურული საღამოები...	სიტყვები, ენობრივი საშუალებები
ლოგიკურ-მათემატიკური (ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წარმომადგენლები)	*ლოგიკური აზროვნება* ლოგიკური და ციფრული ნიმუშების განსხვავებისადმი მიდრეკილება და ნიჭი; მსჯელობის გრძელი ჯაჭვის დალაგება-მართვის უნარი. მეცნიერული მსჯელობა და დედუქცია; პრობლემის ანალიზი, მათემატიკური გამოთვლები, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების დადგენა.	არითმეტიკული ოპერაციები, სხვადასხვა გაზომვები, რაიმე მოქმედების სტრატეგიის შემუშავება, რაიმეს ღირებულების და შედეგების შეფასება, პროცესის დაგეგმვა და ნართვა. კვლევითი პროექტებისა და ექსპერიმენტების ჩატარება, ლოგიკური თავსატეხების ამოხსნა.	ლოგიკური კავშირები, ციფრები

მუსიკალური (კომპოზიტორი, მევიოლინე)	*მუსიკალური უნარი* მუსიკალური ჟღერადობის გამოყენება და სიამოვნების მიღება; ტონალური და რითმული ნიმუშების ცნობა; გრძნობასა და ბგერებს შორის კავშირის ხედვა. რიტმის, მუსიკალური ტონის, ტემბრის შექმნისა და შეფასების უნარი; მუსიკალური ექსპრესიის ფორმების დაფასება.	მუსიკალური შესრულება, მუსიკის შეთხზვა, სიმღერა, მუსიკის შეფასება, ინსტრუმენტზე დაკვრის სწავლა და სწავლება. გაკვეთილების მუსიკის თანხლებით ჩატარება.	მუსიკა, რითმი
სხეულებრივ-კინესტეტიკური (მოცეკვავე, ათლეტი)	*სხეულის ზუსტი მოძრაობების კონტროლი* თითების მოქნილობა, ხელის და თვალის კოორდინაცია, მოტორული მოქნილობა, წონასწორობა და კოორდინაცია. მოძრაობების კონტროლის უნარი და საგნების მართვის ხელოვნება.	სპორტის სხვადასხვა სახეობის ტექნიკის დაუფლება, ჟესტების და მიმიკის გამოყენება. სენსორების (შეხების) გამოყენება- ის აქტივობები, სადაც მაქსიმალურად ჩართული იქნება სხეულის სხვადასხვა ორგანოები. გამოიყენეთ: როლური თამაშები, ძერწვა, ხეზე მუშაობა, გამოჭრა....	ფიზიკური გამოცდილება, მოძრაობა, შეხება.
ვიზუალურ-სივრცითი (სკულპტორი,	*მხედველობითი და სივრცითი აღქმა* დიდი და მცირე სივრცეების აღქმა,	ხატვა, დიზაინი, მხატვრობის ინტერპრეტაცია, გამოსახულების შექმნა	სურათები, ფორმები, სამგანზომილებიანი ხატები.

ნავიგატორი)	ვიზუალური ხატების შექმნა და ინტერპრეტაცია, ხატოვანი წარმოსახვა, ხატსა და მნიშვნელობას შორის მიმართების ხედვა.	იდეის მიხედვით, კონსტრუირება, გამოიყენეთ: ვიზუალური მასალა.	
ნატურალისტური (ბოტანიკოსი, ფერმერი, მონადირე)	*ბუნების აღქმის უნარი* მცენარეებისა და ცხოველების, ბუნებრივ სამყაროში განსხვავებების შეცნობის, სისტემების გაგებისა და კატეგორიების განსაზღვრის (შეიძლება ინტელექტის კატეგორიებისაც კი) უნარი.	ეკოლოგიურ პრობლემებზე ზრუნვა, ბუნების გამიკვლევა-შესწავლა, ცხოველების და მცენარეების მოვლა, სკოლის ეზოს მოვლა. ხშირად გაკვეთილების ბუნებაში ჩატარება.	ბუნებასთან სიახლოვე და მისი შეგრძნება
ინტერპერსონალური	*სხვათა გრძნობების აღქმა და გაგება* სხვა ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ქცევისა და ინტერრეტაციის უნარი, ადამიანებსა და სიტუაციას შორის კავშირის ხედვა. სხვა ადამიანების განწყობების, ტემპერამენტის, მოტივაციისა და მისწრაფებების განსხვავების დანახვისა და მათზე შესაფერისად რეაგირების უნარი.	თანაკლასელებთან ერთად ერთობლივი მუშაობა - თანამშრომლობითი სწავლების, კერძოდ ჯგუფური მუშაობების ხშირი გამოყენება, ღონისძიებებისა და კლუბების მოწყობა...	სოციალური ურთიერთობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა

ინტრაპერსონალური	*თვითცნობიერება* საკუთარი თავის გაგება და საკუთარ თავში ჩაღრმავება, საკუთარი თავის მიმართება სხვებთან და სამყაროსთან, საკუთარ გრძნობებში გარკვევისა და მათი მართვის უნარი; საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების, სწრაფვებისა და ინტელექტის შეფასება.	პიროვნული ზრდა - განვითარებაზე ზრუნვა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ჩამოყალიბება. ისეთი აქტივობების გამოყენება, რომელიც საკუთარ თავში ჩაღრმავებას, დამოუკიდებლად ფიქრს, დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს.	თვითაღქმა, თვითანალიზი, თვითგანცდა.

დაუშვებელია მოსწავლის ერთი ინტელექტის სფეროში კლასიფიცირება. მასწავლებელმა ისეთ სასწავლო აქტივობებს უნდა მიმართოს, რომელიც ბავშვის უნარებს არა მხოლოდ ერთი, არამედ სხვადასხვა მიმართულებით განავითარებს, ამით ხელს შევუწყობთ მათ მრავალმხრივ განვითარებას. სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისა და წარმართვის წინაპირობას ბავშვის შედარებით განვითარებული და გასავითარებელი უნარების გათვალისწინება წარმოადგენს. მასწავლებელმა გაკვეთილი ისე უნდა დაგეგმოს, ისეთი მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები უნდა შეარჩიოს, რომ რაც შეიძლება მეტ ინტელექტზე გავიდეს.

გარდნერის თვალსაზრისის უპირატესობა ისაა, რომ იგი აფართოებს მასწავლებლის აზროვნებას სწავლების უნარ-ჩვევებისა და გზების მიმართ, მაგრამ ზოგჯერ ხდება მისი დამახინჯება. არიან მასწავლებლები, რომლებიც ცდილობენ ყოველ გაკვეთილში ყოველი ”ინტელექტი” ჩართონ და ყურადღებას არ აქცევენ, შეესაბამება თუ არა იგი თემას.

გამოყენებული ლიტერატურა:

10. ანიტა ვულფოლკი (2009) განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

11. ია კუტალაძე (რედ.) (2010) ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.;

12. სწავლება და შეფასება (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა "საქართველოს მაცნე";
13. განვითარებისა და სწავლის თეორიები (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა "საქართველოს მაცნე";
14. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
15. Georg E. Becker (2007) Unterricht planen;
16. Eslinger-Hinz Ilona, Unseld Georg u.a. (2007). Guter Unterricht als Planungsaufgabe (Ein Studien- und Arbeitsbuch zur Grundlegung unterrichtlicher Basiskompetenzen). Bad Heilbrunn: Julius Klinkhardt;
17. L. Waterhouse (2007): Multiple intelligences, the Mozart effect, and emotional intelligence: a critical review. In: Educational Psychologist. Bd. 41, S. 207–225.

კომუნიკაცია

მიზანი: პედაგოგები გაეცნონ კომუნიკაციის სახეებს, ტიპებს და სტრატეგიებს.

განსახილველი თემატიკა:

პედაგოგები ეცნობიან:

- ეფექტური კომუნიკაციის არსს;
- კომუნიკაციის სახეებს (ვერბალური, წერილობითი, არავერბალური);
- პრაქტიკულ რჩევებს, როგორ გამოიყენონ კომუნიკაცია საკლასო ოთახში;
- განსხვავებას პასიურ, მოჩვენებით აქტიურ და აქტიურ მოსმენას შორის (აქტიური მოსმენის ტექნიკებს);
- კითხვათა ტიპებსა და კითხვის დასმის ტექნიკებს;
- კომპონენტებს, რომლებიც მოსწავლეებში კომუნიკაციური კომპეტენტურობის ფორმირებაში ეხმარება.
- პრაქტიკულ რეკომენდაციებს, როგორ გააუმჯობესონ კომუნიკაცია საკლასო ოთახში, მშობლებთან და კოლეგებთან.

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი სიტუაცია და გაანალიზეთ სანამ თეორიულ მასალას გაეცნობით. თეორიული მასალის გაცნობის შემდეგ კვლავ მიუბრუნდით და გაანალიზეთ ხელახლა.

სიტუაცია:
მასწავლებელი შედის კლასში იწყებს წინა მასალის გამოკითხვას კითხვა-პასუხით.
მასწავლებელი – აბულაძე აბა მითხარი რა მარკერებით ახასიათებს რუსთაველი თავის რაინდებს?
აბულაძე მხრებს იჩეჩავს, პასუხი არა აქვს და სდუმს.
მერხიდან გაისმის – ვაჰ, რუსთაველის დროსაც იყო მარკერები?
კლასი იცინის.
მასწავლებელი (მკაცრი ტონით და ასევე მკაცრი გამომეტყველებით) – ასათიანი, მგონი საოხუნჯოდ სულაც არ გაქვს საქმე. აბულაძემ არ იცის, აბა ვინ მიპასუხებს!
მასწავლებელს სურს მიიღოს სწორი და სწრაფი პასუხები, რათა არ დაარღვიოს დროის ლიმიტი და ჩაეტიოს წინასწარ შ დგენილ გეგმაში.
გურული იწევს ხელს. მასწავლებელი იძახებს გურულს.
გურული: სიმამაცე, ვაჟკაცობა, გონიერება (გურული შეყოვნდება)
მასწავლებელი არ აცდის და აგრძელებს.
მასწავლებელი: ცოტა სწრაფად გურული, კიდევ მეგობრისთვის თავგანწირვა, მიჯნურობა, მიჯნურობაც ხომ...
აბა, ხომ არ გაიხსენებ სტროფს, სადაც ლაპარაკია მეგობრობაზე, მიჯნურისათვის თავგანწირვაზე?
მასწავლებელი ისევ გურულს მიმართავს ამ კითხვით. გურული პასუხობს.
კლასი სხვა საქმით არის დაკავებული.
მასწავლებელი: მე ვფიქრობ, რომ რუსთაველი უპირატესობას მეგობრობას ანიჭებს და შემდეგ მიჯნურობას, თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?
გურულის გარდა ხელს არავინ იწევს. მასწავლებელი ისევ გურულს ეკითხება.
გურული ეთანხმება მასწავლებელს.
მასწავლებელმა ამოწურა წინა მასალის გამოკითხვა, განკუთვნილ დროში ჩაეტია და გადავიდა ახალი მასალის ახსნაზე.

კომუნიკაციის პროცესი გულისხმობს მინიმუმ ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას. ნებისმიერი ურთიერთობის მსგავსად, იგი წრიული ხასიათისაა. ერთი ადამიანი გადასცემს გარკვეულ ინფორმაციას მეორეს, ეს უკანასკნელი იძლევა პასუხს, ხოლო ინფორმაციის გადამცემი, პასუხის მიხედვით აგებს თავის მომდევნო კომუნიკაციას. ამდენად, კომუნიკაცია მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რა ინფორმაცია გადასცა ერთმა მხარემ, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაიგო და შეაფასა ეს გზავნილი მეორე მხარემ.
მაშასადამე, კომუნიკაცია რთული პროცესია, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის და იდეების გაცვლას ვერბალურად (თუ ინფორმაციის გაცვლა-გადაცემა ძირითადად მეტყველების, სიტყვების საშუალებით ხდება), არავერბალურად (უსიტყვოდ - სახის გამომეტყველება, ჟესტები, სხეულის მოძრაობა და სხვ.) და წერილობით (როცა ინფორმაციის გაცვლა ხდება წერილობით).

კომუნიკაცია შეიძლება იყოს *ეფექტური და არაეფექტური.*

ეფექტური კომუნიკაცია

ეფექტურია კომუნიკაცია, რომელიც გულისხმობს არა მარტო ინფორმაციის მიწოდებას, არამედ მიღებას. მისი მიზანია სასურველი საპასუხო რეაქციის გამოწვევა მეორე ადამიანში.

მაშასადამე, ეფექტურია კომუნიკაცია, თუ ერთი მხარე იაზრებს მეორე მხარის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და აკეთებს შესაბამის კომენტარს.

თუ პედაგოგს სურს დაარწმუნოს მოსწავლე რაიმეში, მაგრამ როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური კომუნიკაციის გამოყენებით ვერ გამოიწვია მასში საპასუხო რეაქცია, კომუნიკაცია არაეფექტურია და მასწავლებლის აღმზრდელობითი ზემოქმედება მიზანს ვერ მიაღწევს.

იმისთვის, რომ შევძლოთ მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, საჭიროა გავითვალისწინოთ თითოეული მოსწავლის თავისებურება, ვწვდეთ თითოეული მათგანის სუბიექტურ რეალობას.

რა არის სუბიექტური რეალობა? ყველა ადამიანს, მათ შორის ბავშვს, თავისი სუბიექტური, უნიკალური შინაგანი სამყარო აქვს. ერთსა და იმავე ობიექტურად არსებულ მოვლენას სხვადასხვა ადამიანი, თავისი სუბიექტური რეალობიდან გამომდინარე, სხვადასხვანაირად აღიქვამს. ხშირად ჩვენ გვგონია, რომ კონკრეტულმა მოვლენამ სხვაშიც ისეთივე გრძნობები უნდა გამოიწვიოს, რაც ჩვენში, მაგრამ, ფაქტობრივად ემოციებს იწვევს არა ესა თუ ის მოვლენა თავისთავად, არამედ ის საზრისი, რასაც ჩვენ მასში ვდებთ.

სუბიექტური რეალობა შედგება:

ღირებულებათა სისტემისგან. ღირებულებათა სისტემა არის ის, რასაც მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის მიერ. მაგ. დაწყებითი კლასის მოსწავლისათვის უმეტესწილად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლის აზრს, მაშინ როცა გარდამავალ ასაკში მოზარდისათვის ხშირად გადამწყვეტია თანატოლების შეხედულებები, მოწიფულობის ასაკში ადამიანისთვის უმეტესწილად მნიშვნელოვანია არა სოციუმის აზრი, არამედ რას ფიქრობს იგი საკუთარ თავზე, რას კარნახობს სინდისი. გარდა ასაკობრივი თავისებურებებისა, ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე უდიდეს მნიშვნელობას ახდენს სოციუმი, აღზრდა. მაშასადამე, პედაგოგს ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან, რომელებიც სხვადასხვა ღირებულებების მატარებელნი არიან.

გონებრივი წარმოდგენები (ანუ შეემეცნებითი რუქები). აღზრდის ამა თუ იმ სისტემის წარმომადგენელს საკუთარი წარმოდგენები აქვს იმაზე, თუ როგორ ასწავლის, რა მეთოდებით ასწავლის, რა პრინციპებს ითვალისწინებს სწავლებისას და ა.შ. წარმოდგენები მუდმივცვალებადია, მასწავლებლისთვის საკმაოდ ძნელია მუდმივად მიჰყვე თანამედროვე მოთხოვნებს. ხშირად შესაძლებელია მასწავლებელი წინააღმდეგობაში აღმოჩნდეს არა ბავშვთან, არამედ კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან. ერთის მხრივ პედაგოგის "შემეცნებითი რუქები" შეიძლება

წინააღმდეგობაში მოვიდეს არსებულ სისტემასთან, მეორეს მხრივ ბავშვის "კოგნიტურ (შემეცნებით) რუკასთან". მაგ. მოსწავლემ შეიძლება ინტერნეტით აღმოაჩინოს, რომ ის, რასაც სკოლაში ასწავლიან, უკვე მოძველებულია.
მოზარდს ცხოვრების მოდელს უფროსი სთავაზობს. ასეთ სიტუაციაში ბავშვს აქვს სურვილი, თავად იყოს ზრდასრული, მაგრამ რადგან ეს იმ მომენტისთვის შეუძლებელია, თავის დამკვიდრებას ახდენს ჯიბრით. ბავშვში, რომელიც გვიძალიანდება მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ იგი საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის გვიპირისპირდება და ცდილობს თავის სუბიექტურ რეალობით, თავის სუბიექტური რუქებით დაგვანახოს: ვინ არის იგი, რა შეუძლია მას.
მაშასადამე ადამიანებს, მასტ შორის ბავშვებსაც საკუთარი წარმოდგენები, რუკები მართავს.
აღქმების თავისებურებანი. თითოეული ადამიანი განსხვავებულად აღიქვამს ერთსა და იმავე მოვლენას და ასეთი განსხვავებულობანი უამრავია. ხშირად ჩვენი აღქმები ჩვენი ილუზიებია და არა რეალობა.
ბავშვს განსხვავებული აღქმა აქვს იმის მიხედვით, თუ რა გარემოში იზრდება.
ყოველივე ზემოთთქმულისგან შეიძლება დავასკვნათ: იმისათვის რომ მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, აუცილებელია მათი სუბიექტური რეალობის წვდომა და გათვალისწინება.

კომუნიკაციის პროცესი რომ შედგეს ამისათვის საჭიროა:
სანამ მოსაუბრეს დასახული მიზნისკენ წავიყვანთ, მის აღქმებს, წარმოდგენებსა და ღირებულებებს უნდა "შევერწყათ", მათ წამყვან ღირებულებებზე უნდა ავეწყოთ და არ გამოვიყენოთ ისეთი ღირებულებები, რომელიც ამ მომენტისათვის მათში არ არის ავტორიტეტული, არ აინტერესებთ. მაგ. თუ ბავშვისთვის თანატოლთა აზრია წამყვანი, სასურველი მიზნის მისაღწევად პედაგოგმა აქცენტი უნდა გააკეთოს ამ წამყვან ღირებულებაზე და არა ისეთ მეორეხარისხოვანზე, როგორიც არის პედაგოგის, მშობლის, თუ რომელიმე მეცნიერის აზრი.

კომუნიკაციის სახეები

კომუნიკაციის პროცესი მოიცავს **ინფორმაციის გადაცემის**, მისი **მიღებისა** და მიღებულ **ინფორმაციაზე რეაგირების** ეტაპებს. ინფორმაციის გადაცემა ხდება როგორც სიტყვების საშუალებით, ასევე სიტყვების გარეშე და წერილობით; ინფორმაციის მიღება საკმაოდ რთული პროცესია და მიმღებისგან მოითხოვს ყურადღების მიპყრობასას, მოსმენასა და ინფორმაციის გაგებას - შინაარსის წვდომას. კომუნიკაციის პროცესი მხოლოდ ინფორმაციის მიღებით არ სრულდება. იგი ინფორმაციაზე მიმღების რეაგირებასაც მოიცავს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლა შეიძლება მოხდეს სიტყვიერად, უსიტყვოთ და წერილობით. ამის მიხედვით განასხვავებენ კომუნიკაციის სამ სახეს:

ვერბალური კომუნიკაცია - სიტყვების, მეტყველების საშუალებით მიმდინარე კომუნიკაცია.
არავერბალური კომუნიკაცია - კომუნიკაცია სიტყვების გარეშე, ხმის ტონის, მანერების, გამომეტყველების, გარეგნობის, პოზის, ჩაცმისა და პიროვნებათშორისი სივრცის -მეშვეობით.
წერილობითი კომუნიკაცია - წერითი ურთიერთობის დამყარება ადრესატთან.

კომუნიკაციის თითოეული სახე განვიხილოთ ცალ-ცალკე.

ვერბალური კომუნიკაცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერბალური კომუნიკაცია ენის საშუალებით ხდება. სიტყვიერ კომუნიკაციაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ის შინაარსი, რომელსაც სიტყვებში ვდებთ.
იმისათვის, რომ პედაგოგმა შეძლოს მოსწავლეებთან ეფექტური ვერბალური კომუნიკაცის დამყარება, აუცილებელია შემდეგი მომენტების გათვალისწინება:

მასწავლებლის ხმა - რადგან მეტყველება არა მხოლოდ შინაარსის გადაცემის, არამედ მოსწავლეებთან ურთიერთობის საშუალებააცაა, პედაგოგის ხმის სიმაღლეს, ტემბრს, ტონს, მკაფიობას, რეგულაციას, პროექციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად.
სასურველი ეფექტის მისაღწევად, შინაარსთან შესაბამისად და სიტუაციიდან გამომდინარე, სასურველია, პედაგოგმა ცვალოს ხმის დონე, ბგერის სიმაღლე, ტონი, მკაფიობა გამომხატველობა.

რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მასწავლებელს, როგორ გამოიყენოს ხმა კლასში ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად:

- კლასში სიტუაციის შესაბამისად ცვალე ხმის ტემბრი და ტონი, თქვენი ხმა უნდა გამოხატავდეს ემოციას. მაგ. თუ ვინმეს აქებთ, თქვენი ხმა უნდა იყოს სასიამოვნო, ხალისიანი, თუ რაიმე გვიხარია, ხმაში სიხარული უნდა იგრძნობოდეს, ხოლო თუ დისციპლინაზე ვსაუბრობთ, ხმა უნდა იყოს მომთხოვნი.
- მოერიდე ხმამაღლა საუბარს. ცნობილია, რომ ხმამაღლა მოსაუბრე მასწავლებელს ჰყავს ხმაურიანი კლასი.
- მკაფიოდ და ნათლად გამოთქვი სიტყვები, ამ დროს ხმადაბლა ნათქვამიც გასაგები იქნება მთელი კლასისთვის;
- საუბრისას იყავი გაწონასწორებული და დაწიე ხმას, რადგან ხმის სიდაბლე მნიშვნელოვნების შეგრძნებას ბადებს, ხოლო გაწონასწორებული და მშვიდი საუბარი მსმენელზე გაცილებით დიდ გავლენას ახდენს.
- თუ ზოგიერთ სიტუაციაში აუცილებელია ჩქარი საუბარი, ყურადღება მიაქციე გამოთქმებს.

მასწავლებლის სამეტყველო ენა - მოსწავლეებში მეტყველების უნარის გასავითარებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორი ენით მეტყველებს პედაგოგი.

რამდენიმე პრაქტიკული რჩევა მასწავლებელს, როგორ გამოიყენოს სამეტყველო ენა კლასში ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად:

- ვესაუბროთ მოსწავლეებს მათთვის გასაგებ ენაზე, მათთვის ნაცნობი ლექსიკის გამოყენებით;
- ეტაპობრივად მივაწოდოთ მოსწავლეებს ახალი ტერმინოლოგია, ფრაზეოლოგია, უცხო სიტყვები შესაბამისი განმარტებებით.

ვერბალური კომუნიკაცია მხოლოდ დადებით შინაარსს არ გულისხმობს. ხშირად იგი მოიცავს კრიტიკასაც, მასწავლებლის მხრიდან მის ტაქტიანად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებთან ეფექტურური კომუნიკაციის დასამყარებლად.

კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისას ეცადეთ გაითვალისწინოთ შემდეგი:

ყურადღება გაამახვილეთ ფაქტებზე, ან მოსწავლის კონკრეტულ ქცევაზე და არა თავად მოსწავლეზე. მაგალითად, დავალების ცუდად შესრულების შემთხვევაში აღნიშნეთ "ამ დავალებაში ორი შეცდომა გაქვს გასასწორებელი" და არა "ცუდად ასრულებ დავალებებს, თავიდან გააკეთე". კრიტიკული შენიშვნა ჩამოაყალიბეთ დადებითი სიტყვებით. მაგ: იმის ნაცვლად, რომ თქვათ "დღევანდელი ვარცხნილობა საშინლად არ გიხდება" თქვით "გუშინდელ ვარცხნილობაში ბევრად უკეთ გამოიყურებოდი".

მიანიშნეთ, სადაც ეს შესაძლებელია, **რომ თქვენს მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნა მოსწავლეზე ზრუნვით არის გაპირობებული.** მაგ. ნაცვლად იმისა რომ თქვათ "შენს მიერ შესრიულებული პროექტი არ ვარგა" თქვით "მინდა, რომ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინოს შენმა პროექტმა და ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ხელახლა გადახედავ და შენიშვნებს გაითვალისწინებ"
გამოთქვით კრიტიკული **შენიშვნა პირველ პირში.** მაგ. ნაცვლად იმისა რომ თქვათ "ეს რა საშინელად დაგიწერია საშინაო დავალება",
თქვით "სიმართლე გითხრა, დღეს შენს მიერ შესრულებული დავალება არ მომეწონა". ცხადად გამოხატეთ კრიტიკა. **ერიდეთ ორაზროვანი სიტყვების გამოყენებას.** ბევრი ფიქრობს რომ კრიტიკული შენიშვნის ბუნდოვან ფრაზებში მოქცევა, ამცირებს კრიტიკით მიყენებულ უსიამოვნებას. კვლევები მიუთითებენ, რომ ეს ასე არ არის და ყოველთვის ჯობს შენიშვნა ცხადად იქნეს გამოხატული.
თავი აარიდეთ კრიტიკის ბრძანების ფორმით გამოხატვას, ანდა პიროვნებისგან მისი ქცევის შეცვლის მოთხოვნას. მაგ. ნაცვლად იმისა რომ თქვათ "ასე ჩაცმული როგორ მოხვედი სკოლაში?" თქვით "არ აჯობებდა , სკოლისთვის უფრო შესაფერი რამ ჩაგეცვა?"

შეეცადეთ კრიტიკული **შენიშვნები პირისპირ ურთიერთობისას გამოთქვათ,** სხვების დასწრების გარეშე. კრიტიკის მოსმენა განსაკუთრებით მტკივნეულია სხვების თანდასწრებით. მისი ზემოქმედება ნაკლებ მძიმედ აღიქმება როცა მარტო ხარ გამკრიტიკებელთან.

წერილობითი კომუნიკაცია

წერილობითი კომუნიკაციის დროს სიტყვებით გამოხატული ინფორმაციის არავერბალური საშუალებებით, მაგალითად, ღიმილით ან ინტონაციით შერბილების ან გაძლიერების შესაძლებლობა არ არის. ამდენად, სიტყვებს წერითი კომუნიკაციის დროს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ისინი ინფორმაციის გადაცემის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენენ. წერილობითი კომუნიკაციის დროს ასევე იზრდება ზრდილობის ნორმების დაცვის მნიშვნელობა. წერილობითი კომუნიკაცია ზეპირისგან კიდევ იმით განსხვავდება, რომ დროში უფრო გაწელილია. წერილობით შეტყობინებაზე პასუხი უშუალოდ იმ წუთში შეიძლება არ მიიღოთ. ასევე ძნელია ინფორმაციის მიმღებისთვის იმის დაზუსტება, თუ რას გულისხმობს ინფორმაციის გადამცემი.
ამიტომ წერისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამოხატვის სიცხადეს, არ უნდა იქნეს გამოყენებული ბუნდოვანი გამოთქმები და ორაზროვანი სიტყვები.

წერილობითი კომუნიკაციისას გაითვალისწინეთ შემდეგი წესები:

- „გონებაში, წინასწარ ჩამოაყალიბეთ რისი დაწერა გსურთ;
- წარმოიდგინეთ ვისთვის არის განკუთვნილი წერილი, ანგარიში, მიმართვა, რეცენზია თუ კომენტარი;
- თავიდანვე დააკონკრეტეთ კომუნიკაციის მიზანი;
- წარმოადგინეთ მთელი საჭირო ინფორმაცია. მიმოიხილეთ ყველაფერი, რაც აუცილებლად მიგაჩნიათ, მაგრამ ეცადეთ ეს მოკლედ ჩამოაყალიბოთ აზრი;
- თავი აარიდეთ ზედმეტი ინფორმაციის გამოყენებას. ინფორმაციის მიწოდებამდე დაფიქრდით არის თუ არა ის აუცილებელი მიზნის მისაღწევად;
- გამოიყენეთ მარტივი, გასაგები სიტყვები და მოკლე წინადადებები;
- ეცადეთ, წერილი იქნება ეს, რეცენზია, თუ კომენტარი, ერთ ჯერზე, მაგიდიდან აუდგომლად დაწეროთ, როგორც დროის ეკონომიის, ასევე აზრის გადმოცემის თვალსაზრისით;
- დასრულების შემდეგ დაწერილი ყურადღებით წაიკითხეთ და შეასწორეთ;
- ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ არ გაგეპაროთ მექანიკური შეცდომები და სიტყვების მართლწერა იყოს სწორი.

გთავაზობთ მასწავლებლის მიერ გაკეთებული ეფექტური და არაეფექტური წერილობითი კომენტარების ნიმუშებს (წაიკითხეთ და გააანალიზეთ წერილები):

წერილი პირველი:

ქალბატონო ანა,
თქვენი შვილი ნია არის მოწესრიგებული გოგონა, იგი არასდროს იგვიანებს გაკვეთილებზე, არ არღვევს წესრიგს. ათის ფარგლებში ანგარიშობს კარგად, მაგრამ უფრო ზევით უჭირს. უჭირს როგორც გამრავლება-გაყოფა, ასევე მიმატება –გამოკლება. კითხვას დაეუფლა, თუმცა თანმიმდევრული თხრობა, კითხვებზე პასუხის გაცემა ჯერ კიდევ უძნელდება. ჩვენ ძალისხევას არ ვაკლებთ, მაგრამ თუ თქვენც ცოტას წაეხმარებით, მიუხედავად თქვენი დაძაბული დღის რეჟიმისა, იმედს ვიტოვებ, დაძლევს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას და გადავა შემდეგ კლასში.
პატივისცემით,
ლია მასწავლებელი

წერილი მეორე:

პატივცემულო მშობელო
თქვენი შვილი სისტემატურად იგვიანებს გაკვეთილებზე, არ ასრულებს საშინაო დავალებას, უხეშობს და ხშირად კონფლიქტი მოსდის თანაკლასელებთან. გუშინ წყობიდან გამოიყვანა ინგლისურის მასწავლებელი.ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ და თქვენი მეუღლე სათანადო ყურადღებას არ აქცევთ მას. თუ ასე გაგრძელდა, მას მოუწევს სკოლის დატოვება მოუწევს. მომდევნო კვირაში გვაქვს მშობელთა კრება, სადაც გავიტანთ თქვენი ვაჟის საკითხს.
კლასის დამრიგებელი.

პედაგოგმა მოსწავლის ცოდნისა და მათი უნარ-ჩვევების შესაფასებლად უნდა გამოიყენოს **წერილობითი კომენტარები**. ამ ფორმით მასწავლებელი წერით კომუნიკაციას ამყარებს მოსწავლესთან. მასწავლებლის მიერ სწორად ფორმულირებიულმა კომენტარებმა მოსწავლეს დამატებითი ფიქრისა და სამუშაოს სწორად შესრულებისკენ უნდა უბიძგოს, რაც მოსწავლის მიერ შეცდომის გაცნობიერებას, დამოუკიდებელი მუშაობის, კვლევისა და ძიების უნარ-ჩვევის განვითარებას და წერითი მეტყველების დონის გაუმჯობესებას გამოიწვევს. არაფრისმომცემია ის კომენტარები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა და სადაც შეცდომა მხოლოდ დასახელებულია. ასეთი კომენტარებით მოსწავლე ვერ შეძლებს შეცდომის გამოსწორებას, მის გაცნობიერება-დამახსოვრებას და ამავე შეცდომას, სავარაუდოდ, კვლავ გაიმეორებს.

ეფექტური კომენტარების ნიმუში

1. ”ჩემს მიერ მოხაზული წინადადება ძალიან გრძელია, რაც ქართული ენისათვის არ არის დამახასიათებელი. აზრის სიცხადისათვის უმჯობესია იგი დაშალო მოკლე წინადადებებად და გამოიყენო შესაბამისი სასვენი ნიშნები.”

2. ”უნდა იცოდე, თუ არსებით სახელს წინ რიცხვითი სახელი უდგას, მას ზმნა ყოველთვის მხოლობით რიცხვში უთანხმდება.”

3. ”აშკარაა, რომ ზუსტი სიტყვების პოვნა გიძნელდება მე მოგიხაზე ის ადგილები, სადაც ეს ნათლად დავინახე. განმარტებით ლექსიკონში იპოვნე შენს მიერ გამოყენებული სიტყვის მნიშვნელობა, შემდეგ სინონიმთა ლექსიკონში მონახე ალტერნატივები და აირჩიე, რომელი მათგანი უფრო მიესადაგება კონტექსტს! ”

5. ”აქ აშკარა ფაქტობრივი შეცდომაა! წაიკითხე ტექსტი დაკვირვებით. გვ; თუ კვლავ გაუგებარი დარჩა რაიმე, მომმართე დამატებითი განმარტებისთვის.”

უშედეგო კომენტარების ნიმუშები

1. ”აზრი გაუგებარია. გრამატიკულად გამართე წინადადება”.
2. ”ყურადღება მიაქციეთ პუნქტუაციას, განსაკუთრებით მძიმეებს!”
3. ”არასწორ სიტყვებს იყენებ და ისინი ვერ გამოხატავენ ზუსტად იმას, რისი თქმაც გინდა!”
4. ”შეცდომაა, ჩანს ტექსტი არ იცი კარგად”.

არავერბალური კომუნიკაცია

არავერბალური კომუნიკაცია ნიშნავს კომუნიკაციას სიტყვების გარეშე. იგი გულისხმობს კომუნიკაციას ხმის ტონის, მეტყველების ტემპის, ჟესტების, სხეულის, გამომეტყველების, თვალით კონტაქტის, შეხების, გარეგნობისა და ურთიერთობისას დაკავებული მანძილის მეშვეობით.
მოზრდილი ადამიანი არავერბალურ კომუნიკაციას ფართოდ იყენებს. დადგენილია, რომ კომუნიკაციის 60 პროცენტზე მეტს სწორედ არავერბალური კომუნიკაცია შეადგენს. ამასთან, როდესაც არავერბალური კომუნიკაცია არ შეესატყვისება ვერბალურს, ე.ი. როდესაც ადამიანი ერთს ამბობს, ხოლო მისი სხეული ან ხმის ტონი საწინააღმდეგოს მეტყველებს, ინფორმაციის მიმღები უპირატესობას არავერბალურ მანიშნებლებს ანიჭებს და ნაკლებად უჯერებს ნათქვამს.
არავერბალური კომუნიკაცია აძლიერებს ან ამცირებს ვერბალურს და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ემთხვევა ერთმანეთს ვერბალური და არავერბალური სიგნალები.

სახის ენა (გამომეტყველება, თვალის კონტაქტი)

როგორც კვლევები აჩვენებს, სახეს და თვალებს, სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით, ყველაზე მეტად შეუძლია ჩვენი ემოციებისა და გრძნობების გამოხატვა.

უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები სახეზე გრძნობებს განზრახულად გამოხატავენ. ამით ისინი სხვების მისამართით განსაზღვრულ ინფორმაციას აგზავნიან

(მაგალითად, სიამოვნების ღიმილი) ან ნამდვილი ემოციების დაფარვას ცდილობენ (მაგალითად, მკაცრი და უკმაყოფილო გამომეტყველება, როდესაც სურთ სიამოვნება დაფარონ). სახეზე გამოხატულ ემოციებს სახის კუნთების სხვადასხვა მოძრაობა ქმნის. მაგალითად, ზემოთ აზიდული წარბები გაკვირვებას და ცნობისმოყვარეობას გამოხატავს, ნაოჭი შუბლზე დაფიქრებულობას, ჩაცინება – სიბრაზეს ან უკმაყოფილებას და სხვა.

ზოგჯერ, ადამიანს გამომეტყველება უნებურად, განზრახვის გარეშე შეიძლება შეეცვალოს, თუმცა მისი სხვა, „საჭირო“ ემოციით შენიღბვას სწაფად ახერხებს. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც უცებ ვიღაცის მიმართ სიბრაზეს ან უკამყოფილებას იგრძნობთ, მაგრამ არ გინდა მისთვის თქვენი ემოციის ჩვენება. ამიტომ, თქვენს ემოციას განზრახულად ცვლით სხვა გამომეტყველებით და სწრაფად ნიღბავთ თქვენს ნამდვილ გრძნობებს. საკლასო ოთახში, მასწავლებელს ხშირად უწევს სახის გამომეტყველების სწრაფი შეცვლა და შენიღბვა. თუმცა ზოგჯერ, მასწავლებელი განსაზღვრულ სახის გამომეტყველებას განგებ ინარჩუნებს, რომ მოსწავლეებს თავისი ემოციები დაანახოს. მაგალითად, მასწავლებლები მოსწავლეების ცუდი საქციელის გასაკონტორლებლად, ხშირად იყენებენ უკმაყოფილო და გაბრაზებული სახის გამომეტყველებას. ასევე ღიმილით კმაყოფილებას გამოხატავენ და მოსწავლეების გამხნევებას ცდილობენ. ზოგადად, მასწავლებლები სახის გამომეტყველებას კარგად ფლობენ და როგორც წესი, მოსწავლეებთან კომუნიკაციისას სახის გამომეტყველებას კარგად აკონტროლებენ.

ყველა მასწავლებელმა იცის თვალის კონტაქტის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ბევრი მასწავლებელი თვალის კონტაქტს საკლასო ოთახში ურთიერთდამოკიდებულებების გასაკონტროლებლად იყენებს. მაგალითად, როდესაც მასწავლებელს უნდა, რომ მოსწავლემ ილაპარაკოს, ის მასთან პირდაპირ თვალის კონტაქტს იყენებს და პირიქით, როდსაც მზერა მისგან სხვაზე გადააქვს, ნიშნავს, რომ სურს ახლა სხვამ ისაუბროს. ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს, როგორ ვარიდებდით თავს მასწავლებლის მზერას, როდესაც მის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არ შეგვეძლო. ხშირად მასწავლებელები პირდაპირ თვალის კონტაქტს მოსწავლეების ემოციებისა და საქციელის ამოსაცნობად იყენებენ – მასწავლებელს ნაკლებად თუ გამოეპარება ის, თუ როდის ტყუის მოსწავლე, როდის არ შეასრულა დავალება ხარისხიანად და სხისგან გადაიწერა – როგროც წესი, ასეთ დროს მოსწავლეები თვალის კონტაქტს თავს არიდებენ. თუმცა, ამ ტენდენციის ყველა შემთხვევაზე გავრცელება გამართლებული არ არის, რადგან კლასში შეიძელება მორცხვი ბავშვი იყოს, რომელსაც მასწავლებელთან პირდაპირი თვალის კონტაქტის დამყარება ერიდება.

დაჟინებით ცქერა ადამიანებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ზოგადად, დაჟინებული მზერა აგრესიისა და უზრდელობის გამოხატულებად ითვლება. თუმცა, საკლასო ოთახში მას სხვა დატვირთვა აქვს – მასწავლებლები ასეთ მზერას ხშირად მოსაწავლეების ცუდი ქცევის გასაკონტროლებლად იყენებენ. ჩუმი, დაჟინებული

მზერა შეიძლება ეფექტური საშუალება იყოს კლასში უყურადღებო ან ცელქი მოსწავლეების ყურადღების მისაპრყობად.

<u>სხეულის ენა</u>

სხეულის ენა და ჟესტიკულაცია ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ჟესტიკულაციამ, თავის, ხელების და სხეულის სხვა ნაწილების მოძრაობამ ადამიანის შესახებ მდიდარი ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდოს.

კომუნიკაციისას დიდი ყურადღება ექცევა ***ხელების მოძრაობას.*** მასწავლებლებისთვის ხშირად დამახასიათებელია მკერდზე გადაჯვარედინებული ხელებით დგომა ან უკან დაწყობილი ხელებით სიარული. პირველი ინტერპრეტირებულია როგორც რეაქცია საფრთხეზე, ხოლო მეორე – ძალაუფლების გამოხატულებად არის მიჩნეული. ჯდომისას გადაჯვარედინებული, ზემოთ აწეული ხელები შფოთვაზე, უარყოფით დამოკიდებულებასა და დაძაბულობაზე მიუთითებენ.

<u>საკლასო ოთახის სივრცის გამოყენება</u>

მასწავლებლის მიერ ***საკლასო ოთახის სივრცის გამოყენება*** მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე – საკლასო ოთახში მასწავლებლის მოძრაობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ან პირიქით, ხელი შეუშალოს კომუნიკაციის პროცესს. მაგალითად, იმ მოსწავლის მიმართულებით მოძრაობა, რომელიც ლაპარაკობს შეიძლება გაგებული იყოს, როგორც მის მიმართ ინტერესის გამოხატულება და პირიქით, მისი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა შეიძლება გაგებული იყოს როგორც მის მიმართ ინტერესის ნაკლებობა. კლასში მასწავლებლის მოძრაობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ურთერთიერთობის შენარჩუნებას და მოსწავლეების ყურადღების მიპყრობას. როდესაც მასწავლებელი ძირითადად „თავისი ადგილიდან“ – მასწავლებლის მაგიდის მიმდებარე ტერიოტორიიდან არ გადის, ეს შეიძლება გაგებული იყოს, როგორც მოსწავლეებისგან დისტანციის დაცვის სურვილი.

<u>მანძილის სწორად შერჩევა</u>

კომუნიკაციის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მოსაუბრეების მიერ *მანძილის სწორად* შერჩევა. ადამიანები ურთიერთობას განსხვავებულ მანძილზე ამყარებენ იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ურთიერთობა აკავშირებთ. ჩვეულბრივ, საუბარია ოთხ დისტანციაზე: ***ახლო (ინტიმური) ზონა, პიროვნული, სოციალური და საჯარო. ახალო ზონა*** (0–50 სმ) ჩვეულებრივ ინტიმური პარტნიორების საუბრისას გამოიყენება. მეგობრები საუბრისას ***პიროვნულ მანძილს*** იყენებენ (50სმ–დან 1მ.30სმ–მდე); ***სოციალური დისტანცია*** (1მ.30სმ–დან 3მ.50სმ.–მდე) ძირითადად საქმიან ურთიერთობებში გამოიყენება. ***საჯარო დისტანციას*** (3მ 30 სმ–დან 8მ და მეტი) ძირითადად საჯარო გამოსვლებისთვის იყენებენ. მასწავლებლებმა მოსწავლეებთან ურთიერთობისას პირადი სივრცის მნიშვნელოვნება უნდა გაითვალისწინონ.

ზოგადად, მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებლები ***პერსონალურ და სოციალურ მანძილს*** იყენებენ: ინდივიდუალურ სტუდენტებთან ურთიერთობისას იყენებენ პიროვნულ მანძილს, ხოლო მთელ კლასთან მუშაობისას – სოციალურ მანძილს.

<u>მოსწავლესთან შეხება</u>

ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ ***შეხებით*** ადამიანი მნიშვნელოვან ინფორმაციას გასცემს. კომუნიკაციის პროცესში შეხებამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გრძნობები. საკლასო გარემოში შეხება მასწავლებლების მიერ ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით უმცროს კლასებში. მაგალითად, ამერიკულ სკოლებში, დაწყებით კლასებში ბავშვების წახალისების მიზნით, მასწავლებლები ხშირად მიმართავენ წახალისების ისეთ ფორმას, როგორიცაა მოსწავლის მოფერება – მოხვევა და ჩახუტება. თუმცა, შეხების ეს ფორმა აბსოლუტურად მიუღებელია საშუალო და ზედა კლასების მისწავლეებთან. ითვლება, რომ მოსწალესთან შეხების ყველაზე მისაღებ ფორმას მხარზე და მკლავზე შეხება წარმოადგენს, თუმცა საწინააღმდეგო სქესის მოსწავლესთან ასეთი შეხება მიზანშეწონილი არ არის – საუბარია საშუალო და მაღალი კლასების მოსწავლეებზე. ზოგჯერ, მასწავლებლები მოსწავლეებთან შეხებას მათი ქცევის გასაკონტროლებლად იყენებენ. ასეთ შემთხვევაში, ხშირად თავზე ეხებიან – როგორც კვლევები აჩვენებს, თავზე შეხება მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით მაღალი კლასების მოსწავლეებითვის მისაღები და სასიამოვნო არ არის; პირიქით, მათთვის ეს გარკვეულწილად შეურაცხმყოფელია. მიუხედავად მოსწავლეებთან მასწავლებლის შეხების შესახებ არსებული ზოგადი მოსაზრებებისა და რჩევებისა, ყველა მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტოს, ყოველ კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებაში შეხების რომელი ფორმის გამოყენებაა მისაღები.

<u>სასწავლო დროის სწორად გამოყენება</u>

საკლასო ოთახში მასწავლებლის მიერ ***დროის განაწილება*** მისი შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და ინტერესების შესახებ მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის. როდესაც განსაზღვრულ საკითხს ძალიან მცირე დროს უთმობთ ან საერთოდ ტოვებთ მას და არ განიხილავთ, ეს მოსწავლეებს იმაზე მიანიშნებს, რომ თქვენ ამ საკითხს დიდ მნიშვენელობას არ ანიჭებთ და ნაკლებად გაინტერესებთ. მოსწავლეებმა შეიძლება ასეთი დამოკიდებულება არაცნობიერად გაითავისონ. ***სიჩუმისა*** და ***პაუზის*** სახით დროის მანიპულაცია ხშირად გამოიყენება მასწავლებლების მიერ. ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად პაუზის სწორად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორ უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა პაუზ ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად:

- გააკეთე პაუზა საკითხის მნიშვნელობის ხაზგასასმელად;

- გააკეთე პაუზა, სანამ მოსწავლე პასუხს გასცემს თქვენს მიერ დასმულ კითხვას, მიეცი მოსწავლეს დრო მოსაფიქრებლად;
- გაკეთე პაუზა, როცა მოსწავლეები კლასში ხმაურს იწყებენ.

კვლევებმა აჩვენა, რომ პაუზისათვის საუკეთესო დროა სამი წამიდან თხუთმეტ წამამდე.

<u>მასწავლებლის გარეგნობა და ჩაცმულობა</u>

და ბოლოს, მეტად ინფორმაციულია მასწავლებლის ***გარეგნობა და ჩაცმულობა.*** ის, თუ როგორ გამოიყურება მასწავლებელი, ხშირად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეების მიერ მასწავლებელის აღქმაზე. აშშ–ში ჩატარებული კვლვები აჩვენებს, რომ მოსწავლეები უფრო პოზიტიურად განწყობილნი არიან არაოფიციალურად, სპორტულად ჩაცმული მასწავლებლების მიმართ. როგორი სტილის ჩაცმულობაც არ უნდა აირჩიოს მასწავლებელმა, მიზანშეწონილია პროფესიულ ჩაცმულასთან დაკავშირებით ზოგიერთი ზოგადი რჩევის გათვალისწინება:

- პროფესიული ჩაცმულობის შერჩევისას გაითვალისწინეთ ორგანიზაციის პოლიტიკა – თუ ორგანიზაციას თანამშრომლებისთვის ჩაცმულობასთან დაკავშირებით კონკრეტული მოთხოვნები არ აქვს, ზოგადად, ინფორმაცია უშუალო უფროსისაგან ან ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტისგან მიიღეთ;
- არაოფიციალური ჩაცმულობა არ ნიშნავს უდიერად ჩაცმას – გახსოვდეთ, რომ თქვენი ტანსაცმელი მუდამ სუფთა, დაუთოვებული და კარგ მდგომარეობაში უნდა იყოს.
- არ ჩაიცვათ სექსუალაურად – მეტიმეტად მოკლე კაბა და დეკოლტე არც ერთ შემთხვევაში არ არის სამუშაო გარეგნობის შესაფერისი ჩაცმულობა
- თუ ეჭვი გეპარებათ – არ ჩაიცვათ! – როდესაც ყოყმანობთ, არის თუ არა კონკრეტული ტანსაცმელი თქვენი სამუშაოს შესაფერისი, აჯობებს არ ჩაიცვათ
- დარწმუნდით, რომ შეაფერისი ფეხსაცმელი გაცვიათ – ფეხსაცმელი ყოველთვის უნდა იყოს სუფთა და კარგ მდგომარეობაში. ქალებმა თავი უნდა აარიდონ მეტისმეტად მაღალქუსლიან ფეხსაცმელს – რეკომენდებულია 4–5 სმ სიმაღლის ქუსლიანი ფეხსაცმელი
- დაიცავით ზომიერება აქსესუარებისა და სუნამოს ხმარებისას – სამუშაო გარემოში რეკომენდებული არ არის ყურადღების მიპყრობა სუნამოს გადაჭარბებული სურნელით ან გადამეტებული აქსესუარებით (ძვირფასეულობა, ბიჟუტერია, თმის ფერადი სამაგრები და სხვა.

აქტიური მოსმენის ტექნიკა

რა განსხვავებაა სიტყვებს შორის _ „მესმის“ და „ვუსმენ“. როდესაც ბგერები და სიტყვები ჩვენს სმენით აპარატში შემოიჭრება, - გვესმის. „მესმის“ რაიმე სირთულესთან არ არის დაკავშირებული, ხოლო „ვუსმენ“ მოითხოვს გარკვეულ ძალისხმევას. მოსმენა თავის მხრივ არის **პასიური** და **აქტიური**. შეიძლება პასიურად ვუსმენდე მასწავლებელს და არავითარ ძალისხმევას არ მივმართავდე, რომ მოსმენილი უკეთ გავიგო. აქტიური მოსმენა გულისხმობს გაგების პროცესსაც, როცა არა მხოლოდ უსმენ ნათქვამს, არამედ იმასაც ცდილობ, რომ უფრო ღრმად ჩასწვდე საუბრის დედააზრს.

არსებობს ორი კატეგორიის პასიური მსმენელი: **ცუდი მსმენელები** და **მოჩვენებითად კარგი მსმენელები**.

ცუდი მსმენელია:

- ავტორიტარული მსმენელი, რომლისათვის დამახასიათებელია მბრძანებლობა და დიქტატი. ის ხშირად იყენებს ფრაზებს: „ნელა ილაპარაკეთ!“, „მოკლედ მონით ‘, „შენ ინანებ თუ ასე მოიქცევი.
- მოსაუბრე, რომელიც გაურბის მწვავე საკითხებს, საუბარი გადააქვს სხვა თემაზე, იყენებს რჩევებს რეკომენდაციებს და მზამზარეულ „რეცეპტებს“. საკითხის შერბილებისთვის მიმართავს ხუმრობას. მისი ფრაზებია: „ამოიგდე ეს თავიდან“, „დრო ყველაფრის მკურნალია“.
- ე.წ. „ინტელექტუალი“ მსმენელისთვის დამახასიათებელია არა ის, რომ გაიგოს მოსაუბრის პრობლემა რეალობაში, არამედ იწყებს ბრძენკაცობას, მეცნიერების ავტორიტეტის მოშველიებას. მისი ფრაზა შეიძლება იყოს;“ ამაზე ბრძენს უთქვამს...“

მოჩვენებითად კარგი მსმენელია:

- ე.წ. „შემფასებელი“ მსმენელი, რომელსაც სჩვევია კატეგორიულობა და რომელიც ახარისხებს მოვლენებს „დადებითად“ და „უარყოფითად“. ის მუდმივად განსჯის და განიკითხავს. მისი ხშირი ფრაზაა: ‘ეს კარგია, ეს კი სისულელეა. მისთვის მთავარია არა რეალური მდგომარეობის გაგება, არამედ საკუთარი პოზიციის გამოხატვა და მოსაუბრისთვის მისი თავს მოხვევა. ამისთვის იგინ იყენებს: ჭკუის სწავლებას, მითითებას, საკუთარი პოზიციის მართებულობის მტკიცებას, კრიტიკას, გაკიცხვას, მორალის კითხვას, შექებას.
- ე.წ. „ინტერპრეტატორი“, რომელიც საუბრის პირველივე წუთებიდან იწყებს ანალიზს, მიზეზების ძებნას, ინტერპრეტაციას, ვარაუდების დაშვებას. ასეთი მსმენელი ხშირად ვერ წვდება მოვლენების არსს, რადგან შეიძლება საკუთარი ვარაუდების ტყვეობაში აღმოჩნდეს. ასეთ მსმენელს უჭირს თანამოსაუბრის სუბიექტურ რეალობაში შესვლა.

- ე.წ. „გულშემატკივარი‘ – თანაგრძნობის გამოხატვაზე ორიენტირებული მსმენელი. იგი იმთავითვე ეთანხმება მოსაუბრეს, სწრაფად აქებს, ან შეუდგება მის დამშვიდებას.
- ე.წ. დიაგნოსტიკოსი“, ასეთი ტიპის მსმენელი ხშირად აწყვეტინებს მოსაუბრეს ლაპარაკს და უსვამს დამაზუსტებელ კითხვებს. კონკრეტულად სად და როდის მოხდა ეს? სად გაქვს ამის დამამტკიცებელი საბუთი. მისთვის დამახასიათებელია ჭკუის სწავლება, ლოგიკური არგუმენტაცია, კითხვების დასმის სიჭარბე.

აქტიური მოსმენა

აქტიური მოსმენის ტექნიკა გულისხმობს თანამოსაუბრის პრობლემისა და მდგომარეობის სწორ გაგებას, თანაგრძნობას და იმავდროულად დახმარებას ორი თვალსაზრისით: 1. თანამოსაუბრე უკეთ გაერკვეს და გააცნობიეროს თავისი მდგომარეობა და 2. კონფლიქტური სიტუაციის დროს დაპირისპირებულმა მხარეებმა კონსტრუქციულად მიიტანონ ერთმანეთთან სათქმელი, ჩაერთონ სასარგებლო დიალოგში და შეამცირონ კონფლიქტი.

გამოყოფენ აქტიური მოსმენის ოთხ ფაზას:

- აღქმა – ინტერპრეტაციას აძლევენ;
- შეფასება – ადამიანებს ტენდენცია აქვთ შეაფასონ რაც მოისმინეს და გაიგეს.
- კრიტიკული რეაქცია დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ გაუგბრობა.
- რეაქცია – ვერბალური და არავერბალური რეაქციები აადვილებენ აქტიურ მოსმენას.

აქტიური მოსმენის ტექნიკის ელემენტებია:

მოსმენის განწყობა და შესაბამისი „სხეულის ენა“:

აქტიური მოსმენის დროს აუცილებელია განწყობა, რომ ისე გაუგო თანამოსაუბრეს, როგორც მას უგრძვნია საკუთარი პრობლემა ე.ი. მნიშვნელოვანია თანამოსაუბრის სუბიექტურ რეალობაში წვდომა. სასურველია, მსმენელის „სხეულის ენამ“ გამოხატოს შესაბამისი განწყობა. მისი გამომეტყველება, ჟესტი და მიმიკა უნდა გამოხატავდეს იმას, რომ იაზრებს მთხრობელის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

არარეფლექსური მოსმენა;

ეს არის მოსმენის ისეთი ხერხი, როცა მოსმენა ხორციელდება ანალიზისა და რეფლექსიის გარეშე, რათა სტიმული მისცე თანამოსაუბრეს ბოლომდე გამოთქვას სათქმელი. ეს არის ყურადღებიანი დუმილის პროცესი. მხოლოდ და მხოლოდ პაუზების დროს გამოითქმება მოკლე სიტყვები: „დიახ“, „მესმის“, „აჰა“, „ოჰო“...

როდის არის სასარგებლო არარეფლექსური მოსმენის გამოყენება?

- როცა მოსაუბრე აქტიურად გამოთქვამს თავის სათქმელს;
- როცა თანამოსაუბრეს უჭირს თვითგამოხატვა და საჭიროა სტიმულირება, რათა ეს სირთულეები თვითონ გადალახოს.

არარეფლექსური მოსმენის ხერხის გამოყენება უსარგებლოა:

- როცა თანამოსაუბრეს არ ააქვს საუბრის სურვილი;
- როცა მსმენელის მიერ გამოთქმული მოკლე სიტყვები აღქმულია ან როგორც დათანხმება, ან საუბრის შეწყვეტისკენ მოწოდება, ან მსმენელის უარყოფითი დამოკიდებულება მისი პოზიციისადმი.

გარკვევა და დაზუსტება;
გარკვევისა და დაზუსტების მიზანია, რომ მხოლოდ მსმენელმა კი არ მიიღოს დაზუსტებული ინფორმაცია, არამედ თანამოსაუბრეც უკეთ გაერკვეს საკუთარ სათქმელში. ეს კი ხორციელდება კითხვების დასმით. კითხვის დასმის სტილი უნდა იყოს არადირექტიული. მაგალითად, „ხომ არ მოყვებოდი“ და არა „აბა მოყევი...“. (*კითხვათა ტიპებსა და კითხვის დასმის ტექნიკას ქვემოთ ცალკე შევეხებით).*

რეფრაზირება;
მსმენელი თანამოსაუბრის ნათქვამის დედააზრს აბრუნებს უკან, რაც საშუალებას აძლევს თანამოსაუბრეს, უფრო ცნობიერად გამოკვეთოს თავისი პრობლემა, სიტუაცია თუ მდგომარეობა.
რეფრაზირების წესებია;

- რეფრაზირებით არ უნდა გავაწყვეტინოთ თანამოსაუბრეს ლაპარაკი, იგი ხორციელდება პაუზის დროს, რაც სტიმულის მიმცემია მოსაუბრისთვის;
- რეფრაზირების დროს აისახება ნათქვამის დედააზრი და არა თანმხლები ემოცია;
- რეფრაზირება უმეტესად მაშინ გვჭირდება, როცა თანამოსაუბრის ნათქვამი ნათელია, მაგრამ გვსურს მისი სტიმულირება. რათა მეტი ინფორმაცია მოგვაწოდოს და უფრო მკაფიოდ გამოხატოს თავისი აზრი.
- რეფრაზირება ეხმარება თვითონ თანამოსაუბრეს დაინახოს, სწორად უგებენ თუ არა მას.

შეჯამება;

ამ დროს უფრო სრული სახით ხორციელდება მსმენელსა და თანამოსაუბრეს შორის უკუკავშირი. თუ თანამოსაუბრეს არ ეთანხმებით, უმჯობესია ჯერ უკუკავშირის სახით მიაწოდოთ შეჯამებული აზრი და მხოლოდ შემდეგ გამოთქვათ კონტრარგუმენტები.
შეჯამება ხელს უწყობს თანამოსაუბრეს მკაფიოდ ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრები და განავითაროს ისინი.

გრძნობათა არეკვლა.
ემოციური მხარდაჭერა კომუნიკაციის მეტად მნიშვნელოვანი ხერხია. ამ დროს მოსაუბრეს უკუკავშირისას ვუგზავნით შეტყობინებას მისი გრძნობების შესახებ; ვაგრძნობინეთ, რომ მას გავუგეთ. ემოციური არეკვლის გამომხატველი ფრაზებია: „მე მგონი აღელვებული ხარ...“, „ხომ არ გრძნობ, რომ...“
აქტიური მოსმენის ყველა ხერხს აერთიანებს ერთი ნიშან-თვისება – უკუკავშირი მსმენელსა და მოსაუბრეს შორის. აქტიური მოსმენის ტექნიკაში არის რეალიზებული არადირექტიული, ანუ ჰუმანისტურ-ფსიქოლოგიური მიდგომის ძირითადი პრინციპები.

აქტიური მოსმენის ტექნიკების ცოდნა და გამოყენება დაეხმარება პედაგოგებს არა მხოლოდ მოსწავლეებთან, არამედ კოლეგებთან და მშობლებთან უფრო ნაყოფიერ და ეფექტურ ურთიერთობაში.

როგორ გავართვათ თავი „რთულ“ მშობლებეთან კომუნიკაციას?

მშობლებთან წარმატებული კომუნიკაციის განვითარებას მნიშვნელოვანი ძალისხმევა და ისეთი უნარები სჭირდება, როგორიცაა ტაქტი, მოსაუბრის პატივისცემა, თავაზიანობა, სიკეთე, ენთუზიაზმი და სხვ. მშობლები ხშირად უკმაყოფილონი არიან თავიანთი შვილების ნიშნებით, ცუდი საქციელით, მავნე ჩვევებით და სხვა.

რა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი მშობელსა და მასწავლებელს შორის და როგორ შეიძლება დავძლიოთ იგი?

კონფლიქტი მასწავლებელსა და მოსწავლის მშობელს შორის შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორებით, კერძოდ:

- **კომპეტენციის დეფიციტი** - ეს გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლის ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ მასწავლებლისა და მშობლის წარმოდგენათა განსხვავებასა და მათ მიერ ამ შესაძლებლობათა რეალიზაციის შეფასებათა არაერთგვაროვნებაში. ამ

სფეროში მშობელს საგნის მასწავლებელთან შედარებით არასაკმარისი კომპეტენცია აქვს. მას ნაკლებად ესმის სპეციფიკური პედაგოგიკური და მეთოდიკური საკითხები, თუნდაც მრავალკომპონენტიანი შეფასება. როგორი კომფორტული გარემოც უნდა შეიქმნას, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა გაკვეთილზე მიმდინარეობს მეტ-ნაკლები ფსიქოლოგიური დაძაბვის ფონზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ცოდნისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაზე. ამის გათვალისწინება მშობელს, ვისაც ბავშვის ცოდნისა და უნარების შემოწმება სხვა ფსიქოლოგიურ ფონზე, განსხვავებულ სიტუაციასა და პირობებში უხდება, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. ეს განსხვავება კი ქმნის გაუგებრობისა და ზოგჯერ კონფლიქტის საფუძველს. სწორედ ამიტომ, სასურველია, მასწავლებელმა უფრო მჭიდროდ ითანამშრომლოს მშობლებთან, აუხსნას მათ შეფასების ახალი სისტემის არსი, მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ, მისცეს რჩევები და რეკომენდაციები, როგორ გააუმჯობესოს შედეგები.

- **აზრთა სხვადახვაობა** - მშობელსა და პედაგოგს შორის შეიძლება იყოს არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება, აზრთა სხვადასხვაობა. აზრთა სხვადასხვაობას ხელს უწყობს კონტაქტების უქონლობა და ინფორმაციის ნაკლებობა, ის, რომ ხშირად მასწავლებლებს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მოსწავლეების მშობლებზე, მშობლებს კი – თავიანთი შვილების პედაგოგზე.

- **საკუთარი შვილის ქცევათა სისტემის შესახებ არასრული ინფორმაციის ფლობა** - ქცევათა სისტემა გულისხმობს სხვადასხვა სიტუაციაში ქცევის ნორმების სხვადასხვა გამოვლინების და მათი მართვის უნარ-ჩვევების ერთობლიობას. მშობლებისათვის ცნობილია ბავშვის ცხოვრება, ქცევის თავისებურებები ოჯახში, პედაგოგისათვის კი – სკოლის ფარგლებში. ასე რომ, როდესაც მასწავლებელი და მშობელი ბავშვს სხვადახვაგვარად ახასიათებენ, არ არის გამორიცხული, რომ ორივე მხარე მართალი იყოს. ბავშვისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება და მისი სხვადასხვაგვარი შეფასება, ამ შეფასებისას მშობლისა და მასწავლებლის შეუთანხმებლობა, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ სხვადასხვა გარემო და გარშემომყოფთან სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ზოგჯერ ავლენს ბავშვის ქცევის მშობლისთვის ან მასწავლებლისთვის უცნობ მხარეებს. ხშირად მშობლის წარმოდგენა, გნებავთ სტერეოტიპი, შვილის ყოფაქცევის შესახებ წინააღმდეგობაში მოდის მისი შვილის რომელიმე დისციპლინური დარღვევის შესახებ ინფორმაციასთან. ეს იწვევს მშობლის გაღიზიანებას და შესაძლოა მასწავლებელთან კონფლიქტიც გამოიწვიოს. ამ კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელია, როდესაც მშობელი და მასწავლებელი დარწმუნებულნი არიან ერთმანეთისთვის მიწოდებული ინფორმაციის

სანდოობასა და კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობაში, რომ ამით ზიანი არ მიადგეს მოსწავლის პიროვნულ ღირსებასა და ავტორიტეტს.

- **დიდი ოდენობით მოვალეობები, რომლებსაც მასწავლებელი და მშობელი ერთმანეთს აკისრებენ** - ხშირად მასწავლებლები და მშობლები ერთმანეთს აკისრებენ აურაცხელი რაოდენობით მოვალეობას გარემოებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე. ამ ყოველივეს გამო მხარეები ვერ ასრულებენ ამ მოვალეობებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს უკმაყოფილებას, გაუგებრობებს, წყენას. ამიტომ აიცილებელია თავიდანვე მოხდეს პასუხისმგებლობების გადანაწილება, რათა ბავშვის პრობლემების მოგვარებაში ორივე მხარემ მიიღოს მონაწილეობა, რაც მიიღწევა მასწავლებლისა და მშობლის მუდმივი კონტაქტით.

- **პედაგოგისა და მშობლის ბავშვისადმი განსხვავებული დამოკიდებულება** - სკოლა და ოჯახი არის სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი თავისი სპეციფიკური მრავალფეროვანი ფუნქციებითა და დამოკიდებულებებით. პედაგოგსა და მშობელს შორის წინააღმდეგობები ძლიერდება იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი არის ფორმალისტი და თავის მოღვაწეობას თვლის უბრალო სამსახურად, ამიტომ მოსწავლესთან ამყარებს მხოლოდ და მხოლოდ „საქმიან ურთიერთობებს“. მშობლებსა და ახლობლებს კი სულ სხვაგვარი, ემოციურად შეფერილი დამოკიდებულება აქვთ ბავშვისადმი. მშობლებს უჭირთ მასწავლებლის „მშრალ“ დამოკიდებულებასთან შეუგება, პედაგოგს კი მშობლების ეს პრეტენზიები და განცდები გადაჭრაბებულად და უსაფუძვლოდ ეჩვენებათ. თუ მასწავლებელი ვერ შეძლებს გაიგოს, მიიღოს და თავის პედაგოგიურ საქმიანობაში გაითვალისწინოს მშობლების განცდები და შეშფოთება მისი შვილის ბედის გამო, შესაძლოა, აღმოცენდეს მხარეებს შორის უკმაყოფილება. ზოგიერთ მასწავლებელს უჭირს წარმოიდგონოს თავი მშობლის ადგილზე და გააცნობიეროს, რას განიცდის ის. ამიტომ ბავშვის უკეთ გაგებისა და სწავლისა თუ პიროვნული ზრდის ხელშეწყობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლისა და მასწავლებლის შეთანხმებული მოქმდება, თანამშრომლობა.

რეკომენდაციები, როგორ დავამყაროთ მშობელთან ეფექტური კომუნიკაცია

ეცადეთ მშობელი უსიამოვნო საუბრით არ გაიცნოთ – მეტად მნიშვნელოვანია, რომ თქვენი პირველი კონტაქტი უსიამოვნო არ იყოს. ყოველთვის უმჯობესია, მშობელი ნეგატიურ სიტუაციას აარიდოთ, მაგრამ ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც ამას თავიდან ვერ აიცილებთ. ასეთი შემთხვევისთვის სათანადოდ უნდა მოემზადოთ.

იმისთვის, რომ თითოეული მშობლისთვის მისი შვილის შესახებ კონკრეტული და ობიექტური სათქმელი გქონდეთ, აღრიცხეთ ყოველი შემთხვევა, როდესაც მოსწავლესთან გარკვეული პრობლემა შეგექმნათ; აღრიცხეთ მოსწავლის:

- ყოველი შემაწუხებელი და უჩვეულო ქცევა;
- ნიშნები და გაცდენები;
- მის მშობლებთან კომუნიკაციის შემთხვევები.

თუ თქვენ განსაკუთრებით რთულ მოსწავლესთან გიწევთ მუშაობა, აღრიცხეთ ყველა ის რჩევა, რომელიც მასთან მიმართებაში სკოლის ადმინისტრაციამ, ფსიქოლოგმა ან სხვა სპეციალისტებმა მოგცათ.

თუ იცით, რომ შეხვედრა საკმაოდ კონფლიქტურ მშობელთან გიწევთ, შეხვედრაზე მესამე პირი დაისწარით, მაგალითად სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, კლასის დამრიგებელი, ფსიქოლოგი. ეს ადამიანი წინასწარ ჩააყენებთ საქმის კურსში მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ, შეუთანხმდით თარიღსა და დროზე, გააკრვიეთ სიტუაციაში – რასთან დაკავშირებით ხვდებით მშობელს და სთხოვეთ ჩამოიყალიბოს სიტუაციის დამოუკიდებელი, ობიექტური ხედვა.

მშობელთან შეხვედრის ეფექტურად წარმართვაში შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ:

- ***მშობელს თბილად შეხვდით*** – გაუღიმეთ და ხელი ჩამოართვით; საუბარი მისი შვილის შესახებ პოზიტიური ინფორმაციით დაიწყეთ
- ***აგრძნობინეთ ასერტიულობა***[1] – მშობელთან საუბრისას ნუ დაჯდებით თქვენს მაგიდასთან. სკამი მასთან ახლოს დაიდგით და აგრძნობინეთ, რომ თავს კომფორტულად და თვითდაჯერებულად გრძნობთ. თუ მშობელი დგომას ამჯობინებს, თქვენც ფეხზე იდექით. თვალი თვალში გაუყარეთ – ნუ აფიქრებინებთ, რომ თქვენს დაშინებას შესძლებს
- ***მოუსმინეთ ყურადღებით*** – მშობელს სიბრაზისა და იმედგაცრუების გამოხატვის საშუალება მიეცით. ნუ შეაწყვეტინებთ ან შეეკამათებით, უბრალოდ მოუსმინეთ; გამოიყენეთ არავერბალური კომუნიკაცია ემპათიისა და გაგების საჩვენებლად. სანამ უპასუხებთ და თქვენს პოზიციას გამოთქვამთ, დარწმუნდით, რომ პრობლემა მშობლის პოზიციიდან გაიაზრეთ.
- ***გააკეთეთ მშობლის კრიტიკული შენიშვნების ანალიზი.*** პედაგოგს უნდა შეეძლოს მისი მისამართით მშობლის მიერ გამოთქმული შენიშვნების მიღება, კრიტიკის მთქმელი მშობლისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულების შენარჩუნება. მასწავლებელმა ეს შენიშვნები უნდა გამოიყენოს პედაგოგიური მიზნებისათვის, პროფესიული

[1] *ასერტიულობა* – უნარი გამოხატო და დაიცვა საკუთარი გრძნობები და უფლებები ისე, რომ არ დაარღვიო სხვების უფლებები

განვითარებისათვის. მშობლების კრიტიკა უფრო კონკრეტული და საქმიანია, როდესაც მასწავლებელი თვითონ უკეთებს ორგანიზებას შენიშვნების გამოთქმას. იგი არწმუნებს მშობლებს იმაში, რომ სჭირდება მათი აზრის ცოდნა საკუთარი ქმედებების შესახებ. აინტერესებს, სწორად უგებენ თუ არა მას მოსწავლეები და მშობლები, მათი თვალსაზრისით, არის თუ არა ხარვეზები პედაგოგიურ პროცესში და, კერძოდ, რა სახისაა ეს ხარვეზები. კრიტიკისადმი ამგვარი დამოკიდებულება იწვევს მშობლის მხრიდან კეთილგანწყობის შექმნას.

- ***შეინარჩუნეთ სიმშვიდე და წონასწორობა*** – არასოდეს წახვიდეთ კომპრომისზე თქვენ პროფესიულ წესიერებასთან. გაბრაზებული სიტყვების საპასუხოდ მშვიდი და გაწონასწორებული რეაქცია სიტუაციის განმუხტვას შეუწყობს ხელს.
- ***აწონ–დაწონეთ სიტყვები*** – თქვენს კომენტარებში მშობლებმა სარკაზმი და მათი უნარების კრიტიკა არ უნდა იგძნონ. ეცადეთ, საუბარმა თემას არ გადაუხვიოს და ის შეხვედრის საგანსა და მოსწავლის საჭიროებებზე იყოს კონცენტრირებული. მშობელს უკან დახევის საშულება მიეცით, ისე რომ მან ამის გამო თავი „დამარცხებულად“ არ იგრძნოს.
- ***ერთად იფიქრეთ სიტუაციის გადაწყვეტაზე*** – წაახალისეთ მშობლის ჩართულობა საკითხის მოგვარებაში – ჰკითხეთ რჩევა, გამოთქვით თქვენი მოსაზრებები, რომელიც მოსწავლის ძლიერი მხარეების გამოყენებაზე იქნება ფოკუსირებული
- ***გააკეთეთ ჩანაწერები*** – წერილობით დააფიქსირეთ შეხვედრის მონაწილეების პოზიცია და ვალდებულებები – რაზე შეთანხმდით, სიტუაციის გაუმჯობესებაში ვის რა როლი დაეკისრა. შეთანხმება და თანამშრომლობისადმი მზაობა ხელმოწერით დაადასტურეთ.
- ***არავის მისცეთ თქვენი დაჩაგვრისა და შეურაცხყოფის უფლება*** – ყოველთვის პატივი ეცით მშობელს და მისგან საპასუხო პატივისცემა მოითხოვეთ. თუ მშობელი ეცდება თქვენს სიტყვიერ შეურაცხყოფას ან დაშინებას, უთხარით, რომ არავის აძლევთ ასეთი საუბრის უფლებას და სიამოვნებით გააგრძელებთ საუბარს მხოლოდ მას მერე, რაც მშობელი დამშვიდდება.

თუ მშობელი უღირს საუბარს და თქვენს შეურაცხოფას აგრძელებს, შეინარჩუნეთ სიჩუმე, ზურგი შეაქციეთ და უემოციოდ გაეცალეთ.

მშობელთან შეხვერის შემდეგ, მიზანშეწონილია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- ***თუ შეხვედრამ წარმატებით არ ჩაიარა, მიმართეთ შესაბამის ზომებს*** – შექმნილი ვითარების შესახებ საქმის კურსში სკოლის ადმინისტრაცია ჩააყენეთ.
- ***დაიცავით კონფიდენციალურობა*** – მშობელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თქვენი ნდობა შეიძლება. მშობელთან შეხვედრის თემა განიხილეთ

მხოლოდ იმ კოლეგებთან, რომლებიც მოცემული სიტუაციის შესახებ საქმის კურსში არიან – აუხსენით მშობელს, რატომ შეიძლება დაგჭირდეთ ამ თემის სხვა კოლეგებთან განხილვა.

- ***შეხვედრისას მიღებულ გადაწყვეტილებებს ბოლომდე მისდიეთ*** – დაუყოვნებლივ დაიწყეთ მშობელთან შეხვედრისას მიღებული შეთანხმების განხორციელება. თუ შეხვედრისას საკითხი არ ამოიწურა, გააგრძელეთ მასზე მუშაობა. მოსწავლის სიტუაციის მიმართ გულწრფელი ინტერესი, წუხილი და შემდგომი დახმარებისთის მზადყოფნა გამოხატეთ.
- ***მშობელთან კონტაქტი არ გაწყვიტოთ*** – შეინარჩუნეთ მშობელთან კონტაქტი და სისტემატიურად აცნობეთ მისი შვილის წარმატებები და მიღწევები. სერიოზული პრობლემების შემთხვევაში, მშობელთან ყოველკვირეული კონტაქტი იქონიეთ.

როგორ დავამყაროთ კოლეგებთან ეფექტური კომუნიკაცია?

კოლეგებთან კომუნიკაცია დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის პროფესიულ ცხოვრებაზე. პედაგოგებს ერთმანეთთან აქვთ როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული ურთიერთობები. მასწავლებლებს შორის ეფექტური კომუნიკაცია, სწორედ ამ ურთიერთობების სწორად წარმართვის შედეგია. პიროვნული ურთიერთობები ფოკუსირებულია არაპედაგოგიურ საკითხებზე, მასწავლებლებს სტრესის დაძლევაში ეხმარება და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. პროფესიული კომუნიკაცია კი პირიქით, საგანმანათლებლო საკითხებზეა ფოკუსირებული და პროფესიული ინფორმაციის გაცვლა–გამოცვლას უწყობს ხელს. როგორც აღინიშნა, კოლეგებთან ურთიერთობისას კომუნიკაციისას ორივე ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

კოლეგებთან პიროვნული ურთიერთობების დამყარება სხვადსხვა გზით შეიძლება – ძირითადად კოლეგებს ერთმანეთის უკეთ გაცნობის საშუალება სხვადსხვა სასკოლო ღონისძიებებსა და თავყრილობებზე ეძლევათ. არასოდეს გამოაკლდეთ ასეთ ღონისძიებებს, იმ შემთხვევაშიც კი თუ თქვენ შედარებით მორცხვი პიროვნება ხართ ან ასაკით გაცილებით უფროსი, ვიდრე თქვენი სკოლის პედაგოგების უმრავლესობა. თუ ახალი თანამშრომელი ხართ, ეცადეთ კოლეგების სახელები გაიგოთ და დაიმახსოვროთ, განსაკუთრებით მათი, ვისთანაც უფრო ახლო თანამშრომლობა გიწევთ. ეცადეთ ყურადღებით მოუსმინოთ და თანაგძნობით უპასუხოთ კოლეგას, როდესაც ის თავის პირად პრობლემას გიზიარებთ. უკეთესია, თუ თავს აარიდებთ ცხარე დისკუსიებში ჩართვას, განსაკუთრებით, თუ ეს ემოციურად მნიშვნელოვან თემებს ეხება, როგორიც არის პოლიტიკური, რელიგიური საკითხები და სხვა – ამას შეიძლება მოჰყვეს გარკვეული გაუგებრობები, რამაც ხელი შეუშალოს კოლეგებს შორის პოზიტიური კომუნიკაციის განვითარებას.

კოლეგებთან სოციალიზაცია მეტად მნიშვნელოვანია და პედაგოგის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; თუმცა, არსებობს კოლეგებთან მეტისმეტი სოციალიზაციის საფრთხე – როდესაც კოლეგებთან პიროვნეულ კომუნიკაციას ეთმობა უფრო მეტი დრო და ყურადღება, ვიდრე ამას დასაწყისში გეგმავდით და ეს

გარკვეულწილად ხელს უშლის თქვენს პედაგოგიურ საქმიანობას – უმჯობესია კოლეგებთან პიროვნული კომუნიკაცია ოდნავ შეასუსტოთ და გადააფასოთ თქვენი პრიორიტეტები.

ეფექტური პიროვნული კომუნიკაციის დამყარებასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია კოლეგებთან პროფესიული ურთიერთობის განვითარება. კოლეგებს შორის ეფექტური პროფესიული კომუნიკაცია უპირველეს ყოვლისა მოსწავლეების ინტერესებს ემსახურება – სწორედ კოლეგებს შორის სწორი პროფესიული ურთიერთობის შედეგად შეიძლება გამომჟღავნდეს მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებები და მიდრეკლებები. არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი განსაკუთრებულად არის მომზადებული გაკვეთილისთვის, მაგრამ ატყობს, რომ ბავშვები ვერ დააინტერესა, კარგად არ ესმით მისი ახსნილი და სხვა. ასეთ შემთხვვაში, მეტად ეფექტურია გამოცდილ და ეფექტურ პედაგოგებთან კონსულტაციის გავლა. მაშინაც კი, როდესაც საკუთარ თავში დარწმუნებული პიროვნება ხარ და არ გიყვართ სხვებისთის დახმარების თხოვნა ან იმდენად მორცხვი ხართ, რომ სხვების შეწუხება გერიდებათ – მაინც მიმართეთ კოლეგას და ერთად განიხლეთ თქვენთვის პრობლემური საკითხი, რადგან ეს ყველაზე მეტად თქვენი მოსწავლეების ინტერესებს ემსახურება.

კოლეგებთან ურთიერთობა განსხვავებულ სიტუციებს გულისხმობს. ერთ–ერთი არის გაბრაზებულ და გაღიზიანებულ კოლეგესათან ურთიერთობა, როდესაც ის თქვენი მისამართით საყვედურსა და პრეტენზიას გამოთქვამს. პედაგოგი მზად უნდა იყოს ასეთი ურთიერთობისთვის და ფლობდეს კომუნიკაციურ ტექნიკებს, რომელიც კოლეგასთან ნორმალური კომუნიკაციის შენარჩუენების საშუალებას მისცემს – კოლეგებთან კომუნიკაციის გაუარესება ცუდად მოქმედებს სამუშაო გარემოზე. როდესაც გაღიზიანებული კოლეგა ცდილობს „ურთიერთობის გარკვევას“ კომუნიკაციის სწორად წარმართვისთვის შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ:

- იყავით აუღელვებელი და გაწონსაწორებული
- არ მისცეთ საშუალება „ჩაგითრიოთ“ კამათში
- ყურადღებით მოუსმინეთ და ჩაწვდით იმას, თუ რას გეუბნებათ თქვენი კოლეგა
- აუხსენით თქვენი პოზიცია მოცემულ საკითხზე
- თუ მის არგუმენტებს ეთანხმებით – მოუხადეთ ბოდიში
- თუ მის არგუმენტებს არ ეთანხმებით – უთხარით რომ არ ეთანხმებით და გამოიჩინეთ ასერტიულობა, თუმცა გახსოვდეთ, რომ პრობლემა აუცილებლად მისი პოზიციიდანაც უნდა დაინახოთ და გაანალიზოთ

სასკოლო ცხოვრებაში არის შემთხვევები, როდესაც კოლეგისთვის არასასიამოვნო ამბის თქმა გიწევთ. ძირითადად, ამგვარი არასასიამოვნო საუბრები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ უკმაყოფილებას ეხება. მაგალითად, თქვენ ხშირად გაწუხებთ კოლეგის საკლასო ოთახიდან გამოსული ხმაური. ასეთ შემთვევაში, არ დაგავიწყდეთ ის ფაქტორები, რომელიც ნებისმიერი სახის კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია – ემპათია და პოზიტიურ მხარეზე ფოკუსირება. ზემოთ განხილულ შემთხვევასთან დაკავშირებით თქვენი საყვედური შეიძლება შემდეგნაირად

დაგეწყოთ: „ მე მესმის, რომ ეს საკმაოდ რთული კლასია და ძალიან რთულია ამ კლასის მართვა“ ან „ მე მესმის, რომ სპორტის გაკვეთილის შემდეგ, ძალიან რთულია კლასის ჩვეულ კალაპოტში ჩაყენება და მართვა“ – ამ გამონათქვამში იგრძნობა თქვენი ემპათიური განწყობა. შემდეგ გადადიხართ ძირითად სათქმელზე – „ მიუხედავად იმისა, რომ ოთახის კარები დახურული გვაქვს, თქვენგან ხმაური მაინც შემოდის და ჩემს მოსწავლეებს კონცენტრაციის საშულებას არ აძლევს“ . საყვედურის თქმისას ეცადეთ არ გამოიყენოთ გაზვიადებული და გადაჭარბებული გამოთქმები, მაგალითად, „ მე არ ვარ ერთადერთი, ვინც ამას ამბობს“ ან „დერეფანში ყველა მასწავლებელი შეწუხებულია ამის გამო“ და სხვა. ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ კოლეგას მოუნდეს თქვენთან მის მიერ გამოყენებული მეთოდების განხილვა, შეიძლება გითხრათ – „რა არ ვცადე და ამ კლასში არაფერი არ გამოდის“. ასეთ შემთხვევაში, მზად უნდა იყოთ მისცეთ პროფესიული რჩევები, რომელიც მას შეიძლება კლასის მართვაში დაეხმაროს.

კითხვათა ტიპები, კითხვის დასმის ტექნიკა

კითხვის დასმის ტექნიკის ცოდნასა და მის ადექვატურად გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერაქტიული სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა საკლასო გარემოში შეკითხვების ეფექტურად დასასმელად?

გაკვეთილის დაწყებამდე:

რა მიზნით სვამთ მოცემულ შეკითხვას. კითხვა შეიძლება იყოს ***სასწავლო*** და ***გამოსაცდელი***.

სასწავლო შეკითხვას პედაგოგი სვამს:

- საკითხის სიღრმისეული გაგებისთვის,
- ინტერესის გასაღვივებლად,
- მონაწილეობის ხარისხის გასაზრდელად.

გამოსაცდელ შეკითხვას პედაგოგი სვამს:

- საკითხის გაგების შესამოწმებლად;
- ცოდნის გასაკონტროლებლად.

ამან უნდა განსაზღვროს აზროვნების რა დონის ასამოქმედებელი კითხვების გამოყენება დაგჭირდებათ.

რა ტიპის კითხვის დასმას აპირებთ. ცნობილია შემდეგი ტიპის კითხვები:

დახურული კითხვა, რომელზეც არსებობს ერთი სწორი პასუხი. ამით მასწავლებელი ამოწმებს მოსწავლის ცოდნას კონკრეტული საკითხის შესახებ. მაგ. როგორ გამოვითვალოთ სამკუთხედის ფართობი?

ღია კითხვა, როდესაც პასუხი არ არის ცალსახა, იგი შეიძლება იყოს მრავალნაირი.

- ***კონტრშეკითხვა***, როდესაც მასწავლებელი კითხვის დამსმელს უბრუნებს კითხვას. ეს შეიძლება მოპასუხემ გამოიყენოს, როდესაც სურს პასუხისაგან თავი აირიდოს, ან კითხვას ამარტივებს და უბრუნებს კითხვის დამსმენლს იმ ფორმით, რომ თავად შეძლოს პასუხის გაცემას. მაგ: რატომ მეკითხები? შემიძლია გავაგრძელო?"
- ***შებრუნებული შეკითხვა***, როდესაც მასწავლებელი მისდამი დასმულ კითხვას მიმართავს კლასისკენ. მასწავლებელი ამ ხერხს მიმართავს, როდესაც უნდა კლასის აქტივობა გაზარდოს. მაგ. "თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?"
- ***ალტერნატიული შეკითხვა***, როდესაც მოპასუხემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ორ ან მეტ ვარიანტს შორის. მაგ. სად გირჩევნიათ ექსკურსიაზე წასვლა სიღნაღში, ბათუმში, თუ ქუთაისში?
- ***მანიპულაციური შეკითხვა***, როდესაც მასწავლებელი ცდილობს მოპასუხის მანიპილირებას. მაგ. "დარწმუნებული ვარ, შენც ფიქრობ რომ..."
- ***რიტორიკული შეკითხვა***, როდესაც მასწავლებელი სვამს კითხვას და პასუხს არ მოელის მაგ. "როდემდე გაგრძელდება თქვენი უპასუხისმგებლობა?"

აქტიური მოსმენის დროს მეტწილად ღია კითხვები გამოიყენება. დაუშვებელია მასწავლებელმა გამოიყენოს მანიპულაციური შეკითხვა, რომელიც წინასწარ შეიცავს პასუხს. ასეთი სახის შეკითხვა წინასწარ უბიძგებს მასწავლებელს კონკრეტული პასუხისკენ.

- განსაზღვრეთ შეკითხვების შინაარსი, შეარჩიეთ შესაბამისი მასალა. კითხვა დასვით მარტივი, ბავშვისთვის გასაგები ლექსიკით.
- თავი აარიდეთ ბუნდოვანი და ზოგადი კითხვების დასმას.
- შეკითხვების მომზადების დროს წინასწარ განსაზღვრეთ მოსწავლეების შესაძლო პასუხები. წინასწარი მომზადება მასწავლებელს დაეხმარება შეკითხვების სწორ ფორმულირებაში, იმის განსაზღვრაში, თუ გაკვეთილის მიზანს რამდენად შეესაბამება დასმული შეკითხვები.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- რა ტიპიურ შეცდომებს მიჰყავს მოსწავლე არასწორი პასუხისაკენ?
- როგორი შეკითხვა უნდა დაისვას: ღია თუ დახურული?
- რა ტიპის პასუხებია მოსალოდნელი მოსწავლისაგან?
- საკმარისია თუ არა მოსწავლემ თავისი სიტყვებით უპასუხოს, თუ მას სჭირდება წიგნის ენის ან სხვა ტერმინების გამოყენება?

- რა სტრატეგიები უნდა იქნას გამოყენებული არასწორი პასუხის შემთხვევაში ან თუ მოსწავლე საერთოდ ვერ უპასუხებს შეკითხვას?

სასურველია, გაკვეთილის დაწყებამდე წინასწარ ჩამოწეროთ დასასმელი შეკითხვები. შეკითხვების სია დაალაგეთ ლოგიკურად: სპეციფიკურიდან ზოგად შეკითხვებამდე, აზროვნების ქვედა დონიდან ზედა დონისკენ. ეს არ გამორიცხავს საჭიროების

გაკვეთილზე:

- ჯერ დასვით შეკითხვა, სანამ რომელიმე კონკრეტული მოსწავლისგან მოითხოვდეთ პასუხს. როდესაც მასწავლებელი გამოიძახებს მოსწავლეს და შემდეგ უსვამს კითხვას, კლასის დანარჩენი ნაწილი ნაკლებად არის მოტივირებული შეკითხვის მოსასმენად და, შესაბამისად, აღარ ფიქრობს პასუხზე.
  მასწავლებელმა შეიძლება კითხვით მიმართოს ერთ რომელიმე კონკრეტულ მოსწავლეს მაშინ, როცა სურს შეამოწმოს მისი ცოდნა, ან ჩართოს იგი საგაკვეთილო პროცესში. როდესაც კითხვა მიმართულია არა ერთი კონკრეტული ბავშვისკენ, არამედ მთელი კლასისკენ, მოსწავლეთა ჩართულობა და პასუხისმგებლობა იზრდება..

- დაიცავით ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა. ყოველი მომდევნო კითხვა უნდა გამომდინარეობდეს წინა კითხვის პასუხიდან.
- მოსწავლეს მიეცით პასუხის მოფიქრებისთვის სათანადო დრო.
- არასოდეს უპასუხოთ თქვენ დასმულ შეკითხვას თავად, ამ დროს მოსწავლეს ფიქრის მოტივაცია უქვეითდება
- თუ მოსწავლე ვერ იგებს შეკითხვას, მოახდინეთ შეკითხვის უფრო მარტივად ფორმულირება, მიეცით მინიშნებები, რომ შეძლოს სწორი პასუხის ფორმულირება. თუ მაინც ვერ პასუხობს, მიეცით პასუხის რამდენიმე ვარიანტი და სთხოვეთ ამოირჩიოს სწორი პასუხი.
- ყველა მოსწავლეს მიეცით პასუხის გაცემის შესაძლებლობა. თუ მოსწავლე მზად არ არის პასუხისთვის, მიეცით შესაძლებლობა, თავი შეიკავოს პასუხისაგან და მოგვიანებით დაუსვით სხვა შეკითხვა.
- არ მიმართოთ შეკითხვით მხოლოდ წარმატებულ მოსწავლეს.
- არ გაუკეთოთ იგნორირება მოსწავლეთა პასუხებს. ყოველთვის დაუფასეთ მას არასწორი პასუხი გარკვეული პოზიტიური თუ კონსტრუქციული გამოხმაურებით.
- როცა მოსწავლე პასუხის დროს უშვებს შეცდომას, დამაზუსტებელი კითხვებით თავად მიიყვანეთ სწორ პასუხამდე, რომ მან შეძლოს შეცდომის გამოსწორება და წარმატების მიღწევა.
- მოსწავლეთა პასუხებზე გააკეთეთ დასკვნები.

- დასვით ისეთი შეკითხვები, რომლებიც მოსწავლეს საკითხის ღრმა შესწავლისაკენ უბიძგებს მაგ. დაუკავშირეთ ნასწავლი საკუთარ გამოცდილებას...
- გამოიყენეთ აზროვნების ზედა დონეების (ანალიზი, სინთეზი, შეფასება) ასამოქმედებელი მეთოდიკები.

ერთ-ერთი მეთოდიკა მასწავლებლის მიერ დამაზუსტებელი შეკითხვების დასმაა, რომელიც მოსწავლეს სწორი მიმართულებით წაიყვანს. ამ მეთოდიკას მასწავლებელმა იმ შემთხვევაში უნდა მიმართოს, როდესაც მოსწავლეს ეძლევა რთული დავალება და იგი ვერ ახერხებს მის გადაჭრას დამოუკიდებლად. მასწავლებელმა ამ დროს უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ცოდნის დონე და ამის მიხედვით შეარჩიოს დამაზუსტებელი შეკითხვები და შემდეგ ნაბიჯ-ნაბიჯ ავიდეს ზემოთ.

შეჯამება

როგორც ვნახეთ, კომუნიკაციის პროცესი ძალიან კომპლექსურია და მას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის პროცესში. მასწავლებელი ძალიან დიდი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს კომუნიკაციის უნარის განვითარებას და ცდილობდეს მის გამოყენებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის პრაქტიკული რეკომენდაციები:

- ✓ ვერბალური კომუნიკაციისას გამოყენებული ტექსტი, სიტყვები მიუსადაგეთ მოსწავლეთა ცოდნასა და გამოცდილებას;
- ✓ ყოველთვის მოარგეთ თქვენი კომუნიკაცია აუდიტორიას;
- ✓ გაითვალისწინეთ თქვენი პოზიციის საწინააღმდეგო პოზიციაც (კონტრარგუმენტები);
- ✓ იზრუნეთ ვერბალური ინფორმაციის ორგანიზებაზე - დაუკავშირეთ საკითხები ერთმანეთს, გამოყავით ძირითადი იდეები, თვალსაჩინო და ნათელი გახადეთ სათქმელი.
- ✓ არ იყოთ მონოტონურები, ცვალეთ საუბრის ტემპი, ტემბრი, ინტონაცია;
- ✓ თავი აარიდეთ "ფიზიკურ მონოტონურობასაც", მაგრამ გადამეტებულ ჟესტიკულაციასაც ნუ გამოიყენებთ;
- ✓ მოწესრიგებული შედით საკლასო ოთახში;
- ✓ გადაადგილდით საკლასო ოთახში, მიუახლოვდით თითოეულ ბავშვს, ამით მათ აგრძნობინებთ, რომ თქვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი;
- ✓ იყავით ყურადღებიანი მსმენელი. გახსოვდეთ, რომ მოსმენა აქტიური პროცესია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეფექტური კომუნიკაცია.
- ✓ არ დაგავიწყდეთ თვალის კონტაქტის მნიშვნელობა, მაგრამ აქაც სიფრთხილეა საჭირო, რომ თვალით კონტაქტი არ გადაიზარდოს დაჟინებულ მზერაში;
- ✓ მიანიჭეთ კომუნიკაციას ზომიერი ემოციურობა;

- ✓ გაამდიდრეთ კომუნიკაციის პროცესი ანალოგიების, მეტაფორებისა და მაგალითების გამოყენებით. ეს მოსწავლეებში გაზრდის ინტერესს, რაც აუცილებელი წინაპირობაა უკეთესი სწავლისთვის;
- ✓ ნუ მიეჯაჭვებით კომუნიკაციის რომელიმე ერთ ფორმასა და მეთოდს.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს ისეთი საკომუნიკაციო უნარის განვითარებაში, როგორიც არის პრეზენტაცია:

სკოლის დასრულების შემდეგ მოზარდს უნდა შეეძლოს **კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან.** მასწავლებლის მოვალეობაა საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, რაც არა მხოლოდ წერას, კითხვას, მოსმენასა და მეტყველებას გულისხმობს, არამედ მათ მიერ შესრულებული შემოქმედებითი ან კვლევითი ნამუშევრების პრეზენტაციასაც. ეფექტურმა პრეზენტაციამ შესაძლოა მიჩქმალოს ის ნაკლები, რაც შესრულებულ სამუშაოში შეიძლება გაიპაროს. მაშინ, როცა, ნაკლოვანმა პრეზენტაციამ შესაძლოა უზადოდ შესრულებული ნაშრომი დაჩრთილოს. ამდენად, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პრეზენტაციის უნარ-ჩვევების განვითარებას. თუკი სხვადასხვა საგანში პრეზენტაციები სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდება, მოზარდები ბევრად უფრო მომზადებულები შეხვდებიან ცხოვრების გამოწვევებს. ამავდროულად სასწავლო პროცესი ბევრად საინტერესო და მრავალფეროვანი გახდება. ამდენად, მასწავლებელი არა მხოლოდ თავად უნდა იყოს კარგი პრეზენტატორი, არამედ მოსწავლეებსაც უნდა განუვითაროს ეს უნარი.

პრეზენტაციის რა ძირითად კომპონენტებზე უნდა გაამახვილებინოს მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღება?

- სასურველია, მოსწავლეების მიერ გაკეთებული პრეზენტაცია იყოს ლოგიკური და ლაკონური (არაუმეტეს 10-15 წუთისა);
- პრეზენტაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორიის მომზადება, ინტერესები და მოლოდინები;
- პრეზენტაცია უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან - შესავალი, ძირითად ნაწილი და დასკვნები. მოსწავლეს უნდა ავუხსნათ, რომ ეფექტური დასაწყისით მოიპოვებ მსმენელს. ამიტომ ეს ფაზა განსაკუთრებული ძალისხმევით უნდა იყოს მომზადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს საშიშროება, რომ თანაკლასელთა, თუ სხვა მსმენელთა დიდმა ნაწილმა პრეზენტაციის დასაწყისიდანვე არ დაუგდონ ყური და პასიურ მსმენელებად იქცნენ. ხოლო დასასრული ამთლიანებს პრეზენტაციას და მეხსიერებაში რჩება მსმენელს. პრეზენტაციის სუსტი მხარეები, რომლებიც მოხსენების შუაში შეიძლება გაგვეპაროს, დავიწყებას ეძლევა, თუ დასასრული იქნება

ლოგიკური, გააზრებული და შინაარსობრივი. მოსწავლემ ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ შეძლებისდაგვარად პოზიტიურად დაასრულოს პრეზენტაცია, ეს დაეხმარება მსმენელებს, კარგი განწყობით დატოვონ აუდიტორია. სასურველია, პრეზენტაცია ისე დასრულდეს, რომ აუდიტორიას დაუტოვოს საფიქრელი.

- მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ პრეზენტაცია არ იყოს მხოლოდ თეორიულ მასალებზე დაფუძნებული. ის უნდა შეივსოს საინტერესო მაგალითებით. მოყვანილი მაგალითები უნდა იყოს თემის შესატყვისი. სწორედ საინტერესო მაგალითები იძლევა საშუალებას, აუდიტორიამ უკეთ დაიმახსოვროს თემა.
- პრეზენტაციის შესავალ ნაწილში სასურველია მოსწავლე მსმენელებს თუ გააცნობს პრეზენტაციის გეგმას (რა საკითხებს შეეხება და რა თანმიმდევრობით) და ყოველი ნაწილის დასრულების შემდეგ ერთ წინადადებაში შეაჯამამებს მათ. ასეთი მიდგომა პრეზენტაციას სტრუქტურირებულ სახეს აძლევს, რაც მსმენელს უადვილებს მოსმენილის აღქმაში.
- მოსწავლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ რესურსების სწორი ჩართვა პრეზენტაციას ეფექტურს ხდის. თუმცა ცუდ პრეზენტაციას ვერანაირი მიგნებული ვიზუალიზაცია (Power Point-ი, ვიდეოფილმები, სტენდები და სხვ.) ვერ გახდის საინტერესოს. ასევე, გაუაზრებლად ჩართულმა ვიზუალიზაციამ შესაძლებელია კარგი პრეზენტაცია დაანგრიოს.

თვალსაჩინოება შეიძლება იყოს ორი ტიპის: ა. ტექსტური და ბ. გრაფიკული. ისინი წარმოადგენენ მოხსენების მნიშვნელოვან დანამატს.

ა. ტექსტურში წარმოჩენილი უნდა იყოს მთავარი დებულებები/პოსტულატები, რაც აუდიტორიის მხედველობითი მეხსიერების გამოყენების საშუალებას იძლევა და ადვილად ამახსოვრებინებს საკითხს. დებულება/პოსტულატი უნდა ეწეროს გარკვევით, დიდი შრიფტით და არ აღემატებოდეს 4-5 ხაზს.

ბ. გრაფიკული შეიძლება იყოს სქემა, დიაგრამა, ცხრილი, რუკა, ფოტო, ნახატი. აუცილებელია, ილუსტრაცია თემატურად ასახავდეს საკითხს/საკითხებს, ავსებდეს გამოსვლას. მიუღებელია ძნელად აღქმადი თვალსაჩინოების წარდგენა, გათვალისწინებული უნდა იყოს აუდიტორიის ზომა ისე, რომ თუნდაც ბოლო რიგში მჯდომმა მოახერხოს წარმოდგენილის დანახვა.

საჭიროა, ვიზუალური მასალა პრეზენტატორს გამოსვლაში ჰქონდეს ჩართული, აუდიტორიას მასზე ამახვილებინებდეს ყურადღებას. პრეზენტატორი არ უნდა კითხულობდეს წარწერებს, უმჯობესია, პოსტულატებს თავად ხსნიდეს ან მათ პერიფრაზირებას ახდენდეს.

უბრალოდ, ვიზუალური მასალა წინასწარ განსაზღვრული ლოგიკური ჯაჭვის მიყოლის საშუალებას იძლევა. ამავდროულად, აუდიტორიას საშუალებას აძლევს, ძირითად იდეებს ადვილად მიადევნოს თვალი.

- მოსწავლეს უნდა ვასწავლოთ პრეზენტაციის დროს არავერბალური კომუნიკაციის - ხმის ტემბრი, სხეულის ენა/ჟესტიკულაციის სწორი გამოყენება.

მასასადამე, როგორ უნდა მემზადოს მოსწავლე გააზრებული პრეზენტაციისთვის?

- *პრეზენტაციის შინაარსის განსაზღვრა - რის პრეზენტაციას ვაკეთებ, რა არის ჩემი მიზანი?*
- *პრეზენტაციის სტრუქტურის განსაზღვრა - როგორ შემიძლია იგი ყველაზე უკეთ წარმოვადგინო?*
- *პრეზენტაციის პროცესში რესურსების გამოყენება - როგორ შემიძლია პრეზენტაციის შინაარსის აღქმა გავაადვილო?*

როგორ უნდა შეფასდეს პრეზენტაცია?

მასწავლებელმა წინასწარ უნდა შეადგინოს პრეზენტაციის შესაფასებელი კრიტერიუმები. სასურველია, ეს კრიტერიუმები მოსწავლეებთან ერთად იყოს შედგენილი. მათთან ერთად განხილვა აუცილებელია, რადგან ამით წინასწარ ხვდებიან თუ რას მიექცევა მეტი ყურადღება, რის გამო შეიძლება მიიღონ არასასურველი ქულა. მოსწავლის პრეზანტაციის დროს მასწავლებელმა უნდა ჩაინიშნოს პრეზენტატორის ძლიერი და სუსტი მხარეები. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კი მათ უნდა მისცეს უკუკავშირი.

გთავაზობთ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმებს. რამდენად საინტერესო იყო შესავალი ნაწილი

- რამდენად გამოკვეთილად იყო ჩამოყალიბებული თეზისი
- რამდენად დამაჯერებელი იყო არგუმენტაცია
- რამდენად გამყარებული იყო მსჯელობა კონკრეტული მაგალითებითა და ფაქტებით
- რამდენად შემაჯამებელი იყო პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილი
- რამდენად საინტერესო და ორიგინალური იყო საპრეზენტაციო თემა
- რამდენად დაცული იყო მსჯელობის ნაწილებს შორის ბალანსი
- რამდენად მოიპოვა პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღება
- რამდენად შესძლო პრეზენტატორმა აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება პრეზენტაციის ბოლომდე

- რამდენად მოზომილი და მიზნობრივი იყო პრეზენტატორის ჟესტიკულაცია და მანერები
- რამდენად სძლია პრეზენტატორმა ნერვიულობის ზოგად ფონს
- რამდენად თამამად და დამაჯერებლად გასცა მან მსმენელების მიერ დასმულ კითხვებს პასუხი
- რამდენად დაიცვა პრეზენტატორმა საპრეზენტაციო რეგლამენტი
- რამდენად იყო პრეზენტატორი მომზადებული ზეპირი მეტყველებისათვის, მიეჯაჭვა თუ არა იგი ბარათებს, ფურცლებს, მასალას
- რამდენად ეფექტურად იყენებდა პრეზენტატორი თვალსაჩინოებებს

კრიტერიუმები შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცხრილის სახით, რაც მოსწავლეებს გაუადვილებს შეფასებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

Vacano, Kornelia (2001). Professionelle Gesprächs- und Verhandlungsführung
Knill, Hildegard (1998) Hören-Hinhören-Zuhören
Georg E. Becker (2007) Durchführung von Unterricht
Eslinger-Hinz Ilona, Unseld Georg u.a. (2007). Guter Unterricht als Planungsaufgabe (Ein Studien- und Arbeitsbuch zur Grundlegung unterrichtlicher Basiskompetenzen). Bad Heilbrunn: Julius Klinkhardt
ვულფოლკი ა. (2009) განათლების ფსიქოლოგია, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
კუტალაძე ი. (რედ.) (2010) ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.

სარჯველაძე ნ. () ეფექტური კომუნიკაცია
სუმბაძე ნ., მახარაძე თ. (2010) ინტერპერსონალური კომუნიკაცია
სწავლება და შეფასება (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა “სა

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება (2007) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

მოტივაცია

მიზანი: სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელი ეფექტური სტრატეგიების გამოყენება

ამოცანები: მოტივაციის არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერება

მოტივაციისადმი ძირითადი თეორიული პერსპექტივების გაანალიზება

აბრაამ მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიისა და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების

გაანალიზება

მოტივაციის ამაღლების სტარტეგიების გაცნობა

მოსწავლეთა პიროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მოტივაციის სტრატეგიის შერჩევა

განსახილველი თემატიკა

1. მოტივაციის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში
2. რა არის მოტივაცია? შინაგანი და გარეგანი მოტივაცია
3. აბრაამ მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორია
4. ძირითადი თეორიული მიდგომები მოტივაციისადმი
   - ბიჰევიორისტული მიდგომა
   - კოგნიტური მიდგომა
5. პიროვნული ფაქტორების გავლენა მოტივაციაზე
   - თვითგანსაზღვრა
   - მიზნები
   - ინტერესები და ემოციები
   - თვითეფექტურობა
6. სკოლაში სწავლის მოტივაციის გაზრდის სტრატეგიები – TARGET მოდელი
   - **T**-task სასწავლო ამოცანების ეფექტურად ჩამოყალიბება
   - **A**-autonomy მოსწავლის ავტნომიისა და არჩევანის უფლების მხარდაჭერა
   - **R**-recognition მიღწევის აღიარება და მოწონება
   - **G**-grouping ეფექტურად დაჯგუფება
   - **E**-evaluation შეფასების ეფექტური სტრატეგიები
   - **T**-time დროის ეფექტურად სტრუქტურირება

1. მოტივაციის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

სწავლების პროცესის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას მოსწავლეებში სწავლის სურვილის გაღვივება წარმოადგენს. როგორ გავზარდოთ მოსწავლეებში სწავლის მოტივაცია? სწავლის მოტივაციის გაზრდის ტრადიციული მეთოდი გულისხმობდა მოსწავლეების „დამოძღვრას“ სწავლის სიკეთისა და სარგებელის შესახებ; თუმცა, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ეს მოდგომა ეფექტური არ აღმოჩნდა.

თანამედროვე პირობებში სწავლისადმი მოტივაციის გაჩენა/განვითარება კიდევ უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიები ბავშვის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა; ბევრი მათგანი მათ გამოყენებას სასწავლო პროცესშიც მოელის, ამიტომ ზოგჯერ ტრადიციული გაკვეთილები მოსაწყენად ეჩვენებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სწავლისადმი მათ მოტივაციას.

ალბათ, ყველა მასწავლებელი დაეთანხმება მოსაზრებას, რომ მოტივაცია სასწავლო პროცესესის კრიტიკულ ფაქტორს წარმოადგენს. ზოგიერთი ბავშვი სწავლისადმი შინაგანად მომართულია და დიდ ენთუზიაზმს ამჟღავნებს; სხვებს კი სწავლისადმი მოტივაციის გასაღვივებლად დამატებითი სტიმულაცია, წახალისება სჭირდება და ამას მასწავლებლისგან მოელიან. იმისთვის, რომ მასწავლებელმა ამ რთულ ამოცანას წარმატებით გაართვას თავი, ის კარგად უნდა ერკვეოდეს იმ ფაქტორებში, რომელიც სწავლისადმი მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება/შესუსტებაზე მოქმედებს. ეს ფაქტორები შეიძლება დაკავშირებული იყოს მოსწავლის შინაგან მდგომარეობასთან, მის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან ან შეიძლება გარემოს გავლენას უკავშირდებოდეს. მაგალითად, რატომაა, რომ ერთი მოსწავლე გულმოდგინედ აკეთებს დავალებას, მეორე კი ტელევიზორის ყურებას არჩევს; ან რატომ იწყებს ზოგი მოსწავლე დავალების შესრულებას მაშინვე, ზოგი კი დროს ფლანგავს. რატომ არის რომ ერთი მოსწავლე ყურდღებით და დიდი ჩართულობით ასრულებს დავალებას, სხვა კი დავალებას მექანიკურად აკეთებს და ერთი სული აქვს, როდის დაასრულებს. რატომ არის, რომ ერთი მოსწავლე ახალი მასალის სწავლას პირველივე დაბრკოლებისას ანებებს თავს, სხვა კი წაიკითხავს იმდენჯერ, რამდენიც მის გასაგებად არის საჭირო. როგორც ვხედავთ, სწავლასა და მოტივაციაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ ფაქტორების განსხვავებული კომბინაცია მოსწავლეთა განსხვავებულ ტიპებს გვაძლევს. ქვემოთ მოცემულია სხვადსხვა მოტივაციის მქონე მოსწავლეთა ტიპები, რომლებშიც მასწავლებლები ბევრ თავიანთ მოსწავლეს ამოიცნობენ (მოსწავლეთა ტიპოლოგია ადაპტირებულია სახელმძღანელოდან – ვულფოლკლი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა:

პესიმისტი გიორგი: როგორც ყოველთვის, არც კი იწყებს საქმეს და ერთთავად იმას იმეორებს, რომ ვერაფერი გაიგო, ან ეს დავალება ძალიან რთულია, როცა ის სწორად პასუხობს თქვენ კითხვებს, ამბობს, რომ უბრალოდ

„გაარტყა“ და რეალურად არ იცის, რას ამბობს. დიდ დროს იმის გარკვევას ანდომებს, რაშია საქმე და სულ უკან და უკან იწევს.

გაუბედავი ლადო: ყოველ ნაბიჯს ამოწმებს, სურს კარგად გამოჩნდეს. თქვენ მას ერთხელ დამატებითი ქულები დაუწერეთ რომელიღაც აპარატის დახატვის გამო და ახლა ყოველთვის აკეთებს ამას ლაბორატორიისთვის. მაგრამ ლადო არასოდეს გარისკავს, მიიღოს შეფასება. თუ მისგან ამას არ ითხოვენ ან გამოცდაზე არაა, ლადო არ არის დაინტერესებული.

კმაყოფილი ლევანი: დაინტერესებულია ამ პროექტით. ფაქტობრივაბად, მან თქვენზე მეტი იცის ამის შესახებ. ის საათობით კითხულობს წიგნებს ქიმიასა და ექსპერიმენტებზე. მაგრამ მისი შეფასება საშუალოსა და კარგს შორის მერყეობს, რადგან ის კმაყოფილია იმითაც, რისი მიღებაც ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლია.

მარიამი, რომელიც ყოველთვის თავს იცავს: ისევ არ აქვს სახელმძღვანელო და იძულებულია სხვა მოსწავლესთან ერთად ისარგებლოს ერთი წიგნით. თავს ისე გაჩვენებთ, თითქოს მუშაობს, მაგრამ სინამდვილეში მთელს დროს ღლაბუცში ატარებს და როგორც კი ზურგს შეაქცევთ, ცდილობს სხვა მოსწავლეებისგან გაიგოს პასუხი: ის თავად არასოდეს ინდომებს, რადგან ეშინია, რომ თუ არ გამოუვა, ყველა იფიქრებს, რომ სულელია.

შფოთიანი ნინო: საუკეთესო მოსწავლეა თითქმის ყველა საგანში, მაგრამ როცა გამოცდებზე მიდგება საქმე და კლასის წინაშე უწევს გამოსვლა, ყველაფერი „ავიწყდება“, რაც იცის. მისი მშობლები მეცნიერები არიან და მისგანაც ამ გზის გაგრძელებას ელიან, თუმცა მისი მომვალი გაურკვეველი ჩანს.

თითოეულ ზემოგანხილულ მოსწავლეს მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს:

დათოს შემთხვევაში საქმე გვაქვს დასწავლილ უმწეობასთან, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ.

ლადო გარეგანი ფაქტორებით მოტივირებული მოსწავლეა, მისთის პრიორიტეტულია ის, თუ როგორ წარმოჩინდება, ეშინია მარცხის და უნარს განიხილავს, როგორც სტაბილურ, ფიქსირებულ რამეს.

ლევანი შინაგანი ფაქტორებით მოტივირებული მოსწავლის მაგალითია. მისი მიზანია ისწავლოს, მაგრამ მხოლოდ ის უნდა, რომ ნორმალურად, დამაკმაყოფილებლად წარმოჩინდეს.

მარიამი გარეგანი ფაქტორებით მოტივირებული მოსწავლეა. მას აღელვეს ის, თუ როგორ წარმოჩინდება; ეშინია მარცხის და უნარებსაც განიხილას, როგორც

ფიქსირებულს. ის მალე შეიძლება იქცეს მოსწავლედ, რომლელიც მარცხს შეეგუება.

ნინო არის მოსწავლე, რომელსაც აქვს შფოთვა და ეს უარყოფითად მოქმედებს მის მოტივაციაზე.

2. რა არის მოტივაცია?

მოტივაცია განსაზღვრულია, როგორც ***შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას.*** პედაგოგიკასა და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ტერმინს „ მოტივაცია“ იყენებენ მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის, მისი სწავლის მიმართ ინტერესისა და დადებითი განწყობის აღნიშვნისთვის. ჩვეულებრივ მეტყველებაში მოტივაციაში იგულისხმება ის, რაც ადამიანს ამოძრავებს, აძლევს მიმართულებას, გეზს. ეს გავლენა შეიძლება მოდიოდეს როგორც პიროვნების შიგნიდან (ინტერნალური ფაქტორები, როგორიცაა მოთხოვნილებები, ინტერესები, ცნობისმოყვარეობა), ისე გარედან (ექსტერნალური ფაქტორები, როგორიცაა ჯილდო, სოციალური ზეწოლა, დასჯა და სხვა).

იმის მიხედვით, თუ რა აღძრავს ადამიანის ინტერესს, რა განაპირობებს მის ქცევას, განასხვავებენ მოტივაციის ორ ფორმას შინაგან და გარეგან მოტივაციას.

შინაგანი მოტივაცია არის ტენდენცია – მიღწეულ იქნეს მიზნები საკუთარი ინტერესებისა და უნარების კვალდაკვალ. როდესაც ჩვენ შინაგანად ვართ მოტივირებული, ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია წახალისება და ჯილდო, რადგანაც თვითონ აქტივობა თავისთავად წარმოადგენს ჯილდოს. ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ მაგალითში, ლევანი იმიტომ სწავლობს ქიმიას სკოლის გარეთაც, რომ მას ეს უნდა და მოსწონს და არა იმიტომ, რომ მას მაღალი ქულის მიღება სურს ან უნდა კლასში კარგად წარმოჩინდეს. ჩვეულებრივ, ინტერნალური მოტივების შეცვლა საკმაოდ რთულია და თუ ცვლილება მაინც ხდება, ეს საკმაოდ ნელი პროცესია. საწყის ეტაპზე განხორციელებული ცვლილება ძალიან მყიფეა და პედაგოგმა უნდა მოახერხოს საჭირო სტიმულაციით მისი გამყარება.

ამის საპირისპირო ტენდენციაა, როცა რაღაცას კარგი შეფასებისთვის, დასჯის თავის აცილების მიზნით, თავის კარგად წარმოჩენის, მასწავლებლის სიამოვნებისთვის ან ამოცანასთან დაკავშირებულ რაიმე სხვა მიზეზით ვაკეთებთ. ***ეს გარეგანი მოტივაციაა.*** ამ დროს ჩვენ ქცევას იმიტომ არ ვახორციელებთ, რომ თავად ის გვაინტერესებს, არამედ ჩვენ ის გვაინტერესებს, რას მოგვიტანს ეს ქცევა. ჩვენს შემთხვევაში განხილული ლადო შეფასებითისთვის ირჯება, მას თვითონ საგანი ნაკლებად აინტერესებს. გარეგანი მოტივაცია ქცევაზე გავლენის მოსახდენად სხვადასხვა სახის ჯილდოს იყენებს. დაჯილდოვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ წაახალისოს მოსწავლეები, რათა მათ უფრო ბეჯითად იმუშაონ. იდეალურ შემთხვევაში, ჯილდო არასოდეს არ უნდა გადაიქცეს სამუშაოს კარგად შესრულების

ერთადერთ მიზეზად. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელმა ჯილდო საკმაოდ მომჭირნედ უნდა გამოიყენოს.

თანამედროვე კვლევები ცალსახად მხარს უჭერენ ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც მოსწავლეს სწავლის შინაგანი მოტივაცია გააჩნია. მოსწავლეებს სწავლისადმი მეტი მოტივაცია უჩნდებათ, როდესაც მათ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევათ, მათ წინაშე მდგარი ამოცანები მათ უნარებს შეესაბამება და ისეთ ჯილდოს იღებენ, რომელიც გაკონტროლების ხასიათს არ ატარებს.

თეორეთიკოსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ შინაგანი და გარეგანი მოტივები ურთიერთდაკავშირებულია და ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. ამ მოსაზრებას მივყავართ იმ ფაქტის აღიარებამდე, რომ გარკვეული პირობების არსებობისას გარეგანი, გარემოსთან დაკავშირებული ფაქტორები შეიძლება გამოყენებული იყოს შინაგან ფაქტორებზე გავლენის მოსახდენად. ქვემოთ მოცემულ სქემაზე ნაჩვენებია, თუ სხვადსხვა ფაქტორები როგორ მოქმედებენ მოსწავლის მოტივაციაზე. განვიხილოთ ამ სქემის მუშაობა უფრო დეტალურად.

სქემა 1. მოტივაციაზე სხვადსხვა ფაქტორების გავლენა



2.1 კოგნიტური ფაქტორების გავლენა მოტივაციაზე

მოსწავლეები, როგორც ზოგადად ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი, მოვლენებზე მათი აღქმის შესაბამისად რეაგირებენ. ერთი და იგივე მოვლენას

ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ. ადამიანის მიერ მოვლენის აღქმა ეფუძნება მის დამოკიდებულებებს, საჭიროებებს, ინტრესებს, კმაყოფილებას და სხვა. შესაბამისად, იგივე ფაქტორები მოქმედებენ მოსწავლის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიტუაციის აღქმაზე და მის მოტივაციას განაპირობებენ.

- **მოსწავლის დამოკიდებულბები (ატიტუდები)**

ზოგიერთ მოსწავლეს შეიძლება ზოგადად უყვარს სკოლა და დასაწყისშივე შეუყვარდა თქვენი საგანი, ზოგიერთს კი სკოლა სძულს და თქვენი საგანიც სრულებით არ აინტერესებს. სკოლისა და საგნისადმი ამგვარი წინასწარ არსებული დამოკიდებულებები მოსწავლის წინა გამოცდილებას უკავშირდება: ზოგიერთს მოსწონს თქვენი საგანი, რადგან ის საინტერესოდ და ადვილად ეჩვენება, სხვებისთვის კი პირიქით – მოსაწყენი და რთულია. ამ შემთხვევაში, თქვენი ამოცანაა მოსწავლის ნეგატიურ დამოკიდებულბებზე მუშაობა და მათი შეცვლა. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან არ შეგიძლიათ მოსწავლის დამოკიდებულებების შეცვლა მისი სურვილის გარეშე – თქვენ არ შეგიძლიათ აიძულოთ მოსწავლე მოსწონდეს სკოლა და თქვენი საგანი. საჭირო ცვლილებების გასატარებლად, ინოვაციური ტექნიკიების გამოყენებაა საჭირო.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სკოლასა და სწავლისადმი ნეგატიური აზროვნების საწინააღმეგო მხარის ჩვენება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ მოსწავლეს სკოლის ღირებულება უნდა დაანახოთ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლე უნდა დაარწმუნოთ, რომ სკოლაში შეძენილი ცოდნა მნიშვნელოვანია ცხოვრებაში საჭირო უნარების გასავითარებლად და წარმატებული პროფესიული კარიერისთვის. ამის მიღწევის ერთი–ერთი ხერხს მოსწავლეებთან შესახვედრად წარმატებული ადამიანების მოწვევა წარმოადგენს. ესენი შეიძლება იყვნენ წარმატებული ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები – ისინი, ვისაც საზოგადოებაში მათი მიღწევების გამო პატივს სცემენ. სკოლისა და სწავლის მნიშვნელობის შესახებ მათი აზრის მოსმენა მოსწავლეებზე უფრო დამარწმუნებლად მოქმედებს, ვიდრე წიგნებში წაკითხული ინფომრაცია.

მეორე, მოსწავლეებს ხშირად აღელვებთ კონკრეტული საგნის რელევანტობის საკითხი – მაგალითად, რატომ უნდა ვისწავლო ფიზიკა, როდესაც ჟურნალისტობას ვაპირებ? ამ კითხვაზე დამარწმუნებელი პასუხის გასაცემად კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ მიმოიხილავთ ამ საგნის ზოგად მნიშვნელოვნებას და ყურადრებას გაამახვილებთ იმაზე, თუ რატომ უნდა იცოდეს ყველა ადამიანმა ფიზიკის ძირითადი ელემენტები.

და მესამე, თუ თქვენ აპირებთ მოსწავლეებში სკოლასა და სწავლისადმი მოტივაციის გაზრდას, აუცილებლად უნდა ჩართოთ ისინი საკუთარი სწავლების პროცესში და გააღვიძოთ მათი ინტერესი. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრიელბით ქვემოთ გავექნება საუბარი.

- **მოსწავლის მოთხოვნილებები**

მოთხოვნილება შეიძლება განხილული იყოს, როგორც „ადამიანის ორგანიზმში ნებისმიერი სახის დეფიციტი, რისი არსებობაც აუცილებელია, ან პიროვნება ფიქრობს რომ აუცილებელია, მისი ზოგადი კეთილდღეობისთვის“. ბუნებრივია, მოსწავლეები კლასში განსხვავებული მოთხოვნილებებით შემოდიან. ადამიანში არსებულ მოთხოვნილებათა იერარქიასა და მოტივაციაზე მათ გავლენაზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი, როდესაც მასლოუს თეორიას განვიხილავთ.

დღეს საგანმანათლებლო სისტემა აღიარებს, რომ თუ მოსწავლის ბაზისური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ არის, მათ სწავლაში სირთულეები შეექმნებათ. ზოგიერთ ქვეყანაში ამ მოსაზრებას სკოლაში მოსწავლეებისთვის უფასო საუზმისა და ლანჩის შემოღებით უპასუხეს. როდესაც მოსწავლებს არ აქვს მიკუთვნებულობის განცდა, როდესაც თვლის რომ ის არ უყვართ და სასურველი არ არის, ასევე მოსალოდნელია, რომ მას სწავლაში პრობლემები შეექმნება.

ყველა მოსწავლეს აქვს მიღწევისა და წარუმატებლობის თავიდან აცილების მოთხოვნილება. შესაბამისად, ისინი მიმართულნი იქნებიან ჩაერთონ ისეთ აქტივობაში, რაც მათ მიღწევის გაზრდაში დაეხმარება და ამავე დროს წარუმატებლობის შესაძლებელობას მინიმუმამდე დაიყვანს. ასე რომ, დაგეგმვის დროს აუცილებლად გაითვალისწინეთ, მოსწავლეებიდან ვის აქვს მიღწევის მაღალი და დაბალი მოთხოვნილება, ვის აქვს უფრო მეტად წარუმატებლობის შიში. ეს დაგეხმარებათ მიღწევის მაღალი მოთხოვნილების მქონე მოსწავლეებს უფრო გამომწვევი დავალებები შესთავაზოთ, ხოლო ის ბავშვები, ვინც წრუმატებლობის მიმართ განსაკუთრებულად მგრძნობიარეა, წახალისებისა და გამხნევების შესაბამისი ფორმებით უზრუნველყოთ.

- **ბუნებრივი მოტივები**

ბუნებით ადამიანი ცნობისმოყვარეა. ახალი გამოცდილების მიღება და მოქმედება მისი ბუნებრივი სურვილია. მასაწავლებელმა დაგეგმვისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ბუნებრივი მოტივები. მაგალითად, საგანმანათლებლო თამაშები და თავსატეხები, კომპიუტერით სარგებლობა, ყველა მოსწავლის ბუნებრივ მოტივს წარმაოდგენს. ამიტომ სასწავლო პროცესში მათი გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლის ინტერესისა და ჩართულობის გაზრდას. შეძლებისდაგვარად, მოსწავლეს საკუთარი ინტერესებისა და სურვლიების განხორციელების საშუალება მიეცით.

წახალისების ეფექტური ფორმა შეიძლება იყოს მოსწავლის აღიარება – კლასის წინაშე მისი ნამუშევრის წარმოაჩენა, განსაზღვული სერთიფიკატის ან სიგელის გადაცემა და სხვა. ასევე, მოსწავლის ბუნებრივ მოტივებზე ეფექტურად ზემოქმედების საშუალება შეიძლება იყოს მოსწავლეს მოვცეთ უფლება ჩაერთოს მისთვის მეტად სასურველ აქტივობაში, როგორც ჯილდო მის მიერ კარაგდ

შესრულებული სამუშაოსთვის. ეს შეიძლება იყოს ექსკურსიაზე წასვლა, სპორტული შეჯიბრში მონაწილეობის მიღება, კომპიუტერული თამაშში ჩართვა და სხვა.

2.2 გარემო პირობებთან დაკავშირებული ფაქტორები

რა თქმა უნდა, გაცილებით ადვილია სწავლება, როდესაც მოსწავლეები სწავლისადმი შინაგანად მოტივირებულები არიან. სამწუხაროდ, ხშირად ეს ასე არ არის და სწავლა მოსწავლეების დიდ აღფრთოვანებას არ იწვევს. ამ შემთხვევაში მასწავლებელს მოსწავლეებში სწავლის სურვილის აღძვრაზე უწევს მუშაობა; ამ პროცესში გარემოსთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტორი შეიძლება ეფექტურად იყოს გამოყენებული.

- **საკლასო ოთახის ატმოსფერო**

სკოლასა და საკლასო ოთახში არსებული ატმოსფერო ზოგჯერ წამყვან როლს ასრულებს სწავლის პროცესში. ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფიზიკური გარემო და კლასში არსებული კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში სწავლისადმი მოტივაციის გაღვივებაში. მიმზიდველი საკლასო ოთახი და კლასში არსებული ღია კომუნიკაცია ბავშვებს სწავლისადმი ინტერესის გაძლიერებაში ეხმარება. როდესაც ბავშვებს უფლებას აძლევენ მონაწილეობა მიიღონ საკლასო ოთახის დიზაინსა და მოწყობაში, როგორც წესი, ეს მათ ინტერესსა და მოტივაციაზე დადებით გავლენას ახდენს. საკლასო ოთახის მოწყობის პროცესმა შეიძლება გააძლიეროს კლასის შეჭიდულობა (კოჰესიურობა), ამან კი მოსწავლეებში შეიძლება ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდას შეუწყოს ხელი. რადგან მიკუთვნებულობის განცდა ადამიანის ერთ–ერთ ბაზისურ მოთხოვნილებას წარმოადგენს, ის პოზიტიურ გავლენას ახდენს მოტივაციაზე.

- **მოდელირება**

მოდელირება არის მოტივაციის ერთ–ერთი ეფექტური ტექნიკა, რომლის საშუალებით მოსწავლეებისთვის საპატივცემულო პიროვნება თავისი მოქმედებით მათ სასურველ ღირებულებებსა და ქცევებს გადასცემს. ეს გზავნილი შეიძლება დახვეწილად და შეუმჩნევლად გამოვლინდეს რომელიმე სახის არავერბალურ კომუნიკაციაში. მოსწავლეებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოდელის როლს მასწავლებელი ასრულებს. ხშირად ის ენთუზიაზმი და ინტერესი, რომელსაც მასწავლებელი თავისი საგნის მიმართ ამჟღავნებს, მოსწავლეებს გადაეცემა. შესაბამისად, როდესაც თქვენ გაკვეთილს დაინტერესებული და მოტივირებული ატარებთ, მოსწავლეებს ხშირად უჩნდებათ სურვილი გაიგონ, რა არის ამ საგანში ასეთი საინტერესო და ენთუზიაზმის აღმძვრელი. როგორც თანამედროვე კვლევები აჩვენებს, მართლაც, ენთუზიაზმით აღსავსე მასწავლებლებს კლასში ყოველთვის უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება აქვთ. როგორც ვხედავთ, მასწავლებლის

ენთუზიაზმი პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მოთხოვნილებასთან, ჰქონდეს კარგი მიღწევები.

- ეფექტური დასაწყისი

მასწავლებელმა მოსწავლის ყურადღების მიპყრობა და ინტერესის აღძვრა გაკვეთილის დასაწყისშივე უნდა შესძლოს. გაკვეთილის დაწყებისას მოსწავლის ყურადღებასა და ინტერესზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას – ამინდი, მოახლოვებული არდადეგები, საღამოს დაგეგმილი საფეხბურთო მატჩი და სხვა. ამიტომ მასწავლებელმა უნდა შესძლოს ყურადღების მიპყრობისა და ინტერესის გამოწვევის ტექნიკების ისეთი ფართო რეპერტუარი გამოიყენეოს, რომ ამ ძლიერ კონკურენციას გაუძლოს. ასეთი ტექნიკა შეიძლება იყოს სიჩუმე და პაუზა – ეს მეთოდი განსაკუთრებით მცირე ჯგუფებთან მუშაობისას არის ეფექტური. მასწავლებლის სიჩუმესა და კლასისკენ მიმართულ მის დაჟინებულ მზერას კლასის მხრიდან სიჩუემე და ყურადღება მოჰყვება.

კლასის ყურადღებისა და ინტერესის მისაპყრობად, მასწავლებლები ასევე ხშირად იყენებენ ისეთ ტექნიკას, როგორიცაა გაკვეთილის დაწყება ისეთი თემით, რომელიც მთელი კლასისთვის არის საინტერესო. ეს თემა შეიძლება პირდაპირ კავშირში არ იყოს გაკვეთილის თემასთან. მაგალითად, ცხელ მზიან ამინდზე საუბარი შეიძლება გადაიყვანოთ მზის სისტემის შესახებ დისკუსიაში, ან რომელიმე კოსმეტიკურ ნაწარმზე საუბარი შეიძლება გადაიყვანოთ ქიმიური ელემენტების ურთიერთქმედების შესახებ დისკუსიაში. ამ ტექნიკის გამოყენება მასწავლებლისგან წინასწარ ვარჯიშს მოითხოვს.

გაკვეთილის ეფქტური დასაწყისისთვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განსაზღვრული ჟესტები ან მოძრაობა; შეიძლება გამოიყენოს სურათი ან შესავალი მოსწავლეს გააკეთებინოს. მასწავლებელმა თვითონ უნდა განსაზღვროს, თუ გაკვეთილის დასაწყისის რა ფორმაა ეფექტური ამა თუ იმ კლასში, რადგან კლასები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

- მასწავლებლის მოლოდინები

კვლევები აჩვენებს, რომ მასწავლებლის მოლოდინები დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევებზე. ამ კვლევების მიხედვით, ის მოსწავლეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მხარდამჭერი და მზრუნველი მასწავლებლები ჰყავდათ სასწავლო აქტივობების მიმართ გაცილებით მეტად მოტივირებულნი იყვნენ, ვიდრე ის მოსწავლეები, რომლებიც თვლიდნენ, რომ არამზრუნველი და არამხარდამჭერი მასწავლებლები ჰყავდათ.

მასწავლებელს მოსწავლეების მიმართ მაღალი, მაგრამ რეალისტური მოლოდიენები უნდა ჰქონდეს. „რეალისტური“ ნიშნავს, რომ თქვენი სტანდარტები საკმაოდ მაღალია იმისთვის, რომ მოსწავლეები დააინტერესოს, თუმცა არც იმდენად მაღალი, რომ მათ შესაძლებლობებს აღემატებოდეს და წარუმატებლობის

შემთხვევაში მათი ფრუსტრაცია გამოიწვიოს. იმისთვის რომ მოსწავლე განსაზღვრული მიზნის შესრულებისადმი განეწყოს, მას უნდა სჯეროდეს, რომ ეს მიზანი მიღწევადია. არარეალიტური მიზნების მიღწევისას განცდილი წარუმატებლობა მოსწავლეებში ფრუსტრაციას იწვევს და ნეგატიურად მოქმედებს მათ ინტერსზე.

საინტერესო კვლევები ჩატარდა იმის შესასწავლად, თუ მხარდაჭერისა და წახალისების როგორ ფორმებს იყენებენ მასწავლებლები მაღალი და დაბალი მიღწევების მქონე მოსწავლეების მიმართ. ამ კვლევების თანახმად, მასწავლებელი მეტ მხარდაჭერას გამოხატავს იმ მოსწავლის მიმართ, რომელსაც უფრო უნარიანად თვლის. შესაბამისად, მათ შორის ურთიერთობასაც უფრო პოზიტიური ხასიათი აქვს.

მოსწავლის მოტივაციაზე, მისწრაფებებსა და თვითშეფასებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ის, თუ როგორი წარმოდგენა აქვთ მათზე მასწავლებელს. როდესაც კონკრეტულ მოსწავლის მიმართ მასწავლებელს ნაკლები მოლოდინები აქვს და წარმატებას მისგან ნაკლებად მოელის, ის მათ მიმართ შეიძლება ნაკლებად მხარდამჭერი იყოს – პასუხისთვის ნაკლები დრო მისცეს ან ვერ შეამჩნიოს საპასუხოდ მისი აწეული ხელი. თუ ასეთი მოლოდინი სტაბილურია და დიდხანს გრძელდება, მოსწავლე დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო უახლოვდება მის მიმართ თქვენში არსებულ მოლოდინს. მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ხშირად მოსწავლეები საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად, მასწავლებელთა ქცევას და დამოკიდებულებებს იყენებენ.

2.3 განმტკიცებასთან დაკავშირებული ფაქტორების გავლენა მოტივაციაზე

განმტკიცება/წახალისება ან დაჯილდოვება მოტივაციის ერთ–ერთ ყველაზე უძველეს ტექნიკას წარმოადგენს. ამ ტექნიკის საფუძვლად მდებარე პრინციპია ის, რომ ქცევა, რომელსაც სიამოვნება მოსდევს, გამეორების ტენდენცია აქვს. ჩვენ ხშირად მივმართავთ ისეთ ქცევებს, რომელსაც ჩვენთვის გარკვეული ჯილდო მოაქვს. მოსწავლეც არ წარმაოდგენს გამონაკლისს. თუ მოსწავლე სწავლობს იმისთვის, რომ „რაღაც“ მიიღოს, ეს „რაღაც“ მის ქცევაზე განმამტკიცებლად მოქმედებს და ზრდის მის მოტივაციას. თუმცა იმას, რაც ერთი მოსწავლისთვის ასრულებს ქცევის განმამტკიცებლის როლს, შეიძლება მეორეზე ასეთი ეფექტი არ ჰქონდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტიმული მხოლოდ მაშინ შეიძლება განვიხილოთ როგორც ჯილდო და განმამტკიცებელი, როცა ის განსაზღვრულ ქცევას ზრდის და აძლიერებს. მაგალითად, მიღებული ქულები ყველა ბავშვისთვის ჯილდოს დანიშნულებას არ ასრულებს და ერთნაირად არ მოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციაზე. მოსწავლეთა დაჯილდოვებას, შექებისა და წახალისების სისტემას განსაკუთრებულ ყურადღებას ბიჰევიორისტული მიდოგომა უთმობს, რომელსაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

- **პოზიტიური განმტკიცების/წახალისების გამოყენება წინააღმდეგ ნეგატიურისა**

განმტკიცება შეიძლება იყოს პოზიტიური და ნეგატიური. დადებით განმტკიცებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოსწავლის განსაზღვრულ ქმედებას მისთვის ღირებული რამ მოსდევს; დადებითი განმტკიცების სავარაუდო ფორმები შეიძლება იყოს ნიშნები, პრიზი, სიგელი და სხვა. ნეგატიური განმტკიცება გულისხმობს არასასურველი სიტუაციის თავიდან აცილებას, როგორიც შეიძლება იყოს ტესტი ან გაკვეთილის არცოდნის გამოაშკარავების საფრთხე. როდესაც მოსწავლეები მათთვის არასასურველ სიტუაციაში არიან, ისინი ცდილობენ ყველა შესატყვისი გზა გამოიყენონ ამ სიტუაციიდან თავის დასაღწევად. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეები გარკვეულწილად აკონტროლებენ ნეგატიურ განმტკიცებას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეგატიური სიტუაციიდან თავის დასაღწევად მათ სხვადასხვა გზების გამოყენება შეუძლიათ.

- **განმტკიცების/წახალისების ტექნიკები**

განმტკიცების/წახალისების რომელი ფორმაა საუკეთესო მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არცთუ ისე იოლია. ნებისმიერ სიტუაციაში, წახალისების საუკეთესო ფორმა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა მოსწავლე, სასწავლო აქტივობა და მასწავლებელი. ზოგადად, მიუთითებენ წახალისების 4 ძირითად წყაროზე, რომელიც შეიძლება მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად ეფექტურად იყოს გამოყენებული: მასწავლებლის მოწონება, სხვა მოსწავლეებზე დაკვირვება, შედეგების ცოდნა და დაჯილდოვების მექანიზმები.

მასწვალებლის მოწონება შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ვერბალური, ისე არვერბალური ფორმით. ვერბალურ განმტკიცებას ადგილი აქვს, როდესაც მოსწავლის ქმედებას ან პასუხს მასწავლებილის პოზიტიური კომენტარი მოსდევს. დადებითი ვერბალური წახალისების ტიპიური მაგალითები გულისხმობს ერთსიტყვიან კომენტარს, როგორიცაა „კარგია“, „მართალია“ „ყოჩაღ“ და სხვა. თუმცა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ამგვარი მოკლე წამახალისებელი კომენტარების გადაჭარბებულად გამოყენებამ შეიძლება ეფექტურობა დაკარგოს, განსაკუთრებით, როდესაც მასწავლებელი მხოლოდ ერთ პოზიტიურ კომენტარს იყენებს, მაგალითად „კარგია“ ან „ყოჩაღ“. ამიტომ მიზანშეწონილია, როდესაც მასწავლებელს პოზიტიური ვერბალური წახალისების უფრო დიდი არჩევანი აქვს და მათ მხოლოდ მოსწავლის შესაბამისი ქმედების ან პასუხის შემთხვევაში იყენებს.

მოსწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მასწავლებლის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კომენტარები; თუმცა კვლევების მონაცემების მიხედვით, დადებით კომენტარებს მოსწავლის მოტივაციაზე უფრო დიდი გავლენა აქვს. ის დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასებასა და თვითდარწმუნებულობაზე. როდესაც მოსწავლეს სუსტი შედეგები აქვს,

მასწავლებელმა უნდა აგრძნობინოს, რომ სჯერა – მოსწავლეს ამ შედეგების გაუმჯობესება შეუძლია.

ბავშვებზე წახალისების სხვადსხვა ფორმა განსხვავებულად მოქმედებს. მასწავლებელი უნდა გაერკვეს, რომელ მოსწავლესთან წახალისების რომელი ფორმა მუშაობს უფრო ეფექტურად. ერთი ბავშვისთვის ეს შეიძლება იყოს ნიშანი, მეორესთვის მასწავლებლის შექება, მესამესთვის გარკვეული პრიზი და სხვა. ზოგადად, წახალისების ისეთი ფორმების გამოყენება, როგორიცაა პრიზი, განსაზღვრული პრივილეგიები უფრო რეკომენდირებულია, ვიდრე მატერიალური წახალისების გამოყენება, როგორიც შეიძლება იყოს კამფეტები, ფული და სხვა.

რეკომენდებულია მოსწავლეებისთვის უკუკავშირის შეძლებისდაგვარად სწრაფად მიცემა. მასწავლებელმა სწრაფად უნდა დაუბრუნოს მოსწავლეებს ტესტის ქულები და გასწორებული საკონტროლო ნამუშევრები; აუხსნას რა გააკეთა მოსწავლემ მცდარად და როგორ შეიძლება მოცემული სიტუაციის გაუმჯობესება.

როდესაც მასწავლებელი უკუკავშირის მოწოდებისთვის კომუნიკაციის არავერბალური გზებს იყენებს, საქმე გვაქვს წახალისების არავერბალურ ფორმასთან. არავერბალური წახალისება შეიძლება იყოს მასწავლებლის მიერ თავის დაქნევა, ღიმილი, თვალით კონტაქტი და სხვა. არავერბალური წახალისება მოსწავლეების ძლიერი მოტივატორია – როგორც კვლევები აჩვენებს, ზოგიერთ შემთხვევაში, არვერბალურ წახალისებას, ვერბალური ფორმით გამოხატული წახალისებაზე დიდი გავლენა აქვს.

- **უკუკავშირი, როგორც მოტივატორი**

მოსწავლეებისათვის უკუკავშირის მისაცემად, მასწავლებლები უკუკავშირის ძირითადად სამ ფორმას იყენებენ: შექება, შედეგების გაცნობა და ნიშნები. შექება წახალისების მეტად მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს. თუმცა იმისთვის რომ შექება ეფექტური იყოს და მოსწავლის მოტივაციის გაზრდას ხელი შეუწყოს, ის უნდა იყოს კონკრეტული, ეხებოდეს მოსწავლის კონკრეტულ წარმატებას (მიღწევას) და მოსწავლეს საკუთარი მიღწევების შეფასებაში ეხმარებოდეს. იმ შემთხვევაში თუ შექება ზოგადი ხასიათისაა, მოცემულ მოსწავლეს სხვა მოსწავლეებს ადარებს და ყურადღებას გარეგან ფაქტორებზე ამახვილებს, ის ნაკლებად ეფექტურად მოქმედებს მოსწავლეებზე. შექებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეში განსაზღვრული შინაგანი ცვლილბების დაწყებას, რადგან ის ბავშის თვითშეფასების ამაღლებაზე მუშაობს.

ბავშვებისთვის დავალების შედეგების დროული მოწოდება ასევე დადებითად მოქმედებს ბევრი მათგანის მოტივაციაზე, რადგან ის სწორი პასუხების შესახებ აწვდის ინფორმაციას. შედეგები, რომლებიც დავალების წარმატებულად შესრულებას ასახავს, მოსწავლეს ძალასა და ენერგიას მატებს, ხოლო დაშვებული შეცდომების შესახებ ინფომრაცია მიანიშნებს რა საჭიროებს გამოსწორებას. იმისთვის, რომ წერილობით ნამუშევარზე გაკეთებული უკუკავშირი ეფექტური იყოს,

მასწავლებელმა მოსწავლეს ის დროულად უნდა მიაწოდოს; ის უნდა შეიცავდეს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ მინიჭებულ ქულებს – წერილობით ნამუშევარზე გაკეთებული უკუკავშირი მაქსიმალურად ეფექტურია მაშინ, როდესაც ის შეიცავს ინდივიდულურ კომენტრებს ნამუშევრის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

მასწავლებლებს ხშრად მიაჩნიათ, რომ ტესტები და ქულები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოსწავლეების მოტივაციაზე, თუმცა კვლევები საწინააღმდეგოზე მიუთითებენ – ტესტები ხშირად აძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას ისწავლონ მხოლოდ იმისთვის, რომ ტესტი ჩააბარონ; სხვა სიტყვებით – ისწავლონ ტესტისთვის. როგორც გამოცდილება აჩვენებს, ტესტები და მაღალი ნიშნები მოტივაციას მხოლოდ საუკეთესო მოსწავლეებში ზრდის, დაბალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის კი ნაკლებად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ნიშნები მასწავლებლის მიერ გამოყენებული მოტივაციის გაზრდის ერთადერთი საშუალება არ უნდა იყოს.

3. აბრაამ მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორია

აბრაამ მასლოუს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ–ერთ ღირშესანიშნავ წარმომადგენლად მიიჩნევენ. ჰუმანისტური ფსიქოლოგია აერთიანებს ბიჰევიორსიტულ და ფსიქოანალიტიკურ მიდგომებს. ბიჰევიორისტული მიდგომის თანახმად, ადამიანის ქცევა გარეგანი სტიმულებით კონტროლირდება. ხოლო ფსიქოანლიტიკურ მიდგომას ადამიანის ქცევის ძირითადად წარმართველ ძალად შინაგანი, არაცნობიერი ძალები მიაჩნდა. მასლოუ უარყოფდა იდეს, რომ ადამიანის ქცევას აკონტროლებენ მხოლოდ შინაგანი ან მხოლოდ გარეგანი ფაქტორები. მას მიჩნდა, რომ ადამინის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორივე: შინაგანი და გარეგანი ძალები. გარდა ამისა, მასლოუ ხაზს უსმევდა იმას, რომ ადამიანს არჩევანის გაკეთებისა და ნებისყოფის გავარჯიშების უნიკალური უნარი აქვს.

მოტივაცია მნიშვნელოვნად არის განპირობებული ადამიანის მოთხოვნილებებით. აბრაამ მასლოუს მიხედვით ადამიანის მოთხოვნილებები ქმნის იერარქიას; მოთხოვნილება თითოეულ დონეზე გარკვეული ინტესნსივობით უნდა დაკმაყოფილდეს, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იქნება მომდევნო დონეზე გადასვლა. მასლოუ განასხვავებდა ძირითად მოთხოვნილებებს და მეტამოთხოვნილებებს.

ძირითადი მოთხოვნილებები (დეფიციტურ მოთხოვნილებებსაც უწოდებენ) გულისხმობს :

- ფიზიოლოგიურ მოთხოვნილბებს (საკვებს, წყლის მიღებას);
- უსაფრთხოების მოთხოვნილებებს (კომფორტის, უსაფრთხო პირობებში ყოფნის სურვილი);

- სიყვარულისა და მიკუთვნებულობის მოთხოვნილებებს (ურთიერთობების, ურთიერთმიჯაჭვულობის, ჯგუფთან მიკუთვნებულობის);
- თვითპატივისცემის მოთხოვნილებებს (მაღალი თვიშეფასების ქონის, პატივისცემისა და აღიარების).

მეტამოთხოვნილებები შეიცავს ესთეტიურ, კოგნიტურ, თვითრეალიზაციის მოთხოვნილებებს. ამ მოთხოვნილებებს ზრდის მოთხოვნილებებსაც უწოდებენ.

მოთხოვნილებები იერარქიულადაა განლაგებული. მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ. როდესაც ადამიანს შია ან სცივა, იმ მომენტში ნაკლებად ფიქრობს აღიარებაზე ან პატივისცემაზე.

მასლოუს მოთხოვნიელბათა იერარქიული მოდელი მოცემულია სქემაზე 2

სქემა 1. მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელი

მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საგანამანათლებლო სისტემაზე. სწავლების მეთოდოლოგიის ტრადიციული მეთოდები სულ უფრო და უფრო მეტად იხრება ჰუმანისტური მიდგომისკენ, რომელიც სკოლაში ეფექტური სწავლებისთვის მოსწავლეთა ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უსვამს ხაზს. იმისთვის რომ სასწავლო პროგრამებმა მაქსიმალურად გაზარდოს მოსწავლეთა მოტივაცია, მასწავლებლებმა

და სკოლის ადმინისტრაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს მოსწავლეთა მოთხოვნილბები და მათი იერარქილი თანმიმდევრობა. მოთხოვნილებათა იერარქიული მოდელი გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროგრამების შედგენისას, რათა მოსწავლეებს მათი შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღწევის შესაძლებლობა მიეცეთ. მაგალითად, თუ მოსაწავლეს სკოლაში მოსვლამდე არ უსაუზმია, ის ნაკლებად შესძლებს სწავლაზე კონცენტრირებას; მისი ყურადღება დაკავებული იქნება საკვების მოთხოვნილებით.

მასლოუს თეორია სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ ადგილს მასწავლებელს უთმობს. მასლოუს მიჩნდა, რომ ინდივიდიში მოტივაციის გასაზრდელად აუცილებლია გარკვეული გარემო სტიმულებისა და გამოწვევის არსებობა. შესაბამისად, ეფექტური სწავლებისთვის მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო პროგრამასა და მეთოდილოგიაში მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისი სტიმულაციის ჩადება.

როგორ გავითვალისწინოთ მასლოუს თეორია საგანამანათლებლო სისტემაში?

ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები

- უფასო საუზმე/ლანჩი მოსწავლეებისთვის
- შესაბამისი ტემპერატურა კლასში
- უმცროსკლასელებისთვის შესვენებები (ტუალეტში შესასვლელად, წყლის დასალევად..)

უსაფრთხოების მოთხოვნილება

- კარგად დაგეგმილი და კონტროლირებული გაკვეთილები
- მოსწავლეებისთვის საგანაგებო შემთხვევებში მოქმედი წესების გაცნობა
- მოსწავლეებისადმი მასწავლებლის შესაბამისი დამოკიდებულების არსებობა: კეთილგანწყობილი, თავისუფალი განსჯისა და მუქარისაგან
- შექების გამოყენება ნაცლად დასჯისა – მასწავლებელი მოსწავლეს სწორი პასუხისთვის/სასურველი ქცევისთვის აქებს, ხოლო არასწორი პასუხისთის/არასასურველი ქცევისთის დასჯისგან თავს იკავებს

სიყვარული და მიკუთვნებულობის მოთხოვნილება (სოციალური მოთხოვნილება)

მასწავლებელი–მოსწავლის ურთიერთობასთან მიმართებაში

- მასწავლებლის პიროვნული მახასიათებლები: ემპათიური, ტაქტიანი, თავდაჭერილი, სამართლიანი, გახსნილი, კარგი მსმენელი, კეთილგანწყობილი
- მასწავლებელი მიმართავს ინდივიდუალურ კონსულტირებას
- მასწავლებელი იყენებს უფრო პოზიტიურ, ვიდრე ნეგატიურ განმტკიცებას

- საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი ყოველთვის ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთის
- მასწავლებელი უსმენს მოსწავლეებს, გამოხატავს მხარდაჭერას
- მასწავლებელი ამჟღავნებს მოსწავლეების აზრებისა და შეხედულებებისადმი პატივისცემას, ასევე გამოხატავს მათ მიმართ ნდობას

მოსწავლე–მოსწავლე ურთიერთობასთან მიმართებაში

- სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ისეთი გარემოთი, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა შეხვედრებსა და დისკუსიებში, რომელთა დროს მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, ეხმარებიან და ერთმანეთისადმი ნდობასა და მხარდაჭერას ამჟღავნებენ

პატივისცემის მოთხოვნილება

მოსწავლეთა საკუთარი თავის მიმართ პატივისცემასთან მიმართებაში

- მასწავლებელი აქცენტს აკეთებს მოსწავლის ღირსებებსა და ძლიერ მხარეებზე
- გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი მხედველობაში იღებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს
- მასწავლებელი ყურადღებას იჩენს მოსწავლის სირთულეების მიმართ – სირთულის აღმოცენებასთანავე ცდილობს ადეკვატურად ჩაერიოს
- მასწავლებელი მოსწავლეებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომია – , საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეები დახმარებისთვის თავისუფლად მიმართავენ
- მასწავლებელი ყველა მოსწავლეს რთავს საკლასო აქტივობებში, თანაბრად ანაწილებს პასუხისმგებლობებს
- როდესაც საჭიროა მოსწავლისთვის წესრიგისკენ მითითება, მასწავლებელი ამას შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურად (არასაჯაროდ) აკეთებს

მოსწავლის მიმართ სხვების პატივისცემასთან მიმართებაში

- მასწავლებელი ქმნის ისეთ საკლასო გარემოს, სადაც მოსწავლეებისადმი არაგანსჯითი და პოზიტიური დამოკიდებულებებია
- მასწავლებელი მოსწავლეებისთვის სასურველი წამახალისებელი/დაჯილდოვების სისტემას იყენებს, მაგალითად, კვირის საუკეთესო მოსწავლე, ან მოსწავლე, რომელიც კვირის განმავლობაში ყველაზე მეტად ეხმარეობდა სხვებს, და სხვა

- მასწავლებელი ხელს უწყობს ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლეები ერთმენთის მოსმენასა და ემპათიურ დამოკიდებულებას სწავლობენ
- მასწავლებელი ხელს უწყობს თანამშორმლობით სწავლებას, სადაც მოსწავლეები გუნდურ მუშაობას სწავლობენ და ერთმანეთის მიმართ მეტ ნდობას ამჟღავნებენ
- მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართვას ისეთ აქტივობებში, სადაც ისინი ერთად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ, მაგალითად, სადილი მიაქვთ მარტოხელა უმწეო მოხუცებთან, მზრუნველბამოკლებულ ბავშთა თავშეფარს შენობის გარემონტებაში ეხმარებიან და სხვა.

თვითაქტუალიზაცია

- მასწავლებელი მოსწავლეებისადმი მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამომჟღავნების მოლოდინის გამოხატავს
- მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს თავისუფლებას, თვითონ გააკეთონ „აღმოჩენები“
- გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი მეტაკოგნიტურ აქტივობებს იყენებს
- მასწავლებელი მოსწავლეებს ისეთ შემოქმედებით აქტივობებში რთავს, სადაც მათ თვითგამოხატვის საშუალება ეძლევათ.

ზოგადად, ჰუმანისტური მიდგომის (რომლის ერთ–ერთ ღირშესანიშნავ წარმომადგენელს აბრამ მასლოუ წარმაოდგენს) მნიშვნელოვანი წვლილი სასწავლო პროცესში წარმოადგენს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების მნიშვნელოვნების აღიარება. ეს მიდგომა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას. ჰუმანისტური სწავლების ერთ–ერთ ძირითად მიზანს ბავშვებში თვითრეალიზაციის, საკუთარი თავის პოზიტიური აღქმისა და თვითეფექტურობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. მოსწავლის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე მასწავლებლი–მოსწავლის ურთიერთობის დიდ გავლენას ქვემოთ მოცემული ისტორია ადასტურებს.

შემთხვევა სასკოლო პრაქტიკიდან (ადაპტირებულია წიგნიდან: Lefrancois, G.R (2003). Psychology for Teaching. Wadsworth Thomson Learning)

მოფარფატე ფოთოლი

სიტუაცია: ნინო მასწავლებელი, მერვე კლასი, ქართული ენა და ლიტერატურა; ბავშვებისა და პედაგოგების შეფასებით, კარგი მასწავლებელი

ნინო მასწავლებელმა იგრძნო, რომ მორცხვი ვიყავი და არასოდეს არ მისვამდა კლასში ბევრ კითხვას. ერთხელ, მოგვცა დავალება – დაგვეწერა თავისუფალი თემა – „მოფარფატე ფოთოლი“. მას შემდეგ, რაც ყველამ დაასრულა, ნინო მასწავლებელმა მკითხა, ხომ არ ვისურვებდი ჩემი თემა ხმამაღლა წამეკითხა. მან ისე თბილად და

პატივისცემით მომმართა, უარი ვერ ვთქვი. ჩუმი და მოკანკალე ხმით წავიკითხე ჩემი თემა. ნინო მასწავლებელმა მადლობა გადამიხადა. გაკვეთილის დასრულების შემდეგ მირჩია ეს თემა შემენახა და სერიოზულად მეფიქრა მწერლის კარიერაზე. მე მისი ორივე რჩევა გავითვალისწინე და ახლა ეს შემთხვევა მახსენდება, როგორც მოვლენა, რომელმაც ჩემს ცხოვრებაზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა.

4. ძირითადი თეორიული მიდგომები მოტივაციისადმი

მოტივაციისადმი ზემოთ განხილული ჰუმანისტური მიდგომის გარდა (მასლოუს თეორია), განვიხილავთ ბიჰევიორისტულ და კოგნიტურ მიდგომებს.

ბიჰევიორისტული მიდგომა ძირითად აქცენტს მოსწავლის გარეგან მოტივაციაზე აკეთებს. ეს მიდგომა დიდ ყურადღებას უთმობს შექებასა და წახალისებას და თვლის, რომ მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. თუ მოსწავლეს მუდმივად აძლევენ განმტკიცებას გარკვეული ქცევის გამო, მას ამ ქცევის განხორციელების ტენდენცია განუვითარდება. მაგალითად, თუ მოსწავლე ფეხბურთის თამაშის გამო ჯილდოდ მიიღებს ხან ფულს, ხან საჩუქრებსა და პრივილეგიებს, ხოლო მის სწავლას ნაკლები ყურადღება დაეთმობა, სავარაუდოა, რომ ის დიდ დროს ფეხბურთში ვარჯიშს დაუთმობს და არა გეომეტრიის სწავლას.

პოზიტიური და ნეგატიური განმტკიცება (დასჯის სახით) პრაქტიკულად ყველა კლასში გამოიყენება – მასწავლებლები აქებენ და საყვედურობენ მოსწავლეებს, უწერენ მათ მაღალ და დაბალ ნიშნებს, უღიმიან და საყვედურით უყურებენ. მოწონებისა და არმოწონების ეს და მრავალი სხვა ინდიკატორი განმტკიცების მაგალითებს წარმოადგენს. როდესაც განმტკიცება სისტემატიურად და არგუმენტირებულად გამოიყენება, მას მოსწავლის ქცევაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. თუმცა, როგორც ვაინერი აღნიშნავდა, ადამიანები მშიერი ვირთხები არ არიან, რომლებზეც ექსპერიმენტებს აყენებენ. მათი ქცევა მხოლოდ გარეგანი ფაქტორებით არ კონტროლირდება; ადამიანის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კოგნიტური და ემოციური ფაქტორები. განმტკიცების გავლენა მოსწავლეზე მნიშვნელოვნად არის განპირობებული იმით, თუ რა ინტერპრეტაციას აძლევს ის მასწავლელის ქცევას.

შექება წარმოადგენს დადებით განმტკიცების ერთ–ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას, რომელსაც მასწავლებლები იყენებენ. თუმცა, შექება ყოველთვის ეფექტური არ არის; შექება ძლიერ ეფექტურია მაშინ, როდესაც ის მოსწავლის თვითშეფასებას ზრდის. შექება უნდა იყოს კონკრეტული, გულწრფელი და აქცენტს უფრო მოსწავლის მიერ გაწეულ მცდელობასა და ძალისხმევაზე აკეთებდეს, ვიდრე მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე. როგორც კვლევებმა აჩვენა, ის მოსწავლეები, რომლებსაც მათ მიერ გაწეული ძალისხმევისთვის აქებენ,

ინტელექტს განიხილავენ როგორც რაღაცას, რისი ფორმირება და განვითარება მათ თავად შეუძლიათ, ხოლო, ის მოსწავლეები, რომლებსაც მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო აქებენ, ინტელექტს განიხილავენ, როგორც განსაზღვრულ მუდმივ ცვლადს, რომლის შეცვლა მათ არ ექვემდებარება. როდესაც ასეთი მოსწავლეები გამოცდას ვერ აბარებენ, მიაჩნიათ, რომ მოცემული დავალება „მათ ძალებს აღემატება“ და კარგავენ მოტივაციას. ქვემოთ მოცემულ ცხირლში წარმოდგენილია შექების ეფექტურად და არაფექტურად გამოყენების სტრატეგიები.

ცხრილი #1

*შექების ეფექტურად და არაეფეტურად გამოყენების სტრატეგიები (წყარო: **Lefrancois, G.R (2003). Psychology for Teaching. Wadsworth Thomson Learning***)

ეფექტური შექება	არაეფექტური შექება
გამოყენებულია არგუმენტირებულად	შემთხვევით და არაარგუმენტირებულად გამოიყენება
დაკონკრეტებულია ის ქცევა, რომლისთვისაც აქებენ	ზოგადი ხასიათისაა და გამოიყენება პოზიტიური რექციის სტანდარტული ფორმები
გამოხატულია სხვადსხვა ფორმით და გამოთქმულია გულწრფელად	სტანდარტული, უცვლელი გამომეტყველება და გამოხატვის ფორმები
ხელს უწყობს კონკრეტული უნარების განვითარებას, მაგალითად, მონდომებულობას,	მხარს უჭერს უბრალო მონაწილეობას, ყურადღებას არ აქცევს კონკრეტულ შედეგებს
მოსწავლეს აწვდის ინფორმაციას მისი მიღწევებისა და კომპეტენტურობის შესახებ	არ იძლევა არავითარ ინფომაციას, ან მხოლოდ ინფორმციას ზოგადი სტატუსის შესახებ
მოსწავლეს პოზიტიურად განაწყობს დავალებებისადმი	მოსწავლეებში კონკურენციულობასა და შეჯიბრებითი დამოკიდებულების განვითარებას უწყობს ხელს
დაფუძნებულია მოსწავლის წინა მიღწვებსა და დამსახურებებზე	კონკრეტული ბავშვის შეფასება კლასელების შეფასებასთან არის შედარებული
რთული დავალებების შესრულებისას მოსწავლის მონდომებასა და გაწეულ ძალისხმევას ითვალისწინებს	დავალების შესრულებისას ანგარიშს არ უწევს მოსწავლის მონდომებას და გაწეულ ძალისხმევას
მოსწავლეთა ყურადღებას მათ ქცევაზე ამახვილებს	მოსწავლეთა ყურადღებას, მასწავლებელზე ამახვილებს, როგორც გარეგან სტიმულზე, რომელიც მათ

	მართავს

კოგნიტური მიდგომა ძირითად აქცენტს შინაგან მოტივაციაზე აკეთებს. ის განიხილავს კოგნიტურ და ინფორმაციულ შესაძლებლობებს და მათ გავლენას ადამიანის ქცევაზე. კოგნიტურ თეორიებში ადამიანი განხილულია, როგორც ცნობისმოყვარე, აქტიური, ინფორმაციის მაძიებელი არსება. ამ მიდგომის თანახმად, ადამიანის ქცევა აზროვნებით არის განპირობებული და არა უბრალოდ იმის გამო, რომ წარსულში ამასთან დაკავშირებით დაგვაჯილდოვეს ან დაგვსაჯეს.

კოგნიტური მიდგომა აქცენტს აკეთებს ისეთ ცნებებზე როგორიცაა თვითშეფასება და თვითეფექტურობა, რადგან ეს პროცესები მნიშვნელოვნად მოქმედებს მოტივაციაზე. ბანდურა თვითეფექტურობას განსაზღვრავს, როგორც საკუთარი ეფექტურობის შეფასებას; „თვითეფექტუობა ეს არის საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რამდენად შეგვიძლია დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრული მოქმედების დასახვა და მათი შესრულება.“ ყველაზე ეფექტურად მოქმედებს ის, ვინც ყველაზე მეტად კომპეტენტურია; შესაბამისად, თვითეფქტურობა გულისხმობს ორ კომპონენტს: უნარ-ჩვევები (კომპეტენტურობა), რომელიც აუცილებელია წარმატებისთვის (დასახული მიზნის მისაღწევად) და კომპეტენტურობის შესახებ თვითშეფასება.

თვითშეფასება სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. როგორც კვლევები აჩვენებს, მოსწავლეებს, რომლებსაც თავიანთი სასწავლო შესაძლებლობების შესახებ მაღალი თვითშეფასება აქვთ, მეტად მონდომებულნი, დაინტერესებულნი და დაჟინებულნი არიან სასწავლო მიზნების მიღწევაში. ის, თუ რამდენად დარწმუნებულნი ვართ ჩვენს ძალებში, მნიშვნელოვნად მოქმედებს კონკრეტული მიზნის მიღწევაში.

წარმატება და მარცხი გავლენას ახდენს ადამიანის თვითშეფასებასა და თვითეფექტურობის განცდაზე. ადამიანები ერთანაირად არ რეგირებენ წარმატებასა და წარუმატებლობაზე. ის, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი წარმატებასა და მარცხზე, მნიშვნელოვანდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ხსნის ის მიღებულ შედეგს, რა ფაქტორებს მიაწერს თავის წარმატებას თუ წარუმატებლობას. ის თუ როგორ ატრიბუციებს აკეთებს ადამიანი (რომელ ფაქტორებს მიაწერს საკუთარი ქცევის შედეგებს) მნიშვნელოვანად არის განპირობებული მისი პიროვნული თვისებებით, განსაკუთრებით ლოკუს კონტროლით[2]. არსებობს შინაგანი და გარეგანი ლოკუს კონტროლი. ზოგიერთი ადამიანისთვის უფრო მეტად დამახასიათებელია საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღება, ზოგისთვის კი ეს ნაკლებად დამახასიათებელია და პასუხისმგებლობა გარეგან ფაქტორებზე გადააქვთ. პირველ შემთხვევაში საქმე

[2] ლოკუს კონტროლი – პიროვნული თვისება, რომელიც ეხება კონკრეტული ქცევის მიზეზების მიწერას კონტროლირებადი ან არაკონტრორიებადი კატეგორიებისადმი.

გვაქვს შინაგან ლოკუს კონტროლთან[3], ხოლო მეორე შემთხვევაში კი – გარეგან ლოკუს კონტროლთან[4]. ასევე, ზოგიერთი ადამიანი საკუთარი ქცევის შედეგების მიზეზებს უფრო სტაბილურ, ნაკლებად ცვალებად ფაქტორებს უკავშირებს, ზოგიერთი კი პირიქით, ქცევის შედეგებს არასტაბილური და ცვალებადი ფაქტორებით ხსნის, მაგალითად, ამოცანის შესრულებაზე დახარჯული ძალისხმევა. აღნიშნული სამი ფაქტორი: ლოკუს კონტროლი, პირადი პასუხისმგებლობა და სტაბილურობა ვაინერის მოტივაციის თეორიის საფუძველს წარმოადგენს. ქვემოთ მოცემულ სქემაზე გამოსახულია წარმატებისა და წარუმატებლობის ოთხი ძირითადი ატრიბუცია (მიზეზის მიწერა). სქემაზე მოცემული მოდელი ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი მოსწავლეებისთვის მათი სასკოლო მიღწევების ახსნისას. წარმატებას და წარუმატებლობას ისინი მიაწერენ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა გაწეული ძალისხმევა, უნარები, იღბალი და დავალების სირთულე. აკადემიური მოსწრება შეიძლება ახსნილი იყოს ისეთი ფაქტორებითაც, როგორიცაა ავადმყოფობა, დაღლილობა, განწყობა, მაგრამ ეს ფაქტორები საკამოდ სუბიექტური და ცვალებადია და ამასთანავე, მეცნიერულად საკმაოდ რთული ამ კავშირის შესწავლა.

ცხრილი 2.

წარმატებისა და წარუმატებლობის ოთხი ძირითადი ატრიბუცია (მიზეზის მიწერა)

	შინაგანი	**გარეგანი**
არასტაბილური	ძალისხმევა (კონტროლირებადი)	იღბალი (არაკონტროლირებადი)
სტაბილური	უნარი (არაკონტროლირებადი)	სირთულე (კონტროლირებადი)

[3] შინაგანი ლოკუს კონტროლი – ქცევის შედეგების შინაგან ფაქტორბზე (მაგ. უნარები, გაწეული ძალისხმევა და სხვა) მიწერის ტენდენცია

[4] გარეგანი ლოკუს კონტროლი – – ქცევის შედეგების გარეგან ფაქტორბზე (მაგ. იღბალი, ამოცანის სირთულე და სხვა) მიწერის ტენდენცია

წარმატებასა და წარუმატებლობაზე მიზეზების შინაგან და გარეგან მიზეზებზე მიწერის ტენდენცია საკმაოდ პროგნოზირებადი და სტაბილური პიროვნული მახასიათებელია. თუმცა, როგორც მკლევრები აღნიშნავენ, ის ნაკლებად მჟღავნება 9 წლამდე ასაკის ბავშვებთან – ამ ასკში ბავშვები ჯერ კარგად ვერ ხედავენ განსხვავებას უნარებსა და ძალისხმევას შორის. ამ ასაკში მათ სჯერათ, რომ გამჭრიახი ადამიანები არიან ისინი, ვინც ბევრს და ბეჯითად მუშაობს და შესაბამისად წარმატებასაც აღწევენ. დაახლოებით 9–10 წლის ასაკში ბავშვები უკვე იწყებენ ინტელექტის, როგორც წარმატების ხელშემწყობი ფაქტორის გამოყოფას. თუმცა, მაინც ჯერ კიდევ გამჭრიახობას მჭიდროდ უკავშირებან ბეჯით შრომას. 11 წლის ასაკში ბავშვები უკვე იწყებენ უნარების, იღბლისა და დავალების სირთულის ინტუიტურად გამიჯვნას.

კლასში ბავშვები იქცევიან ისე, თითქოს ინტელექტის შესახებ ორი დამოკიდებულებიდან ინტუიტურად ერთ–ერთს იზიარებენ: ბავშვების ერთ ჯგუფს თითქოს მიაჩნია, რომ ინტელექტი არის მუდმივი, სტაბილური და ცვლილებებს არ ექვემებარება. ეს ბავშვები ძირითად აქცენტს აკადემიურ მოსწრებაზე აკეთებენ; ისინი ცდილობენ მიიღონ საკუთარი კომპეტენტრუობის დადებითი შეფასება და თავი აარიდონ ნეგატიურ შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ ბაშვები უფრო მეორე დამოკიდებულებას იზიარებენ და მიაჩნიათ, რომ ინტელექტის შეცვლა შესაძლებლია, მიზნად კომპეტენტურობის გაზრდას ისახავენ და ამ მიმართულებით ძალისხმევას არ იშურებენ.

მოსწავლეებს, რომლებსაც ინტელექტუალური შესაძლებლობების მუდმოვობისა და სტაბილურობის სჯერა, წარმატების მისაღწევად საკუთარი შესაძლბელობების ძალიან უნდა სჯეროდეთ. დაბალი თვითშეფასების მქონე ბავშვები ხასიათდებიან ე.წ „ დასწავლილი უმწეობით“, რადგან მიაჩნიათ რომ მათი წარუმატებლობები საკუთარი დაბალი შესაძლებლობების შედეგია. როგროც წესი, ასეთი ბავშვები ძალიან პესიმისტურად განწყობილნი არიან და მათი ქცევა ძირითადად გარეგან მოტივაციას ეფუძნება. ამის საწინააღმდეგოდ, მოსწავლეები, რომლებიც კომპეტენტურობის გაზრდასა და დახელოვნებაზე არიან ორიენტირებულნი (მოსაზრება, რომ ინტელექტის განვითარება შესაძლებელია), პირიქით, დიდი ენთუზიამითა იღებენ გამოწვევას. მათ მიაჩნიათ, რომ წარმატებას მნიშველოვნად განაპირობებს მათ მიერ გაწეული ძალისხმევა; ცდას არ აკლებენ, რადგან მათ ნაკლებად ეშინიათ წარუმატებლობებისა და შეცდომის. როგროც წესი, ასეთი ბავშვები ოპტიმისტურად განწყობილნი არიან და შინაგან მოტივაციას ეფუძნებიან.

კოგნიტური მიდგომა სწავლისადმი მოტივაციის ასამაღლებლად აქცენტს აკეთებს მოსწავლეებში კომპეტენტურობის გაზრდისა და დახელოვნების მიზნის სტიმულირებაზე და ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებს აკადემიური მოსწრების მიზნის სტიმულირებას.

5. პიროვნული ფაქტორების გავლენა მოტივაციაზე

როგროც უკვე აღინიშნა, გარემოსთან ურთიერთობისას ადამიანი არ არის გარე ფაქტორების გავლენის პასიური მიმღები. მის ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას პიროვნული ფაქტორები ახდენენ. მყარი პიროვნული მახასიათებლები, ანუ თრეიტები მნიშვნელოვანდ განაპირობებს ადამიანის მოტივაციას, მათ შორის სწავლისადმი მოტივაციას. ამ ნაწილში განვიხილავთ სწავლისადმის მოტივაციაზე ისეთი ფაქტორების გავლენას, როგორიცაა (1)***თვითგანსაზღვრა*** (კომპეტენტურობის, ავტონომიისა და მიკუთვნებულობის მოთხოვნილებები), (2)***მიზნები***, (3) ***ინტერესები და ემოციები*** და (4) ***საკუთარ შესაძლებლობებში რწმენა.***

<u>თვითგანსაზღვრა.</u> თვითგანსაზღვრის თეორია ვარაუდობს, რომ გარე სამყაროსთან ურთიერთობაში ადამიანისთვის უმთავრესია იყოს კომპეტენტური და უნარიანი, ჰქონდეს არჩევანის გაკეთების უფლება და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის შეგრძნება, იყოს დაკავშირებული სხვებთან – ჰქონდეს სოციალურ ჯგუფებთან მიკუთვნებულობა. ისეთი საკლასო გარემო, რომელიც მხარს უჭერს მოსწავლის თვითგანსაზღვრასა და ავტონომიას, ზრდის მოსწავლეთა დაინტერესების ხარისხს, კომპეტენტურობის გრძნობას, კრეატულობას, კონცეპტუალურ დასწავლას, პოზიტიურ გავლენას ახდნეს მოსწავლის მოტივაციაზე. როდესაც მოსწავლეს თავად შეუძლია გააკეთოს არჩევანი, მას უფრო მეტად სწამს, რომ სამუშაო მნიშვნელოვანია, მაშინაც კი, თუ ეს მას არ ართობს. ამდენად, იგი ახდენს განათლების მიზნების ინტერნალიზებას და მას წარმოადგენს, როგორც საკუთარს. მიუხედავად ამისა, ერთი საოცარი აღმოჩენა ისაა, რომ მოსწავლეებსაც და მშობლებსაც მაკონტროლებელი მასწავლებელი ურჩევნიათ, მიუხედავად იმისა, რომ რომ მოსწავლეები უფრო მეტს სწავლობენ იმ მასწავლებლისგან, რომელიც მათ გარკვეულ ავტონომიას ანიჭებს. როგორ შეიძლება მოსწავლის ავტონომიის უზრუნველყოფა? ერთ–ერთ გზას წარმოადგენს მოსწავლესთან ურთიერთობისას უფრო მეტად ინფორმაციაზე ფოკუსირება, ვიდრე კონტროლზე. თვითგანსაზღვისთვის მეტად მნიშვნელოვანია ადამიანს მიკუთვნებულობის გრძნობა გააჩნდეს – როდესაც მას სხვებთან – განსაზღვრულ ადმიანებთან და ჯგუფებთან – ემოციური კავშირი აქვს. მოსწავლეები, რომლებიც განიცდიან მიკუთვნებულობას მასწავლებლებთან, მშობლებთან ან თანატოლებთან, სასკოლო საქმიანობაში უფრო ემოციურად არიან ჩართულნი. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები მოსწავლეებში თვითგანსაზღვრულობისა და ავტონომიის განცდის მხარდაჭერაში დაგეხმარებათ.

ცხრილი #3. რეკომენდაციები მოსწავლეებში თვითგანსაზღვრისა და ავტონომიის განცდის მხარდასაჭერად

(წყარო: ვულფოლკი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)

<u>რეკომენდაცია #1.</u> მიეცით ნება და წააქეზეთ მოსწავლეები, გააკეთონ არჩევანი

მაგალითები:

1. დასახეთ სასწავლო მიზნების განხორციელების რამდენიმე გზა (ვთქვათ, რეფერატის მომზადება, გამოცდა და სხვა) და მიეცით მოსწავლეებს საშუალება, აირჩიონ ერთ–ერთი. წააქეზეთ ისინი სასაუბროდ, რატომ გააკეთეს ასეთი არჩევანი
2. შექმენით მოსწავლეთა „კომიტეტები“, რომლებიც იზრუნებენ კლასის საყვარელ ნივთებზე ან საკლასო ინვენტარზე
3. გამოყავით დრო დამოუკიდებელი და გავრცობილი პროექტების განსახორციელებად

<u>რეკომენდაცია #2.</u> დაეხმარეთ მოსწავლეებს დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა და განახორციელონ საკუთრივ არჩეული მიზნები

მაგალითები:

1. წააქეზეთ მოსწავლეები – მიზნები დასახონ თითოეულ საგანში, თვალი ადევნეთ პროგრესს ამ მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე

<u>რეკომენდაცია #3.</u> მოსწავლეები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ საკუთარი არჩევანის შედეგებზე

მაგალითები:

1. თუ მოსწავლეები არჩევენ მეგობრებთან ერთად იმუშაონ პროექტზე და სოციალიზაციაზე მეტისმეტად დიდი დროის დახარჯვის გამო ვერ დაასრულებენ მას, შეაფასეთ პროექტი ისე, როგორც ამას იმსახურებს და დაანახეთ მოსწავლეებს კავშირი დაკარგულ დროსა და მათ მიერ მიღებულ შეფასებას შორის
2. როდესაც მოსწავლეები ირჩევენ თემას, რომელიც მათგან წარმოასახვას მოითხოვს, განიხილეთ კავშირი მათ მიერ სამუშაოში ჩადებულ ძალისხმევასა და ამ ძალისხმევის შედეგს შორის.

<u>რეკომენდაცია #4.</u> მოუძებნეთ რაციონალური ახსნა შეზღუდვებსა და წესებს

მაგალითები:

1. ახსენით მიზეზები, რომლებიც აუცილებელს ხდის წესების შემოღებას
2. თვითონაც ზედმიწევნით დაიცავით წესები და შეზღუდვები

<u>რეკომენდაცია #5.</u> გააცნობიერეთ, რომ მასწავლებლის მხრიდან კონტროლს ლოგიკურად მოსდევს ნეგატიური ემოციები

მაგალითები:

1. გააგებინეთ მოსწავლეებს, რომ ნორმალურია და არაფერი დაშავდება, თუ ისინი მოიწყენენ თავისი რიგის ლოდინში
2. გააგებინეთ მათ, რომ სწავლის პროცესში. ზოგჯერ შეიძლება თავი ფრუსტრირებულად, შეცბუნებულად და დაქანცულად იგრძნონ.

<u>რეკომენდაცია #6.</u> მიმართეთ არამაკონტროლირებელ, პოზიტიურ უკუკავშირს

მაგალითები:

1. ცუდ ნიშნებს ან ქცევას ნუ განიხილავთ, როგორც კრიტიკის ობიექტს; განიხილეთ ის, როგორც პრობლემა, რომელიც უნდა გამოსწორდეს
2. თავი აარიდეთ ისეთ მაკონტროლირებელ მიმართვებს, როგორიცაა „ვალდებული ხარ“, „მოგიწევს“ და სხვა

მიზნები. მიზანი არის ის შედეგი ან მონაპოვარი, რომლის შესრულებასაც ესწრაფვის ადამიანი. როდესაც მოსწავლე ისწრაფვის წაიკითხოს სახელმძღვანელოს რომელიმე თავი, ის ახორციელებს მიზანმიმართულ ქცევას. მოსწავლეს გააზრებული აქვს არსებული მდგომარეობა (მე არც კი გადამიშლია წიგნი), იდეალური პირობები (მე წავიკითხე და გავიგე თითოეული გვერდი) და განსვლა არსებულ და იდეალურ პირობებს შორის. ეს მოტივირებულს ხდის ადამიანს იმოქმედოს ისე, რომ შეამციროს განსხვავება ამ პირობებს შორის. მიზნის დასახვა ადამიანს განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უქმნის, რაც მას ამ მიზნის შესასრულებლად საჭირო საქმიანობისკენ განაწყობს – „მას შემდეგ რაც ამ საქმიანობის შესრულება გადავწყვიტე, თავს არაკომფორტულად ვგრძნობ, თუ მას არ შევასრულებ.“ მიზნები სპეციფიკური რამ არის. ის მოიცავს იმ მიზეზებს, რომლისათვისაც ჩვენ ვიღწვით და აგრეთვე იმ სტანდარტებს, რომელთა საშუალებითაც ვაფასებთ მიზნებისკენ წინსვლას. გამოყოფენ ოთხ მთავარ მიზნობრივ ორინეტაციას, რომელიც მოსწავლეს შეიძლება ჰქონდეს: დახელოვნების (სწავლა), პრეზენტაციის (კარაგად წარმოჩენის), სამუშაოს არიდების და სოციალური ორიენტაცია.

- ***დახელოვნების, დაოსტატების მიზანი*** – ეს არის სურვილი განვითარდე და განიმტკიცო ცოდნა, იმის მიუხედავად, როგორ შეიძლება წარმოჩინდე სხვების თვალში. მოსწავლეები, რომლებიც ამას ისახავენ მიზნად, მუდმივად ეძებენ ახალ გამოწვევებს და უფრო დაჟინებულნი ხდებიან, როცა სიძნელეებს აწყდებიან. ასეთ ბავშვებს *ამოცანაში*

ჩართულ მოსწავლეებს უწოდებენ, რადგან ისინი დაინტერესებულნი არიან ამოცანით და ნაკლებად აღელვებთ სხვების შეფასება

- ***პრეზენტაციის მიზნის მქონე ბავშვები*** დაინტერესებულნი არიან სხვათა წინაშე საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებით. მოსწავლე, რომლის მიზანი სხვათა წინაშე კარგად წარმოჩენაა, შეიძლება იმიტომ აკეთებდეს რაღაცას, რომ ჭკვიანი გამოჩნდეს. მაგალითად, კითხულობდეს მარტივ წიგნებს, იმ მიზნით, რომ მასზე თქვან, ბევრი წიგნი აქვს წაკითხულიო. ასეთ ბავშვებს *ეგოჩართულ მოსწავლეებს* უწოდებენ. თუმცა პრეზენტაციის მიზნები საკმაოდ არამიმზიდველად გამოიყურება, ის ყოველთვის უარყოფითად არ უნდა შევაფასოთ. ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, პრეზენტაციის მიზანი, დახელოვნების მიზანთან ერთად დაკავშირებულია აქტიურ სასწავლო სტრატეგიებთან და მაღალ თვითრწმენასთან; გარეგანი და შინაგანი მოტივაციის მსგავსად, მოსწავლეებს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეთ როგორც დახელოვნების მიღწევის, ასევე პრეზენტაციის მიზნები
- ***სამუშაოს არიდების მიზნები*** გვხვდება იმ ბავშვებთან, რომლებსაც სწავლა არ აინტერესებთ და არც ის აღელვებთ, რომ სხვების თვალში ჭკვიანად გამოჩნდნენ. მათ მხოლოდ ის უნდათ, რომ შრომას აარიდონ თავი. ისინი ცდილობენ რაც შეიძლება სწრაფად დაასრულონ საქმე ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე. ასეთ ბავშვებს *ზარმაც მოსწავლეებს* უწოდებენ. ისინი მაშინ გრძნობენ თავს წარამტებულად, როცა შრომა არ უწევთ, როცა სამუშაო მარტივია, როცა უსაქმურად არიან.
- ***სოციალური მიზნები*** გულისხობს სოციალური კავშირის გაზრდას, გამრავალფეროვნებას. ის მოიცავს უამრავ მოთხოვნილებას, მოტივებს, რომელთაც სხვადსხვა კავშირი აქვთ სწავლასთან – ზოგიერთი ხელს უწყობს სწავლის პროცესს, ზოგი კი ხელს უშლის. მაგალითად, მოზარდთა მიზნები – განიმტკიცონ მეგობრული კავშირები, შეიძლება სასწავლო პროცესს ხელი შეუშალოს. მაგრამ მიზანი, რომ ასიამოვნო ოჯახს ან შენს გუნდს ბეჯითი მუშაობით, შეიძლება წაადგეს სწავლას. თუ სოიცალური მიზნები გულისხმობს თანატოლთა იმ ჯგუფის წევრობას, რომელიც აფასებს აკადემიურ მიღწევებს, ესეც სწავლის სასარგებლოდ იმოქმედებს.

მოსწავლეების მიერ მიზნების დასახვასა და მათ შესრულებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მასწავლებლის უკუკავშირი. მიზნის მიღწევის მოტივაციას ზრდის იმ განსხვავების აღქმა, თუ „სად ხარ“ და „სად გინდა, რომ იყო“, როგორია პროგრესი და რამდენად შორის შეგიძლია წახვიდე. მეორე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მიზნის მიღწევის მოტივაციაზე, არის მიზნის მოწონება. ზოგადად, მოსწავლეები უფრო მეტად ამჟღავნებენ სხვათა მიერ დასახული მიზნების შესრულების სურვილს, თუ ეს მიზნები რეალისტურად და მნიშვნელოვნად გამოიყურება და თუ მისაღებია ის მიზეზები, რომელიც საფუძვლად უდევს ამ მიზნების ღირებულებას.

ემოციები და ინტერესები. მოსწავლეთა დაინტერესება და შესასწავლ მასალასთან დაკავშირებული ემოცია ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია განათლებაში. არსებობს ინტერსის ორი სახე: პიროვნული (ინდივიდულაური) და სიტუაციური. პიროვნული ინტერესები ინდივიდის უფრო ხანგრძლივი და მყარი ასპექტებია. მაგალითად, იყო მიმზიდველი, მოგწონდეს მაგალითად, ენები, ისტორია, მუსიკა ან კინო. სწავლისადმი ინდივიდუალური ინტერესების მქონე მოსწავლეები ინფორმაციის ძიებაში არიან და სასკოლო საქმიანობების მიმართ უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ. სიტუაციური ინტერესები ნაკლებად მყარი და უფრო ხანმოკლე ასპექტებია იმ საქმიანობისა თუ მასალისა, რომელიც იპყრობს მოსწავლის ყურადღებას. რაც უფრო დიდია ინტერესი, მით უფრო პოზიტიურია ემოციური რეაქციები, მეტია დაჟინებულობა, უფრო ღრმაა ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, უკეთ ხდება დამახსოვრება. ინტერესი იზრდება, როდესაც მოსწავლე კომპეტენტურად გრძნობს თავს. ამდენად, მაშინაც კი, როდესაც საწყის ეტაპზე მოსწავლე არ არის დაინტერესებული, მას შეიძლება წარმატების მიღწევისთანავე გაუჩნდეს ინტერესი. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები მოსწავლეებში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გაღვივებაში დაგეხმარებათ.

ცხრილი #4. რეკომენდაციები მოსწავლეებში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გასაღვივებლად

(წყარო: ვულფოლკლი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)

<u>რეკომენდაცია #1. ნება დართეთ მოსწავლეებს გააკეთონ არჩევანი</u>

მაგალითები:

1. გამოავლინეთ კლასის ექსპერტები სხვადსახვა საქმიანობასა და ამოცნებში – ვინ იცის როგრ ავაგოთ კომპიუტერით გრაფიკები? როგორ ვეძებოთ ქსელში?

<u>რეკომენდაცია #2.</u> გამოავლინეთ მოსწავლეთა ინტერესები, ჰობი, მათთვის საინტერესო საქმიანობები, რომლებიც გაკვეთილებსა და დისკუსიაში შეიძლება იქნეს ჩართული

მაგალითები:

1. მეტი ისაუბრეთ მოსწავლეებთან, რათა მეტი გაიგოთ მათ ინტერესებზე
2. იქონიეთ მოსწავლეთა ინტერესებისა და ჰობის შესაფერისი საკლასო

ბიბლიოთეკა
3. უფლება მიეცით მოსწავლეებს გააკეთონ არჩევანი თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით

<u>რეკომენდაცია #3.</u> **ჩართეთ სწავლების პროცესში იუმორი, პიროვნული გამოცდილება, რაც თქვენი საუბრის უშუალობას გაუსვამს ხაზს.**

მაგალითები:
1. მოუყევით თქვენი საკუთარი ჰობის, ინტერესების შესახებ; იმის შესახებ, თუ რას ანიჭებთ უპირატესობას.

<u>რეკომენდაცია #4.</u> **გამოიყენეთ საინტერესო შინაარსისა და დეტალების შემცველი ორიგინალური მასალა**

მაგალითები:
1. წერილები და დღიურები – ისტორიაში
2. დარვინის მოსაზრებები – ბიოლოგიაში

<u>რეკომენდაცია #5.</u> **შექმენით სიურპრიზის მოლოდინისა და ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი სიტუაცია**

მაგალითები:
1. დაავალეთ მოსაწავლეებს წინასწარ განსაზღვრონ, რა მოხდება ექსპერიმენტში, შემდეგ კი აჩვენეთ რეალური შედეგი
2. მოიყვანეთ ციტატები ისტორიიდან და ჰკითხეთ მოსწავლეებს, ვინ თქვა ეს.

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ცხოვრების რომელიმე მომენტში არ განეცადოს *შფოთვა* – ზოგადი მოუსვენრობა, ეჭვი საკუთარ შესაძლებლობებში, დაძაბულობა. ბევრი კვლევა მიუთითებს შფოთვის უარყოფით გავლენას სასწავლო მიღწევებზე. შფოთვა შეიძლება იყოს სკოლაში წარუმატებლობის მიზეზიცა და შედეგიც. მოსწავლეები იმიტომ არიან წარუმატებელნი, რომ აქვთ შფოთვა და ასევე, მათი წარუმატებლობა ზრდის შფოთვას. შფოთვა ერთდორულად არის ნიშან–თვისებაც და სიტუაციური ფაქტორიც. ზოგიერთი მოსწავლე შფოთავს უამრავ სხვადსხვა სიტუაციაში (შფოთვა როგორც თვისება), მაგრამ ზოგიერთი სიტუაცია განსაკუთრებით იწვევეს შფოთვის პროვოცირებას (სიტუაციურად გაპირობებული შფოთვა).

შფოთვას აქვს როგორც კოგნიტური, ასევე აფექტური კომპონენტები. შფოთვის კოგნიტური მხარე მოიცავს მღელვარებასა და ნეგატიურ აზრებს – ფიქრს იმაზე, რა

ცუდი იქნება, თუ მარცხს იწვნევ და მღელვარებას, რომ ასე დაგემართება. აფექტური მხარე გულისხმობს ფიზიოლოგიურ და ემოციურ რეაქციებს – ხელისგულების გაოფლიანებას, უსიამოვნო შეგრძნებებს მუცლის არეში, პულსის აჩქარებას, შიშს. მოსწავლეებში შფოთვა შეიძლება გამოწვეული იყოს იმ სიტუაციებში, როდესაც მაგალითად, მოსწავლეს უწევს კლასის წინაშე პრეზენტაციის გაკეთება და ის წარმოიდგენს, რომ მისი გამოსვლა შეიძლება წარუმატებელი იყოს და რა შეიძლება მოჰყვეს ამ მარცხს. ამ ყველაფერმა შეიძლება გამოიწვიოს შფოთვა. შფოთი მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვებს როგორც მასალის ათვისებაში, ასევე ცოდნის დემონსტრირებაში. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები დაგეხმარებათ მოსწავლეებს შფოთვასთან გამკლავებაში დაეხმაროთ.

ცხრილი #5. რეკომენდაციები მოსწავლეებში შფოთვის შესამცირებლად

(წყარო:: ვულფოლკლი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)

<u>რეკომენდაცია #1. ყურადღებით მოეკიდეთ შეჯიბრის ფენომენს</u>

მაგალითები:

1. აკონტორლეთ მოსწავლეთა საქმიანობა, რათა დარწმუნდეთ, რომ არცერთი მოსწავლე არ არის გაუმართლებელი წნეხის ქვეშ.
2. შეჯიბრებასთან დაკავშირებული თამაშების განმავლობაში დარწმუნდით, რომ ამ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ მოსწავლეს, წარმატების თანაბარი შანსი აქვს
3. გამოიყენეთ თანამშრომლობითი აქტივობები

<u>რეკომენდაცია #2.</u> თავი აარიდეთ სიტუაციებს, სადაც შფოთვის მაღალი დონის მოსწავლეებს მოუწევთ დიდი ჯგუფის წინაშე გამოსვლა

მაგალითები:

1. დაუსვით შფოთვიან მოსწავლეებს ისეთი კითხვები, რომლებზეც კი/არა ან სხვა მოკლე პასუხი შეიძლება იქნეს გაცემული
2. ავარჯიშეთ შფოთვიანი მოსწავლეები მცირე აუდიტორიის წინაშე გამოსვლაში

<u>რეკომენდაცია #3.</u> დარწმუნდით, რომ მოსწავლეებისთვის ნათელია ყველა ინსტრუქცია. გაურკვევლობა შფოთვის დონეს მაღლა სწევს.

მაგალითები:

1. სიტყვიერად ახსნის ნაცვლად, ტესტის ინსტრუქციები დაწერეთ

დაფაზე ან ჩართეთ თვითონ ტესტში

2. შეამოწმეთ, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა ინსტრუქცია; ჰკითხეთ რამდენიმე მოსწავლეს, როგორ გააკეთებენ ისინი პირველ დავალებას.
3. თუ იყენებთ ახალ ფორმატს ან ახალი ტიპის დავალებას, აჩვენეთ მოსწავლეებს მისი შესრულების მაგალითი

<u>რეკომენდაცია #4.</u> **თუ ეს აუცილებელი არ არის, თავი აარიდეთ დროის ლიმიტს**

მაგალითები:

1. მიეცით საშინაო დავალებები
2. დარწმუნდით, რომ თითოეულ მოსწავლეს შეუძლია საკლასო დავალების შესრულება დროის მოცემულ მონაკვეთში

<u>რეკომენდაცია #5.</u> **ტესტებსა და გამოცდებს ჩამოაშორეთ წნეხის ელემენტი**

მაგალითები:

1. ასწავლეთ გამოცდების ჩაბარების უნარ–ჩვევები; მიეცით ტესტის ნიმუშები;
2. ერთი ტესტის შედეგები არ განაზოგადოთ
3. გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის ტესტები, რადგან ზოგიერთი მოსწავლე სიძნელეებს აწყდება გარკვეული ფორმატის ტესტების შესრულებისას

<u>რეკომენდაცია #6.</u> **შეიმუშავეთ ტესტის ალტერნატიული საშუალებები**

მაგალითები:

1. გამოიყენეთ ზეპირი და ჯგუფური ტესტები
2. ჩართეთ მოსწავლეები პროექტებში. დაავალეთ სამუშაოსთან დაკავშირებული პორტფოლიოების წარმოება, ამ პროექტების ზეპირი წარდგინება

<u>რეკომენდაცია #7.</u> **ასწავლეთ მოსწავლეებს თვითრეგულირების სტრატეგიები**

მაგალითები:

1. ტესტის ჩატარებამდე: აღიქვან ტესტი, როგორც მნიშვნელოვანი და გამომწვევი ამოცანა, რომლის შესასრულებლად მათ საკმარისი შესაძლებლობა აქვთ. დაეხმარეთ მოსწავლეებს ყურადღების ფოკუსირება მოახდინონ ამოცანაზე, რათა მიიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია
2. ტესტირების მიმდინარეობისას: შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ ტესტი

ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა აბსოლუტურად არ არის გადამწყვეტი. წააქეზეთ, ფოკუსირება მოახდინონ ამოცანაზე – გამოიტანონ საკითხის მთავარი იდეა და დამშვიდდნენ.

3. ტესტირების შემდეგ: დაუბრუნდით ტესტს და განიხილეთ, რამ ჩაიარა კარგად და რა შეიძლება გამოსწორდეს. ყურადღება გაამახვილეთ კონტოლირებად ატრიბუციებზე, როგორიცაა ძალისხმევა, საკითხების ყურადღებით წაკითხვა, სარელაქსაციო სტრატეგიები

საკუთარ შესაძლებლობებში რწმენა. როგორც უკვე აღინიშნა, თვითეფექტურობის განცდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის მოტივაციაზე. ასევე დეტალურად განვიხილეთ, თუ როგორ საზღვრავენ მოსწავლეები მარცხისა და წარმატების მიზეზებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანები სხვათა წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზების ატრიბუციასაც ახდნენ. როდესაც მასწავლებელი ფიქრობს, რომ მოსწავლის წარუმატებლობის მიზეზი მოსწავლის კონტროლს არ ექვემდებარება, ის კეთილგანწყობილია მის მიმართ და არ სჯის. თუ წარუმატებლობა მიეწერება კონტროლირებად ფაქტორს, როგორიცა მაგალითად: არასათანადო ძალისხმევა, მასწავლებელი გაღიზიანდება, გაბრაზდება და სავარაუდოდ, საყვედურს გამოთქვამს მოსწავლის მიმართ. მასწავლებელთა რეაქციებს მოსწავლეები სხვადასხვანაირად აღიქვამენ. ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები მოსწავლეებში თვითეფექტიანობისა და თვითღირებულების ამაღლებაში დაგეხმარებათ

ცხრილი #6. რეკომენდაციები მოსწავლეებში თვითეფექტუობისა და თვითღირებულების ასამაღლებლად

(წყარო: ვულფოლკი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)

<u>რეკომენდაცია #1.</u> ხაზი გაუსვით მოსწავლეთა წინსვლას მოცემულ სფეროში

მაგალითები:

1. პერიოდულად დაუბრუნდით განვლილ მასალას და აღნიშნეთ, რა „ადვილია“ ახლა ის

<u>რეკომენდაცია #2.</u> დასახეთ სასწავლო მიზნები თქვენი მოსწავლეებისთვის და მიეცით მათ დახელოვნებაზე ორიენტაციის მაგალითი

მაგალითები:

1. აღიარეთ პროგრესი და გაუმჯობესება
2. მოუყევით მათ თქვენი პირადი გამოცდილების შესახებ, როგორ განავითარეთ თქვენი უნარები კონკრეტულ სფეროში და მოიყვანეთ იმათი მაგალითებიც, ვისაც იცნობენ თქვენი მოსწავლეები
3. მოუყევით იმ მოსწავლეების შესახებ, რომელთაც გადალახეს ფიზიკური, გონებრივი ან ეკონომიკური სირთულეები
4. ნუ გაამართლებთ მოსწავლეთა მარცხს იმის გამო, რომ სკოლის გარეთ მათ რაიმე პრობლემა აქვთ. დაეხმარეთ მათ იყვნენ წარმატებულები სკოლაში

<u>რეკომენდაცია #3.</u> გაატარეთ სპეციფიკური ღონისძიებები შედეგების გაუმჯობესებისთვის და გადახედეთ თქვენს შეფასებას

მაგალითები:

1. დაუბრუნეთ მოსწავლეებს ნაწერები სათანადო კომენტარებით – რა გააკეთეს სწორად და რა – შეცდომით, რატომ შეიძლება დაეშვათ ეს შეცდომები
2. თანაკლასელებს თავად გაასწორებინეთ ერთმანეთის ნაშრომები

<u>რეკომენდაცია #4.</u> აქცენტი გააკეთეთ წარსულ ძალისხმევასა და მიღწევებზე

მაგალითები:

1. დასახეთ და მიმოიხილეთ მიზნები მოსწავლეებთან ერთად; სთხოვეთ მათ აღწერონ, როგორ გადაჭრეს პრობლემები
2. შეადარეთ ერთმანეთს თავდაცვითი და მარცხის ამრიდებელი სტრატეგიები

6. სკოლაში სწავლის მოტივაციის გაზრდის სტრატეგიები – TARGET მოდელი

მასწავლებლები კონცენტრირებულნი არიან თავიანთ მოსწავლეებში მოტივაციის განსაკუთრებული ტიპი განავითაროონ – სწავლის მოტივაცია, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს – „ ეს არის მოსწავლის ტენდენცია მოძებნოს ღირებული და მნიშვნელოვანი აკადემიური აქტივობები და ეცადოს მიიღოს მათგან აკადემიური სარგებელი. სწავლის მოტივაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც პიროვნული ნიშანი და როგორც სიტუაციური სპეციფიკური გარემოება“. სწავლის მოტივაცია უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე სწავლის სურვილი და მისადმი სწრაფვა. ეს არის აქტიური სასწავლო აქტიოვობების აზრიანი და მიზანდასახული გამოყენება.

შეიძლება გამოვყოთ ექვსი სფერო, რომლშიც მასწავლებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციაზე. ეს სფეროებია: ***ამოცანის ხასიათი (Task)*** – რომლის შესრულებაც მოეთხოვება მოსწავლეს; ***ავტონომია (Autonomy)*** – რომელიც მინიჭებული აქვს მოსწავლის მუშაობისას; ***აღიარება და მოწონება (Recognition)*** – რომლითაც მოსწავლის მიღწევები ფასდება; **დაჯგუფება *(Grouping)*** – მოსწავლისთვის სასკოლო გარემოსა და გამოცდილების ორგანიზება; ***შეფასება (Evaluation)*** – რომლითაც მოსწავლის აქტივობები ფასდება და ***დრო (Time)*** – რომლის მიხედვითაც მოსწავლის სასკოლო განრიგის შემუშავება ხდება. აღნიშნული სფეროების წინ წამოწევით შემუშავებულია მოდელი – აკრონიმით TARGET, რომელიც მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გასაზრდელად ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ეფექტურ მანიპულაციას გულისხმობს. ცხრილში მოცემულია TARGET მოდელის მუშაობის სპეციფიკა

ცხრილი #7.

TARGET მოდელი მოსწავლის სწავლის მოტივაციის გასაზრდელად

(წყარო: ვულფოლკი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა)

TARGET–ის სფერო	ფოკუსი	მიზნები	შესაძლო სტრატეგიების მაგალითები
ამოცანა	როგორაა სტრუქტურირებული ამოცანები – რისი გაკეთება მოეთხოვებათ მოსწავლეებს	სასწავლო ამოცანის შინაგანი მიმზიდველობის გაზრდა; სწავლა უნდა გახდეს მნიშვნელობის მქონე	ისეთი სწავლება, რომელიც დაკავშირებული იქნება მოსწავლის ცხოვრებასა და გამოცდილებასთან; მიზნების დასახვისა და თვით–რეგულირების მხარდაჭერა
ავტონომია	მოსწავლეთა მონაწილეობა სასწავლო/სასკოლო გადაწყვეტილებებში	ოპტიმალური თავისუფლების მინიჭება მოსწავლეთათვის, რათა მათ გააკეთონ არჩევანი და აიღონ	ალტერნატიული დავალებების წარდგენა; მოსწავლეებისადმი თხოვნით მიმართვა, გააკეთონ

		პასუხისმგებლობა	კომენტარები სასკოლო ცხოვრებაზე, მათი კომენტარების სერიოზულად მიღება; მოსწავლეთა წახალისება გამოიჩინონ ინიციატივა და შეაფასონ საკუთარი სწავლა; თითოეული მოსწალისათვის ლიდერობის საშუალლების მიცემა
აღიარება	აღიარებისა და მოწონების ხასიათი და დაჯილდოვების გამოყენება სასკოლო სისტემაში	თითოეული მოსწავლისათვის ისეთი შესაძლებლობის შექმნა, რომ ისინი იყვნენ აღიარებულნი და მოწონებულნი; მიზნისკენ წინსვლის, პროგრესის აღნიშვნა და მოწონება; ძიებისა და ინიციატივის მოწონება	პიროვნული მიღწევების წახალისება; მოსწავლეთათვის სასკოლო აქტივობების ფართო სპექტრის წარდგენა
დაჯგუფება	სასკოლო საქმიანობისა და გამოცდილების ორგანიზება	ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მიღებული და მოწონებულია თითოეული მოსწავლე; სოციალური ურთიერთობების გაფართოება, განსაკუთრებით,	თანამშრომლობითი სწავლის, პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა; ჯგუფის წევრობის მრავლაფეროვნების შექმნა, რათა

		რთული მოსწავლეებისთვის; სოციალური უნარ–ჩვევების განვითარება	გაიზარდოს თანატოლთა ურთიერთობა;
შეფასება	შეფასების ხასიათი და მისი გამოყენება, შეფასების პროცედურები	შეფასებისა და მოხსენების პროცესები; საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სტანდარტიზებული ტესტების გამოყენებასთან; მიზნებისა და სტანდარტების განსაზღვრა	მიღწევის სოციალურ შედარებაზე აქცენტის შერბილება; მოსწავლეთათვის თავიანთი შედეგების გაუმჯობესების საშუალების მიცემა; მოსწავლეთა ჩართვა შეფასების პროცესში.
დრო	სასკოლო დღის განრიგის შემუშავება	მოსწავლეების ჩართვა სასწავლო ამოცანებში; დღის განრიგს უნდა განაპირობებდეს სასწავლო ამოცანა და მოსწავლის მოთხოვნილებები	მოსწავლეთათვის, პროგრესის თავისებურად წარმართვის საშუალების მიცემა; სასწავლო აქტივობების განრიგის მოქნილობის უზრუნველყოფა;

გამოყენებული ლიტერატურა

ვულფოლკი, ა. (2009). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

Lefrancois, G.R. (2003). Psychology of Teaching. Wadswoth:Thomson Learning

Moore, K.D (2009). Effective Instructional Strategies: From Theory to Practice. SAGE

გამოცდების ეროვნული ცენტრი, კველვის დეპარტამენტი (2010). ეფექტიანი სწავლება: თეორია და პრაქტიკა

გამოცდების ეროვნული ცენტრი, კველვის დეპარტამენტი (2010). როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის: პროფესიული უნარები. თბილისი:

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (2008) სწავლებისა და შეფასების მეთოდები: პროფესიული განათლება

კ ლ ა ს ი ს მ ა რ თ ვ ა

1. კლასის მართვის სტილი

ნამდვილი დისციპლინა შეგნებული ხასიათისა. დისციპლინას მხოლოდ მაშინ ექნება მაქსიმუმი აღმზრდელობითი მნიშვნელობისა, როდესაც ბავშვები თვითონ იმსჯელებენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ და თვითონვე ცდილობენ თავისი შეგნებული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

/დ.უზნაძე/

მოსწავლე ვითარდება – იძენს ცოდნას, იცვლის ქცევას. მასწავლებელმა ამ ცვლილებებს უნდა მიუსადაგოს კლასის მართვის ტექნიკა.

მოსწავლის მოთხოვნილებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად მიმდინარეობს ორი ურთიერთდაკავშირებული პროცესი:

1. **სოციალიზაცია**

2. **ინდივიდუალიზაცია**

მაწავლებელმა უნდა მოახდინოს სასწავლო გეგმის (კურიკულუმის), ადაპტაცია[3] მოსწავლის ასაკობრივი მოთხოვნილებების, შესაძლებლობების და ზოგადად, კლასის ატმოსფეროს გათვალისწინებით.

რა არის სწავლების პროცესის მართვის მთავარი ასპექტი?

დისციპლინა.

დისციპლინა - არის ის ღონისძიებები, რომელთაც ღებულობს მასწავლებელი მოსწავლეთა ქცევის პრობლემების მინიმუმამდე დასაყვანად. პროფესიონალი პედაგოგი ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს მოსწავლის პრობლემურ ქცევაზე.

დისციპლინის საკითხი სასწავლო პროცესში ყველა ეპოქაში თანაბრად აქტუალური იყო, თუმცა განსხვავებულ ეპოქებში დისციპლინა განსხვავებულ ნორმებს მოიცავდა.

ეს თემა ყოველთვის იქცევდა მეცნიერთა ყურადღებას. მათ შექმნეს კლასის მართვის სტილის შესაბამისი სხვადასხვა მოდელები.

1.1 ავტორიტარული მართვის სტილი

ამ დროს **მასწავლებლის მიდგომა სასწავლო პროცესის მიმართ ბიჰევიორისტულია.** ზედმეტად აკონტროლებს პროცესს, გაკვეთილის სასწავლო მიზანი განისაზღვრება საგნის შინაარსიდან, მასწავლებელი წარმართავს სასწავლო პროცესს, განსაზღვრავს გაკვეთილის ტემპს, ასწორებს და ამოწმებს მოსწავლეთა საპასუხო რეაქციებს, გადასცემს, აკონტროლებს, აფასებს. მასწავლებლის საუბრის ხანგრძლივობა მოსწავლის საუბრის ხანგრძლივობას სჭარბობს. სასწავლო პროგრამების წარმართვასა და გადაწყვეტილების მიღებაში მასწავლებელი მთლიანად ეყრდნობა სახელმძღვანელოს. მოსწავლეები აკეთებენ მასწავლებლის ნათქვამის პერიფრაზს. მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ნაკლებად აქვთ. დავალება ყველასათვის საერთოა, მასზე პასუხი ერთგვაროვანია.

მოსწავლეთა მოტივაცია ძირითადად გარეგანია და დამოკიდებულია ჯილდოებზე, შექებაზე, ნიშნებზე და დასჯის შიშზე. ნიშანს მასწავლებელი იყენებს, როგორც მოსწავლეთა ცოდნის შესაფასებლად, ასევე უცოდინაროზისა და უწესრიგობის დასასჯელად.

სწავლების მეთოდები ორიენტირებულია მთლიანად კლასზე და არა ინდივიდებზე. სწავლება ძირითადად ერთდროულად მთელ კლასთან მიმდინარეობს. დავალებები ძირითადად კომენტარის გარეშეა მიწოდებული, მასწავლებელი მხოლოდ გვერდსა და სავარჯიშოს ნომერს უთითებს.

გაკვეთილზე დროის დანაწილება ყოველთვის ერთნაირია და მკაცრად განსაზღვრულია ინსტრუქციით. გაკვეთილი ხშირად დასვენების ხარჯზე გრძელდება, მოსწავლეები აღარ უსმენენ მასწავლებელს.

საკლასო ოთახის სივრცე დაუნაწევრებელია; კლასში მერხების განლაგება ერთფეროვანია, მასწავლებლისათვის და მოსწავლეთათვის განსაზღვრულია ტერიტორია. მოსწავლეები სხედან დაფისა და მასწავლებლის პირდაპირ რიგებად განლაგებულ მერხებთან.

ქცევის წესებს ადგენს სკოლის ადმინისტრაცია, ხოლო კლასში მასწავლებელი საერთო საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, რომელსაც ემორჩილებოდა ყველა. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეთა არასასურველი ქცევის არა პრევენციას, **არამედ, არასასურველი ქცევის კორექციას;** ამ დროს ხდება: ნეგატიური ქცევების აღმოფხვრა, პოზიტიურის განმტკიცება.

სკოლა ჩაკეტილია თემთან ურთიერთობაში, არ ხდება თანამშრომლობა არც ერთ სოციალურ ჯგუფს შორის (სკოლებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის) მასწავლებელი ერევა მოსწავლეთა ურთიერთობებში და თავის თავზე იღებს მცირედი პრობლემის გადაჭრასაც კი იმის მიხედვით, თუ, როგორ აფასებს თავად სიტუაციას. მასწავლებლები და სკოლები არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ავტორიტარულად აღზრდილი ბავშვი:

- აგრესიულობისკენ არის მიდრეკლი;
- ნაკლები სოციალური კომპეტენციით და საკუთარი ღირსების ნაკლები გრძნობით გამოირჩევა;
- ნაკლებად და/ან არასწორად აქვს განვითარებული კომუნიკაციური უნარები;
- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და პირადი ინიციატივების გამომჟღავნების უნარის დეფიციტს განიცდის;
- ნაკლებად აქვს განვითარებული შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება;
- ნაკლებ ტოლერანტულა

<u>შევაჯამოთ:</u>

კლასის ავტორიტარული მართვისას

1. **როგორია, მასწავლებლის მიდგომა სასწავლო პროცესის მიმართ?**
2. **როგორია მოსწავლეთა მოტივაცია?**
3. **ვისზეა ორიენტირებული სწავლების მეთოდები?**
4. **ვინ შეიმუშავებს ქცევის წესებს?**
5. **საკლასო ოთახში როგორია სივრცის განაწილება?**

1.2 მართვის დემოკრატიული სტილი

სწავლებაში წარმატების მიღწევა გარკვეულწილად დამოკიდებულია სწორ საკლასო მენეჯმენტზე. როგორი მოქალაქე გვინდა აღვზარდოთ, რა უნარ-ჩვევებით უნდა იყოს იგი აღჭურვილი, როგორი უნდა იყოს მისი ქცევა საკლასო და სასკოლო გარემოში თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობისას და ა. შ. დამოკიდებულია სწორად არჩეულ საკლასო მენეჯმენტის ფორმაზე.

რა ხდება მართვის დემოკრატიული სტილის დროს?!

ამ დროს სასკოლო გარემოში მიმდინარე ყველა **ურთიერთობა დაფუძნებულია მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობაზე.** მასწავლებელი გადაწყვეტილებას არ იღებს დამოუკიდებლად. მისთვის ყოველთვის განსაკუთრებულად

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოსაზრება და დამოკიდებულება საკითხთა მიმართ. მასწავლებელი ამ დროს მიმართულების მიმცემია.

კლასი მასწავლებელთან ერთად მუშაობს, ადგენს ქცევის წესებს და იღებს გადაწყვეტილებას ამ წესების რეალური განხორციელებისათვის.

საკლასო ოთახში არსებული მასალები და რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის და მათი გამოყენება შესაძლებელია დამოუკიდებლადაც. ხშირად სასწავლო მასალების შერჩევა ხდება მოსწავლეებთან შეთანხმებით.

საკლასო ოთახში სივრცე დანაწევრებულია; გამოყოფილია ფუნქციური ზონები /საპრეზენტაციო, ბიბლიოთეკა, ტექნიკური და ა.შ. ავეჯის განლაგება, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა იმუშაონ ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. მთავარია დანაწევრებული საკლასო ოთახის სივრცე გაკვეთილის მიზანსა და ფორმატს შეესაბამებოდეს.

მოსწავლეებში სასურველი ქცევის ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ სწორი არჩევანის გაკეთებით და არა დასჯით. კლასის მართვის დემოკრატიული სტილის დროს უპირატესობა ენიჭება მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობას, რათა მოხდეს არასასურველი ქცევის პრევენცია.

მასწავლებელი ხშირად მიმართავს შექებას. ცდილობს დაანახოს, ასწავლოს მოსწავლეებს სამართლიანობა და მოვლენათა ობიექტური შეფასება. აკეთებს პოზიტიურ კომენტარს იმის შესახებ თუ რას აკეთებენ კარგად მოსწავლეები. შექება სტიმულის მიმცემია მოსწავლეებისათვის. მათ უჩნდებათ მოსალოდნელი წარმატების განცდა და ცდილობენ კიდევ უფრო გააქტიურდნენ. ეს კი მათ უყალიბებთ საკუთარი შესაძლებლობების რწმენას, თვითკონტროლს და მიზანდასახულობას. ამისათვის მასწავლებელი ასე მიმართავს მოსწავლეებს:

“მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ეს კარგად გამოგივა”,

“სხვა შემთხვევაში უკეთეს შედეგს მიიღებ, დღევანდელი გამოცდილება დაგეხმარება ამაში”,

“კიდევ სცადე”, “სცადე მეგობრებთან ერთად”,

“სცადე მეგობრებთან ერთად, ჩემი მხარდაჭერის იმედი გქონდეთ”.

იმისათვის, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ კარგი ჩვევები, გახდნენ თვითდაჯერებულები და კომუნიკაბელურები მასწავლებელი მათ უფრო ხშირად ამხნევებს, ვიდრე მხოლოდ აქებს.

კლასის მართვის სტრატეგიების არჩევისას მასწავლებელი წინასწარ ატარებს კვლევას კლასში არსებული სიტუაციის დასადგენად. ამ პროცესში მონაწილეობას

იღებენ თავად მოსწავლეები, ხშირად მათი მშობლები და სხვა საგნების მასწავლებლებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

კლასის მართვისადმი დემოკრატიული/თანამშრომლობითი მიდგომა მოსწავლეებს ეხმარება :

- სოციალური და ინტელექტუალური კომპეტენციის განვითარებაში;
- შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- კომუნიკაციური უნარების გამომუშავებაში;
- რეალური თვითშეფასების უნარის გამომუშავებაში;
- დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და პირადი ინიციატივების გამომჟღავნების უნარის განვითარებაში;
- ტოლერანტობა

<u>შევაჯამოთ:</u>

კლასის დემოკრატიული მართვისას:

1. **როგორია მასწავლებლის მიდგომა სასწავლო პროცესის მიმართ?**
2. **როგორია მოსწავლეთა მოტივაცია?**
3. **ვისზეა ორიენტირებული სწავლების მეთოდები?**
4. **ვინ შეიმუშავებს ქცევის წესებს?**
5. **საკლასო ოთახში როგორია სივრცის განაწილება?**

ქაოსური კლასის მართვის დროს:

- არ არის გამოკვეთილი საგაკვეთილო მიზანი, ჩამოყალიბებული ქცევის წესები და ჩარჩოები.;
- მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების ქცევის კონტროლი დაბალია, მას კეთილგანწყობილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან; შესაბამისად, მოსწავლეებიც არ არიან შეზღუდულნი სასწავლო პროცესის დროს.

- ქაოსური მართვისას ბავშვები იშვიათად კონტროლდებიან და ამიტომ ისინიც ვერ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსებს და დაბალი აქვთ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.

ქაოსური მიდგომის შედეგად აღზრდილ ბავშვებს:

- აქვთ ნაკლები პასუხისმგებლობის უნარი;
- არიან მოუწესრიგებლები, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე თავიანთ საქმიანობაში;

- უჭირთ დროის სწორად დაგეგმვა და განაწილება;
- უჭირთ საკუთარი იმპულსებისა და ემოციების მოთოკვა;
- მართალია, არიან გახსნილები სხვებთან ურთიერთობაში, მაგრამ ხშირად არაადექვატურად იყენებენ კომუნიკაციის საშუალებებს და არასწორად იქცევიან სოციუმში.

2. ქცევის წესები და პროცედურები

მასწავლებელი ახალ კლასთან შეხვედრას, ურთიერთგაცნობით და კლასში მუშაობის ძირითად წესებზე საუბრით იწყებს. ამით ზრუნავს იმაზე, რომ შექმნას ეფექტიანი სასწავლო გარემო, ანუ გარემო სადაც მოსწავლეს ყველა პირობა აქვს, რომ ისწავლოს.

გაკვეთილს როცა ნათელი სტრუქტურა აქვს, როცა მოსწავლეებმა ზუსტად იციან რა ეტაპზე რას ელის მათგან მასწავლებელი, როდის რა ქმედებაა მისაღები და რა მიუღებელი. მხოლოდ მაშინ შეიძლება მოსწავლეთა მთელი დრო და ენერგია უშუალოდ სწავლისაკენ მივმართოთ.

ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნის მნიშვნელოვანი წინაპირობა - **ქცევის წესების შემუშავება და პროცედურებია.**

ქცევის წესი ანუ რა გვინდა? წარმოადგნს ზოგად მოლოდინს ან სტანდარტს;

პროცედურა - დეტალური განმარტებაა იმისა, თუ როგორ განვახორციელოთ ესა თუ ის ქმედება.

ქცევის წესების შემუშავება საკმაოდ რთულია, გასათვალისწინებელია, რომ ამ წესებმა უნდა დაარეგულიროს მოსწავლეთა მოქმედებები გარკვეული დროის განმავლობაში. ამიტომ ლოგიკურია, რომ მათ შემუშავებაში მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

წესების შემუშავებისას უნდა გვახსოვდეს:

1. სასურველია წესების რაოდენობა არ აღემატებოდეს 4-6
2. წესები უნდა ჩამოყალიბდეს პოზიტიური ფორმით; მოვარიდოთ სიტყვებს - ”არ” ” ნუ” ”აკრძალულია”.
3. წესები ნათელი და კონკრეტული უნდა იყოს და არ უნდა იძლეოდეს ინტერპრეტაციის საშუალებას.
4. წესებს სჭირდება განმარტება რათა გაითავისონ მოსწავლეებმა;
5. მოსწავლეებმა წესები უნდა მიიჩნიონ მნიშვნელოვნად, რათა მათ მიაღწიონ სასწავლო მიზნებს

6. წესები უნდა გამოვაკრათ თვალსაჩინო ადგილას.

პროცედურები - თუ წესებში ჩამოყალიბებულია რა უნდა გაკეთდეს; პროცედურა აკონკრეტებს რა როგორ უნდა გაკეთდეს. **პროცედურების ერთობლიობა აყალიბებს გაკვეთილის სტრუქტურას.** მისი განხორციელება სისტემატური, ყოველდღიური უნდა გახდეს, ანუ მოსწავლე მას ჩვევის დონეზე უნდა ასრულებდეს. სწავლის დაწყებიდან პირველ ორ კვირის მანძილზე პედაგოგმა დიდი დრო უნდა დაუთმოს წესების შესაბამის პროცედურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი და იმავე საორგანიზაციო საკითხებზე შენიშვნების მიცემა მათ მთელი წლის განმავლობაში შეიძლება მოუხდეთ, რასაც საბოლოო ჯამში დიდი დრო მიაქვს და ქმნის პრობლემებს.

მაღალ კლასებში მოსწავლეებისათვის ნაცნობია ნაწილი პროცედურებისა, თუმცა მაღალ კლასებში საჭირო ხდება ახალი პროცედურების დაუფლების აუცილებლობა. მაგალითად საბუნებისმეტყველო საგნებში ექსპერიმენტებისას საჭირო უსაფრთხოების ზომები დ აშ.

2.1 ქცევის წესების და პროცედურების დაცვა

სხვადასხვა კლასში მასწავლებლისა და მოსწავლეების საჭიროებებისა და მიდგოების შესაბამისად განსხვავებული **წესები და პროცედურები** არსებობს. წესებსა და პროცედურებს მასწავლებლები ჩვეულებრივ შემდეგ ზოგად **კატეგორიებში** იყენებენ:

- ქცევასთან დაკავშირებული მოლოდინი
- საგაკვეთილო დღის ან სასწავლო პერიოდის დასაწყისი და დასასრული;
- გაკვეთილის შეწყვეტა;
- მასალა და მოწყობილობები;
- ჯგუფური მუშაობა;
- ტრადიციული სწავლება, რომელსაც მთლიანად მასწავლებელი უძღვება

ქცევის წესების და პროცედურების შემუშავებისას, გადამწყვეტი ფაქტორია თუ განვითარების რა საფეხურზე იმყოფებიან მოსწავლეები. მათი ასაკობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს ქცევის წესები და პროცედურები.

განვიხილოთ, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების კლასში ქცევის წესები და პროცედურები რომელ სფეროებს ეხება?

სქემა1

დაწყებით კლასებში ქცევის წესები და პროცედურები შემდეგ სფეროებს ეხება:	საბაზო საფეხურზე ქცევის წესები და პროცედურები შემდეგ სფეროებს ეხება:
• ზრდილობიანი დამოკიდებულება; ადამიანების დახმარება; • სხვების საკუთრების პატივისცემა; • მასწავლებლის ან მოსწავლეთა საუბარში უნებართვო ჩართვა; • სხვებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება.	• სასწავლო მასალის სკოლაში ტარება; • წინასწარგანსაზღვრულ ადგილას დაჯდომა; • სხვების პატივისცემა; • საუბრისაგან თავის შეკავება გაკვეთილზე, როცა სხვები საუბრობენ.

მკვლევართა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ კარგი საქციელისთვის მოსწავლის შექება-წახალისება უფრო ეფექტიანი სტრატეგიაა დისციპლინის დაცვისთვის ვიდრე წესის დარღვევის გამო მისი დასჯა. ამიტომ წარმატებული მასწავლებლები **პრევენციას** /წინასწარი ღონისძიებებით მოსწავლეთა არასასურელი ქცევის თავიდან აცილება/ და **კორექციას** შორის არჩევანს პირველის სასარგებლოდ აკეთებენ.

ისინი ახერხებენ ქცევის წესების დარღვევა თავიდან აიცილონ ან მისი პირველი სიმპტომების გამომჟღავნებისთანავე აღკვეთონ იგი. რადგან ქცევის წესების სერიოზული დარღვევის შემდგომი რეაგირება არასოდესაა ისე ეფექტური, როგორც პრევენცია.

2.2 პრევენცია

ქცევის წესების დარღვევა და დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა შექმნილი. ამგვარი გარემოს შექმნისათვის კი უნდა გვახსოვდეს რომ..

სქემა2

რა უნდა გვახსოვდეს?	როგორ მივაღწიოთ?
მოსწავლე ხალისით თანამშრომლობს მასწავლებელთან, რომელიც უყვარს და	**ამიტომ** მასწავლებელი უნდა იცნობდეს მოსწავლის მდგომარეობას ხასიათს და

პატივს სცემს	პატივს სცემდეს მის პიროვნულ თვისებებს
მოსწავლეს არ სცალია წესების დასარღვევად, როცა იგი საქმითაა დაკავებული	**ამიტომ** მასწავლებელმა დეტალურად უნდა დაგეგმოს გაკვეთილი და შეეცადოს მთელი დრო საინტერესო, მნიშვნელოვანი დავალებებით შეავსოს.
მოსწავლის ქცევაზე დადებითად აისახება მასწავლებელსა და მშობლების თანამშრომლობის ფაქტი	**ამიტომ** მასწავლებლები და მშობლები ერთნაირად უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ მათ შორის შედგეს თანამშრომლობა
მოსწავლისათვის მასწავლებელი სამაგალითო უნდა იყოს	**ამიტომ** წესს, რომელსაც მასწავლებელი თავად ემორჩილება მის დაცვას სამართლიანად და აუცილებლად მიიჩნევენ მოსწავლეებიც

გაკვეთილის განმავლობასში მოსწავლემ ერთხელ მაინც თუ დაარღვია რომელიმე წესი მასწავლებელს არ ავიწყდება საყვედურის თქმა. მაგალითად: დამოუკიდებელი მუშაობისას ნინო ხშირად გადაუსაპარაკებს ხოლმე გვერდით მჯდომ თანაკლასელს; რაზეც მასწავლებელი საყვედურობს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნინოს ქცევა შეაქოს მასწავლებელმა, თუ მან შეძლო მთელი გაკვეთილის განმავლობაში ქცევის წესების დაცვა.

შევაქოთ მოსწავლის კარგი ქცევა გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან შექება სტიმულია იმ მოსწავლისათვის ვინც ის დაიმდახურა. ამასთან, ეს კლასის ყურადღების მიპყრობის საშუალებაცაა.

რა უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის შექებისას?

1. **შევაქოთ კონკრეტულ ქმედება,** კონკრეტული წესის კარგად შესრულება. მაგალითად: გიორგი შენი საკლასო სამუშაოს რვეული სუფთა და მოწესრიგებულია. ყოჩაღ!..
2. **დავაჯილდოვოთ მონდომება,** მცდელობა და არა მარტო შედეგი. თუ ვხედავთ მოსწავლის ქცევაში პროგრესს თუნდაც იგი მთლიანად ვერ ახერხებდეს ჩვენი მოთხოვნების დაკმაყოფილებას შევაქოთ იგი და ვაგრძნობინოთ, რომ მისი მცდელობა მხედველობიდან არ გვრჩება;
3. **შევატყობინოთ მშობლებს მოსწავლის წარმატებები.** ბევრი მასწავლებლის დაკვირვებით ეს ხერხი ეფექტურია მოსწავლეთა მოტივაციის გასაძლიერებლად.

რაც არ უნდა წარმატებით გამოვიყენოთ პრევენციის ხერხები ქცევის წესების და პროცედურების დარღვევის შემთხვევები კლასში მაინც იქნება. მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული თუ რამდენად ადრეულ ეტაპზე შენიშნავს იგი დისციპლინის დარღვევის ნიშნებს და რამდენად სწრაფად და უმტკივნეულოდ მოახერხებს მის აღკვეთას.

არის შემთხვევები როცა დარღვევის იგნორირება გამართლებულია. უნდა გვახსოვდეს, რომ მასწავლებლის რეაგირების შედეგად მთელი კლასის ყურადღება პრობლემურ ქცევაზე გადადის. ჯერ ერთი, ეს აბრკოლებს გაკვეთილის ნორმალურ მიმდინარეობას და მეორეც, წესრიგის დამრღვევს შეიძლება საყოველთაო ყურადღება სასურველადაც მიაჩნდეს. ამ მიზეზების გამო მასწავლებელმა შეიძლება თვალი აარიდოს დარღვევას თუ

- **ეს გამონაკლისი შემთხვევაა** ან გამოწვეულია უჩვეულო გარემო პირობებით / მაგ. მოსწავლის პირად ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებული ხდება, ან სასწავლო წლის ბოლო დღეა/
- **ქცევა ბუნებრივია მოსწავლეთა განვითარების მოცემულ საფეხურზე** /მაგ. დაწყებითი კლასის მოსწავლეების მოუსვენრობა ხანგრძლივად ერთ ადგილზე ჯდომის შემდეგ/;
- **დარღვევა ხელს არ უშლის სასწავლო პროცესს** და არ მიიპყრობს მოსწავლეების ყურადღებას/მაგ. ნინომ დავალების მიღების შემდეგ ამოიღო ჩანთიდან რვეული, რომელიც წესის მიხედვით თავიდანვე მერხზე უნდა ყოფილიყო/

როცა მასწავლებელი შეამჩნევს, რომ მოსწავლე ქცევის წესებს არღვევს; თავდაპირველად ის ცდილობს შეუმჩნევლად და ბუნებრივად ანიშნოს მოსწავლეს.. მივიდეს მასთან ახლოს ან უნებრივად ჩაურთოს მისი სახელი საუბარში "სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი **ნინო,** როგორც ჩვენ უკვე ვიცით ტოლია..."

როცა ამგვარი ტაქტიანი მცდელობა უშედეგოა მასწავლებელი იძულებულია სხვა ზომებს მიმართოს.

წლის დასაწყისში წესების შემუშავებისთანავე უნდა განისაზღვროს რა სახის დარღვევას რა რეაგირება მოჰყვება. აუცილებელია, რომ მოსწავლები ამ ზომას შეიძლება არასასიამოვნოდ, მაგრამ სამართლიანად მიიჩნევდნენ.

მაგალითად განვიხილოთ თუ როგორ შეიძლება დალაგდეს დისციპლინის დარღვევისთვის გათვალისწინებული ზომები / ჩამონათვალი 3-7 მდეა/. ნაკლებსერიოზული ზომებიდან უფრო სერიოზულამდე.

1. მოსწავლე იღებს სიტყვიერი შეხსენებას;
2. მოსწავლე კარგავს შესვენების 5 წთ;
3. მოსწავლე გაკვეთილების შემდეგ რჩება 20 წთ;
4. სატელეფონო ზარი მშობელთან;

5. მოსწავლე იგზავნება დირექტორთან

წინასწარ შემუშავებულმა ზომებმა შედეგი რომ გამოიღოს, მასწავლებელი ბოლომდე თანმიმდევრული უნდა იყოს. თუნდაც ერთი გამონაკლისის დაშვება უაღრესად სახიფათო პრეცენდენტს ქმნის. ამიტომაც ექსპერტები გვირჩევენ - **არ შემოვიღოთ წესი თუ არა ვართ მზად იგი ყოველთვის ყველა პირობებში დავიცვათ!**

ეს თანმიმდევრულობა უნდა შეერწყას მოსწავლისადმი ტაქტიან, მზრუნველ დამოკიდებულებას. მასწავლებლის კლასთან ურთიერთობის მთავარი იარაღი სიმშვიდეა. მასწავლებემა უნდა შეინარჩუნოს ემოციური ბალანსი, რადგან ემოცია გადამდებია. მასწავლებლის რისხვა ხშირად იწვევს მოსწავლეთა აგრესიას ან მოსწავლეები ერთობიან მასწავლებლის ემოციებზე. ამიტომ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ:

- მასწავლებელმა უნდა შეინარჩუნოს ემოციური წონასწორობა;
- შენიშვნა უნდა ეხებოდეს კონკრეტულ საქციელს და არა პიროვნებას;
- ყველა შენიშვნა უნდა იყოს კონკრეტული და არა ზოგადი;

კლასის მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მასწავლებლი თავისი სტრატეგიებით დაეხმაროს მოსწავლეებს შეისწავლონ ახალი, კლასისთვის შესაფრისი და სოციალურად გამართლებული ქცევა.

2.3 ქცევის თვითმართვა

რას ნიშნავს ქცევის თვითმართვა?

თვითმართვა არის ადამიანის უნარი, გააცნობიეროს და მართოს საკუთარი ქცევა. აქ იგულისხმება მოსწავლის უნარი, თავად დაისახოს მიზანი, ხოლო შემდეგ დაგეგმოს და განახორციელოს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. იმის გადასაწყვეტად რომელი ქცევა უნდა შევინარჩუნოთ და რომელი შევცვალოთ აუცილებელია ზუსტად ვაფასებდეთ ჩვენს ქმედებებს.

თვითმართვის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებისთვის მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთად უნდა იმუშაონ. ეს არის საკმაოდ რთული პროცესი, რომელიც რამოდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს.

1. მიზნის/სამიზნე ქცევის / განსაზღვრა;
2. თვითდაკვირვების მეთოდის შემუშავება;
3. წახალისების ფორმების შერჩევა;
4. თვითდაკვირვების სისტემის გამოყენება;
5. თვითგანმტკიცება

მიზნის განსაზღვრა

მოსწავლე და მასწავლებელი ერთად განსაზღვრავენ მოსწავლის რა ქმედებაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. ამგვარი ქმედებების არჩევანი საკმაოდ დიდია. დამოკიდებულია თუ რას აღიქვამს ორივე მხარე განსაკუთრებით პრობლემურად. იმ ქცევას, რომლის შეცვლას ან ჩამოყალიბებას ვისახავთ მიზნად, შეიძლება ვუწოდოთ სამიზნე ქცევა.

2. სამიზნე ქცევა.

როცა მიზანი მოსწავლის მიერაა განსაზღვრული, ის უფრო დაინტერესებული არის მიზნის მიღწევაში; **ეს ფაქტორი არსებითია თვითმართვის უნარის განვითარებისათვის.** ამიტომ სასურველია შევქმნათ სიტუაციები, სადაც მოსწავლე თავად შეძლებს გადაწყვიტოს რა მიზნის მიღწევა სურს. თვითმართვის პროცესის მიზნად უნდა განისაზღვროს პოზიტიური ქცევა და არა წესრიგის დარღვევა

სასურველი მიზანი	არასასურველი მიზანი
მოსწავლემ აღრიცხოს, ხელის აწევით რამდენჯერ ანიშნა მასწავლებელს პასუხის სურვილი	დავთვალოთ, რამდენჯერ შეგვაწყვეტინა მოსწავლემ საუბარი უადგილო წამოძახილით

მიზნის განსაზღვრის ეტაპზე აუცილებელია მიზანი იყოს რეალისტური, მაგრამ არც ძალიან ადვილად მისაღწევი.

1. თვითდაკვირვების მეთოდის შემუშავება

მოსწავლესთან ერთად მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს როგორ მოხდება სამიზნე ქცევის აღრიცხვა. ამისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ცხრილი ან სქემა და ხშირად დროის გაზომვის რაიმე მექანიზმი.

არსებობს სხვაგვარი ცხრილებიც, რომლებსიც მასწავლებლის სიგნალზე მოსწავლემ უნდა აღრიცხოს ასრულებს თუ არა სამიზნე ქცევას მოცემულ მომენტში.

სქემა

თვითდაკვირვების ფორმა - ნინო
ყოველ 15 წთ აღნიშნე, როგორ ასრულებ მასწავლებლის მიერ მოცემულ საკლასო

დავალებებს + სულ ვმუშაობდი - არ ვმუშაობდი ? დაახლოებით ნახევარი დრო ვმუშაობდი

9.00 -9.15	9. 15 -9.30	9.30 -9.45	შესვენება	10 -10.15
+	?	?	-	+

3.წახალისების ფორმების შერჩევა

წახალისება, თვითმართვის სისტემის ფუნქციონირების მნისვნელოვანი ელემენტია.ზოგი მოსწავლის დაინტერესებისათვის საკმარისი აღმოცნდება თავად ის ფაქტორი, რომ თვითონ აკონტროლებს და აფასებს საკუთარ ქცევას. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებით **განმამტკიცებლები.**

განმამტკიცებლების შერჩევა მოსწავლის განვითარების საფეხურის და ინტერესების გათვალისწინებით ხდება. თვითმართვის უნარის ჩამოყალიბების ეტაპის მიხედვით განმამტკიცებლები ასე განლაგდება:

საწყის ეტაპზე /1,3კლ/-სტიკერი,მასწავლებლის ღიმილი დაშ

მეორე ეტაპზე /4-6 კლ/ - პრივილეგია, თამაში კომპიუტერზე, მასწავლებლის დახმარება, ლიდეროზა დაშ

მესამე ეტაპზე /7-9კლ/ - სოციალური წახალისება; ნამუშევრის გამოფენა, მიღწევების წარმოჩენა დაშ

მეოთხე ეტაპზე /10 -12 კლ/ - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების უფლება. მაგ. რა პროექტი გააკეთოს, რა ვადაში..

თვითმართვის უნარის განვითარების მეოთხე ეტაპზე იმდენად ძლიერია მოსწავლის შინაგანი მოტივაცია, რომ წახალისების საჭიროება აღარ არსებობს. მოსწავლისათვის თვითმართვა უკვე სტიმულია.

ქცევის თვითმართვის უნარზე მუშაობისას, მასწავლებელი ცდილობს, თანდათან უფრო მაღალი დონის განმამტკიცებლები შესთავაზოს მოსწავლეს. ამასთან ეს გადასვლა თანდათანობითი უნდა იყოს. უკვე ნაცნობ განმამტკიცებლებთან ერთად, მოსწავლეს ვთავაზობთ უფრო მაღალი დონისას და დროთა განმავლობაში ვცდილობთ, ძველი მთლიანად ახალი ტიპის განმამტკიცებლებით ჩავანაცვლოთ.

4. თვითდაკვირვების სისტემის გამოყენება

როცა სამიზნე ქცევა, მისი აღრიცხვის და წახალისების ფორმები განსაზღვრულია. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ამ სისტემის კარგად გააზრებაში და ასწავლოს მისი პრაქტიკულად გამოყენება.

ხშირად რამდენიმე დღე მაინც სჭირდება იმას, რომ მოსწავლემ სათანადო სიზუსტით შეძლოს თავისი ქცევის აღრიცხვა. ამ დღეების მანძილზე მასწავლებელმა სისტემატურად უნდა შეადაროს თავისი დაკვირვების შედეგები მოსწავლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან. შემდეგ ეტაპზე მასწავლებლის სიტემატური კონტროლი საჭირო აღარ არის. მაგრამ მოსწავლისათვის მოულოდნელი პერიოდული შემოწმება მაინც სასარგებლოა.

5. თვითგანმტკიცება

თვითმართვის სტრატეგიების გამოყენების შედეგად მოსწავლის ქცევა თანდათან უახლოვდება დასახულ მიზანს.

მასწავლებლის საბოლოო მიზანია მოსწავლეს რეალისტურ თვითშეფასებასთან ერთად ჩამოუყალიბდეს **თვითგანმტკიცების** უნარი. მოსწავლეს შეიძლება დავეხმაროთ მისთვის ყველაზე სასურველი განმამტკიცებლის პოვნაში, რომლითაც შეუძლია საკუთარი თავი დააჯილდოვოს მიზნის მიღწევისთვის.

რა არის კონფლიქტი

ადამიანებს აქვთ საკუთარი ფასეულობები, რომლებიც წარმართავენ მათ აზროვნებას და ქცევას. მის საფუძველზე დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს, ან თავს იკავებენ გარკვეული ქმედებებისაგან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ადამიანების ურთიერთობისას ხშირად თავს იჩენს განსხვავებული შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე. ეს თავის მხრივ იწვევს ურთიერთობებში პრობლემის გაჩენას, რომელიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას. საერთოდ ცხოვრება გადაწყვეტილებათა მიღების უწყვეტი პროცესია. მთავარია, მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ გამოიწვევს ადამიანების დაპირისპირებას, ანუ კონფლიქტს.

კონფლიქტი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს (პიროვნებასა ან ჯგუფს) შორის, რომელთაც აქვთ, ან ფიქრობენ, რომ აქვთ, ურთიერთშეუთავსებელი მიზნები. ‘კონფლიქტი’ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს შეჯახებას.

ადამიანს ხშირად უჭირს საკუთარ თავში გარკვევა. რა გასაკვირია, რომ სხვასთან მას უჭირდეს ურთიერთობების დამყარება, რადგან შესაძლოა, ჯერ არა აქვს გაცნობიერებული შინაგანი კონფლიქტები?! მხედველობაშია პიროვნების შინაგანი კონფლიქტების ტიპები:

1. **მოტივაციური** – (მინდა-არ მინდა);

2. **ზნეობრივი** – (მინდა-საჭიროა);

3. **განუხორციელებელი სურვილების** – (მინდა-შემიძლია?);

4. **როლური** – (განცდები რამოდენიმე როლის ერთდროულად შესრულების შეუძლებლობისა);

5. **ადაპტაციური** (შემგუებლური) – (საჭიროა- შემიძლია საჭიროების ფარგლებში);

6. **თვითშეფასების არაადექვატურობა** – (შემიძლია: ა) ან ძალიან ბევრი; ბ) ან ძალიან ცოტა).

გამოდის, რომ კონფლიქტები ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ურთიერთობებში. კონფლიქტები ბუნებრივია ხდება სკოლაში მასწავლებელსა და მოსწავლეს, მოსწავლეებს, მოსწავლეთა ჯგუფებს (კლასებს) შორის. კონფლიქტები შეიძლება იყოს ფარული, ღია ან ზედაპირული.

სქემა-7

ფარული კონფლიქტი	**ღია კონფლიქტი**	**ზედაპირული კონფლიქტი**
არ ჩანს ზედაპირულ დონეზე და შესაძლოა საჭიროებდეს გამოაშკარავებას	**ღრმა ფესვებიც აქვს,** ზედაპირზეც ადვილად შესამჩნევია და საჭიროებს ისეთი ზომების მიღებას, რაც შეეხებოდა როგორც სიღრმისეულ მიზეზებს, ასევე გარეგნულ გამოვლინებებს.	**სუსტი ფესვები აქვს** ან სულაც არ გააჩნია. ის შეიძლება გამოწვეული იყოს მიზანთა გაუგებრობით და ამიტომ შეიძლება მოგვარდეს კომუნიკაციის გაუმჯობესებით.

კონფლიქტები ჩვენი ცხოვრების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. ძალას გააჩნია ენერგია. კონფლიქტის ენერგიას აქვს ორი გამოსახულება: ნეგატიური და პოზიტიური. **ნეგატიური ენერგია** მოქმედებს დესტრუქციულად და იწვევს ძალადობას, სიკვდილს, ნგრევას. პოზიტიურ ენერგიას შეუძლია გამოიწვიოს პირადი,

საზოგადოებრივი, სოციალური დადებითი ცვლილებები; უკეთესი პირადი და საზოგადოებრივი ურთიერთობები და დამოკიდებულებები.

თუ სკოლაში ავტორიტარული რეჟიმია, იქ კონფლიქტის ენერგიის ჩასახშობად ხშირად იყენებენ ძალას. მაგრამ, როდესაც ენერგია ჩახშობილია, კონფლიქტური სიტუაცია სხვა ფორმებით გრძელდება, იწვევს განცდებს. სასიკეთო შედეგების შესაძლებლობა თითქმის დაკარგულია. იზრდება უსამართლობით გამოწვეული უკმაყოფილება და მომავლისათვის მხოლოდ ისეთი შესაძლებლობები ისახება, როგორიცაა ძალადობა და ნეგატიური ენერგიის სხვადასხვა გამოხატულება. გამოსავალი პოზიტიური ენერგიის მართვაშია.

კონფლიქტის ყველაზე პოზიტიური ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ კონფლიქტი, გამოსახული წინააღმდეგობის ფორმით, წარმოადგენს განვითარების წყაროს. რიგ კვლევებში, რომლებიც ეყრდნობიან ჟან პიაჟეს სკოლის იდეებს, ჩანს, რომ სოციო-კოგნიტური კონფლიქტები შეიძლება გახდეს ბავშვის ინტელექტუალური განვითარების წყაროდ.

სოციო-კოგნიტურ კონფლიქტში იგულისხმება სიტუაცია, რომელშიც პიროვნებებს აქვთ სხვადასხვა პასუხი ერთსა და იმავე პრობლემაზე და მოტივირებულნი არიან ერთობლივი გადაწყვეტილების მიღწევაზე. რაც უფრო მნიშვნელოვანია მონაწილეებისათვის ეს კონფლიქტი, მით უფრო ძლიერია მისი ზემოქმედება მათ ინტელექტუალურ განვითარებაზე.

ხშირად მოზარდის ნეგატიური საქციელი გამოწვეულია "დაზვერვის" მიზნით: მას აინტერესებს თავი გამოცადოს ახალ ვითარებაში, ისწავლოს ახალი ხერხები, საშუალებები, მიდგომები პრობლემის გაჩენის დროს. ასე ხდება მისი სოციალიზაცია. ეს ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ძნელად ეგუებიან როგორც მშობლები, ასევე მასწავლებლები.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციები სასწავლო პროცესში:

1. **საქმიანობის კონფლიქტები,** რომლებიც წარმოიქმნებიან სასწავლო დავალებების შესრულებისას, კლასგარეშე საქმიანობის დროს და მოსწავლის მოსწრების საკითხებთან დაკავშირებით;

2. **ქცევის კონფლიქტები,** რომლებიც წარმოიქმნებიან მოსწავლის მიერ ქცევის წესების დარღვევისას, მეცადინეობისას ან სასწავლო დაწესებულების გარეთ;

3. **ქცევის კონფლიქტები,** რომლებიც წარმოიქმნებიან **მასწავლებლის მიერ ქცევის წესების დარღვევისას;**

4. **კონფლიქტური დამოკიდებულებები,** რომლებიც წარმოიშობიან მოსწავლის და მასწავლებლის ემოციურ-პიროვნულ ურთიერთობებში სასწავლო პროცესის დროს;

კონფლიქტების მიზეზები შემდეგნაირი შეიძლება იყოს:

1. რესურსების განაწილება;
2. ურთიერთდამოკიდებულება;
3. განსხვავებული ფასეულობები;
4. განსხვავებული მიზნები;
5. განსხვავებული ხერხები მიზნის მისაღწევად;
6. არადამაკმაყოფილებელი კომუნიკაცია;
7. განსხვავება ფსიქოლოგიურ თავისებურებებში;
8. არასწორი, დამახინჯებული ან არასაკმარისი ინფორმაცია;
9. არსებული კანონები;
10. დროში შეზღუდვა, გარემოება, სტატუსი, სოციალური როლები და სხვა.

კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები:

კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისთვის აუცილებელია საპასუხო რეაქციის გამოწვევა მეორე ადამიანში/მეორე მხარეში, რომლის მიღწევაც წარმოუდგენელია მხარეებს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარების გარეშე.

კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კლასიფიკაციაა **თომასისა** და **ქილმენის** კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყოფილია ხუთი ძირითადი სტრატეგია: 1) განრიდება, 2) კონკურენცია (შეჯიბრი), 3) შეგუება, 4) კომპრომისი, 5) თანამშრომლობა.



Y ღერძი აღნიშნავს ადამიანის ორიენტირებულობას საქმეზე, მიზანზე, ხოლო **X** ღერძი მის ორიენტირებულობას სხვა ადამიანთან ურთიერთობებზე.

ყველა სტრატეგიას გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. უნივერსალური არც ერთი არ არის.

1. დასაწყისში ნულოვანი წერტილი იმყოფება, სადაც არც ერთი მხარის ინტერესი არ კმაყოფილდება; სხვა სიტყვებით, არ სრულდება საქმე და არ ხდება ურთიერთობა. ეს წერტილი შეესაბამება სიტუაციიდან ***განრიდების*** სტრატეგიას. ეს სტრატეგია გულისხმობს, რომ ადამიანი იგნორირებას უკეთებს კონფლიქტის სიტუაციას არავითარ ზომას არ მიმართავს მის გადასაწყვეტად ან შესაცვლელად. უნდა ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში სწორედ ასეთი სტრატეგიაა ოპტიმალური, საუკეთესო. ეს ეხება სიტუაციებს, რომლებიც არ არიან ჩვენთვის დიდი მნიშვნელობის მქონენი და არ ღირან იმად, რომ მათზე დრო, ენერგია, ან მატერიალური რესურსები ვხარჯოთ. მაშასადამე, განრიდების სტრატეგიის გამოყენება იმ შემთხვევაშია მიზნებულად გამოყენებული, როცა არც საქმეა ჩვენთვის მნიშვნელოვანი და არც ურთიერთობაა ღირებული.

სკოლაში განრიდების სტრატეგიის არჩევა არ არის მიზანშეწონილი, რადგან კონფლიქტის მოგვარების ამ სტრატეგიით არც ურთიერთობები ნარჩუნდება და ვერც საქმე კეთდება, ხოლო სასკოლო ურთიერთობებში ერთიც ღირებულია და მეორეც მნიშვნელოვანი.

2. ვერტიკალური ღერძი აღნიშნავს საკუთარი ინტერესის დაკმაყოფილებისკენ სწრაფვას და პარტნიორის ინტერესების უგულებელყოფას. ღერძის უმაღლესი წერტილი შეესაბამება საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მაქსიმალურ მიდრეკილებას და მეორე მხარის ინტერესის სრულ გაუთვალისწინებლობას. ამას **შეჯიბრის** ან ***კონკურენციის*** სტრატეგია ეწოდება. შეიძლება ამას საქმეზე ორიენტირებულობაც ვუწოდოთ. კონკურენცია საშუალებას იძლევა სწრაფად მივაღწიოთ შედეგს, იგი სტიმულს აძლევს განვითარებას, პროგრესს. არსებობს სიტუაციები, სადაც კონკურენცია ყველაზე უფრო შესაფერისი, ზოგჯერ – ერთადერთი სტრატეგიაა.

მაგრამ, რადგანაც კონკურენციის სტრატეგია გულისხმობს საკუთარი მიზნების მიღწევას სხვათა ინტერესების ხარჯზე, ამ სტრატეგიასაც ბევრი ნაკლი გააჩნია. ჯერ ერთი, შეჯიბრი გულისხმობს მთელი ძალების დაძაბვას, და გარდა ამისა, კონკურენცია ხშირად აფუჭებს ურთირთობებს, ადამიანთა შორის. ხშირად, ადამიანები კონკურენციის სტრატეგიას სრულიად დაუფიქრებლად, ავტომატურად მიმართავენ, როგორც ემოციურ რეაქციას უსიამოვნო

ზეგავლენაზე, ან იმიტომ, რომ ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება სხვა სტრატეგია გამოიყენონ.

ასწავლეთ ბავშვებს როდის შეიძლება გამოიყენონ კონკურენცია და როდის დაუშვებელია.
კონკურენცია დასაშვებია:

კონკურსის, ოლიმპიადის, შეჯიბრის... დროს კონკურენცია ყველაზე შესაფერისი სტრატეგიაა.

კონკურენცია დასაშვებია როდესაც ურთიერთობა ერთჯერადია.

კონკურენცია დაუშვებელია:

ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც ურთიერთობები არის მრავალჯერადი. ამ დროს

თანამშრომლობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. კონკურენცია კი თავისთავად გამორიცხავს

თანამშრომლობას.

1. ჰორიზონტალური ღერძი X, რომელიც მიმართულია ოპონენტის ინტერესების გათვალისწინებისკენ, გვიჩვენებს **შეგუების** სტრატეგიას. რაც უფრო შორს არის მოთავსებული წერტილი ამ ღერძზე, მით უფრო მიუთითებს ადამიანის მიდრეკილებაზე, დააკმაყოფილოს სხვისი ინტერესები საკუთარის ხარჯზე. ისევე, როგორც სხვა სტრატეგიებს, ამ სტრატეგიასაც თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები ახასიათებს.

როდის არის მიზანშეწონილი ამ სტრატეგიის გამოყენება?
როცა მიზანი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, ხოლო ურთიერთობა – მნიშვნელოვანია. ასეთი სიტუაციები ხშირია, მაგალითად, ოჯახში, სადაც ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობათა შესანარჩუნებლად ღირს თვალის დახუჭვა წვრილმან მიზნებზე.
ოპონენტისთვის კეთილი ნების საჩვენებლად, რათა მას ამით მაგალითი მიეცეს. ხშირად დათმობა განმუხტავს დაძაბულ ურთიერთობას და იქცევა გარდამტეხ მომენტად სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლაში. ზოგჯერ ჩვენ ვუთმობთ იმიტომ,
რომ ვაღიარებთ ოპონენტის სისწორეს.

რა ხიფათები ახლავს თან ამ სტრატეგიას?
შეგუებას ცუდი სამსახურის გაწევაც შეუძლია. ოპონენტმა შეიძლება აღიქვას იგი, როგორც სისუსტის გამოვლენა და გააძლიეროს მოთხოვნები და ზეწოლა. ჩვენ

შეიძლება შევცდეთ, როცა მოპირისპირე მხარისგან საპასუხო დათმობებს ველოდებით. ბოლოს და ბოლოს, როცა ვუთმობთ, ჩვენ ვერ ვაღწევთ მიზნებს და
ვერ ვიკმაყოფილებთ საკუთარ ინტერესებს.

4. ღერძებს შორის სივრცეში, ცენტრში, **კომპრომისის** ადგილია. იდეალურ კომპრომისად შეიძლება ჩაითვალოს კონფლიქტის ორივე მხარის ინტერესთა სანახევრო დაკმაყოფილება.

მაგრამ კომპრომისი ხშირად მხოლოდ დროებით გამოსავალს წარმოადგენს, რადგანაც ვერც ერთი მხარე ინტერესებს ბოლომდე ვერ იკმაყოფილებს და, ამრიგად, კონფლიქტის საფუძველი კვლავ არსებობს. ხოლო, თუ კომპრომისი არათანაბარია, ანუ, ერთ-ერთ მხარეს მეტის დათმობა უწევს, კონფლიქტის ხელახალი გამწვავების რისკი კიდევ უფრო იზრდება.

5. ბოლოს, კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის კიდევ ერთი სტრატეგია გამოიხატება წერტილით, რომელსაც ერთდროულად **X** და **Y** კოორდინატთა მაღალი მნიშვნელობა გააჩნია. ეს არის **თანამშრომლობის** სტრატეგია. იგი გამოირჩევა საკუთარი და, ამავე დროს, პარტნიორის ინტერესთა მაქსიმალური დაკმაყოფილებისკენ სწრაფვით.

თანამშრომლობა ერთადერთი სტრატეგიაა კონფლიქტურ სიტუაციაში, რომელიც იძლევა საშუალებას, თან სასურველ მიზანს მიაღწიო, თან არ გააფუჭო ურთიერთობა მეორე მხარესთან. თანამშრომლობა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. მისთვის აუცილებელია პრობლემის ერთობლივი გადაწყვეტის ორმხრივი სურვილი, ყველა მხარის ინტერესთა გათვალისწინება.

მაშასადამე, კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზა მისი კონსტრუქციული გადაწყვეტაა კონფლიქტის კონსტრუქციული გადაწყვეტის დროს:

- ვითარდება რთული სააზროვნო უნარ-ჩვევები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრის უნარი და ა.შ;
- ვითარდება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- ვითარდება მოსწავლის თვითშეფასება და იზრდება საკუთარი თავისადმი რწმენა;
- ყალიბდება მოულოდნელი გარემოებებისთვის თავის გართმევის და სტრესის დაძლევის უნარი, რაც მოსწავლის მაღალი სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების მაჩვენებელია;
- ყალიბდება ეთიკური ღირებულებები;

- ურთიერთობები კლასში (მოსწავლეებსა და მასწავლებელს, ან თავად მოსწავლეებს შორის) უფრო მაღალ საფეხურზე გადადის, კლასში იზრდება ერთსულოვნება, ერთმანეთის ნდობა და პატივისცემა.

კონფლიქტის არსებობა პრობლემად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა ვერ ვახერხებთ სიტუაციის გაკონტროლებას, როცა კონფლიქტის შედეგად ერთ-ერთი მხარე მაინც ზარალდება. თუ მოსწავლემ არ იცის კონფლიქტის მოგვარების გზები, მოსალოდნელია, რომ მან აგრესიას და ძალადობას მიმართოს. ბევრი ახალგაზრდისთვის
აგრესია (სიტყვიერი თუ ფიზიკური) პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზაა. უმეტეს შემთხვევაში, მათ ძალის გამოყენება კი არ სიამოვნებთ, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, არამედ
პრობლემის მოგვარების სხვა გზას ვერ ხედავენ. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

- ზოგჯერ მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მიზნების მისაღწევად ძალის გამოყენება მისაღები ხერხია; ამის გარეშე თანატოლებმა ისინი შეიძლება სუსტად ჩათვალონ და დაჩაგრონ;
- მოსწავლეებს არა აქვთ სოციალური უნარ-ჩვევები, ანუ კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღებისა თუ თვითმართვის უნარ-ჩვევები და ამიტომ ვერ ახერხებენ, ააგონ და შეინარჩუნონ პოზიტიური ურთიერთობები სხვა ადამიანებთან. მათ არ იციან, როგორ დაუმეგობრდნენ თანატოლს, რა მისაღები ფორმით მიიპყრონ მასწავლებლის ან სხვა უფროსის ყურადღება და როგორ გამოხატონ თავიანთი ემოცია, მაგ. სიბრაზე.

3.1. კონფლიქტების მოგვარების გზები

- მასწავლებელი უნდა ქმნიდეს ისეთ სასწავლო გარემოს, რომ მოსწავლეები ორიენტირებულნი იყვნენ თანამშრომლობასა და კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაზე. ამისათვის მასწავლებელს ცხადია, რომ ჯერ თავად უნდა შეეძლოს კონფლიქტის აღმოცენებისთანავე მიზეზის ამოცნობა, სწორი სტრატეგიის არჩევა, მიმდინარე პროცესებში საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერება. მთავარია, გარედან კი არ ელოდოს პრობლემის გადაწყვეტას, არამედ თავად გამოიჩინოს აქტიურობა, შეეცადოს, დაძლიოს და მართოს პრობლემური სიტუაცია. და, რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლეებს უნდა ასწავლოს კონფლიქტების მართვა, რათა მათ გამოუმუშაოს საჭირო უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად.

- მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესში უნდა იყენებდეს სხვადასხვა აქტივობებს (როლური თამაში, მოდელირება, დისკუსია, სიტუაციური

ამოცანები და ა.შ.), რომლის დროსაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალებაკარგად გაიცნონ ერთმანეთი, ერთობლივად შეასრულონ დავალებები, გამოხატოს საკუთარი აზრი, დამოკიდებულება, პატივი სცენ სხვათა მოსაზრებებს, ეძიონ კომპრომისის მიღწევის გზები, თავად იმუშაონ პრობლემაზე, მიიღონ გადაწყვეტილება. მასწავლებელი თავად უნდა იძლეოდეს პიროვნების პატივისცემის მაგალითს.

რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია, რა უნდა მოიმოქმედოს მასწავლებელმა, როცა მოსწავლეებს შორის კონფლიქტური სიტუაციაა:

- შორიდანვე შევაფასოთ სიტუაცია. განვსაზღვროთ, ვინ მონაწილეობს კონფლიქტში და რა ვიცით ჩვენ მათ შესახებ; როგორ აღიქვამენ ისინი ჩვენს გამოჩენას. ამ შეფასების შედეგად, კონფლიქტის სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება მოვუხმოთ დამხმარეს, სხვა მასწავლებელს ან დირექტორს;
- გვახსოვდეს, რომ ჩვენი მიზანია, განვმუხტოთ სიტუაცია ისე, რომ არავინ დაზიანდეს და არც ერთი მონაწილის თავმოყვარეობა არ შეილახოს;
- შევეცადოთ, თავიდან მოვიშოროთ გარეშე პირები, მაყურებლები და სიტუაციას გავარიდოთ ერთ-ერთი მოჩხუბარი. თუ ეს არ ხერხდება, უნდა შევეცადოთ, რამე საშუალებით (მაგ. ხმის აწევით) ჩვენზე გადმოვიტანოთ მოსწავლეების ყურადღება;
- შევეცადოთ, თავდაპირველად მცირე შეზღუდვები დავაწესოთ და თანდათანობით გავამკაცროთ მოთხოვნა. მაგალითად, ჯერ მოვითხოვოთ: „რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ ხმას დაუწიეთ". როცა ამ ბრძანებას დაემორჩილებიან, დავამატოთ შემდეგი მოთხოვნა „უხეში სიტყვების გამოყენება შეწყვიტეთ" და ა.შ.
- მოსწავლეები დავარწმუნოთ, რომ ამ საკითხის მოგვარება მშვიდობიანი საუბრით აჯობებს. შეიძლება ვუთხრათ, რომ ჩხუბის გაგრძელებას ყოველთვის მოახერხებენ და მასწავლებელი ამას ხელს ვერ შეუშლის, მაგრამ ჯერ შეიძლება სხვა ხერხი ვცადოთ;
- დავეხმაროთ მოსწავლეებს თავიანთი ემოციების მოთოკვაში. ამისთვის ხშირად საკმარისია, რომ მათ ყურადღებით და თანაგრძნობით მოვუსმინოთ;
- დავეხმაროთ მოსწავლეს გამოსავალის პოვნაში. შევთავაზოთ მას კონფლიქტის მოგვარების შესაძლო ვარიანტები, მაგალითად, შევთავაზოთ მას სხვაგან, უფრო წყნარ ადგილას შეხვედრა და საუბარი. სასურველია, ამ დროს მოვახერხოთ მოსწავლის ყურადღების გადატანა რამე დადებით ემოციასა და ქმედებაზე. აგრესიის ფაქტის აღკვეთა მხოლოდ პირველი ნაბიჯია კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისკენ.

მასწავლებელს ხშირად სერიოზული როლის შესრულება უხდება მოსწავლეთა კონფლიქტის დარეგულირებაში. ამ დროს მან სხვადასხვა მიდგომა შეიძლება გამოიყენოს:

- დირექტიული მიდგომის შემთხვევაში მასწავლებელი თავად იძლევა მითითებებს, თუ რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა. იგი არ ეთათბირება კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, არამედ თავად იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას. დირექტიული სტილის გამოყენება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა კონფლიქტური სიტუაცია კონტროლიდან გამოდის და დაუყოვნებელ ჩარევას მოითხოვს, რათა მოსწავლეთა უსაფრთხოება ეჭვქვეშ არ დადგეს.
- როცა მასწავლებელი გამოდის არბიტრის როლში, იგი ყურადღებით ისმენს ორივე მხარის მოსაზრებებს და პრობლემის არსში ჩაწვდომის შემდეგ ეუბნება მათ, რა უნდა გაკეთდეს. ეს საკმაოდ ეფექტური მიდგომაა, რადგან კონფლიქტში მონაწილე მხარეებს თავიანთი პოზიციების გამოხატვის საშუალება ეძლევათ და თანაც შედეგი საკმაოდ მოკლე დროში მიიღწევა. ამ სტილის ნაკლი ისაა, რომ მოსწავლეები თავად ვერ იღებენ ინიციატივას პრობლემის მოგვარების პროცესში და კონფლიქტის სიღრმისეული მიზეზებიც შეიძლება აუხსნელი დარჩეს;
- მასწავლებელი-მოსამართლე მონაწილეობს ისეთი კონფლიქტების მოგვარებაში, როცა ერთმა მხარემ მეორეს აშკარა ზიანი მიაყენა და საჭირო ხდება სამართლიანობის აღდგენა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა მოუსმინოს მხარეებს და გადაწყვიტოს, ვინ არის დამნაშავე. ბავშვები ხშირად მიანდობენ ხოლმე უფროსს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას. მასწავლებელსვე ევალება ამ დროს განსაზღვროს „სასჯელის ზომა“, ანუ რა შედეგები უნდა მოჰყვეს მიუღებელ ქმედებას მისი ჩამდენისათვის.

  სამივე მიდგომას ერთი საერთო ნაკლი აქვს. ვერც ერთი მათგანი ვერ შეუწყობს ხელს მოსწავლეთა დამოუკიდებლობის განვითარებას, კომპრომისზე წასვლის და ერთმანეთთან შეთანხმების მიღწევის უნარის ჩამოყალიბებას.

კონფლიქტების მოგვარების უფრო ეფექტური სტრატეგიაა, როცა თავად მოსწავლეები აქტიურ როლს თამაშობენ კონფლიქტების მოგვარებაში, ამისათვის მათ უნდა ვასწავლოთ მოლაპარაკების წარმართვა და მოვამზადოთ ისინი კონფლიქტში მედიატორის როლის შესრულებისთვის.

მოსწავლეების მომზადება შუამავლის (მედიატორის) მოვალეობების შესასრულებლად

ინტერესთა კონფლიქტი (კონფლიქტი ორი ადამიანის სურვილებს, მოთხოვნილებებსა და მიდრეკილებებს შორის), შეიძლება გადაწყდეს

შუამავლის/მედიატორის საშუალებით. შუამავლები უნდა ფლობდნენ გარკვეულ ცოდნასა და უნარებს, რათა წარმატებით გაართვან თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. არსებობს შუამავლების მომზადების სპეციალური პროგრამა, რომელიც სამი ეტაპისგან შედგება.

პირველი ეტაპი: ყველა მოსწავლეს ასწავლიან მოლაპარაკებების წარმოების მეთოდიკას, რომელთა მიზანია მათ შორის წამოჭრილი კონფლიქტების მოგვარება. მათ უნდა ესმოდეთ ასეთი "მოლაპარაკებების პროცედურების" არსი, შეეძლოთ მათი წარმოება, თანაც ასეთი ცოდნა და უნარები იმდენად მტკიცე უნდა იყოს, რომ მოსწავლემ ნებისმიერ მომენტში შეძლოს მათი გამოყენება. მან ეს უნდა მოახერხოს მაშინაც კი, როცა ემოციებით იქნება გადავსებული. იმისათვის, რომ რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად აწარმოონ მოლაპარაკებები, მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ კონფლიქტის წყაროს განსაზღვრა, პრობლემის დანახვა კონფლიქტის ორივე მხარის თვალით, სიტუაციის მოგვარების რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება, დახმარების აღმოჩენა, რათა იქნას მიღწეული ორივესათვის მისაღები შეთანხმება. სწორედ ამიტომ, მოსწავლეებს ასწავლიან მოლაპარაკებების წარმოების შემდეგ ხერხებს:

- საკუთარი სურვილის ფორმულირება: "მე ახლა მინდა ამ წიგნის წაკითხვა".
- საკუთარი გრძნობების დახასიათება: 'მე მეწყინა";
- საკუთარი გრძნობებისა და სურვილების ახსნა და არგუმენტირება "შენ ამ წიგნს უკვე ერთი საათია რაც კითხულობ. თუ მე მას ახლავე არ მომცემ, მე ვერ მოვასწრებ მოხსენების მომზადებას. მე მწყინს, რომ ასე დიდხანს მიწევს ლოდინი".
- მეორე ადამიანის გრძნობებისა და სურვილების გაგება, ასევე იმ მიზეზების გააზრება, რომლებიც ამ ადამიანის გრძნობებსა და სურვილებს უდევს საფუძვლად.
- კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების არა ნაკლებ სამი ვარიანტის შეთავაზება, ორივესთვის მისაღები ერთის ამორჩევა და მოწინააღმდეგისათვის ხელის ჩამორთმევა.

მეორე ეტაპი. ყველა მოსწავლეს ასწავლიან თანაკლასელებს შორის წარმოშობილ კონფლიქტურ სიტუაციაში შუამავლის როლის შესრულებას. თუ მოკონფლიქტე მხარეები ვერაფრით ახერხებენ მოლაპარაკებას, მაშინ საქმეში მათივე კლასელი შუამავალი ერთვება. მიმართო შუამავალს, ნიშნავს გამოიყენო სხვა ადამიანის მომსახურება საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად. შუამავლის მიზანია დაეხმაროს თანაკლასელებს წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებაში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოსწავლეს ვასწავლოთ მსგავს სიტუაციაში სწორი ქმედებები და დახმარების აღმოჩენა.

შუამავლობა შემდეგნაირად გამოვლინდება:

პირველ რიგში, შუამავალი მოკონფლიქტე მხარეებს წარუდგენს საკუთარ თავს, ეკითხება არიან თუ არა მზად მათ შორის წამოჭრილი წინააღმდეგობების მოსაგვარებლად და უნდათ თუ არა მათ ეს. შუამავალი არ დგამს არანაირ დამატებით ნაბიჯებს, სანამ არ მიიღებს ორ თანხმობას.

შემდეგ შუამავალი უხსნის კონფლიქტის მონაწილეებს "თამაშის წესებს" და

საკუთარ სტატუსს.

ა) "მე ჩემი ნებით მოვედი. ჩემი მიზანია დაგეხმაროთ ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც ორივესთვის იქნება მისაღები".
ბ) "მე არ ვარ დაინტერესებული მხარე და არ ვაპირებ არც ვინმეს მხარის დაჭერას, და არც იმის გარკვევას, თუ ვინ არის სწორი და ვინ მტყუანი. მე მოგეხმარებით შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში"
გ) "თითოეულ თქვენთაგანს მიეცემა შესაძლებლობა გადმოსცეს თავისი შეხედულება მომხდართან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ მომლაპარაკებელმა შეძლოს თავისი მოვალეობების შესრულება, კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარეს უნდა:

- უნდოდეს მისი მოგვარება;
- არ უნდა ასახელებდეს არავის სახელს;
- არ აწყვეტინებდეს სიტყვას მოლაპარაკეს;
- გააკეთოს ის, რასაც დაპირდა, თუკი დაეთანხმა გადაწყვეტილებას;
- ახსოვდეს, რომ შუამავლისათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურად ითვლება.

ამასთან, შუამავალი ესწრება კონფლიქტის მონაწილე მხარეების ყველა მოლაპარაკებას და წარმოადგენს შეთანხმების შესრულების გარანტს. ის მეორე დღეს ხვდება ორივე მხარეს და ამოწმებს შეთანხმების შესრულებას. თუ შეთანხმება არ სრულდება, ის ანახლებს თავის ძალისხმევას.

მესამე ეტაპი მდგომარეობს იმაში, რომ მასწავლებელი სასკოლო ცხოვრებაში ნერგავს პროგრამას "მოსწავლის მომზადება შუამავლის როლის შესასრულებლად". ერთი თვის განმავლობასი მოსწავლეები სისტემატურად ვარჯიშობენ: გაითამაშებენ სხვადასხვა სიტუაციებს, გამოიმუშავებენ მოლაპარაკებების წარმოების უნარებს, და ამას აკეთებენ მანამ, სანამ ამ უნარების გამოყენებას ავტომატურად არ დაიწყებენ. ყოველდღე მასწავლებელი არჩევს ორ მოსწავლეს, რომლებსაც ნიშნავს ოფიციალურ მომლაპარაკებლებად. ისინი იცვამენ სპეციალურ ფორმას და იწყებენ სათამაშო მოედნის, სასადილოს პატრულირებას და ყოველ წუთში მზად არიან ყველა იმ კონფლიქტის

მოსაგვარებლად, რომელთა თვითმხილველებიც გახდებიან. ყველა მოსწავლე შუამავლის როლში ერთი დაიგივე დროს ატარებს. პროგრამის შესწავლის დასრულების შემდეგ პერიოდულად ტარდება სპეციალური გაკვეთილები, რომელთა მიზანია შუამავლობისთვის შეძენილი ცოდნისა და უნარების აღდგენა.

რა არის გასათვალისწინებელი მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის:

• მედიატორად უნდა შეირჩეს მოსწავლე, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს თანატოლთა შორის;
• მედიაციის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს ძირითადი წესები, რომლებიც დაარეგულირებს მთელ პროცესს, მაგალითად, ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმებს, პირველად რომელი მხარე იწყებს საუბარს და ა.შ;
• მედიატორი თავად არ კარნახობს გადაწყვეტილებებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს და არ გამოხატავს თავის მხარდაჭერას რომელიმე მათგანის მიმართ. იგი რჩება აბსოლუტურად ნეიტრალური და მიუკერძოებელი;
• მედიატორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს აქტიური მოსმენისა და ღია კითხვების დასმის უნარ-ჩვევები. მისმა შეკითხვებმა სტიმული უნდა მისცეს კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეებს, ღიად გამოხატონ თავიანთი გრძნობები და დამოკიდებულება („რას გულისხმობდი, როცა თქვი, რომ...?“) და გადადგან ნაბიჯები
ერთობლივი გადაწყვეტილების მისაღებად („რა უნდა მოხდეს,
რომ ყველაფერი გამოსწორდეს?“);
• შეხვედრის ადგილი, დრო და ხანგძლივობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. პროცესს უნდა მიეცეს ოფიციალური მოლაპარაკებების ფორმა და ყველაფერი, რაც ამ დროს ხდება, უნდა იყოს კონფიდენციალური;
• მედიაციის პროცესი სრულდება გარკვეული ხელშეკრულებით, რომელშიც თანაბრადაა ასახული ორივე
მხარის პოზიცია და დაკონკრეტებულია, როგორ უნდუნდა მოგვარდეს მსგავსი კონფლიქტური სიტუაციები მომავალში.

როგორ მოვაგვაროთ მოსაწავლეებს შორის ღირებულებითი კონფლიქტები.

როდესაც ერთი მოსწავლის ცოდნა, შეხედულებები და დასკვნები არ ემთხვევა მეორე მოსწავლის ცოდნას, შეხედულებებსა და დასკვნებს, იქმნება კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც ღირებულებითი კონფლიქტის სახელითაა ცნობილი.

განვიხილოთ ღირებულებითი კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი კონკრეტული სტრატეგია -

ინტელექტუალური/ღირებულებითი კონფლიქტების მოგვარებისადმი შემოქმედებითი მიდგომა: კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის შეხედულების

უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განხილვა და არსებულ შეხედულებებზე დაყრდნობით ახალი კონცეფციის შემუშავება.

- კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფმა ყოველმა წყვილმა **ფორმულირება უნდა გაუკეთოს თავის პოზიციას და რაც შეიძლება მომგებიანად წარუდგინოს ის თავის ოპონენტებს.** ოპონენტები ყურადრებით უსმენენ, საჭიროების შემთხვევაში აკეთებენ ჩანაწერებს და სვამენ შეკითხვებს, თუ მათთვის რაიმე გაუგებარია.

1. **ოპონენტები აკრიტიკებენ ერთმანეთის შეხედულებებს, იგერიებენ ურთიერთშეტევებს.** ამისათვის იყენებენ მათთვის ცნობილ ყველა ფაქტებს, და ცდილობენ, იყვნენ მაქსიმალურად დამაჯერებლები და შემტევები. რიგრიგობით აანალიზებენ წარმოდგენილ ინფორმაციას და ითხოვენ (საჭიროების შემთხვევაში) დამატებითი მონაცემების მოყვანას. პოულობენ პოზიციებს შორის პრინციპულ სხვაობებს ამასთან, მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ **დისკუსიის შედეგი უნდა იყოს ორივე პოზიციის "რაციონალური მარცვლების" სინთეზი**.
2. იმის შემდეგ, რაც ამოიწურება არგუმენტების მარაგი, ოპონენტები გაცვლიან როლებს, და თითოეული დაიწყებს იმ პოზიციის დაცვას, რომელსაც ცოტა ხნის წინ აკრიტიკებდა. მათ შეუძლიათ განსახილველად ახალი ინფორმაციის წარმოდგენაც, რომელიც ადრე ოპონენტებს არ გამოუყენებიათ. ამავე დროს უნდა მოახერხონ, შეაფასონ ორივე პოზიციის ყველა "pro et contra".
3. ერთიანი შეხედულების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ორივე პოზიციას ეყრდნობა, წყვილები წყვეტენ კამათს და იწყებენ ისეთი ფორმულირებების ძიებას, რომელიც მისაღებია ყველა მონაწილესათვის.

ამგვარი დისკუსიების დროს ბავშვები იცავენ საკუთარ პოზიციას, უსმენენ ერთმანეთის მოსაზრებებს და ერთმანეთის შეხედულებების გათვალისწინებით ახდენს საკუთარი მოსაზრებების გადაფასებას. არცთუ იშვიათად ახალი შეხედულებები თავდაპირველზე უფრო "ხარისხიანი" აღმოჩნდება ხოლმე.

კონფლიქტური სიტუაციის ასეთი გზით მოგვარება ეხმარება მოსწავლეებს ისეთი სასარგებლო უნარების გამომუშავებაში, როგორიცაა ლოგიკური აზროვნების, საკუთარი აზრის არგუმენტირებისა და სხვისი აზრის კრიტიკული შეფასების უნარები, აგრეთვე, ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან ნებისმიერი ინფორმაციის შეგნებულ ათვისებას და რაც მეტად მნიშვნელოვანია, ვითარდება ღირებულებითი კონფლიქტების გადაჭრის უნარები. ასეტი დისკუსიების დროს

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რობერტ ჯ. მარზანო (2009) კლასის მართვა, პირველი ქართული გამოცემა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

2. ია კუტალაძე (რედ.) (2010) ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.
3. სასწავლო და პროფესიული გარემო (2008) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი: გამომცემლობა "საქართველოს მაცნე"
4. მ. ინასარიძე, ს. ლობჟანიძე, შ. მამუკიძე (2009), მასწავლებლის ეთიკის სახელმძღვანელო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.
5. David W. Johnson, Roger T. Johnson, (1993) Edythe Johnson Holubec Circles Of Learning, Cooperation In The Classroom Fourth Edition
6. საიმონ ფიშერი და სხვები (2002), კონფლიქტზე მუშაობა, უნარ-ჩვევები და სტრატეგიები, გამომცემელი მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

ინკლუზიური განათლება

მიზანი: მსმენელებში ინკლუზიური განათლების დანერგვის აუცილებლობის გათავისება და მისი ეფექტურად განხორციელების გზების გაანალიზება

ამოცანა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციფიკისა და საჭიროებების განსაზღვრა

შეზღუდული შესაძლებლობების სხვადსხვა ტიპისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების თავისებურებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა სწავლების სტრატეგიები და სოციალური ინტეგრაციის მხარდაჭერის ფორმების განსაზღვრა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით

განსახილველი თემატიკა

ვინ არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

მოკლე ისტორიული ექსკურსი

სამედიცინო და სოციალური მოდელი

რატომ არის მნიშვნელოვანი ინკლუზიური განათლება?

შეზღუდული შესაძლებლობების ტიპები და განსაკუთრებული სასწავლო საჭიროებების ფორმები

სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევები – დისლექსია

ყურადღების დეფიციტისა დ ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD)

გონებრივი ჩამორჩენილობა
დაუნის სინდრომი
ცერებრული დამბლა
აუტიზმი

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები და მათი სწავლებისას გასათვალისწინებელი ასპექტები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა სწავლების სტრატეგიები ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით

რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ)?
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ეტაპები
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები

კულტურული ღონისძიებები, როგორც ბავშვის სოციალური განვითარების საშუალება

როგორ მოვიქცეთ როდესაც კლსში სპეციალური სასწავლო საჭიროებების ბავშვს "აღმოვაჩენთ"

ვინ არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

1.1 მოკლე ისტორიული ექსკურსი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრი ხასიათდება, როგორც ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დიდი სოციალური რეფორმების დასაწყისი. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საზოგადოების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ მეტი მიმღებლობისა და ტოლერანტობის ჩამოყალიბება. საზოგადოება მათი სპეციფიკისა და პრობლემატიკის შესახებ მეტად ინფორმირებული გახდა; სააშკარაოზე გამოტანილი იყო ინსტიტუციებში ამ ადამიანების მძიმე ყოფის – არასწორი მკურნალობის, უგულებელყოფისა და მათზე ძალადობის, არა ერთი ფაქტი. აღნიშნულმა სიტუაციამ ხელი შეუწყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყებას, რომელსაც თან ახლდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დარღვევასა და არათანაბარუფლებიან მოპყრობას საუკონოვანი ისტორია აქვს. ამ ადამიანების მიმართ არასწორი და არაჯანსღი დამოკიდებულებები კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე სხვადასხვა ცივილიზაციებში იჩენდა თავს.

ამჟამად მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული ***ბიოფსიქოსოციალური მოდელი,*** რომელიც შეფასებისა და ინტერვენციის პროცესში სამივე ფაქტორს განიხილავს: ბიოლოგიურს, ფსიქოლოგიურსა და სოციალურს. მეოცე საუკუნეში

მომხდარმა სოციალურმა და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა შეზღუდული შესაძლებლოების მქონე პირთა შესახებ ახალი კონცეფციის ჩამოყალიბებას ხელი მნიშვნელოვნად შეუწყო. დღეს ეს ადამიანები საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად სამართლებრივ დონეზე განიხილებიან.

1.2 სამედიცინო და სოციალური მოდელი

როგორც ჯგუფი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ყველაზე მრავალფეროვან უმცირესობათა ჯგუფს წარმოადგენს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი ეთნიკური ჯგუფის და რასის, ორივე სქესისა და სექსუალური ორიენტაციის, ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფისა და რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენელი. ფაქტიურად, ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის წევრობის შესაძლებლობას არ გამორიცხავს. ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადამიანი შეიძლება შეუერთდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კატეგორიას.

მსოფლიოში არ არსებობს ერთიანი განსაზღვრება თუ რა არის შეზღუდული შესაძლებლობა. ამგვარი განსაზღვრება ხშირად დამოკიდებულია სხვადასხვა ორგანიზაციისა და სააგენტოს ზოგად პოლიტიკაზე. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად: ***„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განეკუთნებიან ადამიანები – ხანგრძლივი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური, ან სენსორული დარღვევებით, რაც სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელს უშლიდეს მათ სრულ, ეფექტურ და თანსწორ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.***“ ის, თუ რა სახის მომსახურება იქნება განვითარებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ცხოვრების რა პირობები იქნება მათთვის შეთავაზებული, მნიშვნელოვნად განპირობებულია იმით, თუ რა მიდგომას ეფუძნება მათ მიმართ განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა – სახელმძღვანელო პრინციპად არჩეულია სამედიცინო თუ სოციალური მოდელი.

სამედიცინო მოდელი

- სამედიცინო მოდელი ფართოდ გავრცელებული გასული საუკუნის 60-იან წლებში იყო. ეს მოდელი ეფუძნებოდა მოსაზრებას, რომ ის დისკრიმინაცია, რომლესაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები განიცდიან, გამოწვეულია მხოლოდ მათი შეზღუდვებითა და “დეფექტებით”. შეზღუდული შესაძლებლობები განიხილებოდა, როგორც პიროვნული დეფექტი და ნაკლოვანება.
- აღნიშნული მოსაზრების გამო, სამედიცინო მოდელი საზოგადოებას ათავისუფლებდა ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, მონაწილეობა მიეღო

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული პოლიტიკის წინააღმდეგ.

- სამედიცინო მოდელის მიხედვით, შესაძლებლობების შეზღუდვა ფიზიკური მდგომარეობაა და მისი "დაძლევა" მკურნალობით არის შესაძლებელი.
- სამედიცინო მოდელის მიხედვით შეზღუდულობის "მკურნალობა" აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანებმა მათი უფლებებით სარგებლობა შესძლონ – რაც უფრო კარგად ხედავს, ესმის, მოძრაობს ან აზროვნებს ადამიანი, მით უფრო მეტი უფლება აქვს მას, როგორც მოქალაქეს.
- საერთშორისო პროგრმების უმრავლესობა სამედიცინო მოდელს ეფუძნებოდა და ხაზს უსმევდა ვიზუალური და რაოდენობრივი შედეგების აუცილებლობას, როგორიცაა სპეციალური შენობების აშენება, სადაც მაგალითად, გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირებს ერთად მუშაობის საშუალება ექნებოდათ, ან ბრმა და ყრუ ბავშვები ერთად სწავლას შესძლებენ.

სოციალური მოდელი

- სოციალური მოდელის განვითარება მეოცე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო და წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ეს მოდელი დიდ ბრიტანეთში განვითარდა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ძალისხმევისა და ინიციატივის შედეგად, რომელმაც შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური მოძრაობის სახელწოდება (Social Disability Movement) მიიღო
- შეზღუდული შესაძლებლობების სოციალური მოძრაობა ამტკიცებდა მოსაზრებას, რომ ყველა ის სირთულე, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ხვდებიან, შედეგია იმ დამოკიდებულებისა, რომელიც საზოგადოებას ფიზიკური, ინტელექტუალური, სენსორული და მრავალმხრივი შეზღუდულობის მიმართ აქვს.
- სოციალური მოდელის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობები ინდივიდის ზოგად მდგომარეობას ასახავს, რომელიც შექმნილი ფიზიკური, ეკონომიკური და სოციალური ბარიერებით უარესდება. ეს ხედვა შეზღუდულ შესაძლებლობებს საზოგადოებრივ პრობლემად აქცევს, რომლის შექმნაში მონაწილეობენ როგორც ინდივიდები, ისე საზოგადოება.
- სოციალური პარადიგმა იძლევა განმარტებას, თუ ადრეულმა ინტერვენციამ, რეაბილიტაციამ და სამედიცინო მკურნალობამ – რაოდენ მნიშველოვანიც არ უნდა იყოს, რატომ არ უნდა დათრგუნოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის ცხოვრება განათლებაზე, დასაქმებაზე, კულტურულ აქტივობებსა და დამოუკიდებელ ცხოვრებაზე საზღვრების დადებით. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სფეროების ხელმისაწვდომობა ყველასთვის

გარანტირებული იქნება, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ ყველასთვის სამართლიანად თანაბარი პირობების შესახებ.

- სოციალური მოდელი ცდილობს აუხსნას საზოგადოების წევრებს, თუ რატომ შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი მათგანი, ნებისმიერ დროს "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ადგილას" – რადგან შესაძლებლობების შეზღუდვა ობიექტური რეალობაა. ორსული ქალი, რომელსაც ავტობუსში ასვლა არ შეუძლია საკმოდ მაღალი საფეხურის გამო, ან კაცი, რომელმაც მუშაობის დროს ფეხი მოიტეხა და ავტობუსში იმავე მიზეზის გამო ვერ ადის, დროებით სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადგილს იკავებენ.
- სოციალური მოდელის თანახმად, შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული საკითხები მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების ინტერესსა და საზრუნავს არ წარმოადგენს.
- შეზღუდული შესაძლებლობების მნიშვნელობის გაფართოვებით, სოციალური მოდელი ხაზს უსმევს ინდივიდუალლური განსხვავებების მნიშვნელობას და ამ თემას ადამიანის უფლებათა სისტემაში მნიშვნელოვან ადგილს აკუთვნებს.
- სოციალური მოდელის თანახმად, ყოველი ბავშვი, მოზარდი და ზრდასრული ადამიანი პასუხისმგებელია დადებითად ჩაერთოს იმ პროცესებში, რომელიც შეიძლება ვინმეს შესაძლებლობებს მეტ-ნაკლებად უზღუდავს.
- ამ კონტექსტის გათვალისწინებით, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ხელმისაწვდომობა ექვს ძირითად სფეროში: საქალაქო არქიტექტურა, დამოკიდებულებები, კომუნიკაცია, ხელსაწყოები (არავითარი ბარიერი ხელსაწყოების, სასწავლო, სამუშო თუ რეკრიაციული საშუალებების გამოყენებაში), მეთოდოლოგია (არავითარი ბარიერი სასწავლო და სამუშაო მეთოდებში) და პროგრამები (არავითარი სტერეოტიპები და წინარწმენები კანონებში, წესებსა და პოლიტიკაში).

2 რატომ არის მნიშვნელოვანი ინკლუზიური განათლება?

როგორც აღნიშნა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებამ სერიოზული მოდიფიკაცია განიცადა და დღეს უკვე მათი თანასწორუფლებიანი სტატუსი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტებით არის გამყარებული. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტსა და გამოწვევას წარმოადგენს.

შეზღუდული შესაძლებობების მქონე პირებისის თანასწორუფლებიანი და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნისას მსოფლიო თანამეგობრობა იმ დოკუმენტებით ხელმძღვანელობს, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს ყველა სფეროში იცავს. ***გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის*** მიზანია „ ხელი შეუწყოს,

დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა“. აღნიშნული კონვენციის 24–ე მუხლი განათლების შესახებ მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვას და შეზღუდული შესაძლებლოების მქონე პირებისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობას. საქართველომ გაეროს შეზღუდული შესძლბლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციას 2008 წელს მოაწერა ხელი. ამჟამად მისი რატიფიკაციის პროცესი მიმდინარეობს. ***სალამანკას ხელშეკრულება*** ეს არის დოკუმენტი, რომლის მიზანია – “განათლება ყველასათვის“. 1994 წელს ესპანეთში, სალამანკაში, ესპანეთის მთავრობისა და UNESCO–ს ორგანიზებით, 92 მთავრობისა და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის 300–ზე მეტი მონაწილე მუშობდა ინკლუზიური განათლების მიდგომის განვითარებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების სამოქმედო გეგმის შესამუშაველად. ამ გეგმის წამყვანი პრინციპია, რომ „სკოლებმა უნდა უზრუნველყონ *ყველა ბავშვის* აკომოდაცია მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის მიუხედავად“.

მსოფლიო თანამეგობრობის წევრობა აუცილებლად მოიაზრებს ამ მნიშვნელოვან დოკუმენტებში ასახული ღირებულებებისა და პასუხისმგებლობების გაზიარებას. საქართველომ მიიღო ეს მნიშვნელოვანი გამოწვევა და დღეს ამ მიმართულებით აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გზას ადგას. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობების ***მქონე პირთა (ინვალიდთა) სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია*** და ***შეზღუდული შესაძლბელობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010–1012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა*** იმ დოკუმენტებს წარმოადგენს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შეზღუდული შესძლებლობების მქონე პირთათვის თანასწორუფლებიანი და არდისკრიმინაციული გარემოს შექმნისთვის აუცილებელ საქმიანობას განსაზღვრავს. აღნიშნულ დოკუმენტებში ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა ერთ–ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია ***„ ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში*** და ***ეროვნულ სასწავლო გეგმაში.***

როგორც ვხედავთ, საქართველოში ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა სამთავრობო პრიორიტეტსა და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებას წარმაოდგენს. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა პედაგოგებს ენიჭებათ, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ინკლუზიური განათლების მიტანა თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვამდე. პედაგოგის კვალიფიკაცია და აღნიშნული თემისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განაპირობებს ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვის ეფექტურობას.

3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები – ძირითადი თავისებურებები, საჭიროებები და სირთულეები სწავლის დროს

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არის ის, რომელსაც თანატოლების უმრავლესობასთან შედარებით, სიძნელეები აქვს სწავლაში და დამატებით/სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას საჭიროებს. სირთულეები სწავლაში ბავშვს სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება შეექმნას. ძალიან ხშირად, ეს მიზეზები ბავშვის ფიზიკური და გონებივი განვითარების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევებს უკავშირდება. შეფერხებები სწავლის პროცესში ასევე შეიძლება გამოწვეული იყოს სოციო–ეკონომიკური პირობებით, ენობრივი ბარიერით ან ბავშვის განსაკუთრებული ნიჭით.

ქვემოთ მოცემული დარღვევების სპეციფიკის ცოდნა მნიშვნელოვანია კონკრეტული დარღვევების მქონე მოსწავლეთა თავისებურებებისა და საჭიროებების გასააზრებლად და მათთან მუშაობის ეფექტური სტარტეგიის ასარჩევად.

3.1 სწავლის უნარის სპეციფიკური დარღვევები – დისლექსია

სწავლის უნარის დაქვეითება არის ნევროლოგიური სახის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს ადამიანის ტვინის შესაძლებლობაზე აღიქვას, გაიაზროს, დაიმახსოვროს და გადასცეს ინფორმაცია.

რა არის დამახსიათებელი სწავლის უნარის დარღვევების მქონე ბავშვისთვის?

სწავლის უნარის დარღვევების სიმპტომები ბავშვმა შეიძლება სხვადსხვა სფეროში გამოავლინოს:

აკადემიური სიმპტომები: ბავშვი დაბალ შედეგებს იღებს ტესტირებისას, უჭირს კითხვა, წერა, მას უჭირს დავალების შესრულების თანმიმდევრული საფეხურების დაცვა და სამუშაოს დასრულება.

შემეცნებითი სიმპტომები: ბავშვს სირთულე აქვს ზომის, ფორმის, ფერის და დროის აღქმაში. მისთვის დამახასიათებელია სუსტი ორგანიზაციული უნარ–ჩვევები, უჭირს აბსტრაქტული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა

ფიზიკური სიმპტომები: ბავშვისთვის დამახასიათებელია ზოგადი მოუქნელობა, სუსტი ვიზუალურ–მოტორული კოორდინაცია, ჰიპერაქტიურობა, ზედმეტი აგზნებადობა, ყურადღების კონცენტრაციის ნაკლებობა.

ქცევითი/სოციალური სიმპტომები: ხშირად აქვს ადგილი იმპულსურ ქცევას, გაუაზრებელ მოქმედებას, ზედმეტად აღგზნებულია ჯგუფური თამაშის დროს; გრძნობებს არაადეკვატურად, ხშირად გადაჭარბებულად გამოხატავს, უჭირს თანატოლებთან კონტაქტი.

სწავლის უნარის დარღვევის ერთ–ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას ***დისლექსია*** წარმოადგენს. ეს დარღვევა ხშირად განისაზღვრება, როგორც მეტყველებაზე დაფუძნებული სწავლის უნარის დაქვეითება. მას აქვს ნევროლოგიური ხასიათის საფუძველი, შესაბამისად ის არ არის განპირობებული მოტივაციის ნაკლებობით, სენსორული დარღვევებით, არაადეკვატური ინსტრუქციებით, დაბალი ინტელექტითა და შეზღუდული გარემო შესაძლებლობებით. ხშირად მასწავლებელს და მშობელს მიაჩნია, რომ მოსწავლე ნიჭიერია, მაგრამ საკმარისად არ ცდილობს, სინამდვილეში კი მოსწავლეს მასალის ასათვისებლად ძალზე დიდი ძალისხმევის გაღება სჭირდება. ამიტომ, დისლქსია ხშირად ბავშვებსა და მოზარდებში ისეთ ემოციურ პრობლემებს იწვევს, როგორიცაა გაუცხოვება, სიბრაზე, დეპრესია. დისლექსიის მქონე ბავშვები თავიანთ თანატოლებთან შედარებით, სოციალურად მოუმწიფებელნი არიან, რაც მათში დაბალ თვითშეფასებას აყალიბებს.

დისლექსიის მქონე ბავშვები და საკლასო ოთახი

დისლექსიის მქონე ბავშვებთან მუშაობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ ინფორმაციის დამუშავების მთელ ციკლს – ინფორმაციის მიღებას, შემეცნებასა და მიღებულ შედეგს. თითოეული ამ ფაზისთვის აუცილებელია სწავლების ადეკვატური მეთოდის შერჩევა.

ინფორმაციის მიღება

- დაადგინეთ ის სასწავლო სტილი, რომელსაც მოსწავლე უპირატესობას ანიჭებს;
- ინფორმაცია დაყავით მცირე ნაწილებად;
- დარწმუნდით, რომ გამოყენებულია დამატებითი სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც გამოყენებული უნდა იყოს მასალათა მრავალფეროვნება;
- აუხსენით მოსწავლეებს ძირითადი საკითხები ახალი მასალების შესწავლის საწყის ეტაპზე

შემეცნება

- საჭიროა წავახალისოთ ორგანიზაციული სტრატეგიები, რაც იმას ნიშნავს, რომ მასალა უნდა მივაწოდოთ მოსწავლეს დანაწევრებულად ინფორმაციის დამუშავების თითოეულ ეტაპზე;

- ინფორმაცია კავშირში უნდა იყოს მოსწავლის მიერ მანამდე მიღებულ ცოდნასთან, რათა დავრწმუნდეთ, რომ მას კარგად ესმის საკითხი, რომელიც თავსდება სასწავლო ჩარჩოში ან სქემაში;

შედეგი

- გამოვიყენოთ სათაურები და ქვესათაურები წერილობითი დავალებისას, რათა უზრუნველყოთ მოსწავლეები სტრუქტურით;
- წავახალისოთ დასკვნების გამოყენება ძირითადი საკითხების განსაზღვრის გზით.

3.2 ყურადღების დეფიციტი, ჰიპერქტიურობის სინდრომი (ADHD)

უყურადღებობა, მოუსვენრობა, დაუფიქრებელად მოქმედება, გარკვეულწილად ყველა ბავშვისთვის არის დამახასიათებელი. მაშინ, როდესაც ეს სიმპტომები საგრძნობლად ჩამორჩება ასაკისათვის შესაბამის განვითარების დონეს და სერიოზულ პრობლემებს უქმნის ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვას, აკადემიურ მოსწრებასა და თანატოლებთან ურთიერთობას, ჩნდება ეჭვი ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სიდრომზე.

რა არის დამახსიათებელი ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვისთვის?

უყურადღებობა:

- უჭირს ერთ საკითხზე ყურადღების კონცენტრირება და მალე გადადის ერთი საქმიანობიდან მეორეზე;
- უჭირს რუტინული დავალებების შესრულება;
- ხშირად არის გაფანტული და რჩება შთაბეჭდილება, რომ არ გისმენს მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ მას მიმართავთ;
- ხშირად კარგავს ნივთებს;
- ერთდროულად იწყებს რამდენიმე აქტივობას და ვერ ასრულებს მათ ბოლომდე;
- უჭირს სკოლისა და საშინაო დავალებების ბოლომდე შესრულება;
- თავს არიდებს და არ მოსწონს დავალებები, სადაც ფსიქიკური ძალისხმევაა საჭირო;
- ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალიან გულმავიწყია;
- გარეშე სტიმულებით ადვილად ეშლება ხელი.

ჰიპერაქტიურობა:

- ხშირად ცქმუტავს და ვერ ისვენებს;
- მუმივად მოძრაობაშია, ტოვებს თავის ადგილს და გადაადგილდება მთელ საკლასო ოთახში;
- არ შეუძლია წყნარად ჯდომა, გამუდმებით წრიალებს;
- სისტემატურად ესაუბრება გარშემო მყოფთ;
- ვერ ჩერდება გაკვეთლზე, ამოძრავებს ფეხებს, ხელებს კიდებს ყველაფერს;
- აწვალებს ფანქარს, ჩანთის საკეტს.

იმპულსურობა:

- არ ფიქრობს, სანამ რამეს ჩაიდენს;
- ხშირად ყვირის უადგილოდ და იძლევა არაადეკვატურ პასუხებს;
- უცებ წამოხტება და გარეთ გარბის;
- უჭირს წესების დაცვა.

ჩამოთვლილი სიმპტომებიდან ექვსი ან მეტი უნდა ვლინდებოდეს იმ ხარისხით, რომ მოცემული ასაკის ბავშვს გარემოსთან შეგუებაში ხელს უშლიდეს. ამ სიმპტომების უმეტესობა ორ ან მეტ სხვადასხვა გარემოში ვლინდება. უყურადღებობის ან ჰიპერაქტიურობა–იმპულსურობის ზოგიერთი სიმპტომი 7 წლის ასაკამდე ვლინდება.

იმის მიხედვით, თუ რომელი სიმპტომი ჭარბობს ბავშვში, სინდრომი იყოფა შემდეგ სამ ტიპად:

უპირატესად უყურადღებობის ტიპი

- ბავშვს უჭირს სამუშაოს ორგანიზება და მისი დასრულება;
- გონებაგაფანტულია, უჭირს დეტალებისთვის ყურადღების მიქცევა, ინსტრუქციის გაგება, შესრულება და დიალოგის წარმართვა;
- ადვილად ივიწყებს ყოველდღიური რუტინის (საქმიანობის) დეტალებს.

უპირატესად ჰიპერაქტიური–იმპულსური ტიპი

- ბავშვი მოუსვენარია და ბევრს საუბრობს, უჭირს დიდი ხნით (მაგ. საშინაო დავალების შესრულებისას ან სადილობის დროს) წყნარად ჯდომა, წრიალებს, ხშირად აწყვეტინებს საუბარს სხვას;
- არ შეუძლია რიგითობის დაცვა და ინსტრუქციების მოსმენა;
- სხვებზე ხშიად ხვდება უსიამოვნო სიტუაციებში;

- უმცროსი ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელია გამუდმებული სირბილი, ხტუნვა.

შერეული ტიპი

- ბავშვისათვის ერთნაირად დამახასიათებელია ზემოთ მოყვანილი ტიპების სიმპტომები

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომი განსხვავებულია სირთულის ხარისხის მიხედვით:

სუსტი – უმნიშვნელოდ გამოხატული სიმპტომები ან მხოლოდ მინიმალური ჩამორჩენა სასკოლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში;

საშუალო – გამოხატულია სიმპტომები „სუსტსა“ და „მძიმეს“ შორის;

მძიმე – ჩამოთვლილი სიმპტომების გარდა, ვლინდება სხვა სიმპტომებიც. მნიშვნელოვანია ჩამორჩენა საშინაო, სასკოლო საქმიანობასა და თანატოლებთან ურთიერთობაში.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები და საკლასო ოთახი

იმისთვის, რომ საკლასო ოთახში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვისთვის კეთილგნწყობილი გარემო შეიქმნას, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

- ***კარაგად გაიაზრეთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომის მახასიათებლები*** – დაუფიქრდით, საკლასო ოთახში რა ტიპის სირთულეები შეიძლება შექმანს ჰიპერქტიურობის სუსტი, საშუალო და მძიმე ხარისხის მქონე მოსწავლეებს. როგორ შეიძლება აისახოს ეს სირთულეები მთელი კლასის მუშაობაზე.
- ***აღიარეთ, რომ აუცილებელია სასწავლო მეთოდების მოდიფიცირება*** – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვები სპეციალურად არ ცდილობენ არეულობა შეიტანონ საკლასო ოთახში, მათ უბრალოდ არ შეუძლიათ უმოძრაოდ ყოფნა, მათი ტვინი ვერ ახდენს ინფორმაციის იმგვარად აღქმას, როგორც სხვა მოსწავლეები ახერხებენ. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვებთან მუშაობისას აუცილებელია სასწავლო მეთოდების მოდიფიცირება.

- ***შექმენით პირობები თავისუფალი გადაადგილებისთვის*** – ნუ შეეცდებით ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვი დიდი ხანი გაჩერდეს უმოძრაოდ, ერთსა და იმავე ადგილზე. ამის ნაცვლად ეცადეთ, რომ მოსწავლისთვის მოძრაობის უფლების მიცემა გაკვეთილის ორგანულ ნაწილად გადააქციოთ. მაგ. იმის მაგივრად, რომ თხოვოთ მოსწავლეს რვეულში ჩაწეროს მიმატება–გამოკლების მაგალითი, თხოვეთ მას გამოვიდეს და დაფასთან გამოიყენოს საანგარიშო (უპირტესად დაბალი კლასებისთვის).
- ***გაკვეთილზე მაქსიმალურად გამოიყენეთ თვალსაჩინო მასალა*** – გაკვეთილის შინარსიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად გამოიყენეთ ის თვალსაჩინო მასალა, რაც ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის ინტერესს გამოიწვევს. სასურველია, თუ მოსწავლეს მიეცემა მათი ხელით შეხების საშუალება, რაც მას ყურადღების ფოკუსირებაში დაეხმარება.
- ***გაკვეთილი მოკლე ინტერვალებად დაყავით*** – ნუ ელით, რომ შეძლებთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვის ყურადღების შენარჩუნებას მთელი გაკვეთილის განმავლობაში. დაყავით გაკვეთილი მცირე ნაწილებად, ცვალეთ აქტივობები და შესასრულებელი დავალებები.
- ***გააკეთეთ ჩანაწერები*** – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვს უჭირს მისთვის მიცემული ზეპირი ინსტრუქციებისა და საშინაო დავალების დამახსოვრება. ასწავლეთ მას ჩანაწერების გაკეთება ან თავად აცნობეთ მშობელს დავალება წერილობითი ფორმით.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე ბავშვების სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვისთვის საჭირო მოდიფიკაციები გულისხმობს:

ადგილი:

- დასვით ფანჯარასთან მოშორებით;
- ან დასვით თქვენი მაგიდის წინ.

ინფორმაციის მიწოდება:

- ერთ ჯერზე მიეცით მხოლოდ ერთი ინსტრუქცია და საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ იგი;
- შესაძლებლობის ფარგლებში, რთულ მასალაზე დღის პირველ ნახევარში იმუშავეთ;
- გამოიყენეთ ვიზუალაური მასალა: სქემები, სურათები, ფერადი მარკერები.

მოსწავლის სამუშაო:

- დავალებაზე მუშაობისას შექმენით წყნარი და მყუდრო სამუშაო გარემო;

- დავალებაში გამოიყენეთ მოკლე, ლაკონური ფრაზები;
- შეამცირეთ დროში შესასრულებელი დავალებების რაოდენობა;
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლეები შეაფასეთ მათთვის ადვილი ფორმით (ზეპირი გამოკითხვა და/ ან ტესტების ტიპის სავარჯიშოები);
- ფურცელზე გადმოცემული ინფორმაციის აღქმის გასაადვილებალად, აჩვენეთ მოსწავლეს როგორ გამოიყენოს სანიშნე ან სახაზავი;
- მიეცით მოსაწავლეს საშუალება, რაც შეიძლება მეტი დავალება შეასრულოს კომპიუტერის გამოყენებით;
- ჩაიბარეთ დაგვიანებით და ნაწილობრივ შესრულებული დავალებაც კი შეაფასეთ.

ორგანიზება:

- სასურველია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტიურობის სინდრომის მქონე მოსწავლეს ჰქონდეს რამდენიმე განყოფილებიანი ჩანთა, სადაც ის მოათავსებს თავის ნივთებს;
- მშობელთან შეათანხმეთ ინფორმაციის სისტემატური გაცვლის ფორმა (გამოიყენეთ მოსწავლის დღიური, ჩანაწერების რვეული, ბარათები);
- მიეცით მოსწავლეს დრო საშინაო დავალების ჩასანიშნად;
- დარწმუნდით, რომ მოსწავლე ახერხებს დავალებების ჩანიშვნას და სათანადო ჩანაწერების გაკეთებას.

3.3 გონებრივი ჩამორჩენილობა

გონებრივი ჩამორჩენილობა შეზღუდული შესაძლებლობების ერთ–ერთი სახეს წარმოადგენს, რომელიც როგორც წესი ადრეულ ასაკში ვლინდება და მთელი ცხოვრების მანძილზე ახდენს გავლენას ადამიანის ფსიქიკური განვითარებასა და ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

გონებრივი ჩამორჩენა ხასიათდება ინტელექტუალური და ადაპტაციური უნარების დარღვევებით შემდეგ სფეროებში

- კომუნიკაცია;
- თვითმომსახურება;
- სწავლა:
- მუშაობა;
- დასვენება;
- საოჯახო საქმიანობა;
- სოციალური ჩვევები.

გამოყოფენ გონებრივი ჩამორჩენილობის 4 ხარისხს:

- ***მსუბუქი (IQ (ინტელექტის კოეფიციენტი) 50-69):*** მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 9–12 წელს. ვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები სკოლაში. ასევე, სირთულეები იჩენს თავს ნორმალური სოციალური ურთიერთობების დამყარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისას.
- ***საშუალო (IQ (ინტელექტის კოეფიციენტი) 35–49):*** მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 6–9 წელს. განვითარების თვალსაჩინო შეფერხება ბავშვობაში ვლინება. დარღვეულია თვითმომსახურების უნარები. უმრავლესობას შეუძლია ადეკვატური კომუნიკაციური და საბაზო აკადემიური უნარების განვითარება. საზოგადოებაში ცხოვრებასა და მუშაობისათვის სხვადსხვა დონის დახმარებას საჭიროებენ.
- ***მძიმე (IQ (ინტელექტის კოეფიციენტი) 20–34):*** მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3–6 წელს. ჩვეულებრივ, ცხოვრების ყველა სფეროში მუდმივ დახმარებას საჭიროებს.
- ***ღრმა (IQ (ინტელექტის კოეფიციენტი) 20–ის ქვემოთ):*** მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3 წლამდე ასაკს. ვლინდება თვითმომსახურების, გადაადგილებისა და კომუნიკაციის მძიმე დარღვევები.

რა არის დამახსიათებელი გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვისთვის?

- ***აზროვნების სპეციფიურობა:*** აზროვნება არის თვალსაჩინო (კონკრეტული) და სიტუაციური. ცოდნის განზოგადება, სხვა სიტუაციაში გადატანა და აბსტრაგირება გართულებულია.
- ***სწავლის ნელი ტემპი:*** ესაჭიროებათ მრავალჯერადი გამეორება და დიდი დრო მასალის, ინფორმაციის ასათვისებლად (მაგ. დასწავლილი მასალის გადმოცემის გაუმჯობესება შესაძლებელია 3 თვის შემდეგ გამოვლინდეს).
- ***ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა:*** გართულებულია როგორც გარკვეულ აქტივობაში ჩართვა, ასევე მიმდინარე აქტივობიდან ახალ აქტივობაზე გადართვა.
- **მეტყველების განვითარების დარღვევა:** დამოკიდებულია გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხზე და შესაძლებელია გამოხატული იყოს არტიკლუციის დარღვევით, ლექსიკური მარაგის სიმწირით, ენის სინტაქსური მხარის და გაბმული მეტყველების დარღვევით (ამბის მოყოლა) ან შესაძლებელია ძლიერი ჩამორჩენაც, რაც გამოიხატება მეტყველებითი კომუნიკაციის სრული დარღვევით.
- ***მოტორული პრობლემები:*** უჭირს ხელით ნატიფი მოძრაობების შესრულება, რომელიც აუცილებელია კალმის, მაკრატლის, დანა–ჩანგლის ხმარებისთვის და შესაბამისად ამ უნარების განვითარებაც დარღვეულია. გართულებულია თანმიმდევრული, რამდენიმე საფეხურისგან შემდგარი მოტორული აქტივობების შესრულება, დაგეგმვა და კონტროლი. რთულად ხდება თვითმომსახურების ჩვევების (ჩაცმა–გახდა, ჭამა, ტუალეტი, დაბანა) ათვისებაც.

- ***სოციალური ადაპტაციის პრობლემები:*** მაგალითად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მოქცევის არ ცოდნა (მაღაზიაში, ტრანსპორტში, თეატრში და ა.შ). ეს სირთულე განპირობებულია მეტყველების, ზოგადად კომუნიკაციის და შემეცნებით უნარების დარღვევით. შესაბამისად, სოციალური ჩვევების დაუფლება რთულად და ხანგრძლივად მიმდინარეობს.
- ***ემოციური მოუმწიფებლობა:*** შესაძლოა ემოციების გამოხატვის ინტენსივობა იყოს ძალიან ძლიერი. დარღვეულია ემოციების შეკავების კონტროლის უნარი.
- ***მათ მიმართ სხვების დამოკიდებულებისადმი სენსიტიურობა:*** მწვავედ რეაგირებენ, თუ ვერ გრძნობენ სხვებისგან სითბოს, სიყვარულს და კეთილგანწყობილებას.

3.4 დაუნის სინდრომი

დაუნის სინდრომი გონებრივი ჩამორჩენილობის ფორმას წარმოადგენს, რომელსაც თან ახლავს დამახასიათებელი გარეგნობა. მის საფუძველს წარმოადგენს ქრომოსომული სისტემის ანომალია, რომელიც უპირტესად ერთი ზედმეტი ქრომოსომის არსებობაში ვლინდება.

რა არის დამახსიათებელი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვისთვის?

დაუნის სინდრომს სპეციფიკური ფიზიკური ნიშნები ახასიათებს, რომელიც შემდეგში გამოიხატება:

- სახის ბრტყელი პროფილი;
- დეფორმირებული ყურები;
- მოკლე ფართო ხელები;
- მოკლე კისერი;
- პატარა თავი;
- კუნთების დაბალი ტონუსი.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ინტელექტუალური განვითარება იმ თავისებურებებით მიმდინარეობს, რაც ზოგადად გონებრივი განვითარების ჩამორჩენის მქონე ბავშვებისთვის არის დამახასითებელი. მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, რომ დაუნის სინდრომის მქონე პირთა ინტელექტის განვითარების მაქსიმალური დონე 6–8 წლის ბავშვის ასაკის შესაბამისი რჩება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ერთმანეთისგან ინტელექტუალური შესაძლებლობებით განსხვავდებიან და მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სწავლაში კარგ შედეგებს აღწევენ.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისათვის მეტად დამახასიათებელია:

- ***ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტი*** – ისინი ადვილი გადართვადობით ხასიათდებიან. ნებისმიერ უმნიშვნელო მოვლენასა

თუ გამღიზიანებელს შეუძლია ისინი მოწყვიტოს საქმინაობას და მთლიანად გადართოს სხვა უმნიშვნელო აქტივობაზე;

- ***პრობლემები მეტყველების განვითარებაში*** – ძალიან ხშირად, დაუნის სინდრომს თან სდევს სხვადასხვა ხარისხის სმენის დარღვევები და აქედან გამომდინარე მეტყველების განვითარების და არტიკულაციის პრობლემები
- ***ქცევითი დარღვევები*** – დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები საკმაოდ ჯიუტები არიან და ამიტომ პერიოდულად ქცევითი დარღვევები ახასიათებთ. ასევე ძალიან ხშირია დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში დაბალი თვითშეფასების არსებობა, რაც მათი ფიზიკური მონაცემებით არის გამოწვეული და მნიშვნელოვნად უშლის ხელს ბავშვების ნორმალურ ფუნქციონირებასა და სწავლის მოტივაციას.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები და საკლასო ოთახი

როგორც აღინიშნა, დაუნის სინდორმის მქონე ბავშვებს ზოგადად საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა ახასიათებთ. ამიტომ, ის პრინციპები, რომელიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლებისთვის არის რეკომენდირებული, ზოგადად მსუბუქი და საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვებთან სამუშაოდ გამოიყენება. დაუნის სინდორმის (ასევე, მსუბუქი და საშუალო გონებრივი ჩამორჩენის) მქონე ბავშვების სწავლებისას რეკომენდირებულია:

- ***გამოიყენეთ მულტი–მოდალური მიდგომა.*** ასწავლეთ ბავშვს შეხებით, სმენით და მხედველობით. მაგალითად, გამოიყენეთ არსებული წიგნები, რომლებსაც სხვადასხვა სენსორული ელემენტები აქვს, ხმას გამოსცემს და სხვადასხვა ფაქტურის ტექსტილით ხასიათდება.
- ***გამოიყენეთ რაც შეიძლება მეტი კონკრეტული მაგალითი და ყოფითი სიტუაცია.*** ესაუბრეთ ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე, შესთავაზეთ მისთვის გასაგები მაგალითები. აუცილებლობის შემთხვევაში, შეანელეთ თქვენი მეტყველების ტემპი.
- ***ყოველთვის დაყავით დავლებები პატარა ეტაპებად.*** ყოველი ეტაპის წინ ბავშვს ახალი ინსტრუქცია მიაწოდეთ.
- ***ახალი მასალის ახსნისას გამოიყენეთ შესაბამისი მეტყველების ტემპი.*** ეცადეთ მასალა კარგად სტრუქტურირებული იყოს (მარტივიდან–რთულისკენ), ლოგიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული და შეანელეთ მეტყველების ტემპი, თუ ამის საჭიროებას ხედავთ.
- ***ეცადეთ, სასწავლო გარემო კარგად ორგანიზებული იყოს.*** ვინაიდან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ადვილად გადაერთვებიან ნებისმიერ ხელისშემშლელ ხმაურსა და მოვლენაზე, სასურველია მათი სასწავლო გარემო კარგად ორგანიზებული იყოს. ისინი არ უნდა ისხდნენ ახლოს ფანჯარასთან,

კარებთან ან ისეთ ადგილას საკლასო ოთახში, სადაც ხმაურის აღმოცენების ალბათობა მაღალია.

- ***გამოიყენეთ ქცევის მართვის ეფექტური სტრატეგიები.*** ქცევის მართვის სტრატეგიები დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის იგივეა, რაც ყველა დანარჩენი ბავშვისთვის. მთავარია, რომ სასურველ ქცევას აუცილებლად მოჰყვეს დადებითი გამტკიცება (შექება, წახალისება) და რომ ეს განმამტკიცებელი აუცილებლად მნიშვნელოვანი და ღირებული იყოს ბავშვისთვის.

3.5 ცერებრული დამბლა

ცერებრული დამბლა თავის ტვინის გარკვეული უბნის დაზიანებების შედეგად გამოწვეული განვითარების დარღვევაა, რომელიც ყველაზე ხშირად მოძრაობისა და პოზის დარღვევაში ვლინება. თუმცა ასევე განვითარების სხვა დარღვევებსაც იწვევს, მაგალითად, გონებრივ ჩამორჩენილობას, მხედველობით და სმენით დარღვევებს და ქცევის პრობლემებს.

განასხვავებენ ცერებრული დამბლის რამდენიმე ძირითად ფორმას:

სპასტიკური – დაჭიმული კუნთები. ყველზე გავრცელებული ფორმა.

ატაქსიური – წონასწორობის სუსტი შეგრძნებები. ხშირად იწვევს დავარდნას და შეჯახებას.

ათეთოიდური – ხელების, თავისა დ თვალების მუდმივი მოძრაობები.

ცერებრული დამბლა ძირითადად ადამიანის მოძრაობის, წონასწორობის შენარჩუნებისა და სხეულის პოზის შენარჩუნების უნარზე ახდენს გავლენას. იგი იწვევს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვებს მსუბუქი მოუქნელობიდან მძიმე სპასტიკურობამდე.

რა არის დამახსიათებელი ცერებრული დამბლის მქონე ბავშვისთვის?

- ***შეგრძნებების შესუსტება*** – ბავშვთა ცერებრული დამბლის დროს ირღვევა არა მარტო ნებითი მოძრაობების შესრულება, არამედ შესუსტებულია შეგრძნებებიც, რის გამოც გართულებულია სხეულისა და მისი ნაწილების მოძრაობის შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაც. ასევე, ხშირია აღქმის დეფიციტიც – ბავშვებს უჭირთ ხელის მოსინჯვით საგნების ცნობა.
- ***ხელისა და თვალის შეთანხმებული მოძრაობის დარღვევა*** – არასწორი პოზის გამო ხშირია ხელის და თვალის შეთანხმებული მოძრაობის დარღვევა. ბავშვს უჭირს

თვალი მიაყოლოს საკუთარ ან სხვის მოძრაობას. ეს აფერხებს საგნების მოხმარების ჩვევის ჩამოყალიბებას და შემდომში სასწავლო ჩვევების (კითხვა, წერა) ათვისებას.

- ***სწრაფი გადაღლა*** – ცერებრული დამბლის მქონე ბავშვები ადვილად იღლებიან. მათ უჭირთ ხანგრძლივად გარკვეული საქმიანობის შესრულება ან თამაში. დაღლის შემთხვევაში ეწყებათ მოუსვენრობა, უნებლიე მოძრაობები.
- ***მეტყველების დარღვევები*** – ხშირია მეტყველების დარღვევები, რაც გამოიხატება ბგერებისა და სიტყვების გამოთქმის სირთულეში. სახის, ტუჩების და ენის კუნთების ტონუსის დეფექტის გამო მათი მოძრაობა ძლიერ შეზღუდულია. ამასთან ერთად, არასწორი სუნთქვაც აძლიერებს ბგერათწარმოთქმის პროცესს. ასეთი სახის მეტყველების დარღვევა – დიზართრია – გამოწვეულია სამეტყველო კუნთების კონტროლის და კოორდინაციის დარღვევით. ბავშვის მეტყველება შესაძლოა იყოს ნელი, ძნელად გასაგები, ხმა შეცვლილი, ბავშვი თითქოს „ცხირში“ ლაპარაკობს. მეტყველება წყვეტილია, ხმის მოდულაცია – ცვალებადი.
- ***მხედველობით–სივრცითი წარმოდგენის და სხეულის სქემის განვითარების შეფერხება*** – მოტორული ფუნქციების დარღვევების გამო ბავშვი არ არის აქტიური, ის დამოუკიდებლად ვერ ახერხებს ცოცვას, ხოხვას, საგნების ხელით მოსინჯვას. შესაბამისად, ბავშვის სენსორული და მოტორული განვითარება ძლიერ ფერხდება.
- ***გულყრები*** – ცერებრული ბავშვების 20%–ს აღენიშნებათ გულყრები (ეპილეფსიური შეტევები)
- ***პრობლემები თვითმომსახურების ჩვევების ათვისებაში*** – მოტორული ფუნქციების დაზიანების ხარისხის შესაბამისად, ბავშვებს უჭირთ თვითმომსახურების ჩვევების ათვისება და გარკვეული დამოუკიდებლობის ხარისხის მოპოვება.
- ***პრობლემები ემოციურ სფეროში*** – ხშირია სხვადსხვა სახის შიშები, ემოციური არამდგრადობა, გუნება–განწყობილების სწრაფი ცვლილებები. ამას ემატება საკუთარი უსუსურობის და გარიყულობის განცდა, რაც კიდევ უფრო ართულებს ემოციურ მდგრადობას.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვები და საკლასო ოთახი

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვთა სწავლის პროცესში აღმოცენებული სირთულეებიდან ყველაზე დამახასიათებელია:

- მეტყველების მოტორული და არტიკულატორული მხარის დარღვევები, რაც მეტყველებას ნაკლებად გასაგებს ხდის;
- ფანქრისა და კალმის გამოყენება;
- გაკვეთილზე დიდხანს გაჩერება;
- დამოუკიდებელი გადაადგილების უუნარობით გამოწვეული სირთულეები

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ***ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის სწავლება ყოველთვის მიმართული უნდა იყოს ბავშვის აქტუალური შესაძლებლობების განვითარებასა და პოზიტიურ ცვლილებებზე და არა ცერებრული***

დამბლით გამოწვეული დარღვევის შესუსტებაზე. მაგ. მასწავლებელმა უმჯობესია წაახალისოს მოსწავლის მონაწილეობა ჯგუფურ აქტივობაში, რომელიც ორივე ხელის გამოყენებას მოითხოვს, ვიდრე სულ დაზიანებული ხელის გავარჯიშებაზე იყოს ფოკუსირებული.

ცერებრული დამბლის მქონე ბავშვები სწავლებისას გასათვალისწინებელია, როგორც ფიზიკური გარემოსთან დაკავშირებული, ასევე აკადემიური ასპექტები.

ფიზიკური გარემოს ასპექტები:

- დარწმუნდით, რომ საკლასო ოთახი ისეა მოწყობილი, რომ მასში ეტლით ან ყავარჯნით გადაადგილება სირთულეს არ წარმაოდგენს.
- შეეცადეთ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვის მერხზე იყოს სპეციალური საფარი ან ნებისიერი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ფურცლის, რვეულის დაფიქსირებას ისე, რომ ბავშვს არ დაჭირდეს მისი მეორე ხელით დაჭერა.
- შეეცადოთ საკლასო ოთახში ან დერეფანში დაამაგროთ მოაჯირები, რაც ცერებრული დამბლის მქონე ბავშვისთვის დამატებითი დახმარება იქნება.
- გაითვალისწინეთ, რომ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვს შესაძლოა გაცილებით მეტი დრო დასჭირდეს კლასში შემოსასვლელად და გაკვეთილისათვის მოსამზადებლად.
- აუცილებლად გაარკვიეთ ბავშვის მშობლებთან ხომ არ აქვს ბავშვს სმენის დარღვევა ან გულყრები. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ სწორად შეარჩიოთ ბავშვისთვის ოპტიმალური სწავლების სტრატეგია და ასევე წინასწარ გეცოდინებათ თუ როგორ უნდა მოიქცეთ იმ შეთხვევაში, თუ ბავშვს გულყრა დაემართა

აკადემიური ასპექტები:

- შეეცადეთ ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი დასვათ წინა მერხზე, თქვენთან და დაფასთან ახლოს, რაც მას მოსმენას (სმენის დარღვევის შემთხვევაში) და დაფიდან დავალების გადმოწერას გაუადვილებს.
- ყოველთვის მიეცით დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად, განსაკუთრებით წერითი დავალების, საკონტროლოების შესრულებისას და ა.შ
- მიეცით უფლება, თუ სურვილი აქვს, დიქტოფონზე ჩაიწეროს გაკვეთილის ახსნა. ეს შესაძლებელია მას ახლად მიწოდებულ მასალაში უკეთ გარკვევაში დაეხმაროს.
- ამუშავეთ მცირე ჯგუფებში. ეს მას ყურადღების კონცენტრაციასა და მოსმენის უნარის გავარჯიშებაში დაეხმარება
- დაეხმარეთ საშიანაო დავალების ჩაწერასა და ორგანიზებაში

3.6 აუტიზმი

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. აუტიზმის მქონე ბავშვს დარღვევები აქვს სოციალური უნარების, კომუნიკაციის, მეტყველების, ქცევის განვითარებაში.

რა არის დამახსიათებელი აუტიზმის მქონე ბავშვისთვის?

- სირთულეები სოციალური ურთიერთობების დამყარებისას;
- სირთულეების კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენებისას;
- ძლიერი მიჯაჭვულობა ჩვეული ცხოვრების წესის მიმართ, გარკვეული საგნებისა და საკვების მიმართაც კი.

აუტიზმის მქონე ბავშვები და საკლასო ოთახი

მიუხედავად იმისა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვების სწავლება საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაინც არსებობს რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელთა ცოდნაც მასწავლებლებს მათ სწავლებაში დაეხმარებათ:

უხვად გამოიყენეთ ვიზუალური მასალა – რადგან აუტიზმის მქონე ბავშვები ძლიერი ვიზუალიზაციის (მხედველობითი წარმოსახვა) უნარით ხასიათდებიან, ინფორმაციის ვიზუალური სახით მიწოდება მათ კომუნიკაციის დამყარებაში ეხმარებათ. აუტიზმის მქონე ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ვიზუალური მასალის, როგორც კომუნიკაციის საშუალების გამოყენება. ეს ძალიან ამარტივებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან.

გამოიყენეთ ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისი ვიზუალური მასალა – აუცილებელია, რომ ბავშვს მისი ასაკისა და განვითარების შესაბამისი ვიზუალური მასალა მივაწოდოთ. სურათებით შესაძლებელია სხვადასხვა სიუჟეტებისა და ცხოვრებისეული სიტუაციების გადმოცემა, სხვადსხვა საგნებისა და სიტუაციების აღწერა.

ეცადეთ სხვადსხვა სიტუაციში ერთი და იგივე ვიზუალური მასალა გამოიყენოთ – მნიშვნელოვანია, რომ სხვადსხვა სიტუაციაში სკოლაში, სახლში, სტუმრად, ყოველთვის ერთი და იგივე, სურათი, ნახატი თუ ფოტო იყოს გამოყენებული. ეს დაემხარება ბავშვს არ დაიბნეს და განუმტკიცებს მას ათვისებულ ინფორმაციას. ყველა ბავშვს ნახატების შერჩევა ინდივიდუალურად სჭირდება. ვიზუალური მასალის ბავშვისთვის წარდგენა ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს: ჯერ ვაცნობთ კონკრეტული საგნის ნახატს და შემდეგ ნახატებით ვაწყობთ გარკვეული მოქმედებისა თუ აქტივობის გეგმას.

სწავლებისას გამოიყენეთ იმიტაცია – სხვათა იმიტაციის პროცესში აუტიზმის მქონე ბავშვები სწავლობენ სოციალურ ინტერაქციას და გარკვეულ ყოფით უნარ–ჩვევებს, რომელიც მათ დამოუკიდებლად არ უყალიბდებათ.

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები და მათი სწავლებისას გასათვალისწინებელი ასპექტები

„ნიჭიერი“ შედარებითი ცნებაა, ამიტომ ხშირად არსებობს აზრთა სხვადსხვაობა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს „ნიჭიერ ბავშვად“. ზოგადად, ნიჭიერ ბავშვად მიჩენულია ის, ვისაც მაღალი მაჩვენებლები აქვს ინტელექტის საკვლევ ტესტებში, ან აქვს მაღალი აკადემიური მაჩვენებლები ან ბავშვს ნიჭიერად მასწავლებელი ახასიათებს. ხშირად, ის ბავშვები, რომლებსაც თანაკლასელებთან შედარებით საკმაოდ მაღალი აკადემიური მაჩვენელბლები და მოტივაცია აქვს, ნიჭიერ ბავშვთა კატეგორიაში ხვდება. ეს ნიშნავს, რომ ზოგჯერ, ნიჭიერი, მაგრამ დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები, ნიჭიერ ბავშვთა კატეგორიაში ვერ ხვდებიან.

ბევრმა მკვლევარმა სცადა ნიჭიერების შეფასებისა და იდენტიფიკაციის პროცედურის მოფიქრება. ზოგიერთი მკველვარი თვლიდა, რომ მასწავლებლის პოზიციიდან, მოსწავლეებში ნიჭიერი ბავშვის ამოსაცნობად, სამი ფაქტორის არსებობაა გასათვალისწინებელი:

(1) *კარგად განვითარებული უნარები* – შეიძლება გამოვლინდეს, როგორც მოსწავლის აკადემიურ მაჩვენებლებში, ისე ინტელექტის შეფასების ტესტებში მიღებლ მაღალ მაჩვენებლებში

(2) *შემოქმედებითი აზროვნება (კრეატულობა)* – შეიძლება გამოვლინდეს ახალი იდეების და პრობლემის გადაწყვეტის განსხვავებული გზების წარმოდგენის სახით

(3) *ძლიერი მიზანდასახულობა* – შეიძლება გამოვლინდეს დავალებაზე მუშაობისას გამოვლენილ შეუპოვრობასა და სიჯიუტეში

აღნიშნული განმარტების მიხედვით, ნიჭიერი ბავშვები თანატოლებისგან გამოირჩევიან ინტელექტის მაღალი დონით, შემოქმედებითობითა (კრეატულობით) და მიზანდასახულობით.

ბევრ ქვეყანაში ნიჭიერი ბავშვებისთვის სპეციალური პროგრამები და სკოლები იქმნება, თუმცა დღესაც პრობლემად რჩება ყველა ნიჭიერი ბავშვის გამოვლენა და მათთვის ადეკვატური სასწავლო პროგრამების შეთავაზება.

ნიჭიერი ბავშვების სწავლებაში ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: აქსელერაცია და გამდიდრება/გამრავალფეროვნება. ***აქსელერაცია*** გულისხმობს ტრადიციული სასწავლო პროგრამით მოსწავლის დაჩქარებულ სწავლებას. ***გამდიდრება/გამრავალფეროვნება*** გულისხმობს მოსწავლისთვის ტრადიციული

მასალისა და სწავლების სტარტეგიების ნაცვლად დამატებითი, გამრავალფეროვნებული მასალისა და სწავლების მეთოდების შეთავაზებას.

ბევრი მკველვარი აღნიშნავს, რომ ხშირად ნიჭიერი ბავშვებს, უფრო ნაკლები აკადემიური მიღწევები აქვთ, ვიდრე შეეძლოთ ჰქონოდათ. ამის მიზეზად დასახელებულია ნიჭიერ ბავშვებში „უფრო მეტის მიღწევის“ მოტივაციის ნაკლებობა. ნიჭიერ ბავშვებში სწავლის მოტივაციის ნაკლებობის მიზეზებს მკვლევრები შემდეგ ფაქტორებს უკავშირებენ:

(1) ბავშვები ვერ ხედავენ კავშირს რეალურ ცხოვრებასა და სასწავლო მასალას შორის; ბავშვებს ნასწავლის გამოყენების შესაძლებლობები არ ეძლევათ,
(2) შეფასების ზედაპირული და არაადეკვატური სისტემის არსებობა ბავშვებს შედეგების გაუმჯობესების სურვილს არ უჩენს – ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლებსა და მშობლებს აინტერესებთ უფრო ის, თუ რა ქულა მიიღო ბავშვმა გამოცდაში ან ტესტში, ვიდრე ის, თუ რამდენად შეუძლია ბავშვს მოცემული შედეგის გაუმჯობესება,
(3) ხშირად ნიჭიერ ბავშვებს აძლევენ ისეთ დავალებებს, რომელიც მათთვის ძალიან მარტივია, რაც მათ ინტერესსა და მოტივაციას ამცირებს; ან პირიქით, აღნიშნული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად, მათ აძლევენ ისეთ რთულ და აბსტარტქულ დავალებას, რომლის გადაწყვეტა მათ არ შეუძლიათ, რასაც შედეგად კვლავ ინტერესისა და მოტივაციის დაქვეითება მოსდევს
(4) ხშირად, სასკოლო პროგრამები არ ახდენენ ნიჭიერი ბავშვების სტიმულაციას და მათი განსაკუთრებული უანრების გამოვლენას ხელს არ უწყობს. რაც ასევე უარყოფითად აისახება მოსწავლის მოტივაციაზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა სწავლების სტრატეგიები ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაყდნობით

სპეციალაური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა ეროვნული სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) მოდიფიცირების შედეგად ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში იცვლება მხოლოდ სწავლების მეთოდები და სტრატეგიები – ამ დროს ადგილი აქვს კურიკულუმის აკომოდაციასა და ადაპტაციას; ზოგჯერ კი აუცილებელი ხდება ***ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა*** – ამ დროს იცვლება არა მარტო სასწავლო მეთოდები და სტრატეგიები, არამედ სასწავლო მიზნებიც.

რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ)?

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განიხილება ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირების ერთ–ერთ ბოლო დონედ. ამ დროს, სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების ცვლილებასთან ერთად, სპეციალური სასწავლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებითვის ინდივიდულაური სასწავლო მიზნების იდენტიფიცირება ხდება. ეს მიზნები განსხვავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისგან და შედგენილია მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით.

ინდივიდულაური სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო მიზნები მისი ინდივიდუალური საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ის არის სახელმძღვანელო, რომელშიც ასახული და დასაბუთებულია კონკრეტული მოსწავლისთვის საჭირო მხარდაჭერა, რომელსაც მასთან მომუშავე ყველა მასწავლებელი თუ სხვა პროფესიონალი უნდა იზიარებდეს და მისდევდეს. ის არ არის ხისტი დოკუმენტი და რეგულარულ ცვლილებებს მოითხოვს. აუცილებელია, დროის გარკვეულ მონაკვეთში მისი გადაფასება, მოსწავლის შესაძლებლობებთან და მიღწევებთან მიმართებაში მოყვანა და საჭირო ცვლილებების განსაზღვრა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ეტაპები

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემდეგი 5 ეტაპისგან შედგება:

1. ინფორმაციის შეგროვება
2. მიმართულების განსაზღვრა
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა/გადაფასება და განახლება

ინფორმაციის შეგროვება – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისთვის აუცილებელია მოსწავლის და სასწავლო პროცესის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის შეგროვება. მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება სხვასხვა წყაროების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება. გეგმაზე მომუშავე გუნდი უფლებამოსილია მოითხოვოს და გაეცნოს მოსწავლის შესახებ არსებულ სამედიცინო დასკვნებს ან სხვა წერილობით დოკუმენტებს, კონსულტაცია გაიაროს კომპეტენტურ პირებთან, მოახდინოს უშუალო დაკვირვება მოსწავლის სასწავლო აქტივობებში ჩართულობისას, განახორციელოს მოსწავლის პიროვნული ფაქტორების შეფასება სხვადსხვა სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე მოსწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს:

- მოსწავლესთან და მის მშობლებთან კონსულტაცია;
- საგნის მასწავლებლებთან კონსულტაცია;

- სხვა პროფესიონელებთან (ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების პედაგოგი, მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ექიმი, სოციალური მუშაკი და სხვა) კონსულტაცია;
- მოსწავლეზე დაკვირვება და სიღრმისეული შეფასება.

მნიშვნელოვანია მოპოვებული ინფორმაციის სათანადო გაანალიზება და მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. ეს ნათელს მოჰფენს, თუ რა სფეროები საჭიროებს გაუმჯობესებას და მოსწავლის რომელი რესურსი (ძლიერი მხარეები) შეიძლება ამისთვის გამოვიყენოთ.

მიმართულების განსაზღვრა – ინდივიდულური სასწავლო გეგმა განსაზღვრავს იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან მისი განხორციელების პროცესში (ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) გუნდი). მნიშვნელოვანია, რომ გეგმის განხორციელებაში ჩართულ პირებს შორის როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა ყველა ეტაპზე ხდებოდეს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გულისხმობს შემდეგი პირებისა და სტრუქტურების ჩართულობას (თუმცა ყველა მათგანის ჩართვა აუცილებელი არ არის):

- *სკოლის ადმინისტრაცია* – განსაზღვრავს მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორს, განსაზღვრულ პერიოდში უზრუნველყოფს გეგმის შედგენასა და მისი განხორციელების მონიტორინგს, უზრუნველყოფს მოსწავლის მხარდაჭერას სკოლის რესურსებით.
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კოორდინატორი* – პასუხისმგებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეხვედრის ორგანიზებაზე, საჭირო დოკუმენტაციისა და მოსწავლის პორტფოლიოს წარმოებაზე, მონაწილეობს სასწავლო გეგმების მიზნების და სტრატეგიის განსაზღვრაში, მოსწავლის შეფასებაში. რეგულარული კონტაქტი აქვს მოსწავლის მშობლებთან და პედაგოგებთან.
- *პედაგოგები* – მონაწილეობას იღებენ მოსწავლის შეფასებაში, სასწავლო მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრაში, საჭირო მასალისა და დოკუმნეტაციის შექმნაში; თანამშრომლობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩართულ პირებთან.
- *სხვა პროფესიონალები* – მონაწილეობას იღებენ მოსწავლის აკადემიური უანრების შეფასების პროცესში, თანამშრომლობენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ჩართულ გუნდთან და ახდენენ მათ კონსულტირებას სხვადსხვა საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლის მშობლები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილების

შემდეგ, მნიშველოვანია მოსწავლისათვის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო მიზნების დასახვა.

- *გრძელვადიანი მიზანი* – ეს არის ის მიზანი, რომელსაც მოსწავლე წლის განმავლობაში აღწევს; გრძელვადიან (წლიურ) მიზანს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრები შეთანხმებულად აყალიბებენ მოსწავლის ძლიერი მხარეების, საჭიროებების, მიღწევის არსებული დონისა და სკოლის რესურსების გათვალისწინებით. ეს მიზანი უნდა ასახავდეს რეალისტურ მოლოდინს მოსწავლის მიმართ და შესაბამისად, შესაძლებელია შეიცვალოს მას შემდეგ, რაც პედაგოგები მოსწავლეს უკეთ გაიცნობენ და მის შესახებ ობიექტურ წარმოდგენას შეიქმნიან.
- *მოკლევადიანი მიზანი* – უფრო კონკრეტული და სპეციფიური, რასაც გრძელვადიანი მიზნებისკენ მივყავართ. მათი მიღწევა უფრო მოკლე დროშია შესაძლებელი – ორ კვირაში, ერთ ან ორ თვეში. მოკლევადიანი მიზნები წარმოადგენს საფეხურებს გრძელვადიანი მიზნებისკენ. თავის მხრივ, მოკლევადიანი მიზნებიც შედგება საფეხურებისგან, ანუ უფრო პატარა მიზნებისგან, რომელსაც უფრო მცირე დროითი ინტერვალი სჭირდება და მკვეთრად განსაზღვრული თანმიმდევრობით ლაგდებიან მარტივიდან რთულისკენ. მოკლევადიანი მიზნები უნდა იყოს ძალიან კონკრეტული გაზომვადი.

ამ ეტაპზე ასევე ხდება სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა, სწავლების პროცესის სხვა დამატებითი საკითხების დაზუსტება, როგორიცაა მოსწავლის სასწავლო განრიგი, საჭირო დამხმარე საშუალებები და სერვისები. დეტალურად ხდება ისეთი საკითხების განსაზღვრა, როგორიცაა: ვინ მუშაობს დასახულ მიზანზე მოსწავლესთან ერთად, სად ხორციელდება დასახულ მიზანზე მუშაობა, სწავლების რა მეთოდები და აქტივობები იქნება გამოყენებული, რა სახის მატერიალური რესურსები, დამხმარე საშუალებებია საჭირო მიზნის მისაღწევად, როგორ მოხდება მოსწავლის წახალისება და სხვა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება – ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელება საკმაოდ დინამიური პროცესია და არ გამორიცხავს გეგმაში ასახული სასწავლო მიზნების და სტარტეგიების ცვლილების შესაძლებლობას. მეტად მნიშვნელოვნია შეფასების სისტემის ჩამოყალიბება. მოსწავლის შეფასება ხორციელდება მისი ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებთან მიმართებაში, იმის მიხედვით მიაღწია თუ არა ბავშვმა დასახულ კონკრეტულ შედეგს.

მიზნის მიღწევის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად. სპეციალურად შემუშავებული ცხრილის მეშვეობით ყოველდღიურად ფასდება მოსწავლის მიერ შემსრულებული სამუშაოს ხარისხი. შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადსხვა სისტემის მიხედვით. ერთ–ერთი შეიძლება იყოს მოსწავლის მიღწევების თვისებრივი

დახასიათება: სუსტი, დამაკმაყოფილებელი, საშუალო და მაღალი. მიღწევის თვისობრივი მაჩვენებელი შეიძლება გადავიყვანოთ რაოდენობრივში შეფასების ათ ქულიანი სისტემის გამოყენებით. კვირის ბოლოს ხდება მოსწავლის მიერ მიღებული შეფასებების დაჯამება და გაანალიზება. ესა თუ ის მიზანი მიღწეულად ითვლება, თუ მოსწავლის მიერ დაგროვილი შეფასება სტაბილურად (მინიმუმ ორი კვირის მანძილზე არის მაღალი). თუ აღმოჩნდა, რომ შედეგები სტაბილურად დაბალია ან უარესდება, უნდა მოხდეს დასახული მიზნებისა და შემუშავებული პროგრამის გადახედვა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადახედვა/განახლება – ამ პროცესის მეშვეობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრები ახდენენ მუშაობის შეჯამებას, აანალიზებენ რამდენად უახლოვდება მოსწავლე განსაზღვრულ შედეგს, ხომ არ არის საჭირო გარკვეული ცვლილებების განხორციელება. მნიშვნელოვანია, ყოველი განსაზღვრული ცვლილების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დოკუმენტირება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი და შინაარსი

არ არებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის უნივერსალური ფორმა ან სქემა, რომელსაც საქართველოში ყველა საგანმანათლებლო სისტემა გაიზიარებდა და გამოიყენებდა. საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა. თუმცა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა შეიძლება განსხვავებული იყოს, მისი შინაარსი ერთია და ის შემდეგ ძირითად კომპონენტებს გულისხმობს:

- დემოგრაფიული მონაცემები
- მოსწავლის შეფასების შედეგები (ძლიერი და სუსტი მხარეები)
- გრძელვადიანი მიზნები
- მოკლევადიანი მიზნები
- პროგრამა ანუ განხორციელების გზები
- მიღწეული შედეგების მონიტორინგი
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები

ქვემოთ მოცემულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და შეფასების ნიმუშები, რომელიც სხვადსხვა ავტორების მიერ არის რეკომენდირებული.

ნიმუში#1 ინდივიდუალური განვითარების გეგმა (ლაღიძე, ა. ბაგრატიონი, მ & პაჭკორია, თ (2009) ინკლუზიური განათლება: გზამკვლევი მასწავლებლებისათვის)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

გამარტივებული ფორმა

სკოლა_____ კლასი _____

მოსწავლე_____

დაბადების თარიღი_____ასაკი_____

მშობელი/მეურვე_____

მისამართი/ტელეფონი_____

შეხვედრის თარიღი_____

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა_____დან _____ მდე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედება_____

შეხვედრის ტიპი (*შემოხაზეთ*)

საწყისი გადაფასება საჭიროებისამებრ დაგეგმილი შეფასება წლიეური შეფასება

მონაილეები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები	დამხმარე კითხვები	შეფასება
ძლიერი მხარეები	რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს? რა აინტერესებს? რა მოსწონს? რაშია მოსწავლე ყველაზე წარმატებული? (აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)	
პრობლემური სფეროები	რა პრობლემები უჩნდება მოსწავლეს ყველაზე ხშირად? როდის იჩენენ პრობლემები თავს? (აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)	

მიზეზები	თქვენი აზრით რა იწვევს პრობლემებს სასწავლო პროცესში? (აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)		
საჭიროებები	რა ჭირდება მოსწალეს იმისთვის, რომ უკეთ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები? რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მოსწავლემ უკეთესად იგრძნოს თავი სკოლაში, თანაკლასელებთან და მასწავლებელთან? (აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)		
წლიური მიზანი	რისი მიღწევა გვინდა სასწავლო წლის განამავლობაში? (გაიწერება ცალ–ცალკე მიზანი ყველა იმ საგნისა და სასწავლო აქტივობისთვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს)		
მოკლევადიანი მიზნები	რისი მიღწევა გვინდა საწყის, მეორად და შემდგომ ეტაპებზე წლიური მიზნის მისაღწევად? (გაიწერება ცალ–ცალკე მიზანი ყველა იმ საგნისა და სასწავლო აქტივობისთვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს)		
პრქტიკული საკითხები	რა დამატებით მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ? რა მეთოდი ავირჩოთ სწავლებისათის? როგორ მოვარგოთ გარემო ბავშვის საჭიროებებს? როგორ გავზარდოთ სწავლის მოტივაცია?		
პასუხისმგებელი პირები	ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდულური სასწავლო გეგმის განხორციელებზე?		

	რა კონკრეტული მოვალეობები ეკისრება გუნდის წევრებს? (პედაგოგი, მშობელი, ფსიქოლოგი და სხვა)	

ნიმუში #2 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი (ლაღიძე, ა. ბაგრატიონი, მ & პაჭკორია, თ (2009) ინკლუზიური განათლება: გზამკვლევი მასწავლებლებისათვის)

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი*

ვის მიერ ხორციელდება მონიტორინგი_____

დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

***მოკლედ აღწერეთ დასახული აქტივობების განხორციელების რაოდენობრივი და /ან თვისობრივი მაჩვენებლები (როგორ და რა სიხშირით შესარულა მოსწავლემ მისთვის განკუთვნილი დავალება)**

ნიმუში #3 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი (გაგოშიძე, თ., ჭინაჭარაული, თ., ფილაური, ქ. & ბაგრატიონი, მ. (2008). ინკლუზიური განათლების პრინციპები)

შეფასების ცხრილი მშობლიურ ენაში

თარიღი _____

მოსწავლე:

მასწავლებელი

	დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1	ცნობს ანბანის ყველა ასოს					
2	ასახელებს ანბანის ყველა ასოს					
3	წერს საკუთარ სახელს დაფაზე დამოუკიდებლად					

შეფასების ცხრილი მათემატიკაში

თარიღი _____

მოსწავლე:

მასწავლებელი

	დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
1	ითვლის ოცამდე					
2	შეუძლია გადათვლა 10–მდე					
3	უმატებს ერთს ათის ფარგლებში					

4 როგორ მოვიქცეთ როდესაც კლასში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვს აღმოვაჩენთ?

ხშირ შემთხვევაში სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროება ბავშვის სკოლაში ჩარიცხვამდე ვლინდება. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მასწავლებელი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოაჩენს, რომ მას სასწავლო პროგრამის დაძლევაში გარკვეული სირთულეები აქვს; მისი აკადემიური მოსწრება მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა მოსწავლეების მოსწრებას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია განისაზღვროს, არის და თუ არა ეს მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. ამისთვის კი აუცილებელია მოსწავლის შეფასება.

მოსწავლის შეფასების მოთხოვნით, სკოლა მიმართავს ***(1) ადგილობრივ რესურსცენტრს*** ან ***(2) განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის გუნდს რომელიც არის საქართველოს ყველა რეგიონში და თბილისში.*** ბავშვის შეფასება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ ხდება. გუნდის შემადგენლობაში შედის ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი და სხვა სპეციალისტები. მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს როგორც მოსწავლეს, ასევე მის საგანმანათლებლო გარემოს, რათა ნახოს, რამდენად უწყობს გარემო ხელს მოზარდის სწავლასა და განვითარებას, და პირიქით, ხომ არ ხდება ისე, რომ მოსწავლის სირთულეები ნაწილობრივ ან მთლიანად გარემოს არახელსაყრელი გავლენის შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა

Henderson, G. & Bryan, W.V. (2004). Psychological Aspects of Disability. Third ed. Speingfield, Ill:Charles C Thomas

შარიქაძე ი. (2009). ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვები, სკოლა და ოჯახი. თბილისი

ვარდიაშვილი ზ. & კოტეტიშვილი ბ. (2008). ყურადღების დეფიციტი, ჰიპერაქტიურობა. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (2010). რამდენიმე საკვანძო საკითი ინკლუზიურ და სპეციალურ განათლებასთან დაკავშირებით. თბილისი

პაჭკორია თ. (2011). ინკლუზიური განათლება : ცნებები და ტერმინები.

გაგოშიძე თ., ჭინაჭარაული თ. ფილაური თ და ბაგრატიონი მ. (2008). ინკლუზიური განათლების საფუძვლები

გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის დეპარტამენტი (2010). როგორ მოვემზადოთ პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის: პროფესიული უნარები. თბილისი:

ლაღიძე ა., ბაგრატიონი მ. და პაჭკორია თ. (2009). ინკლუზიური განათლება: გზამკვლევი მასწავლებელბისათვის.

ჭინჭარაული თ., ბაგრატიონი მ., ლაღიძე ა. და პაჭკორია თ. (2010). ინკლუზიური განათლება; სწავლის უნარის დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლება.

კაპანაძე მ., ბარქაია ც., თვეითერიდი ქ., შარიქაძე ი და პაჭკორია თ. (2008). ვისწავლოთ ერთად – ინკლუზიური განათლე

შეფასება

განსახილველი საკითხები:

- შეფასების მიზნები;
- შეფასების ტიპები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასება)
- შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება (ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების სქემები, ზოგადი და კონკრეტულ შეფასების სქემები)
- შეფასების პრინციპები (სანდოობა; ვალიდურობა; ობიექტურობა; გამჭვირვალობა)
- შეფასების მეთოდები (ტესტირება, მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი, მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება)
- გამოყენებული ლიტერატურა.

შეფასების მიზნები

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. მათ შორის უპირველესი არის ის, რომ ” **საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. ”**

ორიენტაცია თითოეულ მოსწავლესა და შედეგზე თვისობრივად ცვლის შეფასების სისტემასაც. შეფასების საშუალებით განისაზღვრება იმ სასწავლო შედეგების მიღწევის ხარისხი, რომლებიც საგნობრივი პროგრამის სტანდარტით არის გათვალისწინებული.

შეფასება არის რაიმე საგნის, მოვლენის, პროცესის ან ვინმეს შესაბამისობის / მიმართების დადგენა წინასწარ განსაზღვრულ ნიშან-თვისებებთან (კრიტერიუმებთან). შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ასწავლის მასწავლებელი და რამდენად კარგად სწავლობენ მოსწავლეები. კერძოდ, შეფასებას აქვს შემდეგი ძირითადი **მიზნები:**

(1) **მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა;**
(2) **მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;**
(3) **სწავლების კონკრეტული მეთოდიკის ეფექტიანობის შემოწმება;**
(4) **სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის განსაზღვრა და სრულყოფა;**
(5) **სასწავლო პროცესში სწავლების ეფექტიანობის შეფასება და სრულყოფა;**
(6) **მშობლების ჩართვა მოსწავლის სწავლების პროცესში და მათთან კომუნიკაციის გამყარება.**

შეფასებას აქვს ორი განსხვავებული ფუნქცია:

- სწავლის პროცესის შეფასება (მიმდინარე შეფასება);
- პროდუქტის / შედეგების / მიღწევების შეფასება (შემაჯამებელი შეფასება);

პირველი გულისხმობს ინფორმაციის დაგროვებას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო მეორე - შედეგების აღნუსხვას.

მოსწავლეთა შეფასება ხდება კომპონენტებში. კომპონენტებში მიღებული შეფასებები განსაზღვრავს მოსწავლის სემესტრულ შეფასებას.

ამონარიდი ახალი ეროვნული სასწავლო გეგმიდან 2011-2016

საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტები

1. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

ა) საშინაო დავალება;
ბ) საკლასო დავალება;
გ) შემაჯამებელი დავალება.

2. შეფასების სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.
3. საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.
4. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
5. ეროვნული სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი **შემაჯამებელი** დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას. ამ კომპონენტით შეფასებისას:
ა) სტანდარტის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აუცილებელია შემაჯამებელი

დავალების მრავალგვარი ფორმის გამოყენება **(თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.);**
ბ) მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

გ) თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ სამუშაოს გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი აღდგენითი სამუშაოს ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

შეფასების ტიპები

სკოლაში, მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.

განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა:

- სიტყვიერი კომენტარი,
- რჩევა-დარიგება,
- დაკვირვების ფურცელი,
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა
- და სხვ.

ახალ (2011-2016 წლის) ეროვნულ სასწავლო გეგმაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებების აღწერილობა ასეთია:

	განმავითარებელი	**განმსაზღვრელი**
მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების	სწავლის ხარისხის გაკონტროლება; მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო

	ხელშეწყობა	გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში; აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი	სწავლის შედეგი
შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.	მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
წარმარტების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით - რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)	იმის საფუძველზე, თუ რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასათვის საერთო, სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებაში)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების **რუბრიკა; კითხვარი**; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) **კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.**	**ქულა**

მიმდინარე შეფასება ხდება: ყოველ გაკვეთილზე, ყოველდღე, ყოველი აქტივობის დროს. არ არის სავალდებულო, რომ მიმდინარე შეფასება ყოველთვის ქულებით შეფასდეს, იგი შეიძლება იყოს როგორც განმავითარებელი, ასე განმსაზღვრელი.

რა არის მნიშვნელოვანი?

მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივი შესწავლის საშუალებას. კერძოდ, რა სახის საქმიანობა იზიდავს და რა არა, როგორია მისი სწავლის სტილი (სწავლობს მოსმენით, კითხვით, წერით, კეთებით., აქვს მთლიანობითი აღქმა თუ საგნებსა და მოვლენებს დანაწევრებულად აღიქვამს, თეორეტიკოსია თუ პრაგმატისტია და ა.შ.), რა უძნელდება, რა უადვილდება, შეუძლია თუ არა კონცენტრაცია, აქვს თუ არა წინსვლა, თუ არა, რა არის წარუმატებლობის მიზეზი ან რა განაპირობებს მის წარმატებას, აქვს თუ არა

განვითარებული მაღალი სააზროვნო და სოციალური უნარები, როგორია მისი ინტერესების სფერო, ინდივიდუალური თავისებურებები, რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მიმდინარე შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია არა იმდენად ქულების დაწერა (ნიშნით შეფასება), რამდენადაც რჩევები, რა და როგორ გააუმჯობესოს. მიმდინარე, ანუ ფორმატული შეფასება მოსწავლის შესახებ ამომწურავ, მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა და ობიექტურობის გარანტია.

ამასთან, მიმდინარე შეფასება მასწავლებელს აძლევს საკუთარი ყოველდღიური საქმიანობის რეფლექსიის შესაძლებლობას. იმაზე დაყრდნობით, რამდენად მიაღწია მასწავლებელმა საგაკვეთილო მიზანს, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოავლინეს მოსწავლეებმა, რა დაძლიეს და რა ვერა, მას შეუძლია შეაფასოს დაგეგმილი აქტივობების ეფექტიანობა, შერჩეული მასალის სირთულე, კლასის მართვის, ორგანიზების უნარი და სხვ.

შემაჯამებელი შეფასება

ადგენს მოსწავლის წარმატებას სწავლებისა და სწავლის კონკრეტულ ეტაპზე: თემის დასრულებისას, სემესტრის ბოლოს, სასწავლო წლის ბოლოს. ასეთი შეფასებისას მოწმდება ის, თუ რამდენად მიაღწია მოსწავლემ სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგს / შედეგებს.

სწორედ შემაჯამებელი შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით ვაკეთებთ დასკვნას, რამდენად შესრულდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები.

შეფასების სქემების შექმნა და გამოყენება

რა არის გაკვეთილის სასწავლო მიზანი?

რადგან ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის მისაღწევი შედეგები მოიცავს: ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას, ბუნებრივია გაკვეთილების სასწავლი მიზანი, რომელიც სტანდარტის ენაზე უნდა ჩამოყალიბდეს უნდა მოიცავდეს მათ.

მაგ.

საგანი	თემა	სასწავლო მიზანი სტანდარტის მიხედვით
მათემატიკა	პროცენტის კავშირი რიცხვის ნაწილებთან	მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან,

		პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

საინტერესოა შევეხოთ, რა კავშირი არსებობს სასწავლო მიზანსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის?

გაკვეთილის სასწავლო მიზანი გაკვეთილის ბოლოს შედეგად გადაიქცევა.

-როგორ გაიზომოს შედეგი? სწორედ ამისათვის არის საჭირო კრიტერიუმი.

-რის მიხედვით ყალიბდება კრიტერიუმები? გაკვეთილის სასწავლო მიზნის შესაბამისად!

- როგორ? გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს:

გაკვეთილის სასწავლო მიზანი	**შეფასების კრიტერიუმები**
მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.	1. მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან. 2.მოსწავლე პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს. 3.მოსწავლე ხსნის შებრუნებულ ამოცანას

როგორც, ხედავთ სასწავლო მიზანში რამდენი ზმნა ანუ ოპერაციაც არის მოცემული იმდენი შეფასების კრიტერიუმია საჭირო შედეგების გასაზომად. ეს საშუალებას აძლევს პედაგოგს (შემფასებელს) თითოეული ოპერაცია შეუფასოს მოსწავლეს; ანუ დაუკონკრეტოს რა გააკეთა კარგად და რა ვერ გააკეთა. შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით მასწავლებელი ადგენს შეფასების რუბრიკას და თითოეულ კრიტერიუმს შლის დონეების მიხედვით. გთავაზობთ კონკრეტულ მაგალითს.

საგანი: მათემატიკა

კლასი: VII

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი - მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან, პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს, ხსნის შებრუნებულ ამოცანას.

	1-2	3-4	5-6	7-8	9-10
მოსწავლე ანგარიშისას იყენებს პროცენტის კავშირს რიცხვის ნაწილებთან	მოსწავლეს წარმოდგენა აქვს ნაწილის ცნებაზე, მაგრამ ვერ აკავშირებს პროცენტთან.	მოსწავლემ იცის ნაწილის ცნება, მაგრამ ვერ აკავშირებს პროცენტთან	მოსწავლემ იცის ნაწილი და ცდილობს პროცენტთან დაკავშირებას	მოსწავლემ იცის ნაწილი და უმეტესად აკავშირებს პროცენტთან.	მოსწავლემ იცის ნაწილი, აკავშირებს პროცენტთან, ირჩევს დაკავშირების ოპტიმალურ ფორმას
პოულობს მოცემული რიცხვის პროცენტს	მოსწავლეს უჭირს რიცხვის პროცენტის პოვნა	მოსწავლე ცდილობს იპოვოს რიცხვის პროცენტი	მოსწავლე სრულყოფილად ვერ პოულობს პროცენტს	მოსწავლე პოულობს პროცენტს	მოსწავლე პოულობს პროცენტს, აქვს გამოყენებული გამოთვლების ოპტიმალური ხერხი
ხსნის შებრუნებულ ამოცანას	მოსწავლე ვერ ხსნის ამოცანას	მოსწავლე ცდილობს ამოცანის ამოხსნას, მაგრამ ვერ პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას	მოსწავლე პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მაგრამ ვერ ასრულებს ამოცანას	მოსწავლე პოულობს ამოცანის ამოხსნის გზას, მაგრამ ხსნის ამოცანას ხარვეზებით	მოსწავლე ხსნის ამოცანას, აქვს ამოცანის ამოხსნის ოპტიმალური გზა გამოყენებული

არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისდა მიხედვით თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ მიიღწევა ეს მიზანი. განასხვავებენ:

- **ანალიტიკურ**
- **ჰოლისტურ,**
- **ზოგად**
- **კონკრეტულ შეფასების სქემებს.**

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც მასწავლებელს სურს, რომ მოსწავლის ცოდნა შეაფასოს ორი ან მეტი კრიტერიუმის მიხედვით იგი იყენებს ან ქმნის **ანალიტიკური** შეფასების სქემას. ზემოთ მოცემული შეფასების სქემა ანალიტიკურია. რადგანაც ის 3 კრიტერიუმს შეიცავს.

არის შემთხვევები, როდესაც შეფასების სქემის დაყოფა ორ ან მეტ დამოუკიდებელ მახასიათებლად აუცილებელი არ არის ან უბრალოდ ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი ქმნის ან იყენებს **ჰოლისტური** შეფასების სქემას. ჰოლისტური შეფასების სქემის გრაფებში გაერთიანებულია ყველა კრიტერიუმი და ყველა მახასიათებელი, რის მიხედვითაც მასწავლებელს სურს მოსწავლის ნამუშევარი შეაფასოს. მოსწავლის პასუხის ხარისხი ფასდება ზოგადად და არა კონკრეტული მახასიათებლების მიმართ. გთავაზობთ თხზულების ჰოლისტირი შეფასების სქემის ნიმუშს:

ჰოლისტური შეფასების სქემა

დავალების მოთხოვნას პასუხობს სრულად. აზრი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნის შესაბამისია. შეცდომების რაოდენობა უმნიშვნელოა.	**3**
დავალების მოთხოვნას პასუხობს ნაწილობრივ. აზრი თანამიმდევრულად მხოლოდ ზოგ შემთხვევაშია გადმოცემული. გრამატიკა და ლექსიკა მოთხოვნაზე მარტივია. შეცდომების რაოდენობა ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას.	**2**
დავალების მოთხოვნას პასუხობს მცირედ. აზრის გაგება ჭირს. გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები არის წინადადებების უმეტესობაში.	**1**
ნაწერი დავალებას არ პასუხობს, ან აზრის გაგება შეუძლებელია, ან ფურცელი ცარიელია.	**0**

შეფასების სქემა შეიძლება შეიქმნას:

1. დავალებათა ან უნარ-ჩვევათა ერთობლიობის შესაფასებლად - **ზოგადი შეფასების სქემა.**

2. ერთი კონკრეტული დავალების შესაფასებლად - **კონკრეტული შეფასების სქემა.**

მაგალითად, სტანდარტის შესაბამისად, თუ მასწავლებლის მიზანია მოსწავლეებში პრეზენტაციის ან ინფორმაციის მოძიების უნარის განვითარება, მასწავლებელი ქმნის შეფასების სქემას, რომლის გამოყენება შესაძლებელია მრავალჯერ. გთავაზობთ ზოგადი შეფასების სქემის ნიმუშს

ინფორმაციის მოძიების შეფასება თარიღი:				
მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები			
	ინფორმაციის წყაროების არჩევა 0-3	მოძიებული ინფორმაციის კვლევის მიზანთან შესაბამისობა 0-4	მოძიებული ინფორმაციის ორგანიზება 0-3	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა 10
1.				
2.				
3.				
დაშ				

ამონარიდი 2011-2016წ ეროვნული სასწავლო გეგმიდან

ქვემოთ კი გთავაზობთ კონკრეტული შეფასების სქემის ნიმუშს მათემატიკაში

კითხვა: რა ცოდნა და უნარები ფასდება?

პასუხი: ამოსახსნელია ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას.

ამონარიდი 2011-2016წ ეროვნული სასწავლო გეგმიდან

საფეხურები	**ქულა**
ამოცანის მონაცემების ორგანიზება	
ამოხსნისათვის საჭირო მონაცემების ამოკრეფა ამოცანის ტექსტიდან	0 – 1
მონაცემების ორგანიზება და ისეთი ხერხით ჩაწერა, რომელიც აადვილებს ამოხსნის გზის მოძებნას	0 – 1
ადეკვატური აღნიშვნების შემოტანა	
საძიებელი სიდიდეების გამოყოფა	0 – 1
საძიებელი სიდიდეებისათვის ასოითი აღნიშვნების შემოღება	0 – 1
მათემატიკური ობიექტებისა და პროცედურებისათვის სწორი აღნიშვნების გამოყენება (მაგალითად: ფუნქციის, ალგებრული მოქმედების)	0 – 1
ამოხსნის გზის მოძებნა	
განტოლების შედგენის წინმსწრები მსჯელობა	0 – 1
განტოლების შედგენა	0 – 1
ამოხსნის გზის რეალიზება და პასუხის მიღება	
განტოლების ამოხსნის ხერხის მოძებნა	0 - 1
განტოლების ამოხსნა და პასუხის მიღება	0 – 1 – 2

შეფასების სქემების მრავალფეროვნების მიუხედავად მოთხოვნები მათ მიმართ ერთნაირია:

- რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული **/სანდო/;**
- შეფასების სქემა უნდა ამოწმებდეს მხოლოდ იმას რის შემოწმებასაც ისახავს მიზნად და სხვას არაფერს **/ვალიდური/;**

- მოსწავლეები წინასწარ უნდა იცნობდნენ (და/ან მონაწილეობდნენ სქემის შექმნაში) იმ შეფასების სქემას, რომლითაც მათი ცოდნა ფასდება **/გამჭირვალე/.**

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია შევაჯამოთ:

- შეფასების სქემები, არის მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმებისა და მათი გამოყენების წესების ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც ფასდება მოსწავლის მოსწრება ამა თუ იმ აქტივობაში ან საგანში;
- არსებობს განსხვავებული ტიპის და დანიშნულების შეფასების სქემები. იმისდა მიხედვით თუ რა მიზანს ისახავს კონკრეტული შეფასება და როგორ მიიღწევა ეს მიზანი, განასხვავებენ ანალიტიკურ და ჰოლისტურ, ზოგად და კონკრეტულ შეფასების სქემებს;
- დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში ერთი და იმავე შეფასების სქემის სისტემატურად გამოყენება და შედეგების შედარება მოსწავლის განვითარების ეფექტური საშუალებაა;
- სასურველია, რომ მასწავლებელმა შეფასების სქემის შექმნის პროცესში ჩართოს მოსწავლეები. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს უფრო კარგად გაერკვენ იმაში თუ რას ითხოვენ მათგან.

შეფასების ძირითადი პრინციპები

შეფასებისას დაცული უნდა იყოს ძირითადი პრინციპები:

- სანდოობა;
- ვალიდურობა;
- ობიექტურობა;
- გამჭვირვალობა.

რა შემთხვევაშია შეფასება სანდო?

შეფასება სანდოა, როდესაც რუბრიკები/კრიტერიუმები ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ეს კი განაპირობებს იმას, რომ

- სხვადასხვა მასწავლებელი ერთნაირ პასუხს ერთნაირად აფასებს;
- ერთი მასწავლებელი ერთსა და იმავე პასუხს ყოველთვის ერთნაირად აფასებს.

რეალურად შეფასების სანდოობას უზრუნველყოფს:

- მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკითხები;

- დავალების ზუსტი ინსტრუქცია;
- ზუსტად განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები;
- გამსწორებლის კვალიფიკაცია.

რა შემთხვევაშია შეფასება ვალიდური?

თუ შეფასება მიზნის შესაბამისია, ანუ მასწავლებელი აფასებს ზუსტად იმას, რის შეფასებასაც იგი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისახავს მიზნად. ხდება შეფასების სიზუსტის (ვალიდურობის) უზრუნველყოფა.

ანუ შეფასების ეფექტიანობის განსაზღვრა შეიძლება მონაცემების ზუსტი ანალიზით, რაც მიიღწევა საზომი საშუალებების შესაბამისობით გასაზომ ობიექტთან. თუ შეფასებითი ღონისძიება მთელი თავისი შინაარსით ნამდვილად აფასებს იმ ასპექტს, რომლის შეფასებაც გვინდა - შეფასება ვალიდურია;

მაგალითად, თუ შეფასების მიზანია ვერბალური კომუნიკაციის დროს კონკრეტული ლექსიკური ერთეულების გამოყენების უნარის შემოწმება, ხოლო დავალება მიმართულია კარნახით წერის შეფასებაზე, ამ დავალებით მიზნად დასახულ უნარს - ვერბალური კომუნიკაციის დროს კონკრეტული ლექსიკური ერთეულების გამოყენება - ვერ გავზომავთ! ანუ შეფასება ვალიდური არ არის!

რა შემთხვევაშია შეფასება ობიექტური?

• შეფასება ობიექტურია, თუ შეფასების შედეგი არ არის დამოკიდებული შემფასებლის პირად მოსაზრებაზე, სურვილებზე.

ობიექტურობის დაცვა უნდა ხდებოდეს წინასწარ შემუშავებული და შეთანხმებული კრიტერიუმების საფუძველზე. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რა კრიტერიუმებით შეაფასებენ მის სასწავლო საქმიანობას. საჭიროა, რომ მასწავლებელმა სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიხედვით ჩამოაყალიბოს ან მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავოს კრიტერიუმები, ეს ერთი მხრივ, უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის განვითარებას.

რა დროს არის შეფასება გამჭვირვალე ანუ ღია?

შეფასება გამჭვირვალეა, როდესაც,

- შეფასების კრიტერიუმები ცნობილია ყველასთვის;
- შეფასების სქემები ცნობილია ყველასთვის;

• ზოგჯერ, მოსწავლე თავად იღებს მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების და სქემების შედგენაში;

მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგები და მისი ანალიზი ღია და გამჭვირვალე იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის (ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეული მოსწავლის შეფასების შედეგად აღმოჩენილი შეცდომებზე საჯაროდ ვისაუბროთ).

მოსწავლეთა შეფასება საკმაოდ დელიკატური თემაა. შეფასების პრინციპების დაცვა შეფასების პროცესს უმტკივნეულოს ხდის; მნიშვნელოვანია მოსწავლეს საკუთარი ცოდნის შეფასების მიმართ სამართლიანობის გრძნობა ჩამოუყალიბდეს; ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ:

• შეფასების კრიტერიუმები მისთვის ცნობილია;

• შეფასების სქემები მისთვის ცნობილია;

• მოსწავლე თავად იღებს მონაწილეობას შეფასების კრიტერიუმების და სქემების შედგენაში:

შეფასებისას მნიშვნელოვანია თუ რას ადარებს მასწავლებელი მოსწავლის მიღწევას; განასხვავებენ

1. ნორმაზე ორიენტირებულ;
2. კრიტერიუმზე ორიენტირებულ;
3. პიროვნებაზე ორიენტირებულ შეფასებას

• თუ ხდება ცალკეული მოსწავლეების მოსწრების შედარება, ან მოსწავლის მოსწრებისა დადგენილ ნორმასთან (ნორმა განისაზღვრება რომელიმე ჯგუფის მოსწრებით), მაშინ ეს არის **ნორმაზე ორიენტირებული შეფასება.**

მაგალითად, ნინო წელს მეორეა მოსწრებით კლასში /რეიტინგი/;

• თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს, მაშინ ეს **კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასებაა**, რომელიც ადგენს, მიაღწია თუ არა მოსწავლემ კრიტერიუმებით განსაზღვრულ დონეს ან რამდენმა მოსწავლემ მიაღწია ამას კლასში.

მაგალითად, კლასში ყველას შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გაგება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა; გიორგი ზუსტად იწერს ექსპერიმენტის შედეგებს, აანალიზებს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს.

• თუ მოსწავლის მოსწრებას ადარებენ მის წარსულ მოსწრებას, ეს არის პიროვნებაზე ორიენტირებული შეფასება. ამ შეფასებით ადვილად დგინდება მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი.

მაგალითად, ნინოს მეორე სემესტრში შემაჯამებელ კომპონენტში ორი ქულით მეტი აქვს წინა სემესტრთან შედარებით;

პედაგოგიურ პრაქტიკაში სამივე გამოიყენება. თითოეულის გამოყენებას განსაზღვრავს შეფასების მიზანი.

შეფასების მეთოდები

მასწავლებელი მოსწავლის ცოდნის და მათი უნარ-ჩვევის შესაფასებლად სხვადასხვა საშუალებას, მეთოდს იყენებს. ეს მეთოდებია:

- **ტესტირება;**
- **მასწავლებლის დაკვირვება და კომენტარი;**
- **პორთფოლიო;**
- **მოსწავლის თვითშეფასება და თანატოლთა შეფასება**

ტესტი მოსწავლის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ტესტის დახმარებით შეგვიძლია გავიგოთ თუ რა და როგორ ისწავლეს მოსწავლეებმა და რა უნარ-ჩვევები განუვითარდათ მათ.

მასწავლებელმა ტესტი სხვადასხვა მიზნით შეიძლება გამოიყენოს. სასკოლო პრაქტიკაში ტესტი ყველაზე ხშირად მიმდინარე და შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება. ტესტი შეიძლება ასევე დიაგნოსტიკური მიზნებისთვისაც გამოიყენებოდეს.

ტესტური შეკითხვები შეიძლება იყოს ღია და დახურული. **დახურული კ**ითხვების შემთხვევაში მოსწავლემ მოცემული პასუხების არჩევანიდან მხოლოდ ერთი სწორი პასუხი უნდა შეარჩიოს. **ღია** კითხვების შემთხვევაში კი პასუხების არჩევანი არ არის მოცემული და მოსწავლემ პასუხი თვითონ უნდა მოიფიქროს.

მიუხედავად იმისა, თუ რა სახისაა ტესტი და რა მიზნისთვისაა შექმნილი; იგი რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ეს მოთხოვნებია:

- **ტესტი უნდა იყოს ვალიდური** და სანდო. ინსტრუქციები და საკითხები ისე მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სწორედ იმ ცოდნას ზომავდეს რის გაზომვასაც ეს კონკრეტული ტესტი ისახავს მიზნად. შეფასების შედეგები კი ყველა შემთხვევაში იდენტურ შედეგს უნდა იძლეოდეს.
- **ტესტი უნდა იყოს გაზომვადი.** ტესტის შედეგები უნდა ფასდებოდეს წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმებით / შეფასების სქემით. წინასწარ უნდა იყოს ასევე დადგენილი ქულების რაოდენობა სწორი პასუხისთვის. შეფასების მექანიზმი უნდა იყოს მკაფიო და ცალსახა. იგი ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს.

- **ტესტი განსაზღვრული დროის ლიმიტზე უნდა იყოს გათვლილი.** დროის ფაქტორის გათვალისწინება და იმის ცოდნა, რომ მნიშვნელოვანია არა მხლოდ ტესტის შესრულება, არამედ ისიც, რომ გამოყოფილ დროში ჩაეტიო, მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც დროის უფრო ეფექტიანად გამოყენებას აჩვევს.
- **ტესტი უნდა იყოს გამჭვირვალე.** მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ თუ რა ფორმატისაა ტესტი. რას ამოწმებს, როგორია შეფასების მექანიზმი და რა დროა მისთვის გამოყოფილი.

მასწავლებლის დაკვირვება - ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეზე დაკვირვებას სხვადასხვა სასწავლო თუ არასასწავლო (დასვენებებზე, სპორტულ მოედნებზე / დარბაზში და სხვ.), სიტუაციაში იმის მიხედვით, თუ რა ინფორმაციის მიღება სურს მასწავლებელს. დაკვირვებამდე უნდა განისაზღვროს, რომელ მოსწავლეს / მოსწავლეებს ვაკვირდებით და რას, რომელ უნარ-ჩვევას ვაკვირდებით (სასწავლო უნარ-ჩვევებს, სააზროვნო უნარებს ძირითადად გაკვეთილებზე ვაკვირდებით, ხოლო სოციალურ უნარ-ჩვევებს – გაკვეთილზე წყვილებსა თუ ჯგუფებში მუშაობისას და არასასწავლო სიტუაციებში). დაკვირვება რომ საიმედო იყოს, საჭიროა ჩანაწერების ან ჩანიშვნების გაკეთება. ჩანაწერები ეხმარება მასწავლებელს კონკრეტული მოსწავლის კონკრეტულ პრობლემას დროულად გამოეხმაუროს.

მას შემდეგ, რაც დაკვირვების შედეგად მასწავლებელი მონაცემებს შეაგროვებს, იწყებს ინფორმაციის დამუშავებას და აკეთებს ანალიზს. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით იგი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რა რჩევები შეგვიძლია მივცეთ მოსწავლეს, მის მშობელს, რა გაითვალისწინო მან თავად.

დაკვირვების ცხრილი შეიძლება ასე გამოიყურებოდეს:

სახელი	თარიღი	საკლასო დავალება	ჯგუფური მუშაობა	ორგანიზებულობა

დაკვირვების შედეგად ქულა არ იწერება. იგი მოსწავლის განმავითარებელი "არაფორმალური" შეფასების ნაწილია.

ასევე **მნიშვნელოვანია კომენტარი,** რომელსაც მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს. ეს არის ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ აფასებს მასწავლებელი მოსწავლის კონკრეტულ პასუხს. (*კომენტარი დაწვრილებით იხილეთ საკითხავი მასალის თავში - წერილობითი კომუნიკაცია).*

საქაღალდე, ანუ ე.წ. "პორთფოლიო" შეფასების უფრო ხანგრძლივი და შრომატევადი ფორმაა, მისი საშუალებით შესაძლებელია მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება, მისი ცოდნისა და უნარების სხვადასხვა ასპექტით შემოწმება. პორთფოლიოს მიხედვით მოსწავლეთა შეფასება კრებს შეფასების სხვადასხვა ფორმით მიღებულ შედეგებს და მოსწავლის შესახებ უფრო სრულ სურათს გვაწვდის. პორთფოლიოს მეთოდით შეფასება საშუალებას გვაძლევს შეფასდეს მოსწავლის მიღწევები დროის განსაზღვრულ პერიოდში, მაგ. სასწავლო წლის განმავლობაში, რადგან პორთფოლიოში თავმოყრილი და სტრუქტურირებულია მოსწავლის ყველა ნამუშევარი, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში არის მომზადებული, ასევე მასწავლებლის კომენტარები, ტესტირების შედეგები და ა.შ.

პორტფოლიოთი მუშაობა მოსწავლეებს ეხმარება:

- ცოდნის დოკუმენტირებაში;
- მიღებული ცოდნის სისტემაში მოყვანაში;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკულთან დაკავშირებაში;
- თვითშეფასებაში.

საქაღალდით, ანუ პორთფოლიოთი მოსწავლის შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს:

თვალი გაადევნოს მოსწავლის ინდივიდუალურ პროგრესს, შეადაროს სხვადასხვა დროს შექმნილი ნამუშევრები ერთმანეთს, ნახოს, როგორ გაითვალისწინა მან მისი კომენტარები და რჩევები, რომლებსაც დროდადრო აძლევდა და როგორ ვითარდებოდა დროში მოსწავლეთა ნამუშევრები, ანუ პორტფოლიოთი ადვილი შესამოწმებელია მოსწავლეთა პროგრესი.

მაშასადამე, საკლასო პორთფოლიო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი;
- სწავლის შედეგების ჩვენება;
- საგნობრივი შეფასება;
- სწავლების მეთოდოლოგიის შეფასება;
- მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდება;

- მომდევნო მასწავლებლისთვის ინფორმაციის გადაცემა.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- პორთფოლიოში ჩასადები მასალის ჩამონათვალი შეათანხმოს მოსწავლეებთან და გაითვალისწინოს მათი ინტერესები.
- მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს როგორ აწარმოოს პორტფოლიო, რა კრიტერიუმებით შეფასდება, რა ინტენსივობით შემოწმდება და ა.შ.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. იმისათვის, რომ მოსწავლე შეეჩვიოს საკუთარი პასუხის შემოწმებას, ჩამოუყალიბდეს შეცდომის მიმართ სწორი დამოკიდებულება, დაძლიოს შიში შეცდომის წინაშე, ხშირად უნდა მივცეთ საკუთარი ნამუშევრის შეფასების საშუალება. თვითშეფასება მას ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ შეცდომების აღიარება და გამოსწორება წინსვლის აუცილებელი პირობაა. თვითშეფასებით იგი გრძნობს მეტ ვალდებულებას და ცდილობს იყოს მაქსიმალურად ობიექტური. თვითშეფასების რამდენიმე ხერხი არსებობს. შედეგიანია თვითშეფასების ისეთი ხერხი, როცა მოსწავლე წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის (კრიტერიუმების) მიხედვით აფასებს საკუთარ ნაშრომს, შემდეგ უცვლის მეწყვილეს და ერთმანეთის ნამუშევრებს აფასებენ, ბოლოს კი მასწავლებელი აფასებს. ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ანალიზის პროცესი: რა დაემთხვა შეფასების ამ სამ შემთხვევაში ერთმანეთს, რა - არა და რატომ? რის ცოდნა არ ეყო მოსწავლეს თავად ან მის თანაკლასელს ობიექტური შეფასებისათვის.

ურთიერთშეფასებაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და ნაყოფიერი, თუ მოსწავლეებს აქვთ წინასწარ შემუშავებული შეფასების მკაფიო და ნათელი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც აფასებენ ერთმანეთის ნამუშევარს.

თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით მასწავლებელი აფასებს მოსწავლის თვითშეფასების უნარს და მის ანალიტიკურ შესაძლებლობებს.

თვითშეფასების სტრატეგიები

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ პროგრამებში მოცემული შედეგების მისაღწევად მასწავლებელს სწავლების სხვადასხვა მეთოდების, სტრატეგიების გამოყენება უწევს – იმის მიხედვით, თუ რა ცოდნის მიღება და უნარ-ჩვევების განვითარება აქვს მასწავლებელს დასახული მიზნად ამ გაკვეთილზე. ინტერაქტიური სწავლებისას მოსწავლეები შედეგებზე პედაგოგის დახმარებით გადიან. მიღებული შედეგების გასაზომად მასწავლებელი მიმართავს: შეფასებას ან თვითშეფასებას; ნებისმიერ შემთხვევაში პედაგოგს ნათლად და მკაფიოდ უნდა ჰქონდეს შეფასების კრიტერიუმები ჩამოყალიბებული. კვლევებმა აჩვენა, რომ თვითშეფასება ეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ რა იციან და რა არა. გთავაზობთ მოსწავლეთა თვითშეფასების რამდენიმე სტრატეგიას.

ფაქტობრივი ცოდნის თვითშეფასება

ამ სტრატეგიის გამოყენების დროს მოსწავლეები ფაქტობრივ ცოდნას ამოწმებენ და ახდენენ თვითშეფასებას. პედაგოგი ამ სტრატეგიის გამოყენებით გამოავლენს თუ რამდენად ყურადღებით და გულდასმით დაამუშავეს მოსწავლეებმა სასწავლო მასალა.

ეს არის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს:

- ტექსტზე მუშაობის,
- ლოგიკური აზროვნების,
- ფაქტების დამახსოვრების,
- კითხვებზე პასუხის გაცემის,
- ვერბალიზაციის,
- თვითშეფასების უნარ-ჩვევის განვითარებას.

I ეტაპი - მოსამზადებელი

პედაგოგი სასწავლო მასალაში მოცემული ფაქტობრივი მასალის შესაბამისად ადგენს კითხვებს (რათა შემოწმდეს მოსწავლეთა ცოდნა ამ კუთხით). მის პარალელურად მასწავლებელი მის მიერ შედგენილი კითხვების შესაბამისად აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებს (ეს სამუშაო გაკვეთილის დაწყებამდე უნდა შესრულდეს).

II ეტაპი - სტრატეგიის გამოყენების დასაწყისი

პედაგოგი ამ ეტაპზე მის მიერ ჩამოყალიბებულ შეფასების კრიტერიუმებს წერს დაფაზე (2-3 წთ) ან წინასწარ ფურცელზე დაწერილ კრიტერიუმებს აკრავს დაფაზე, კედელზე და აცნობს მოსწავლეებს.

III ეტაპი -კითხვებზე პასუხი

ამ ეტაპზე მოსწავლეებს სჭირდებათ ფურცელი და საწერი კალამი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ამ მასალებს მოიმარაგებენ, მასწავლებელი იწყებს მის მიერ მომზადებული შეკითხვების დასმას თანმიმდევრობით და სთხოვს მოსწავლეებს დანომრონ თითოეული პასუხი და ჩაეტიონ დროში (1,2,3... წთ); დროს პედაგოგი განსაზღვრავს პასუხების სიდიდის მიხედვით. დროის გასვლის შემდეგ პედაგოგი სვამს მომდევნო შეკითხვას და მოსწავლეები თანმიმდევრობით პასუხობენ წერილობით. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ პედაგოგი სთხოვს ყველა მოსწავლეს საწერი კალმები დადონ მაგიდის შუაში ან შეინახონ.

IV ეტაპი - ვერბალიზაცია

პედაგოგი ინდივიდუალურად მიმართავს ნებისმიერ მსურველ მოსწავლეს და სთხოვს თანმიმდევრულად სათითაოდ წაიკითხოს მის მიერ დაწერილი პასუხები ანუ მოახდინოს პასუხების ვერბალიზაცია. თითოეული პასუხის შემდეგ თუ კლასში არსებობს მოსწავლის მიერ წაკითხული პასუხისაგან განსხვავებული პასუხი ან პასუხები, მათი ავტორები ვალდებულნი არიან გამოთქვან თავიანთი ვერსიები, ამ დროს გაიმართება დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში პედაგოგის დახმარებით დგინდება სწორი/მართებული პასუხი.

V ეტაპი - თვითშეფასება

ამ ეტაპზე პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს აიღონ თავიანთი საწერი კალმები და დაფაზე (ფორმატზე) დაწერილი შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით აწარმოონ პასუხების თვითშეფასება.

VI ეტაპი - შედეგების გაცნობა

მასწავლებელი კითხულობს მოსწავლეთა სიას. ისინი სათითაოდ კარნახობენ თვითშეფასების შედეგებს _ ქულებს პედაგოგს, რომელიც ინიშნავს ამ მონაცემებს. ამის შემდეგ პედაგოგი აკრებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და აგრძელებს გაკვეთილს. გაკვეთილის შემდეგ პედაგოგი გადაამოწმებს მოსწავლეთა თვითშეფასებაში ხომ არ არის რაიმე უზუსტობა?

საშინაო დავალების თვითშეფასება

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, შეფასების ერთ-ერთ კომპონენტია – საშინაო დავალება.

გთავაზობთ სტრატეგიას, რომელიც მასწავლებლებმა შეიძლება გამოიყენონ: თემის დასრულების, კვირის ბოლოს, ტრიმესტრის ბოლოს და ა. შ. საჭიროებისამებრ. ეს მოსწავლეებს საშუალებას მისცემს სხვა კუთხით შეხედონ და შეაფასონ შესრულებული დავალებები, ხოლო მასწავლებელი დაინახავს, თუ რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტურად არჩევდა მასალებს (თხზულება, მაგალითი, ამოცანა, ნახატი, ნახაზი...) დავალებებისათვის.

ეს არის სტრატეგია, რომელიც ხელს უწყობს:

- თვითშეფასების,
- ანალიზის,
- სინთეზის,
- კვლევის,
- ლოგიკური აზროვნების უნარ-ჩვევის განვითარებას.

I ეტაპი - მოსამზადებელი

მასწავლებელი განვლილი თემის შესაბამისად პროგრამაში გადახედავს შედეგებს და ინდიკატორებს (რომელთა მისაღწევადაც ის აძლევდა მოსწავლეებს დავალებებს) და მისი გათვალისწინებით მასწავლებელი აყალიბებს ”სპეციფიკურ ინდიკატორებს” (რამდენიმე წინადადებას, რომელიც იწყება ასე: ეს არის დავალება, რომლითაც მე...), რომლის მიხედვითაც მოსწავლეებმა უნდა გადაარჩიონ შესატყვისი ნაშრომები.

II ეტაპი - შესარჩევი

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლებს მიცემულ დროში შესრულებული დავალებებიდან გადაარჩიონ `სპეციფიური კრიტერიუმების~ შესატყვისი ნაშრომები. გადახაზონ რვეულებში ცხრილი და შეავსონ მისი 1, 2, 4 გრაფები.

#	რომელ გვერდზეა თქვენს რვეულში ეს დავალება?	”სპეციფიური კრიტერიუმი” ეს არის დავალება, რომლითაც მე ...	რატომ თვლით ასე? დაასაბუთეთ
1	2	3	4

*”სპეციფიური კრიტერიუმი”_ მაგალითად: ამ დავალებით მე ვისწავლე წილადების შეკრების წესის გამოყენება, ამ დავალებით მე ვისწავლე კვებითი ჯაჭვის აგება, ამ დავალებით მე გამიჩნდა განსაკუთრებული დამოკიდებულება საკითხისადმი/მოვლენისადმი/პერსონაჟისადმი...

მოსწავლები გადახაზავენ ცხრილს და სახლში იმუშავებენ.

III ეტაპი _ შეჯამება

მასწავლებელი აკრეფს ბავშვების მიერ შესრულებულ სამუშაოებს, ეცნობა მათ, უკეთებს ანალიზს და გეგმავს შემაჯამებელ წერით სამუშაოს (თუ ანალიზმა აჩვენა, რომ მოსწავლების უმრავლესობამ ეტაპობრივად მნიშვნელოვანი საკითხი ვერ გაიაზრა, მაშინ ის ჯერ უბრუნდება ამ საკითხს და მერე ატარებს შემაჯამებელ სამუშაოს).

როგორ უნდა გააუმჯობესოს მასწავლებელმა მოსწავლეთა თვითშეფასება?

მოსწავლეთა თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის არსებობს კავშირი, რომელიც ასაკთან ერთად იცვლება. კვლევები ადასტურებენ, რომ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა თვითშეფასება მაღალია, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად ისინი უფრო ადექვატურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, რადგან უვითარდებათ უნარი კრიტიკულად შეხედონ საკუთარ თავს, მიიღონ უკუკავშირი და მოახდინონ მისი ინტეგრირება თვითშეფასებასთან. მასწავლებელმა ასევე უნდა

გაითვალისწინოს, რომ მოსწავლეები თავიანთ მიღწევებს იმ თანატოლების მიღწევებს ადარებენ, რომელთანაც აქვთ ურთიერთობა სკოლაში, ე.ი. მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია.

მოსწავლეთა თვითშეფასების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია:

- მათთვის თბილი, მეგობრული და დისციპლინარული გარემოს შექმნა;
- უფროსების (მასწავლებელს, მშობელს) მხრიდან მოსწავლის მიმართ პოზიტიური მოლოდინების არსებობა.

რისი მიღწევაც შესაძლებელია თუ:

- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დისციპლინის შესახებ ხმამაღლა არ ვისაუბრებთ;
- საშუალებას მივცემთ მოსწავლეებს ხელახლა შეასრულონ დავალება და გამოასწორონ ნიშნები;
- არ დავაჯგუფებთ მოსწავლეებს უნარების მიხედვით და არ გავუსვამთ ხაზს მათ შესაძლებლობებს;
- დავალებების შერჩევისას გავითვალისწინებთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- თუ აქცენტი გვექნება გადატანილი თანამშრომლობაზე და არა კონკურენციაზე;
- თუ მოსწავლეს გარკვეულ პასუხისმგებლობას დავაკისრებთ;
- თუ აქცენტს გავაკეთებთ მოსწავლეთა წარმატებებზე და ნაკლებად მის შეცდომებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. 2007წ განმარტებითი ლექსიკონი
2. სწავლება და შეფასება, მასწ. პროფ. განვითარების ცენტრი . თბილისი2008წ
3. ია კუტალაძე (რედ.) (2010) ეფექტიანი სწავლება, გამოცდების ეროვნული ცენტრი, კვლევის ლაბორატორია.
4. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016წ
5. Becker Georg. E. (2007) Unterricht auswerten und beurteilen (Teil III). Weinheim und Basel: Beltz Verlag